

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი



JK 1134
2024

პრიფი

ფასი 3 ლარი



2024
2 (318)

თემა: თენაგაძეძე
გაბაძეძე ლიტერატურა

სარჩევი

შესავალი	1	ნიკოს კუკისი - ბერძნული კულტურის ფონდის პრეზიდენტი
ესე	2	მაია კაკაშვილი ბერძნულიდან ქართულად
	8	ანი უძილაური ... და პირიქით
	11	დიმიტრის დიმიტრიადისი ჩვენ და ბერძნები ახალბერძნულიდან თარგმნა თათია მთვარელიძემ
	15	თეოდოროს ტერზოპულოსი ორი მანიფესტი ახალბერძნულიდან თარგმნა თათია მთვარელიძემ
	18	ლაშა ბულაძე ხმა
	20	თათია მთვარელიძე ათენის წიგნი
პოეზია	24	ნანა ტოხვაძე კოსტას მონტისი - ისტორია, მეხსიერება, ანტი
	27	კოსტას მონტისი ლექსები ახალბერძნულიდან თარგმნა ნანა ტოხვაძემ
	35	თანამედროვე ბერძნული პოეზია
პროზა	46	ანიჩა გოგოხია კოსტას ტახცისი - ჭეშმარიტების სრულყოფილი სინათლე
	48	კოსტას ტახცისი მესამე გვირგვინი ახალბერძნულიდან თარგმნა ანიჩა გოგოხიამ
	58	ხრისტოს იკონომუ მაო ახალბერძნულიდან თარგმნა ქეთევან ცინცაძემ
სტუმარი	68	დიმიტრის ნოლასი უკანასკნელი შორეული მოგზაურობა ახალბერძნულიდან თარგმნა ანი ჩიქოვანმა
რეცენზია	78	მედეა აბულაშვილი ოდისეუსის ოდისეას ყველაზე ტრაგიკული დასასრული
	81	ლაშა ბულაძე სოფიო შამანიდის „აუტანელი“ წიგნი
	83	სოფიო შამანიდი, ანი ჩიქოვანი მედეა აბულაშვილისა და ეკა ჭყვიძის „მეტყველი მარმარილოები“

გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი

არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია "არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "Arili"

თემატური ნომრის რედაქტორები
მალხაზ ხარბეღია
ლექსო დორეული
სოფიო შამანიდი

მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა თამაზ ჩხაიძე
პროექტის მენეჯერი ეკა ხარბეღია

სარედაქციო საბჭო
რატი ამაღლობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე, ლაშა ბულაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე, ვასილ მაღლაფერიძე, ზვიად რატიანი, ჯიმშერ რეხვიაშვილი, ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე, ბაკურ სულაკაური, ირმა ტაველიძე, ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.

ელექტრონული ფოსტა: info@arilimag.ge

ვებგვერდი: arilimag.ge

 AriliMagazine

არილი - დასასვენებელი სინდინდია

სულხანი

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდარი ქართული ენის განმარტებითი ლექსი

არილი - თანამედროვე ქართული ლიტერატურის მარილი

ხალა

გამოდის 1993 წლიდან

© ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება "არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია

ნომერი გამოიცა ბერძნული კულტურის ფონდის მხარდაჭერით. არილი მაღლობას უხდის ფონდის თანამშრომლობისა და ბერძნული კულტურისა და ლიტერატურის გავრცელების საქმეში შეტანილი წვლილისთვის.



ΕΛΛΗΝΙΚΟ ΙΔΡΥΜΑ ΠΟΛΙΤΙΣΜΟΥ

H έκδοσή του τεύχος πραγματοποιήθηκε με χρηματοδότηση του Ελληνικού Ιδρύματος Πολιτισμού. Το Arili ευχαριστεί το Ίδρυμα για την συνεργασία και στήριξη του στην προώθηση των Ελληνικών Γραμμάτων και του Ελληνικού πολιτισμού.

„თავს გაორებულად ვგრძნობ.“

შედეგთს აკადემიამ გადაწყვიტა, მაღალი შეფასება მიეცა ჩემი მცდელობისთვის მე-
 ნერა იმ ენაზე, რომელზეც საუკუნეები ლაპარაკობდნენ, თუმცა, მისი არეალი ამჟამად
 შემოსაზღვრულია.

ჩემს ენას მიაგეს პატივი, მე კი უცხო ენაზე მიწვეს მაღლობის გადახდა...

მე პატარა ქვეყნიდან ვარ - ხმელთაშუა ზღვის ერთი კლდოვანი კონცხიდან, რომელ-
 საც არაფერი გააჩნია, გარდა საკუთარი ხალხის გმირული ბრძოლისა, ზღვისა და მზის
 სინათლისა.

პატარა ჩემი სამშობლო, მაგრამ მისი ტრადიცია უსაზღვროა და უწყვეტი - ბერძნუ-
 ლი ენა არასდროს დადუმებულა...”

ამ სიტყვებით მიმართა ბერძენმა პოეტმა გიორგოს სეფერისმა საზოგადოებას სტოკ-
 ჰოლმში, ნობელის პრემიის დაჯილდოებაზე, 1963 წლის 10 დეკემბერს.

მართლაც, რთულია წერო ჰომეროსის, ესქილეს, ევრიპიდეს, სოფოკლეს, არისტოფა-
 ნეს, საპფოს, პინდაროსის, დიონისე არეოპაგელისა თუ მიქაელ ფსელოსის ენაზე.

გამონწვევა დიდია, პასუხისმგებლობა - უზარმაზარი.

გაართვეს თავი თანამედროვე ბერძენმა ავტორებმა ამ გამონწვევას? თუკი მწერალთა
 სახელებსა და იმ ნაწარმოებებს გადავხედავთ, რომლებიც მათ კაცობრიობას შესძინეს,
 პასუხი ცალსახაა - გაართვეს! კონსტანტინოს კავაფისი, ოდისეას ელიტისი, გიორგოს
 სეფერისი, ნიკოს კაზანძაკისი, კოსტას კარიოტაკისი, კიკი დიმულა, იაკოვოს კამბანე-
 ლისი - მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ ავტორებისა, რომელთა ტექსტებს დღეს მთე-
 ლი მსოფლიო იცნობს და ეთაყვანება. ვის არ წაუკითხავს კავაფისის „ითაკა“ ან „ბარბა-
 როსების მოლოდინში“, კაზანძაკისის „ქრისტეს უკანასკნელი ცდუნება“ ან „აღსარება
 გრეკოსთან“, ვინ არ მოხიბლულა მისი რომანების ეკრანიზაციით?! თანამედროვე ბერ-
 ძნულმა ლიტერატურამ საკუთარი სიტყვა თქვა და ადგილიც დაიმკვიდრა ევროპულ ლი-
 ტერატურულ ოჯახში.

ბერძენ ავტორთა საკმაოდ დიდი ნაწილი ცნობილია საქართველოშიც. ამას კი, უპირ-
 ველესად, ქართველ ნეოგრეციზტებს უნდა ვუმაღლოდეთ. მათი უდიდესი შრომის შედე-
 გად, ქართველ მკითხველს ხელი მიუწვდება თანამედროვე ბერძნული ლიტერატურის
 შედეგებზე.

ჩემთვის, როგორც იმ ფონდის პრეზიდენტისთვის, რომლის მთავარ მიზანს ბერძნუ-
 ლი კულტურის პოპულარიზაცია წარმოადგენს, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ჟურ-
 ნალ „არილის“ ეს ნომერი თანამედროვე ბერძნულ ლიტერატურას ეძღვნება. აქ დაბეჭ-
 დილი ტექსტები პირველად იხილავს დღის სინათლეს და იმედი მაქვს, რომ კიდევ ერთი,
 განსხვავებული კუთხით დაანახებს მკითხველს ბერძნულ ლიტერატურას.

წარმატებას ვუსურვებ ჟურნალსა და ბერძნულ ლიტერატურას საქართველოში.

ნიკოს კუკისი

ბერძნული კულტურის ფონდის პრეზიდენტი



მაია კაკაშვილი

ბერძნულიდან ქართულად



„ბერძნული ლიტერატურა მსოფლიო კულტურის განუყოფელი და უმნიშვნელოვანესი ნაწილია. განსაკუთრებით საინტერესო და ახლობელი იგი ქართველთათვის. ეს ინტერესი საქართველოსა და საბერძნეთს შორის ოდითგანვე არსებული ისტორიული ურთიერთობის გარდა, ამ ორი ხალხის დიდი სულიერი სიახლოვეთაა განპირობებული. ქართულ საგანმანათლებლო კერებში ჯერ კიდევ ადრეული ხანიდან ითარგმნებოდა და ისწავლებოდა ბერძნული ლიტერატურული, რელიგიური თუ ფილოსოფიური ტექსტები. თუმცა, თუკი ძველ ბერძენთა შემოქმედებას კარგად იცნობს ქართველი მკითხველი, თანამედროვე ბერძნული ნაწარმოებების თარგმანებით იგი განებივრებული არ არის“, - ვკითხულობთ ნეოგრეცისტ თეა გამრეკელის 2005 წლის სტატიაში. მართალია, მას მერე თანამედროვე ბერძენი ავტორების არაერთი თხზულება ითარგმნა, მაგრამ ეს მაინც ზღვაში წვეთია. არადა, ახალ ბერძნულ ენაზე შექმნილ, სხვადასხვა ბერძნული თუ საერთაშორისო პრიზით დაჯილდოებულ ლიტერატურას არაერთ ენაზე უკვე გაუჩნდა ორეული.

მით უმეტეს, რომ, სოფიო შამანიდის შეფასებით, თანამედროვე ბერძნული მწერლობა „მართალია, თავისი მასშტაბებით ვერ შეედრება ანტიკურს, მაგრამ არაფრით ჩამოუვარდება თანამედროვე ევროპულ ლიტერატურას.“

მაინც, რით შეიძლება აინტერესებდეს და ხილავდეს ახალბერძნული ლიტერატურა ფართო მკითხველს და არა მხოლოდ ამ ენის თითზე ჩამოსათვლელ სპეციალისტებს?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ისევ თანამედროვეობის ორ დიდ ბერძენ ავტორს - ოდისეას ელიტისსა და ნიკოს კაზანძაკისს - მივამუროთ. •

ბერძენი ნობელიანტი პოეტი, ოდისეას ელიტისი (ΕΛΥΤΗΣ), საკუთარ ფსევდონიმს (მისი ნამდვილი გვარი ალემუდელისია) ამგვარად განვიმარტავს: „ΕΛ“ ის პირველი ორი ასოა, რომლითაც ჩვენის ძვირფასი რამდენიმე სიტყვა იწყება. ესენია საბერძნეთი (ΕΛΛΑΔΑ), თავისუფლება (ΕΛΕΥΘΕΡΙΑ) იმედი (ΕΛΠΙΔΑ) და ელენე (ΕΛΕΝΗ გოგონა, რომელიც იმ დროს მიყვარდა). „Υ“ - ის ერთადერთი ასოა, რომელსაც მსოფლიო „ბერძნულს“ ანუ „გრეკს“ უწოდებს, „ΤΗΣ“ კი ძველი ბერძნული ენისთვის დამახასიათებელი დაბოლოებაა.

აქვე შეუძლებელია არ გავავახსენდეს ნიკოს კაზანძაკისის საფლავის ქვაზე დატანილი ავტორისეული სიტყვები: „არაფრის მეშინია, არაფრის იმედი არ მაქვს, თავისუფალი ვარ.“

ეგებ სწორედ ეს ხუთი სიტყვაა ის „ხუთი ბურჯი“, რომლებზეც მთელი ახალბერძნული ლიტერატურაა დამყარებული?

საბერძნეთი... თავისუფლება... იმედი... ელენე... ბერძნული ენა...

სწორედ ამ ელემენტთა ერთობლიობის თვალსაჩინო ნიმუშია გიორგოს სეფერისის საწინამართლო სიტყვა:

„მე ერთი პატარა ქვეყნის შვილი ვარ. ხმელთაშუა ზღვის ერთი კლდის კონცხის შვილი, რომელსაც თავისი ერის ბრძოლის, ზღვისა და მზის სინათლის გარდა სხვა სიმდიდრე არ გააჩნია. პატარაა ჩვენი მხარე, მაგრამ მისი ტრადიცია არის უზარმაზარი და ჩვენ შევძელით, რომ იგი უშუალოდ შეგვეწარმოებინა. ბერძნულ ენას არასოდეს დაუკარგავს სამეტყველო ენის ფუნქცია. მან გა...“



ნიდა ცვლილებები, რასაც ყოველი ცოცხალი ადამიანი, მაგრამ არავითარ ჩავარდნას არ გვიჩვენებს. ამ ტრადიციის კიდევ ერთი მახასიათებელი პუბლიცისტის სიყვარულია, მისი კანონი საბრტყელია.¹

ოდიესის ელიტისთვის ნობელის პრემიის გადაცემისას კი შვედეთის აკადემიამ შემდეგი რამ დაწერა გადაწყვეტილებაში:

„პოეზიისთვის, რომელიც ბერძნული ტრადიციების კვლადაკვალ გრძნობის სიძლიერითა და ინტელექტუალური გამჭრიახობით გვიხატავს თავისი უფლებების ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.“²

საბერძნეთი

პატრიოტულმა გრძნობამ, რომელიც თურქეთის მიერ ბერძნული მიწების 400-წლოვანმა მპყრობელობამ კიდევ უფრო გაამძაფრა, არაერთ ბერძენ მწერალს ააღებინა ხელში კალამი; მათ ნაწარმოებებს ფონად გასდევს მცირე აზიის კატასტროფა, ბიზანტიის იმპერიის ფარგლებში არსებული საბერძნეთის აღდგენის დამსხვრეული იდეები და წარსული ოცნებები (ნიკოს კაზანძაკისი „ქრისტე კვლავ ჯვარს ეცმის“, „ალექსის ზორბასის ცხოვრება“).

გერმანელთა და იტალიელთა მიერ საბერძნეთის დაპყრობით გამოწვეული წინააღმდეგობა (ოდიესის ელიტის კრებული „მზე პირველი“).

„თუ თვალს გადავაყვებთ საბერძნეთის ისტორიას მეორე მსოფლიო ომიდან მოყოლებული დღემდე, ვნახავთ რამდენმა ქართველიმა გადაიარა ამ ქვეყნის თავზე. მსოფლიო ომი დასრულდა, ბოლო მოეღო იტალიელთა და გერმანელთა ბატონობას ქვეყანაში, მაგრამ საბერძნეთში სამოქალაქო ომი დაიწყო (1946-1949 წწ.); ახლა უკვე ინგლისი და ამერიკა ცდილობდნენ ქვეყანაში შეგემონის მოპოვებას. საბერძნეთის სახელმწიფო წყობა სისტემატურად იცვლებოდა: მონარქიული დემოკრატია (50-60-იანი წლები) დიქტატურით შეიცვალა (1967-1974 წწ.), ხოლო შევიდნლიან ჩუნტის დიქტატურის საპრეზიდენტო რესპუბლიკა ჩაენაცვლა (1975 წლიდან დღემდე).“ - მოკლე მიმოიხილავს ანი უძილური საბერძნეთის უახლეს ისტორიას დიმიტრის ნოლასის მის მიერ თარგმნილი რომანის - „მაგიური ფოტინე“ - წინასიტყვაობაში.

ახალ ბერძნულ ლიტერატურაში ისმის ელინიზმის ბედით გამოწვეული მელანქოლია, ემინგრანტებისა და დაკარგული მიწების ნოსტალგია (გიორგოს სეფერისი აქტიურად მონაწილეობდა საბერძნეთთან კვიპროსის გაერთიანების პროცესში. აღსანიშნავია დიმიტრის ნოლასის რომანი „მაგიური ფოტინე“ და კვიპროსელი პოეტის, კოსტას მონტისის შემოქმედება).

ყოველმხრივ გამორჩეული პოეტი კონსტანტინოს კავაფისიც ფილოსოფიურ და ჰედონისტურ-

თან ერთად ისტორიულ ლექსებსაც წერდა. ეს ისტორიულ მოვლენებში წარსულს კი არა, აწმყოს ხედავს (როსტომ ჩხეიძე). თავისი ქვეყნის ისტორიიდან იგი მიმართავს პლუტარქესა თუ ანონიმური ქრონოგრაფოსების, პტოლემეოსთა და სელევკიდებისდროინდელ ისტორიულ მოვლენებსა და ანეკდოტებს. მისი ისტორიული ლექსები მთელ მსოფლიოში საოცრად პოპულარულია: „თერმოპილე“, „ხელმწიფე დიმიტრიოსი“, „ალექსანდრიელი მონარქები“, „მაგნესიის ბრძოლა“, „მანუელ კომნენოსი“, „იოანე კანტაკუზენი ამარცხებს“ და სხვ.

კონსტანტინოს კავაფისის შემოქმედება წლების განმავლობაში პერმანენტულად ითარგმნებოდა. ჯერ 1999 ანდრო ბარნოვმა გამოსცა კრებული „კედლები“, 2005 წელს იზა ორჯონიკიძის თარგმანით (პნკარედული თარგმანი მაია კაკაშვილისა) გამოვიდა 219 ლექსი, სათაურით „სულის სახლში“, ხოლო 2021 წელს სერიით „ახალი ბერძნული ბიბლიოთეკა“ გამოიცა პოეტის სრული შემოქმედების თარგმანი 2 ტომად, სათაურით „გულის ეპოსი“, რომელშიც გაერთიანდა იზა ორჯონიკიძისა და მარიამ ნიკლაურის (პნკარედული თარგმანი მაია კაკაშვილისა და თამარ ზურაბაშვილისა), თათია მთვარელიძისა და ანდრო ბარნოვის თარგმანები.

აქვე უნდა აღინიშნოს ახალი ბერძნული ლიტერატურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტექსტი - დიმიტრის დიმიტრიადისის „ვეკვები როგორც ქვეყანა“ (თარგმანი თათია მთვარელიძისა).

თავისუფლება

ბერძენს მუდამ აღელვებდა და აღლევებს თავისუფლება მისი ყოველგვარი გამოვლინებით, პირველ რიგში კი, პიროვნული თავისუფლების დემონსტრირებით; თავისუფალი კაცის სიმბოლო ახალბერძნულ ლიტერატურაში, ალბათ გაზვიადებული არ იქნება თუკი ვიტყვით, ნიკოს კაზანძაკისის ლიტერატურული გმირი ალექსის ზორბასია.

მისი ცეკვა, რომლისთვისაც მიკის თეოდორაკისმა „სირტაკი“ დაწერა და რომელსაც ფილმში „ბერძენი ზორბა“ ენტონი ქვინი ასრულებს, სწორედ თავისუფალი კაცის „ცეკვაში განფენილი“, დაუოკებელი ემოციაა:

„ერთი შეხტა, ხელ-ფეხი ფრთებად გადაექცა. გამართული ხტებოდა მიწიდან და ასე, ცისა და ზღვის ფონზე რომ ვუყურებდი, მოხუც ამბოხებულ მთავარანგელოზად მეჩვენებოდა. ზორბასის ეს ცეკვა ნამდვილი გამოწვევა, უჩინ და ჯანჯი იყო. თითქოს ყვიროდა კიდევ!.. ზორბასის ცეკვას ვუყურებდი და ადამიანის დემონურ აჯანყებას პირველად ვგრძნობდი. მას სიმძიმე, მატერია და წინაპართა წყევლა დაეძლია. მისი ამტანობა, სიმკვიციცხლე, სიამაყე მომწონდა. ქვიშაზე ზორბასის ძლიერი და, იმავდროულად, დახვეწილი ნაბიჯები ადამიანის სულის ბნელი მხარის ისტორიას ჰყვებოდა.“³

1 თარგმანი დედა ხაზარაძისა.
2 თარგმანი დედა ხაზარაძისა.
3 თარგმანი მაია კაკაშვილისა.



იმედი

ახალბერძნული ლიტერატურის ერთ-ერთი ბურჟია რწმენა ღვთისა და საკუთარი თავისა, შესაძლებლობებისა და ნათელი მომავლისა;

აუცილებლად უნდა აღინიშნოს კონსტანტინოს კავაფისის ლექსები: „ეკლესიაში“, „სულის სახლში“, „სალომე“, „შვიდი წმინდა ბავშვი“.

ბერძენი მწერლები ახალბერძნულად თარგმნიან ბიბლიურ ტექსტებს. გიორგოს სეფერისმა თარგმნა „ქებათა ქება“ და „იოანეს გამოცხადება“, ოდისეას ელიტისმა კი - „იოანეს გამოცხადება“.

ცალკე უნდა გამოვყოთ ალექსანდროს პაპადიამანდისის „სამობაო მოთხრობები“ (თარგმანი მედეა აბულაშვილისა), ოდისეას ელიტისის პოემა „ლირს არს“, ნიკოს კახანძაკისის რომანები: „ქრისტეს უკანასკნელი ცდუნება“ (თარგმანი თათია მთვარელიძისა), „ქრისტე კვლავ ჯვარს ეცმის“ და „ღვთის გლახა“ (თარგმანი მაია კაკაშვილისა).

კვიპროსელი პოეტის, კოსტას მონტისის, ლექსები: „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“, „ღმერთი იესოსა და ადამიანების შესახებ“, „ღვთისმშობლის ხატი და იესო“, „წარმატებული“ პოეტი დმერთის შესახებ“, „მეორედ მოსვლა“, „იესოს“ (თარგმანი სოფიო შამანიდისა).

საგანგებოდ აღსანიშნავია ანტონის სამარაკისის მოთხრობათა კრებულიც, სათაურით „გვესაჭიროება იმედი“. მწერალი 1989 წელს ნიუ-იორკის Unicef-მა დაასახელა კეთილი ნების პირველ ბერძენ ელჩად მსოფლიოს ბავშვებისათვის. ის იყო ერთ-ერთი ინიციატორი საბერძნეთში „საბავშვო პარლამენტის“ დაარსებისა. პაციფისტმა ავტორმა მთელი თავისი შემოქმედება პატარებს უძღვნა. მისი თხზულებები განსაკუთრებულად აქტუალური ჩვენს დღევანდლობაშია, როცა ომით დაობლებული, დახოცილი და განანამები არაერთი ბავშვის ხატება გვიდგას თვალწინ:

„ბავშვებს - მსხვერპლებს ნუ დავთვლით ციფრებით, საკმარისია, მხოლოდ ერთი ბავშვიც კი დაიკარგოს ამგვარად, მაშინ ჩვენი სამყარო, ვითომ კულტურული, ვითომ ქრისტიანული, დამარცხებულია. ის, რაც იღუპება, ბავშვის სულია.“⁴

ელენე

სახელი ელენე არა მხოლოდ სიყვარულის უზენაესობის რწმენის, არამედ ბერძნულ მითოლოგიასთან (მშვენიერი ელენე) და ზოგადად საბერძნეთის წარსულთან უწყვეტი ერთიანობის სიმბოლოდ გვესახება.

ბერძენი თანამედროვე ბერძენი მწერლის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა მითოლოგიურ სიუჟეტზე დაფუძნებულ ტექსტებს.

კონსტანტინოს კავაფისის შემოქმედებაში გამორჩეული ადგილი უკავია მითოლოგიურ თემებზე შექმნილ ლექსებს. მათ შორისაა: „აქილევის

ცხენები“, „დიონისეს მზლებლები“, „ითაკა“, „ამოსის ღამეული მოგზაურობა“, „მეორე ოდისეა“, „ოიდიპოსი“, „ფათონის ძმათა ცრემლები“, „პედონის დასაფლავება“.

გიორგოს სეფერისი ე. წ. პარადიგმატულად დელეზად იყენებს ჰომეროსის ეპოსს (ოდისეას) ბერძნულ ტრავედიას. მისი პოეზიის ძირითადი მათა ძველი და ახალი ბერძნული ტრადიცია და მათი შეხვედრა თანამედროვე ევროპულ კულტურასთან. ის, როგორც დიდი პოეტი, დამკვიდრდა წინა წელს პოეტური კრებულით „მითისტორიმა“. თავად პოეტიც ამ ნაწარმოებს უწოდა „ოდისეა, ოღონდ თავდაყირა“.⁵

მითოლოგიითაა ნასაზრდოები ანდრეას ვოსის („ნიკეს“), ანგელოს სიკელიანოსის („სტეფანოს ფიცი“, „აქილევის რაშები“), გიორგოს სეფერისის („ელენე“, „მიკენი“, „მეგობრები ჰადესში“, „არგონავტები“, „ჰილრა“, „ასტიანაქსი“, „ანდრემედე“), იანის რიციოსის („ოქროს საწმისი“, „ასპინაზრკვეთილი პენელოპე“, „ალკმენე“, „ორფეოსი სადმი“, „ნავსიკაეს სასახლეში“, „ფინეკსი“, „ფილოტეტე“) ნიკოს გაცოსის („ანტიგონეს მსხვერპლი“), ოდისეას ელიტისის („ელენე“, „ოდისეა“, „აგამემნონი“, „ტროას ომი“, „ეროსი და ფსიქე“), ნანო ვალაორიტისისა („ტროა“) და სხვა პოეტთა ქმნილებანიც.

გიორგოს კამბანელისის, თანამედროვე ბერძნული დრამატურგიის ერთ-ერთი ფუძემდებლისა და უნივერსალური ხასიათის გამო მისი თვალსაჩინო წარმომადგენლის ანტიკურ თემატიკას შექმნილ პიესათა შორის გამოირჩევა მისი ტრისტიკი „წერილი ორესტესს“, „სერობა“ და „თებულთა გზა“ (თარგმანი სოფიო შამანიდისა). „ყოველთვის, როდესაც ორესტესს“ ან „ელექტრას“ წარმოდგენებს ვუყურებდი, - წერს ავტორი, - „კლემენტესტრას“ მხარეს ვიყავი. მისი მესმოდა, მას ვამართლებდი, ვგრძობოდი, რომ უსაპართოდ მიუექცნენ, და იგი გახდა ჩემთვის ყველაზე საყვარელი და ახსოველი „თეატრალური“ პერსონაჟი.“

„წერილი ორესტესს“ ერთმომქმედებიაში დრამაა, რომელშიც კლიტემნესტრა წერილს წერს შვილს და უხსნის აგამემნონის მოკვლის მიზეზს. კაბანელისი „სერობაში“ ესქილესგან განსხვავებით ამოწვევებს აგამემნონის სახელუქს. „თებეს გზა“ სოფოკლეს „ანტიგონეს“ გაგრძელებაა, ხოლო პროტაგონისტები სოფოკლეს „ანტიგონესა“ და „ოიდიპოს მეფის“ მეორეხარისხოვანი ან გამოვლილ პერსონაჟები არიან. პიესა „ოდისევსო, დაბრუნდები“ (თარგმანი ქეთევან ცინცაძისა) ტროას მეორე ომის შესახებ ვეიანობს. კაბანელისის ტრესტიკის მიღმა ესქილეს, ევრიპიდეს, სოფოკლესა და ჰომეროსის ტექსტები იკითხება.

ბერძნული ენა

4 თარგმანი მაია კილაძისა.
5 იხ. სოფიო შამანიდის მონოგრაფია „კლასიკური ტრადიცია ახალ ბერძნულ მწერლობაში“.



საზრუნავი

ბერძნულ ენაზე წერა ღვთის წყალობა და დი-
დი ტვირთი რომ არის ერთდროულად, ამაზე ბერ-
ძენი ავტორები უგამონაკლისოდ თანხმდებიან.
ოდისეას ელიტისის თქმით, პოეტი ვერ იქნებოდა,
ბერძენი რომ არ ყოფილიყო: „ბერძენი რომ არ
ყოფილიყავი, ალბათ პოეტიც არ ვიქნებოდი. რო-
მელიმე სხვა პროფესიას ავირჩევდი, პოეზიასთან
არ საქმე არ მექნებოდა. მაგრამ ახლა მე ვფლობ
უდიდეს ტრადიციას და ენას, რომელიც ძველი
ბერძნულის, კოინეს, ალექსანდრიულის, ბიზანტი-
ურის, დიმოტიკეს ესოდენ დიდ სივრცეს მოიცავს.
რადგანაც ასეთი კლავიატურა გამაჩნია, დაუსრუ-
ლებელი არპეჯიოვებით შემოძლია ვიმღერო.“⁶
ოდისეას ელიტისის პოემიდან „ღირს არს“ ამო-
ნარიდი, ზუსტად გადმოსცემს ბერძენ პოეტთა და-
მოკიდებულებას მშობლიური ენისადმი:

* * *

ენა მერვო ბერძნული,
ჰომეროსის ქვიშრობზე ღარიბული სახლი,
ერთადერთი სადარდელი - ჩემი ენა ჰომეროსის
ქვიშრობზე.

კარჩხანები, ქორჭილები,
გაქარული ზმნები,
ლურჯში მწვანე ნაკადები,
გულ-ღვიძლში რომ დამიდიან გამალებით,
მღუსები და ღრუბლები,
სიონების პირველ სიტყვებს ყურს ვუგვებდი.
ვარდისფერი ნიჟარების პირველ ცახცახს,
უცნობ ყრუოლას,

ერთადერთი საზრუნავი ჩემი ენა, მისი მოვლა.
ბოროტების სინათლეს და კომპის კორომს,
შეგუბებულა ღმერთები და შინშის ქორო,
უზარმაზარ ქოთნებს ცლიდნენ ზეთით სავსეს -
სურნელოვან დინებისგან სუნთქვის მბანგველს.
ლურჯები თუ დანამასტაკების ჭალა,
კურდღლისცოცხას და წიწყის ფესვთა ბუკალით
სკენინის პირველ სტვენას ებმის.
ფსალმუნების ხმატკბილობის „დიდება შენდა“ -
უჟამო.

ერთადერთი საზრუნავი ჩემი ენა,
პირველიქმული „დიდება შენდა, უფალო“
იქ დაფხები, აქეთ ბუები,
გუნდრუჟი და საკმეველი.
აპურთხებენ ომსაც, თოფსაც,
მიწა და თავწაკრული ვენახებით,
ზეარათა ღარით. ჭახუნია. ჭახანია.
ქრისტი აღსდგა!“ იძახიან რახანია,
ეს ბერძნების უძველესი ნაყარა!
და გალობის პირველ სიტყვით ამოთქმული
იდუმალი

სიყვარულის ძველი ვნება,
საგლობლის პირველ სიტყვით, ერთადერთი

ჩემი ენა!

* * *

საუკუნეთა განმავლობაში იცვლებოდა დედან-
თან დამოკიდებულება, რაც სხვადასხვა ავტორის
მუშაობის სტილზე („მატება?“ და „კლება?“), სა-
თარგმნი ტექსტის შინაარსსა და ჟანრობრივ კუთ-
ვნილებაზე იყო დამოკიდებული (სასულიერო თუ
საერო). თარგმანზე ისტორიულ-პოლიტიკური ფაქ-
ტორებიც ახდენდნენ გავლენას (მაგ., თარგმნა არა
უშუალოდ დედნიდან, არამედ დამპყრობელი ერის
ენის შუამავლობით).

თანამედროვე მთარგმნელები ცდილობენ, მა-
თინ თარგმანები იყოს დედნის იდენტური როგორც
შინაარსის, ისე ფორმის, სტილისა და ქართველ
მკითხველზე ემოციური ზემოქმედების თვალსაზ-
რისით. რაც ერთდროულად ორი ენის სიღრმისე-
ულ ცოდნასთან ერთად, სტილის შეგრძნებას, ლი-
ტერატურულ გემოვნებას, პროფესიულ კეთილ-
სინდისიერებასა და დიდ ოსტატობას მოითხოვს.

იზა ორჯონიკიძე კრებულზე - „გიჟმაჟი ბრო-
ნეული“ - მუშაობისას რუსულენოვან თარგმანებს
ეყრდნობოდა. კონსტანტინოს კავაფისის ლექსე-
ბის კრებულზე - „სულის სახლში“ - მუშაობისას კი
ნეოგრეცისტ მიაი კაკაშვილის შესრულებული პნკა-
რედებით იხელმძღვანელო. მართალია, იზა ორჯონ-
იკიძის თარგმანები ხშირად ორიგინალს სცილ-
დება, თუმცა ყველა თანხმდება, რომ ემოციურად
იმავე სიმძაფრის გრძნობას იწვევს, რასაც ორიგინ-
ალი, რაც მისი რანგის პოეტისაგან ვასაკვირი სუ-
ლაც არ არის.

ნათქვამია, „თარგმანი ქალივითაა. თუ ლამა-
ზია, სანდო არ არის, თუ სანდოა, ლამაზი არ არი-
სო“. ამ დებულების დარღვევა და ერთდროულად
სანდო და ლამაზი თარგმანის მკითხველისთვის
შეთავაზება პროზაზე მეტად პოეზიის თარგმნი-
სასაა რთული. ამის მიუხედავად, ახალბერძნული
პოეზიის მთარგმნელები ცდილობენ და ხშირ შემ-
თხვევაში ახერხებენ კიდევ, დედნის ერთგულები
დარჩნენ როგორც შინაარსის, ისე სტრუქტურისა
და ემოციის გადმოცემის თვალსაზრისითაც (თა-
თია მთვარელიძე, მარიამ ნიკლაური).

მთარგმნელები წიგნთა შესავალ ნაწილებში სა-
კუთარი მუშაობის პრინციპებზე გვესაუბრებიან:
„შევეცადე, მაქსიმალური სიზუსტით დაგვეცვა
ავტორის ხელწერა, სტილი, ლექსიკა, ფრაზეოლო-
გია, პუნქტუაციაც კი, რომელიც საკმაოდ „არაკა-
ნონიკურია“. ყველა სალექსო ფორმაცა და სტრუქ-
ტურაც დედანთან შესაბამისობაშია. არ შევეუშინ-
დით იმ განსხვავებათა გადმონერგვას ქართულ
პოეზიაში, რაც დამახასიათებელია ამ ავტორის-
თვის“, - წერს მარიამ ნიკლაური გიორგოს სეფე-
რისის ლექსების თარგმანზე მუშაობასთან დაკავ-
შირებით (გიორგოს სეფერისის ლექსების კრებუ-

6 თარგმანი დუდა ხაზარაძისა.
7 ოდისეას ელიტისი, „ღირს არს, ვნებანი, II, თარგმანი მარიამ ნიკლაურისა, პნკარეული თარგმანი მიაი
კაკაშვილისა.



ლი „შემობრუნება“).

„თარგმნისას ვცდილობდით როგორც შინაარსი, ისე მისი გამოსატვის საშუალებები ზედმიწევნით ზუსტად გადმოგვეტანა, მაგრამ ქართული პოეტური აზროვნებისა თუ გემოვნებისთვისაც შეგვესაბამებინა. ვეცადეთ აგვერეკლა ხალხურობისა და არქაულობის ის ელფერი, ორიგინალებს რომ ახასიათებდათ.“ (მედეა აბულაშვილი, ხალხური ლექსები).

რაც შეეხება თანამედროვეობის დიდი ბერძენი ქალი პოეტის, საფოს შემდეგ ყველაზე დიდ ბერძენ პოეტ ქალად აღიარებული კიკი დიმულას შემოქმედების ქართულ თარგმანს, მთარგმნელი თათია მთვარელიძე 2012 წელს ვახუშტი კოტეტიშვილის სახელობის ახალგაზრდა მთარგმნელთა კონკურსში პირველი პრემიით დაჯილდოვდა.

* * *

ქართველ მკითხველთა, ლიტერატორთა და მწერალთა შორის ახალ ბერძნულ ლიტერატურასა და ბერძნული ენიდან მთარგმნელებს არაერთი გულშემატკივარი უკვე გამოუჩნდა. თარგმანები (მაგ. კაზანდაკისის რომანები) ხშირად ხვდება ბესტსელერების სიაში. სხვადასხვა ლიტერატურულ სატელევიზიო თუ რადიო გადაცემებში განიხილება ესა თუ ის თარგმანი ახალი ბერძნული ლიტერატურიდან. იწერება სტატიები. მაგ.:

მაია ჯალიაშვილი, „მიამბე რაიმე ღმერთზე, დაო ნუშის ხეო...“ - ფიქრები ნიკოს კაზანდაკისის რომანზე „აღსარება გრეკოსთან“;

მაია ჯალიაშვილი, „სწორი გზა არის აღმართი - ნიკოს კაზანდაკისის რომანზე „ქრისტე კვლავ ჯვარს ეცმის“;

გიორგი ლობჯანიძე, „უფლის გზაზე თავრეტდასხმული“ (ნიკოს კაზანდაკისის „ღვთის გლახა“ და მისი ქართული ორეული);

როსტომ ჩხეიძე, „როგორ შევძლებ გავცქეყ, უფალო?“ (რომანი ფრანცისკე ასიზელის სვინაქსარად);

როსტომ ჩხეიძე, „გულის ეპოსის“ ორიენტირად: საკვირველება (კონსტანტინოს კავაფისის პოეტური შემკვიდრება);

ლევან ბერძენიშვილი, „ბერძნული სული: ალექსის ზორბასის“ (ნიკოს კაზანდაკისის „ალექსის ზორბასის ცხოვრება“).

საქართველო თანამედროვე ბერძენ მწერალთა შემოქმედებაში

სხვა მიზეზებთან ერთად, რამდენიმე ბერძენი მწერალი ქართველი მკითხველისთვის იმითაცაა საინტერესო, რომ ისინი საქართველოს მეგობრები არიან. მათ უმოგზაურიათ საქართველოში, ახლოს გაუცნიათ ჩვენი ქვეყანა და ხალხი და თავიანთი შთაბეჭდილებები ალუბეჭდავთ საკუთარ თხზულებებში. ამ მხრივ საყურადღებოა ნიკოს კაზანდაკისისა და დიმიტრის ნოლასის შემოქმედება.

ნიკოს კაზანდაკისი

კაზანდაკისის საქართველოში სამჯერ ვიზიტსა (1919, 1927 და 1928 წლები) და საქმიანობისას ხსნებ ბერძნული ლიტერატურით დანიტრესებულმა მკითხველმა უკვე ბევრი რამ შეიტყო. ამ მოგზაურობისას კაზანდაკისმა ბევრი ქართველი ხელვანი გაიცნო და დაუმეგობრდა. ესენი იყვნენ: ტაციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, გიორგი ლეონიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, ნატო ვაჩნაძე.

შთაბეჭდილებებს მწერალი აღწერს ნიგნებს „რუსული დღიური“, „აღსარება გრეკოსთან“, „ტოდა-რაბა“, „ქრისტე კვლავ ჯვარს ეცმის“, „ალექსის ზორბასის ცხოვრება“.

თამარ მესხმა საგანგებო ნიგნი უძღვნა კაზანდაკისის ურთიერთობას საქართველოსთან. მისი მონოგრაფიიდან „დიდი ხანძრის მენამული ანარეკლი“ გთავაზობთ რამდენიმე მონაკვეთს. გაიხსენოთ, რას წერს კაზანდაკისი საქართველოზე:

„ასე გვგონია სამოთხეში ვიმყოფებით. მცხუნვარე მზე, ფანჯრებს მიღმა კი მოჩანს საოცარი მშვიდი ზღვა, განათებული და ტკბილი,“ - ნერ მეგობარს სოხუმიდან 1928 წლის 1 დეკემბერს.

ერთ-ერთ ნერილში კაზანდაკისი აღნიშნავს: „ბევრ ამაღლელებელ წუთს ვეზიარე აქ. მეგობრად ამიძინებს, რომლებიც ძალზე შევიყვარე. გუბნის საღამოს კი თბილისის სადგურში ერთმანეთს ვევეოდა ორი ადამიანი, რომლებსაც არ უნდოდა განშორება, რამეთუ იგრძნეს, რომ ცხოვრებას ახალი ეკარგებოდა, თუ კი ერთმანეთის გარეშე იტყუებოდნენ. ეს ორი ადამიანი იყო პოეტი ლეონიძე და მე... ლეონიძემ ეკლესიიდან ზეპირად იცოდა მთელი „ქრისტე აღსდგა“ და [სიტყვების ნაცვლად... გალობას ვიწყებდით.“

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მწერლის მეგობრობა გრიგოლ რობაქიძესთან. „არ ვიცი მოგწერეთ თუ არა იმის შესახებ, რომ შევხვედეთ ერთ ადამიანს მთელს კავკასიაში: გრიგოლ რობაქიძეს. პოეტი, მეოცნებე, მეტისმეტად მისტიკური, უზომოდ გაქანების, ვასაოცრად მოწესრიგებული. ასე 45 წლისაა. ძალზე ელევანტური. საოცრებაა გერმანულ ენაზე ნათარგმნი მისი რომანი „გველის პერანგი“. ამ ღრმა მეგობრობის დამადასტურებელია აგრეთვე, ნიკოს კაზანდაკისის სახალხო ზეუმში დაცული გრ. რობაქიძის რამდენიმე ნერილიც.

თამარ მესხი საქართველოთი აღფრთოვანების მიზეზს ხსნის, ერთი მხრივ, საერთო მონური უფლითა და მუდმივი ბრძოლით დამოუკიდებლობისათვის. და, მეორე - დიონისური სული, რომელიც კაზანდაკისმა მთელ ერში აღმოაჩინა.

ცნობილია მისი აღფრთოვანების შესახებ ერთი მანდილოსნით - ბარბარე ნიკოლოზის ასულით (როგორც თავად კაზანდაკისი უწოდებდა ვარვარა ნივოლავენათი).

რამდენიმე ამონარიდი ისევ აღნიშნული მონოგრაფიიდან:

„გავაპარებდით ხოლმე მზერას პირქუში მართური მთებისაკენ, ნაყოფიერი ველებისკენ, ად...



მიანთა ამ ყოვლად მშვენიერი ჯიშისაკენ დიდი აღ-
მოსავლური თვალებით, დაუშრეტელი სიტკბოთი,
კეთილად მოლიმარი დარდმანდი სულებით - სვამ-
დნენ, ცეკვავდნენ, ერთმანეთს კოცნიდნენ და კვდე-
ბოდნენ უკეთილშობილესი მანერით, ვითარცა ფე-
რადი მწერები.“

ახე აღწერს კაზანძაკის თავისუფლებადაკარ-
გულ თბილისს:

„ზანტად გაწოლილა ქალაქი მტკვრის გაღმა-
გამოღმა. კეკლუცი, შიშველი და იდუმალებით აღ-
ვსილი, ვითარცა ქალი. საუკუნეების განმავლო-
ბაში მოიწვედნენ შეუპოვარი პრეტენდენტები
ქვეყნიერების ყველა კუთხიდან. ერთ ხელში ჯვა-
რი იჭყრათ და ნახევარმთვარე წითელი ვარსკვლა-
ვით, მეორეში - ხმალი: ბიზანტიელები, სპარსელე-
ბი, სარკინოზები, რუსი მეფენი, ბოლშევიკები. ჩინ-
ეთ-ხანმა ისეთი ძალით მოიზიდა სარეცელზე, რომ
აზიდულ „კალას“ გვირგვინი მტკვარში გადაუგორ-
და, ბევრმა იგემა მისი სხეული, მაგრამ ვული მისი
ვერცინ დაიპყრო, ახლაც, მედგრად უმკლავდება
წითელი ჯარის ხვევნას.“

კაზანძაკის გასაბჭოებულ საქართველოზე:

„იდილიური სიზმარი დამოუკიდებელი საქარ-
თველოსი მოაზროვნე ადამიანისთვის შეუფერე-
ბული ქიმერაა. საქართველო გადამწყვეტ გეოგ-
რაფიულ და ფსიქოლოგიურ არეალშია. იგი ორი
ძალის შუაა მოქცეული, ახალი საბჭოთა ძალისა -
რომლის მიზანიცაა შთანთქას მთელი აზია - და
ველი, კაპიტალისტური ძალისა, რომელიც ცდი-
ლობს მას შეეწინააღმდეგოს. საბრალო საქართვე-
ლო ორ უზარმაზარ დოლაბს შორის მოქცეულ ხორ-
ბლის მარცვალს ჰვავს.“

დიმიტრის ნოლასი

დიმიტრის ნოლასი საქართველოში პირველად
1997 წელს ჩამოვიდა. ამავე წლიდან იგი თბილი-
სის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფი-
ლოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცის-
ტიკის ინსტიტუტის სტუდენტებისთვის კითხუ-
ლობდა სალექციო კურსებს ახალი ბერძნული
მწერლობის შესახებ.

ქართველი მკითხველისთვის უდავოდ საინტე-
რესო იქნება სამოგზაურო ჟანრის ნაწარმოები
„მცირე მოგზაურობები“, რომლის დიდი ნაწილიც
საქართველოში მოგზაურობას, ქართველი ხალ-
ხის ზნე-ჩვეულებებსა თუ საქართველოში არსე-
ბული ადამიანური ურთიერთობების აღწერას ეთ-
მობა. ეს მოგზაურობა, მწერლის სიტყვებით, „წმინ-
და ადგილების“ მოლოცვასა ჰვავს. მწერალი
მკითხველს საქართველოში ვაცნობილ ადამიან-
თა საინტერესო პორტრეტებს აცნობს და საუბ-
რობს საკუთარ შთაბეჭდილებებზე. დიმიტრის ნო-
ლასი აღტაცებით საუბრობს ქართულ ხელოვნე-
ბაზე, განსაკუთრებით ნიკო ფიროსმანზე.

კრებულში „თამბაქოს ფურცლები“ არის ნე-
რალი „ამაზონთა მარადიული ქვეყანა“. მწერალი
წერს: „ყველა ადამიანს ამ ქვეყანაზე საკუთარი
კოლხეთი აქვს - ამაზონთა მარადიული ქვეყანა,

რომელსაც საკუთარ თავში ატარებს.“ ამავე კრე-
ბულში, ქვეთავში „კავკასიის პოეტები“, ნოლასი
გალაკტიონზე წერს: „რა ქვეყანაა, ღმერთო ჩე-
მო, რა სივრცეა მოქცეული ასეთ მცირე ზედა-
პირზე, რა ხალხია! აქ დიდ პოეტებს მხოლოდ სა-
კუთარი სახელებით მოიხსენებენ. მხოლოდ პოე-
ტებს!“

დიმიტრის ნოლასმა ბერძნულ ლიტერატურულ
პერიოდიკაში გამოაქვეყნა ახალი ქართული ლი-
ტერატურის მოკლე მიმოხილვა, ქართული ხალ-
ხური პოეზიის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვაჟა-
ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძისა და ნიკო ლორ-
თქიფანიძის ნაწარმოებების ქართველ ნეოგრე-
ცისტთა მიერ შესრულებული და მის მიერ რედაქ-
ტირებული თარგმანები. ხოლო 2001 წელს გამოს-
ცა „ქართული პოეზიის ანთოლოგია“.

* * *

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილო-
ლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტის
ინსტიტუტი მუდამ ზრუნავდა და ახლაც განაგ-
რძობს პროფესიონალი ელინისტიკის აღზრდაზე
ზრუნვას. სწორედ ამ მიზნით გამოდის წელიწდე-
ული „მნემოსინე“, რომელშიც სტუდენტთა შრო-
მები და თარგმანები იბეჭდება ელინოლოგიასა და
ლათინისტიკაში.

ახალბერძნული ლიტერატურის თარგმნის პრო-
ცესის ნახალისების მიზნით პროგრამა „ლოგოს-
მა“ 2003 წელს გამოსცა „თანამედროვე ბერძნუ-
ლი მოთხრობის ანთოლოგია (მთარგმნელთა ჯგუ-
ფი, რედაქტორები: სოფიო შამანიდი და ნინო დვა-
ლიძე); 2007 წელს - „თანამედროვე ბერძნული პო-
ეზიის ანთოლოგია“ (მთარგმნელთა ჯგუფი, რე-
დაქტორები: მედეა აბულაშვილი და მოთა იათაშ-
ვილი), 2014 წლიდან კი გამოსცემს სერიას „ახა-
ლი ბერძნული ბიბლიოთეკა“, რომლის მთავარი
რედაქტორიც სოფიო შამანიდი. ამ სერიით უკვე
ათამდე ტომია გამოცემული.

სათარგმნი კი ნამდვილად ბევრია: კრეტული
რენესანსის ნიმუშები იქნება ეს თუ ბერძნული
განმანათლებლობისა, ბერძნული რომანტიზმისა
თუ ყოფითი ჟანრის მოთხრობისა, ნეორომანტიზ-
მისა და ნეოსიმბოლიზმის სკოლისა თუ ბერძნუ-
ლი სიურრეალიზმისა, მეორე მსოფლიო ომის შემე-
დგომი პერიოდის ბერძნული პროზისა თუ თანა-
მედროვე ბერძნული მოთხრობისა და უახლესი
ბერძნული პოეზიისა. ბერძნული ენიდან მთარ-
გმნელები კი მომავალშიც არაერთ საინტერესო
ავტორს წარუდგენენ ქართველ მკითხველს, რად-
გან მათაც ძლიერ უყვართ საბერძნეთი, იციან თა-
ვისუფლებისა და ბერძნული ცივილიზაციის ფასი
და იმედს არ კარგავენ, რომ ბერძნულ ენაზე შექ-
მნილი ლიტერატურა არა მარტო ანტიკურობასა
და ბიზანტიურ პერიოდში, არამედ დღევანდელო-
ბაშიც დიდი სულიერი საზრდოს მიიცემი შეიძლე-
ბა აღმოჩნდეს თანამედროვე ქართველი მკითხვე-
ლისათვის.

ანი უძილაური

... და პირიქით

„ვეფხისტყაოსნის“ ბერძნულ ენაზე თარგმნის ისტორია არაერთხელ მომისმენია პოემის მთარგმნელის, ემანუელ მიტაფიდიის შვილიშვილის - გრიგორის კირიაკოსისგან. გრიგორის კირიაკოსი, სხვა პონტოელ ბერძნებთან ერთად, საქართველოდან საცხოვრებლად ისტორიულ სამშობლოში, საბერძნეთში დაბრუნდა. მისი მონათხრობის მიხედვით, ემანუელ მიტაფიდიისმა „ვეფხისტყაოსანი“ თარგმნა 1966-1974 წლებში სოხუმში. შემდეგ თარგმანი დაიკარგა.

1980-იანი წლების ბოლოს მიტაფიდიისების დიდი ოჯახის ნაწილი რუსეთში გადასახლებულა, ნაწილი - საბერძნეთში. თავად ემანუელი 1974 წელს 81 წლის ასაკში გარდაცვლილა და მისი ბიბლიოთეკა და არქივიც ქალიშვილს გადაუზარებია. აფხაზეთის ომი რომ დაიწყო, იგი საბერძნეთში გაემგზავრა და უკან აღარ დაბრუნებულა. სოხუმში მიტაფიდიისების სახლი უპატრონოდ დარჩა, რამდენჯერმე გაიძარცვა. არქივიცა და ბიბლიოთეკაც, ცხადია, გაქრა. მიუხედავად მიტაფიდიისის შვილიშვილის, გრიგორის კირიაკოსის არაერთი შეცდომობისა, ვერც „ვეფხისტყაოსნის“ კვალს მიაგნეს.

გრიგორის კირიაკოსმა მრავალწლიანი ძიების შემდეგ, 2009 წელს მაინც მიაკვლია ბერძნულ „ვეფხისტყაოსანს“ პეტერბურგში... მათი ერთ-ერთი ნათესავის სახლის სარდაფში... თურმე სოხუმშია და პეტერბურგში გაგზავნილ ნივთებს შორის „ვეფხისტყაოსანიც“ აღმოჩნდა.

საინტერესოა, ვინ იყო „ვეფხისტყაოსნის“ ბერძნულ ენაზე მთარგმნელი ემანუელ მიტაფიდიისი და როგორ გადაწყვიტა მან რუსთველის თარგმნა?



ემანუელ მიტაფიდიისი კონსტანტინოპოლის მახლობლად, თურქეთის ქალაქ ართაკიში დაიბადა 1893 წელს. მისი მამა ამ ქალაქის მერი ყოფილა, საკმაოდ შეძლებული კაცი. შესაბამისად, შვილს კარგი განათლება მისცა. ემანუელს კონსტანტინოპოლში, ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო სასწავლებელი წარჩინებით დაუმთავრებია. ლიცეუმის დამთავრების შემდეგ კონსტანტინოპოლში ბანკში მუშაობდა. იცოდა რამდენიმე უცხო ენა. 1918-1919 წლებში ემანუელი ოფესაში, ბიძებთან გადავიდა საცხოვრებლად. ისწავლა რუსული ენა და რუსი კლასიკოსების ბერძნულად თარგმნა დაიწყო. 1920-იანი წლებში ბათუმში სტუმრობისას პონტოელ ბერძენი ქალი გაიცნო, მასზე იქორწინა და ბათუმში დასახლდა. ხოლო 1925 წლიდან სოხუმში გადასულან საცხოვრებლად, სადაც ემანუელ მიტაფიდიისი ბერძნულ ენას და ლიტერატურას ასწავლიდა. მან ბერძნული სკო-

ლის დირექტორადაც იმუშავა. პარალელურად კლასიკურ ლიტერატურად თარგმნიდა რუსულ კლასიკურ ლიტერატურას ბერძნულად. 1940-იანი წლების დასაწყისში ბევრი ბერძენი დაითხოვეს სამსახურებიდან მათ შორის, ემანუელ მიტაფიდიისიც და ის იძულებული გახდა, ნებულდაში, სადაც გადასახლებული იყო, კიდეც, კოლმეურნეობის ბუღალტრად ემუშავა. ომის შემდეგ მიტაფიდიისის ოჯახი სოხუმში დაბრუნდა, თუმცა, ოჯახის წევრებს კიდეც მოუწია საცხოვრებელი ადგილიდან აყრა და გადასახლება - ამჯერად უკვე ყაზახეთში. იქიდან 1956 წელს დაბრუნდნენ და ემანუელ მიტაფიდიისმა კვლავ დაიწყო მთარგმნელობითი საქმიანობა და სტატიების წერა ჟურნალ-გაზეთებისთვის. „ვეფხისტყაოსნის“ ბერძნულ ენაზე თარგმნის იდეა 1946 წელს დაბადებული: რუსთველის 800 წლის იუბილესათვის, სოხუმის უნივერსიტეტის ლექტორების ჯგუფი დადიოდა აფხაზეთის სკოლებში და ბავშვებს სხვადასხვა ენაზე უკითხავდა „ვეფხისტყაოსანს“. ამ დროს „ვეფხისტყაოსანი“ აფხაზეთში მცხოვრები ყველა ხალხის ენაზე იყო უკვე თარგმნი. არ იყო ბერძნული „ვეფხისტყაოსანის“ არადა, აფხაზეთში ბევრი ბერძენი ცხოვრობდა მაშინ ემანუელ მიტაფიდიისისთვის უთხოვით. თარგმნა ფრამენტები „ვეფხისტყაოსნიდან“ მან 200 სტროფი თარგმნა და რადგან ქართულ სრულყოფილად არ იცოდა, კონსტანტინე ბაღმოშისა და შალვა ნუცუბიძის რუსული თარგმანები გამოუყენებია.

როგორც ირკვევა, მიტაფიდიისის თარგმანი აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილს უნახავს და მოსწონებია. მასვე უთხოვია ემანუელისთვის მთელი პოემის თარგმნა. მიტაფიდიისმა რვა წლის თავზე, 1974 წლის დასაწყისში დაამთავრა თარგმნა და ხელნაწერი თბილისში წაიღეს. იმავე წლის მარტში ემანუელი გარდაიცვალა. მის დაკრძალვაზე მიტაფიდიისის ოჯახს (თბილისიდან) გადასცეს საბეჭდო მანქანაზე აკრეფილი და წივნი და აკინძულ ბერძნული „ვეფხისტყაოსანი“.

როგორც ემანუელ მიტაფიდიისის შვილიშვილი, გრიგორის კირიაკოსი იხსენებს თეა ფარულავასთვის მიცემულ ინტერვიუში, ხელნაწერი აწვეწეს ბერძენ პოეტებს, ლიტერატორებს და მათ თარგმანი ძალიან მოსწონებიათ. ცნობილ ბერძენ პოეტს, იანის რიცოსს ძალიან კარგი რეცენზია დაუწერია ამ თარგმანზე. მაგრამ ეს გამომსაუბრებელი, სამწუხაროდ, დაკარგულა.

ემანუელ მიტაფიდიისის შვილიშვილმა, გრიგორის კირიაკოსმა მას შემდეგ, რაც თარგმანს მიაკვლია, მიზნად დაისახა მისი საბერძნეთში გამოცემა. ბერძენ ფილოლოგ თალია კაფენძისის დახ-



მარებით, თარგმანის ტექსტზე ორწლიანი მუშაობის შემდეგ, მიტაფიდისის შეილიშვილმა 2016 წელს საკუთარი ხარჯებით გამოსცა ნახევარი საუკუნის წინ თარგმნილი ბერძნული „ვეფხისტყაოსანი“. თარგმანის გამოცემა რუსთველის 850 წლის იუბილეს მიეძღვნა.

„ვეფხისტყაოსნის“ თარგმანის პირველი პრეზენტაცია 2016 წლის 6 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მოეწყო, ხოლო 21 დეკემბერს - ათენში, საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, იონიური კულტურის ცენტრში. მას შემდეგ რუსთველისადმი მიძღვნილი პოეზიის საღამო არაერთხელ გაიმართა საბერძნეთში, როგორც ათენში, ისე თესალონიკში; ბოლო ღონისძიება 2022 წლის 14 სექტემბერს ჩაატარდა. საბერძნეთში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით ათენის წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე გაიმართა „ვეფხისტყაოსნისადმი“ და მისი ბერძნულენოვანი თარგმანისადმი მიძღვნილი საღამო. ბერძენი საზოგადოების განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს რუსთველის „ვეფხისტყაოსნისა“ და ჰომეროსის ეპოსის ტიპოლოგიური პარალელები.

„ვეფხისტყაოსნის“ ბერძნულად თარგმნის ისტორია სპეციალისტთა მცირე წრისთვის არის ცნობილი. ამიტომ საჭიროდ მივიჩნე, მაღლიერება ემანუელ მიტაფიდისისადმი მისი შრომის არდაიწყებით გამოუმეხატა.

ქართული პოეზიისადმი ბერძნული საზოგადოების ინტერესი მეტად გაიზარდა, როდესაც ცნობილმა თანამედროვე ბერძენმა მწერალმა, დიმიტრის ნოლასამა და ქართველმა ელინისტმა, ანი ჩიქოვანმა ბერძნულ ენაზე გამოსცეს „ქართული პოეზიის ანთოლოგია (XIX-XX საუკუნეები)“. წიგნი ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა ბერძნულმა გამომცემლობამ, „კასტანიოტისმა“ გამოაქვეყნა 2001 წელს. ანთოლოგიაში შესულია ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გრიგოლ რობაქიძის, ალექსანდრე აბაშელის, სანდრო შანშიაშვილის, ვალერი-

ან გაფრინდაშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, კოლაუ ნადირაძის, ტერენტი გრანელის, გიორგი ელინოზის, სიმონ ჩიქოვანის, ნიკო სამადაშვილის, ირაკლი აბაშიძის, ლადო ასათიანის, მირზა გელოვანის, იოსებ ნონეშვილის, მურმან ლებანიძის, ანა კალანდაძის, ნაზი კილასონიას, მუხრან მაჭავარიანის, შოთა ნიშნიანიძის, ჯანსუღ ჩარკვიანის, თამაზ ჭილაძის, ტარიელ ჭანტურიას, გივი გეგეჭკორის, ოთარ ტყაიძის, რევაზ ამაშუკელის, იზა ორჯონიკიძის, ლია სტურუას, ბესიკ ხარანაულის ლექსები.

ბესიკ ხარანაულის პოეზიამ საკმაოდ მოხიბლა ბერძენი მკითხველი და 2019 წელს გამოიცა მისი პოეტური კრებული „ხეივანი თოჯინა“ ბერძნულად. წიგნის წინასიტყვაობა ასე იწყება: „ბესიკ ხარანაული პოეტად დაიბადა“ 2020 წელს საქართველოს საელჩომ ათენში „ხეივანი თოჯინის“ ბერძნული თარგმანის პრეზენტაცია უმასპინძლა. ხარანაულის პოეზიაზე საოცარი აღფრთოვანებით ისაუბრა ცნობილმა ბერძენმა მომღერალმა იოვანამ, რომელმაც ქართულ საზოგადოებას რევაზ ლალიძის „თბილისოს“ განუმეორებელი შესრულებით დაამასხვორა და შეაყვარა თავი. იოვანა ამავედროულად კარგი პოეტიცა, პროზაიკოსიც, ძალიან ცნობილი ბერძენი პოეტის, იანის რიცოსის მოსწავლე. მისი ნაწარმოებები საკმაოდ დიდი სიყვარულით სარგებლობს ბერძენთა შორის. სხვათა შორის, ახლახანს ქართულად ითარგმნა და გამოსაცემად მზადდება მისი თეატრალური პუესა „დაბადება“. როგორც იოვანამ წიგნის პრეზენტაციაზე აღნიშნა, ბესიკ ხარანაული ერთ-ერთი ყველაზე ღრმა და სულშიჩამწვდომი პოეტიცა, ვისი შემოქმედებაც კი ოდესმე ნაუკითხავს. მისი „ხეივანი თოჯინა“ იოვანას სამაგიდო წიგნად იქცა.

2020 წელს კი „ახალგაზრდა ქართველი პოეტების ანთოლოგია“ გამოიცა ბერძნულად. ანთოლოგია შეადგინა და წინასიტყვაობა დაურთო შოთა იათაშვილმა, ხოლო ბერძნული თარგმანი ელინისტ სოფიო შამანიდს ეკუთვნის. დიანა ანფიმი-

ადი, გიორგი არაბული, ბექა ახალაია, ნინი ელი-
აშვილი, დათო ყანჩაშვილი, გიორგი კეკელიძე,
ზაზა კოშკაძე, ნიკა ლაშხია, ლია ლიქოკელი, გიო
ლომიძე, ალექსანდრე ლორთქიფანიძე, სალომე
ბენიძე, ერეკლე დენისაძე, გიორგი შონია, ზურა
ჯიშკარიანი, თორნიკე ჭელიძე, ალექს ჩიღვინა-
ძე, გიორგი ჩუთლაშვილი, პაატა შამუგია - ეს ის
ახალგაზრდა პოეტები არიან, რომელთა ლექსე-
ბიც ანთოლოგიისთვის შეირჩა.

პაატა შამუგიას ლექსების კრებული ცალკეც
გამოიცა. ქართველი ელინისტიკოსი, ეკატერინე ჯა-
ნაშიას მიერ ბერძნულ ენაზე თარგმნილ „შიზო-
გადოებას“ არაერთი კარგი რეცენზია მოჰყვა. პა-
ატა შამუგიამ 2021 წელს ბერძნული თარგმანის
პრეზენტაციასშიც მიიღო მონაწილეობა თესალო-
ნიკის ნიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე.

გამოიცა ასევე დიანა ანფიმიადის ლექსების
კრებული ბერძნულად - „რატომ შევწყვიტე ლექ-
სების წერა“ (მთარგმნელი: პინელოპი ზალონი).

რაც შეეხება ქართულ პროზას, ბერძნულ ენა-
ზე თარგმნილი ტექსტების სია ჯერჯერობით არ-
ცთუ ისე ვრცელია.

1992 წელს ათენში ნოდარ დუმბაძის „ჰელა-
დოსი“ გამოიცა ბერძნულად. თარგმანი ქალბა-
ტონ თამარ მესხს ეკუთვნის, ხოლო მისი გამოცე-
მა „Panorama Cultural Society“-ს. ნოდარ დუმბა-
ძის ეს მშვენიერი ნაწარმოები თავიდანვე დიდი
სიყვარულით მიიღო ბერძნულმა საზოგადოებამ
და მისი მიხედვით სპექტაკლები დაიდგა საქარ-
თველოშიც და საბერძნეთშიც.

შეიძლება ითქვას, რომ ბოლო წლებში საბერ-
ძნეთში საკმაოდ გაიზარდა ინტერესი როგორც
კლასიკოსი, ისე თანამედროვე ქართველი მწერ-
ლების მიმართ. მწერალთა სახლის და გამომცემ-
ლობა „ვაკიკონის“ თანამშრომლობით, ბოლო პე-
რიოდში რამდენიმე თანამედროვე მწერლის ნა-
წარმოები ითარგმნა და გამოიცა ათენში. მომ-
ხადდა ქართული მოთხრობის ანთოლოგია - „ათი
ისტორია თბილისზე“, სადაც შესულია თანამედ-
როვე ქართველი მწერლების მოთხრობები (თარ-
გმანი ალექსანდროს ცადილასის, ათენი, 2017 წ.).
ითარგმნა თანამედროვე ქართველი მწერლების
რომანები: ნანა ექვთიმიშვილის „მსხლების მინ-
დორი“ (თარგმანი ელენი ტულუპის, ათენი 2021
წ.), ლაშა ბუდაძის „ლიტერატურული ექსპრესია“
(თარგმანი ვერიკო მგელაძის, ათენი 2021 წ.) და
ბექა ადამაშვილის „ამ რომანში ყველა კვდება“
(თარგმანი ვერიკო მგელაძის, ათენი 2022 წ.); ასე-
ვე დათო ტურაშვილის „ჯინსების თაობა“ (თარ-
გმანი ანი უძილაურის, ათენი 2014 წ.), ნოდარ მა-
ჭარაშვილის „მოსკოვი-თბილისი“ (თარგმანი ლი-
კა ალექსიძის, ათენი 2023 წ.). ბერძნულად ითარ-
გმნა (მთარგმნელი ვერიკო მგელაძე) და გამოსა-
ცემად მზადაა ასევე ევროკავშირის ლიტერატუ-
რული პროგრამის (EUPL) კონკურსის გამარჯვებუ-
ლის, ახალგაზრდა მწერლის, ივა ფეზუაშვილის,
რომანი „ბუნკერი“.

2022 წელს გაჩნდა ბერძნულ ენაზე ლიტერა-

ტურულ-მთარგმნელობითი სემინარის ორგანი-
ზების იდეა. საქართველოს მწერალთა სახლ-
მხარდაჭერით, საქართველოს საელჩომ ათენში
უმახსოვრებლად ერთგვარიან მთარგმნელობით სემ-
ინარს, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ათენში
მცხოვრებმა ქართველმა ელინისტიკებმა. სემინარს
უძღვებოდა ცნობილი ბერძენი მწერალი და ენა-
მეცნიერი, დიმიტრის ცეკურასი. სათარგმნად შე-
ირჩა გურამ დორანაშვილის „კაცი, რომელსაც ლე-
ტერატურა ძლიერ უყვარდა“; თარგმანი, დღე-
აღბათობით, 2023 წლის ბოლოს გამოიცემა და
ბერძენ მკითხველს საშუალება ექნება, გაიგოს
ეს შესანიშნავი ქართველი კლასიკოსი მწერალი.
2023 წელს მსგავს სემინარს მწერალთა სახლს
და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლ-
სიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკის და ნე-
ოგრეცისტიკის ინსტიტუტმა უმასპინძლეს. ქარ-
თველმა ელინისტიკებმა დიმიტრის ცეკურასთან ერ-
თად ეროლო ახვლედიანის „ვანო და ნიკო“ თარ-
გმნეს ბერძნულად და მოამზადეს გამოსაცემად
ეს ორი არაჩვეულებრივი ქართველი მწერალი და
მათი ნაწარმოებების, ვფიქრობ, მშვენიერი ბერ-
ძნული თარგმანები, სულ მალე აღმოჩნდებიან
ბერძენ მკითხველს თანამედროვე ქართული ლი-
ტერატურის ამ გამორჩეულ ნარჩომადგენლებს.

სულ ახლახანს ათენში ეროლო ახვლედიანის
„ვანო და ნიკოს“ ბერძნული თარგმანის პრეზენ-
ტაცია გაიმართა. მთარგმნელმა დიმიტრის ცეკუ-
რასმა, შესანიშნავმა ბერძენმა მწერალმა, რომ-
ლის რომანი „კარი“ სულ ცოტა ხნის წინ გამოიცა
ქართულად და უკვე „საბას“ სრულ სიპოა, წლის
საუვეტესო თარგმანის ნომინაციაში, საინტერე-
სო ფორმატი შეარჩია პრეზენტაციისთვის. ათენ-
ში მოღვაწე ქართველმა და ბერძენმა მსახიობე-
მა ორივე ენაზე ნაიკითხეს ამონარიდები ახვლე-
დიანის ნაწარმოებებიდან. აღინიშნა, რომ „ეს არის
ღვთა, ნამდვილი ლიტერატურა, რომელიც გვა-
მოგზაურებს და ბევრ რამეზე გვაფიქრებს“.

მინდა ასევე აღვნიშნო ბერძნულად ახლახან
თარგმნილი და გამომცემული კიდევ ერთი ნიგნე
„მეტყველი მარმარილოები“, რომელიც ქართველ
ელინისტიკებს - ეკა ჭყიძეს და მედეა აბულაშვილს
ეკუთვნით. ეს არ გახლავთ მხატვრული ლიტერა-
ტურის კლასიკური ნიმუში. ნიგნში გაერთიანე-
ბულია ესეები XIX-XX საუკუნეების ქართულ-ბერ-
ძნული ურთიერთობების ისტორიიდან. ეს გამო-
ცემა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და
ნეოგრეცისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტი-
ტუტს ეკუთვნის, ხოლო ბერძნული თარგმანი-
ამავე ინსტიტუტის კურსდამთავრებულებს. ვფიქ-
რობ, რომ ამ ნიგნს საკმაოდ დიდი ინტერესით მი-
იღებს ბერძენი მკითხველი. „მეტყველ მარმარი-
ლოებში“ თავმოყრილია ფართო საზოგადოების
თვის ნაკლებად ცნობილი ან საერთოდ უცნობი
XIX-XX საუკუნეების წყაროები, დავესვსებში თავ-
და ავტორებს და ვიტყვი, რომ ეს ნიგნი „ბერ-
ძნულ-ქართული ურთიერთობების ახალ მარე-
რებად შეიძლება იქცეს“.

დიმიტრის დიმიტრიადისი

ჩვენ და ბერძნები¹

ახალბერძნულიდან თარგმნა თათია მთვარელიძემ



ეს სათაური მომდინარეობს ფილიპ ლაკუ-ლა-ბარტის ნაშრომიდან „ჰოლდერლინი და ბერძნები“², რომლის თემატიკაც ქვეტექსტად გასდევს ჩემს ნაწერს, ისევე როგორც დომინიკ გრანმონის „კავაფისის საბერძნეთს“ - ტექსტს, რომელმაც გადამწვევტი როლი ითამაშა ქვემოთ წარმოდგენილი ჩემი მოსაზრებების ჩამოყალიბებასა და მოწესრიგე-

ბაში. ლაკუ-ლაბარტის ტექსტიდანვე ვსესხულობ ჰაინერ მიულერისეულ წანამძღვარს, რომელსაც მოგვიანებით დავუბრუნდები.

მემკვიდრე თავისი მემკვიდრეობის დაფასებას მაშინ იწყებს, როდესაც მისი დაკარგვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდება. და ეს საფრთხე მემკვიდრეობის დაკარგვისა, ან აღმოჩენა იმისა, რომ მას არ

¹ 2000 წელს დიმიტრის დიმიტრიადისმა ეს ტექსტი პირველად მოხსენების სახით წარმოადგინა ათენის ფრანგულ ინსტიტუტში. ტექსტი პირველად გამოქვეყნდა გაზეთის Ta Néa დანართში „Πρόσωπα“ (20.05.2000). მას შემდეგ რამდენჯერმე დაიბეჭდა დიმიტრიადისის კრებულებსა და სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში.

² თარგმანი შესრულებულია შემდეგი გამოცემიდან: Δημήτρης Δημητριάδης, «Εμείς και οι Έλληνες» (ένθετο), Το πέρασμα στην άλλη όχθη, Εκδόσεις ΑΓΡΑ, Αθήνα 2005.

² დანართი ფრიდრიხ ჰოლდერლინის ტომიდან „უღვივები, ჰიმნები და სხვა ლექსები“, მთარგმნელი სტილა ნიკოლუდი, ΑΓΡΑ, 1996, გვ. 213-234.



ეკუთვნის მემკვიდრეობა, მასში ააქტიურებს მესაკუთრეობის მქონეებს.

ნებისმიერი რამის მოცემულობად ან გარანტირებულად მიჩნევა თავისთავად გამორიცხავს მის გააზრებულ შეფასებას.

ამ საფრთხისშემცველი დებულებით დაწყება ჩემთვის ხელსაყრელია საიმისოდ, რომ პერიფერიიდან ცენტრში გადავინაცვლოთ, პრობლემის პერიმეტრიდან მის გულში შევიდეთ, სიმშვიდიდან შეშფოთების მდგომარეობაში გადავხტეთ. მოდი, გავბედოთ რადიკალურობა, ოღონდ არა უშედეგოდ, გავბედოთ და მივეცეთ უკიდურესობას.

ანუ გამოსავალს, მომაკვდინებელ გამოსავალს. ასე და ამგვარად, ზემოთ მოტანილ დებულებას პირდაპირ საფრთხის ზონაში შევყავართ. თითქმის ასოციაციურად გადავყავართ სხვადასხვანაირი მდგომარეობაში.

ჩვენს შემთხვევაში კი, სხვადასხვა არის საბერძნეთი.

საბერძნეთი გამორიცხავს მასთან თავის გაიგვებას. გამორიცხავს იდენტობას.

და მის ყველა პროდუქტსაც - შინაურობას, ნათესაობას, ფლობას, უსაფრთხოებას.

ჩვენ კი, როგორც ამ გეოგრაფიული რეგიონის მაცხოვრებლებს, მხოლოდ იმის უფლება გვაქვს, რომ ბერძნებზე ვისაუბროთ როგორც უცხოებმა.

ვისაუბროთ მათზე - მხოლოდ და მხოლოდ როგორც უცხოებზე.

ჩვენ - როგორც არაბერძნებმა. და რანი ვართ ჩვენ როგორც არაბერძნები?

მაცხოვრებელნი იმ გეოგრაფიული რეგიონისა, სადაც დასახლდნენ ადამიანები, რომლებმაც სცადეს რამედ ქვეუღიყვნენ. ამ მცდელობამ და მისმა ნაყოფმა კი ისინი ბერძნებად აქცია.

აი, ჩვენ მსგავსის მცდელობაც კი არ გვაქვს. ვინაიდან გვჯერა, რომ ბერძნები ვართ.

არადა, არ ვართ ბერძნები. თავისთავად მოცემული და გარანტირებული ხომ გამორიცხავს მცდელობას.

მცდელობის გამორიცხავს კი გამორიცხავს ჩვენს ბერძნებად ქცევის შესაძლებლობას. ვინც არ ვცდილობთ, რომ ბერძნებად ვიქცეთ, არც ვართ და ვერც ვერასდროს გავხდებით ბერძნები.

ესეც ერთი სერიოზული მიზეზი საიმისოდ, რომ ვერასდროს დაუბრუნდნენ პართენონს მარმარილოები. მათი დაბრუნება ეროვნულ მიზანს უნდა წარმოადგენდეს, ვინაიდან მხოლოდ ასე მიიღწევა სასარგებლო რღვევა, მოპოვებულის განგრძობითი მსხვერვეა. მემკვიდრე ხვდება, რომ უნდა იბრძოლოს, რათა მისი მფლობელობის უფლება აღიარონ იმ მემკვიდრეობაზე, რომელიც მოცემულობად და გარანტირებულად მიიჩნევა. ეს კი მიხვედრია, ტრაგიკული მასშტაბის მქონე მიხვედრა.

საბერძნეთი ბერძნებს არ ეკუთვნით. და ესაა ტრაგიკული მასშტაბი.

ბერძნები არიან ბერძნები, რადგან და როცა მათ არ ეკუთვნით საბერძნეთი.

ამის საპირისპირო, დემაგოგიური და დამაბნე-

ველი სლოგანი კი სინამდვილეში, ძალიან ანტიხალხური და არსებითად ანტიბერძნულია; იგია დღევანდელი არაფრობის დაბადების მოწინააღმდეგე. რადგან მათ მათგან მოქმედებდა მესაკუთრეობის ატავისტურ შეგრძნებაზე და თავისი მომსახურების მაცდუნებლობით თავმოტყუებული მფლობელობის იაფფასიან და კომფორტულ თავდაჯერებულობას უზრუნველყოფდა.

ვინაიდან ამ სლოგანის ქვეშეშემა სიიარაღის მიღება იმალება და კარგის უკიდურესობაში.

უკვე აღსრულებული და კარგისა. ბერძნები არ ეკუთვნიან საბერძნეთს. ბერძნები არ არიან ბერძნები. მაშ, რანი არიან ისინი?

არაფერი.

და აი, სასიარულო ცნობაც!

არაფერი.

სწორედ ეს უზრუნველყოფს კომპოზიციურად საძლებლობას იმისა, რომ ბოლოსდაბოლოს რაღაც დაიწყოს.

თუმცა ეს მოიცავს საფრთხესაც იმისა, რომ ყველაფერი დარჩეს იქ, სადაც არის.

მფლობელობისგან მოგვრილ მუქთა თავის მოტყუებაში.

ჩვენ გარშემო ყველაფერი იმაზე ღალატებს, რომ ეს მეორე უნდა აღსრულდეს.

თავის დამამშვიდებელი დარწმუნებულობა იმისა, რომ მემკვიდრეობა უდავოდ და უპირობოდ ჩვენს გვეკუთვნის, ურთიერთდაპირისპირების უმთავრეს ფორმად ეროვნულ სტერილობას ამკვიდრებს, მმართველ ცნობიერებად - ჩაბლაუჭებას მონაპოვარზე, განგრძობითობის უზრუნველსაყოფად კი სტერეოტიპების აკვიატებას.

ამ განგრძობითობის ინტერპრეტაციის ყველა სქემა სახეზე გვაქვს - იდეოლოგიურიც და გეოგრაფიულიც.

ყველა მათგანი განხორციელდა და ყველამ მარცხი განიცადა. გამოუვალ მდგომარეობაში მივიდნენ. აწარმოვეს ფსევდომემკვიდრეობები. დაინახეს არარსებული როლები. მიიწერეს ცრუ სტატუსები სხვადასხვა გზით მოგვატყუეს მაშინაც, როცა სახის არარსებობის პირობებში ნიღბის თვითკმარება შემოგვაჩვენეს.


ცივილიზაცია მოცემულის კვლავწარმოებით იქმნება.

ცივილიზაციას არ ქმნის თავისთავად მოცემულობის, გარანტირებულის მაცდუნებლობა.

წარმომადგენელმა იმ ფუნდამენტური თაობისა, რომელმაც საბერძნეთის მესაკუთრეობის ერთ-ერთი ვერსიად მისეული საბერძნეთი შემოგვაჩვენა, იკონათა კიდეც: „იქნებ ის ყველაფერი, რასაც საბერძნეთზე ვფიქრობდით, ტყუილი იყო და ჩვენს ტვინის მონაწილესი?“

და აი, პრობლემის სათავეც აქაა. ჯერ კიდევ ხელშეუხებელია იგი. ვინაიდან მათან შეხება გაუსაძლისია.

ჩვენ ვართ არაფერი. მხოლოდ ამაში დარწმუნებულობა წარმო-



ერევის, მხოლოდ ეს აგვამოქმედებს, გვიბიძგებს იმის მცდელობისაკენ, რომ მიზანს მივაღწიოთ.

და რა არის მიზანი? რომ გავხდეთ ბერძნები. რა გზით?

ბერძნების უცხოვად აღიარებით.

თუ საერთოდაც გვალელებს ეს.

მათთან იგივეობა, ანუ მათთან გაერთმინოვნე-
ლოვნება ნიშნავს, რომ ვართ არავინ. არავინ არც
არის და შეუძლებელია იყოს ბერძნების იდენტური.
არავინ ბერძენი არ არის.

ის ხდება ან ცდილობს, რომ გახდეს ბერძენი.

მუდამ უცხოვად მყოფად დარჩენით.

უცხოის იდენტობით ჩვენ მათ დასში გადავდი-
ვართ, ვისაც უნდა, რომ საბერძნეთისკენ ისწრა-
ვოდეს.

იმავე მიზანზე რომ ვცხოვრობთ, არაფერს ნიშ-
ნავს.

სინამდვილეში სტუმრად ვართ. ისინი - ბერძენე-
ბი ჩვენ გემასპინძლობენ.

ჩვენი სახლის საძირკველში ძველ ბერძენ ტრა-
გიკოსთა სახლები რომაა ჩამარხული, ესეც არა-
ფერს ნიშნავს - არაა საკმარისი საიმისოდ, რომ
ტრაგიკოსებად ან ტრაგიკოსთა ნათესავეებად თუ
გამგრილებლებებად ვიქცეთ. ტრაგიკულობა სხვა
საძირკველთა ამბავია, რაშიც ექვი არავის ეპარება
მათგან, ვინც ცხოვრება და შემოქმედება შეუნყო
მწუხარე მკვებარობას იმ ე.წ. სახალხო შეგრძნები-
სა, რომელიც აუ თვითონვე აღვივებდნენ დაუსრუ-
ლებელი გაუმადლობითა და ეგოცენტრული მი-
წინაობით.

ჩვენი აივნიდან აკროპოლისს რომ ვხედავთ -
მეც არაფერს ნიშნავს. ხედი იდენტობის გარანტი
არ არის. პეიზაჟი განგრძობითობის საფუძველს არ
წარმოადგენს. არ შევყავართ იმ სულისკვეთებაში,
რომელმაც შვა პეიზაჟის მითოლოგიება. გეოგრა-
ფიის გარდაქმნა ბუნებიდან პოეზიად.

და იმავე ენაზე რომ ვსაუბრობთ, ესეც არაფერს
ნიშნავს. ენაზე უნდა ფიქრობ იმისთვის, რომ ამ ენა-
ზე ილაპარაკო. ჯერ ვფიქრობ ენაზე და მერე ვლა-
პარაკობ. და აქ ვინ ფიქრობს ენაზე? ამ გეოგრაფი-
ული რეგიონის რომელი მაცხოვრებელი ლაპარა-
კობს ამ ენაზე იმიტომ, რომ მასზე ფიქრობს?

საბურვლის ჩამოსხნით განცხადდება მტკიცედ
სასურველი, არარსებულის არსებულად გარდაქ-
მნის გზების შექმნა. ფორმათა აგება.

მიღწევა მიუღწეველი მიზნისა.

ისევ თავიდან.

ისევ და ისევ.

არაფრობიდან.

აღსრულება შეუძლებლის გააზრება.

ანუ მოშლა იმ საზღვრისა, რომელიც ყოფს მას,
რაც გვეკონია რომ ვართ იმისგან, რაც სინამდვილე-
ში არ ვართ.

ეს მცდელობა კი არის ბერძნული.

იმისათვის, რომ რომელიმე ხალხი შემოქმედე-
ბით იყოს, უნდა გამოცადოს დანაკლისი იმისა, რა-
მაც იგი აიძულა დაეჯერებინა, რომ არსებობს. და

შექმნას ის ხერხები, რომლებითაც ამ დანაკლისს
შეიფებს. ამგვარად იქმნება ცივილიზაციები. სი-
ცარიელის ამოვსებით. შეუძლებელი ამოვსებით.

თუმცა სწორედ შეუძლებელია, ჭეშმარიტ მცდე-
ლობას რომ გულისხმობს. შეუძლებელი ამოვსება
დანაკლისისა და სიცარიელისა.

ჩვენ გარშემო ყველაფერი ღალადებს, რომ და-
ნაკლისი და სიცარიელე არათუ არ ამოივსება, არა-
მედ გაგრძელდება მათი დანაკლისად და სიცარიე-
ლედ გაცნა. ანუ, არანაირი მცდელობა არაა საჭი-
რო.

ჩვენ გარშემო ყოველივე ღალადებს, რომ ის რაც
გვაქვს, გვაქვს უეჭველად და ის რაც ვართ, უეჭვე-
ლად ვართ.

ესეც გამახატვრულებისა და გონებაშეზღუდუ-
ლობის განმარტება.

არაფერიც არ გვაქვს და არაფერიც არ ვართ.

ამ არაფერში გამოითქმება ყველაზე უფრო სა-
სიხარულო ცნობა, ერთადერთი ჭეშმარიტი ხარე-
ბა.

რას გვამცნობს იგი?

იგი გვამცნობს: ესაა ნამდვილი საწყისი ნერტი-
ლი. დაიწყეთ, ყველაფერი შეგიძლიათ, გამოძვერით
საფანგიდან, მოშლეთ ხლართები, გაბუდეთ და გა-
მოხსენით სიცრუესა და ნიღბებს! ნუ გეშინიათ,
არსებობენ სხვა პერსონაჟებიცა და სხვა მონათხრო-
ბებიც, სტერეოტიპებიდან გამოუძერწავ ტალახში
გადიანაცვლეთ, გაყინული მზერიდან უფსკრულის-
მიერ გამოხედავთ გადადიეთ! გამოძერწეთ ცეცხლი!
საშინელი მოთხოვნაა.

საჭიროებს შემოქმედებითობას.

საფრთხეში ყოფნას. გამბედაობას.

მოითხოვს სიცოცხლეს.

მოითხოვს მიღებას მცდელობისა, რომლის მი-
ხედვითაც უნდა მივისაკუთროთ ბერძნული რო-
გორც სხვა. სხვა როგორც ბერძნული. ეს კი ნამ-
დვილი გიგანტომახიაა.

ვინაიდან ბერძნული არც თანდაყოლილია და
არც ჩანერგავდი. იგი ბუნებრივი არაა: მემკვიდრე-
ობით არ ერგება, ვერ გადაიცემა, ვერ შენარჩუნ-
დება, ვერ უზრუნველყოფს, ვერ დაირეგისტრირებ.
ბერძნული არ ნიშნავს არქეოლოგიური გათხრე-
ბის აღმოჩენებს და სიძველეთა არტეფაქტებს. სა-
ვაჭრო შეთანხმებებსა და სამთავრობო აქტორთა
მოლაპარაკებებს; სამინისტროს განცხადებებს და
ტურისტულ პაკეტებს.

ბერძნული არის შექმნილი რამ.

მოიპოვება იმ შემთხვევაში, თუკი მისი მოპოვე-
ბის მცდელობა სწორი გზით წარიმართება.
შეგვიძლია გავხდეთ ბერძნულები?

ბერძნული სდება ვინმე მამინ, როცა ბერძნების
პირისპირ დადგება.


ვდგავარ პირისპირ - ნიშნავს, რომ ჩემსა და
სხვას შორის არსებობს მანძილი.

უფრო მეტიც - ნაპრალი, უფსკრული.

ნაპრალი გავშორებს ბერძნებისგან.

უფსკრული წევს ჩვენსა და საბერძნეთს შორის.

თუმცა ნაპრალი და უფსკრულია წინაპირობა



ჩაფიქრებისა.

რატომ არ ხდება ჩაფიქრება ამ გეოგრაფიულ რეგიონში? ვინაიდან ერთობა, გაიგივება, იდენტობა გამოირიცხავს ჩაფიქრებას.

იგივე ანუ იდენტური უმიზნო რამაა.

ჩაფიქრება გულისხმობს მიზანს.

ერთობა, იგივეობა, იდენტობა გამორიცხავს ჩაფიქრებას, რამდენადაც მიზანს მოცემულობად და გარანტირებულად თვლის, ერთხელ და სამუდამოდ მოპოვებულად მიიჩნევს.

თუმცაღა ჩაფიქრება დანაკარგიდან აღიძვრება, არყოფნიდან, დანაკლისიდან. ჩაფიქრება აღიძვრება გააზრებიდან არაფრისა.

იგი ძუძუმტეა არაფრისა.

იგივე უცხოობისა.

მხოლოდ როგორც უცხოებს გვაქვს უფლება ვსახლობდეთ აქ, ამ მხარეში.

ზღვები, კუნძულები და მთები გიგანტურ აფიშებზე გაიყიდა.

მხოლოდ როგორც უცხოებს გვაქვს უფლება ვილაპარაკოთ ამ ენაზე.

მოუსმინეთ ტელეპოლიტიკოსთა აფაზიურ ნაბოდეგას.

მხოლოდ როგორც უცხოებს გვაქვს უფლება, რომ ვასსენოთ ბერძნები.

შეხედეთ თქვენ გარშემო მაცხოვრებელთა მასას, რომლებსაც სახეზე აღჰქვძვიათ სრული მარცხი.

თუმცაღა, ჩვენ წინ ასპარეზი იშლება - ვეება, მაგრამ რთულად გასავლელი. იგი მხოლოდ შიშვლება და უსტატუსოებს მიეცილებს. მხოლოდ არაფრის სამოსით მოსილებს.

წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელია აქ კიდევ იარსებოს ცივილიზაციამ. თუ ეს საერთოდაც გავლევებს.

შეგვენეს ძალა საიმისოდ, რომ გავიგოთ ეს შეტყობინება?

შეგვიძლია, რომ მისი ამაღორძინებელი ტონი ამოვიცნოთ?

მივხედეთ მის გამომხსნელ განზომილებას? მის მაცოცხლებელ იმპულსს?

შეგვიძლია გავიგოთ, რომ მხოლოდ მას შეუძლია ამოგვიყვანოს საფლავებიდან? შეწყვიტოს ჩვენი მარადიული გადანაცვლება კუბოდან კუბოში?

ჩვენ გარშემო ყველაფერი დაღადაბს, რომ არა, არ შეგვიძლია.

და მაშ, რაღა რჩება?

ადამიანები.

ადამიანები, რომლებიც იბადებიან, ავადებიან, ბერდებიან და კვდებიან, ყოველდღიური არეულობის ხახუნში ურთიერთშემეყვარებულნი და ურთიერთდამამხვრეველნი. სამშობიაროები, საძინებლები, საავადმყოფოები და სასაფლაოები... რა უთარგმნელი ტკივილია.

თუმცა კი, სხვა მაინც არის სხვა.

ერთი მხრივ, მიმდინარე ადამიანურობაა და მეორე მხრივ, სხვა.

ესეც ჰაინერ მიულერის წანამძღვარი.

„იმისათვის რომ რაღაც მოხდეს, რაღაც უნდა დაიწყოს; იმედის პირველი ფორმა შიშია, ახლი პირველი ვიზუალი - ძრწოლა“.

როგორც ხედავთ, ყველაფერი ძალიან რთულადაა.

ამიტომაც არ გვეძლევა.

იმისთვის რომ მოგვეცეს, ჯერ ჩვენ უნდა მოვცეთ. ჩვენ არაფერი არ გვეკუთვნის.

ჩვენი საკუთრება მხოლოდ არაფერია.

ანუ მანძილი.

მანძილთა ჯამად თვლიდა სიცოცხლეს პენსიულისი.

მანძილი.

ამან შვა კავაფისის პოეზია.

კავაფისი იყო ბერძნული, ვინაიდან შორს, სხვანაირად იყო იგი. არ იყო აქ, არ იყო ერთად, არ იყო მათ, მათ თავისად არ მიიჩნევდა. იცოდა, რომ მათ არ ფლობდა.

ბერძნული. ამაზე უფრო საპატიო ნოდებად არაფერი მიაჩნდა.

აი, ამას ეთქმის ბერძნული.

ცდილობდე მანძილის დაფარვას და არ შეგეცლიოს.

„საბერძნეთი, - დაასკენის ლაკუ-ლარტი, - უნდა ყოფილიყო მთელი თავბრუსხვევა და ერთიანად მუქარა: ესაა ხალხი, ცივილიზაცია, რომელიც უწყვეტად ავლენს თავს ვერშემძლედ იმისა, რომ საკუთარ თავს დაენიოს. ეს უკიდურესად ტრაგიკული რამაა, თუ მართალია ის, რომ ტრაგიკულობა მისაბადის ჩამოშლითა და სტანდარტების გაქრობით იწყება“.

შეგვიძლია მივიღოთ და საკუთარ თავზე ავიღოთ ეს ჩამოშლია და გაქრობა?

თუ საერთოდაც გვალევებს ეს.

თუ არა და, შეგწყვიტოთ მითვისება იმისა, რაც ეკუთვნის სხვებს. ბერძნებს.

დასასრულს, ისევე სათაურს დაეუბრუნდები.

„ჩვენ და ბერძნები“.

სიტყვა „და“, როგორც ალბათ ჩაფიქრებულ იყო, არ არის კავშირი. კი არ აერთებს, აცალკევებს ნყილი განაშორებს.

ამ საკითხში, რომელიც გვანუხებს, იმისათვის რომ ერთობა შედგეს, იგი ჯერ განშორებამ უნდა გამოიწვინოს. იმისათვის რომ ქორწინებას აზრი ჰქონდეს, განქორწინებას უნდა ჰქონდეს ძალა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ტრაგედიის მექანიზმი უნდა არსებობდეს.

ანუ არა მისი მერკანტილური წარმოდგენა ყველაზე უფრო ვულგარულ და გარყვნილ ვერსიად იმ ყველაფრისა, რაც კი დამამშვიდებელი არსებობს, არამედ მისი გამოუცემელი ვერსიის სისხლიანი წარმოდგენა იმად, რაც კი რამ შემამფოთებელი არსებობს.

ბერძნული როგორც შემადრწუნებელი.

დროა, ამ გეოგრაფიული რეგიონის მაცხოვრებლები ბოლოს და ბოლოს შეძრწუნდნენ იმით, რაც არიან, იმით, რაც არ არიან და იმით, რასაც ვერაძღროს შეძლებენ რომ იყონ.

თეოდოროს ტერზოპულოსი¹

ორი მანიფესტი

ახალბერძნულიდან თარგმნა თათია მთვარელიძემ



ხილთა შესაქმე

ადამიანებისა და საქონლის და ადამიანის როგორც საქონლის თავისუფალი გადაადგილების თანამედროვე, გლობალიზებულ პეიზაჟში მყოფ

ფებს ხშირად გვიწევს სიძულვილის ენის დათმენა.

ჩვენ მუდმივი თავდაცვისა და თავდასხმის პირობებში ვიმყოფებით. გამუდმებით ვიცავთ თავს სხვისგან, უცხოსგან, განსხვავებულისგან.

¹ თანამედროვე თეატრის ერთ-ერთი უდიდესი შემოქმედის - თეოდოროს ტერზოპულოსის ეს ორი მანიფესტი ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის - „საჩუქარი“ - ფარგლებში შეიქმნა. ტექსტები თეოდოროს ტერზოპულოსმა მოხსენების სახით წარადგინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 2023 წლის 22 ოქტომბერს ოსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეციისტიკის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე.



მისი განადგურება გვინდა, გვსურს სასიცოცხლო სივრცე წავართვათ, აღგავაოთ იგი პირისაგან მინისა.

და აქ ისმის შეკითხვა: თეატრი რას შვრება ამ დროს? დღეს, როცა ყველაფერი ერთგვაროვანდება, შეძლებს კი თეატრი გადოს ხიდი სხვასთან, უცხოსთან, ამოუცნობთან?

ლტოლვილთა უზარმაზარი ნაკადი იბრძვის იმისთვის, რომ გაექცეს დაბომბილ ქალაქებს. იმ შემთხვევაში, თუ ხმელთაშუა ზღვის წყლებში ჩაძირვას გადაურჩებიან - ისინი თანამედროვე საკონცენტრაციო ბანაკებს ავსებენ და იქ იხრჩობიან. დღევანდელი მეგაპოლისების ვირტუალური რეალობის სენაკებში გამოკეტილი, გალატაკებულნი მოქალაქეები კი ამ დროს მათსავე მახრჩობელი პრივატულობაში არიან ჩაფლულნი.

ესაა გარობოტებულ არსებათა სამყარო კონტროლისა და რეპრესიების ტექნოკრატიული და ტოტალიტარული სისტემით, რომელიც ცხოვრების ყველა სპექტრს მართავს.

და აქ კვლავ ისმის შეკითხვა: მოახერხებს თეატრი გადოს ხიდი ჩვენს თანამედროვე ტრავმასთან?

მოქალაქე ხელმძღვანელობს და მოქმედებს პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, საინფორმაციო ქსელებისა და საერთო აზრის ფორმირებაზე ამბიციის მქონე კომპანიების მითითებებით. სოციალური მედია, რაც არ უნდა ამარტივებდეს იგი ცხოვრებას, კარგ საკომუნიკაციო ალიბის ნარმოადგენს, ვინაიდან გვთავაზობს უსაფრთხოებისთვის აუცილებელ დისტანციას სხვისგან. თანამედროვე ადამიანები ურთიერთობენ, მაგრამ არ თანაარსებობენ, ფართოდ გავრცელებული სხვისადმი შიშის შეგრძნება მართავს მათ ფიქრებსა და ქმედებებს.

და ისევ შეკითხვა:
- შეგვწევს კი ძალა მივაყურადოთ იმ SOS-ს, რომელსაც ჩვენი ეპოქა გამოსცემს? აქვს უნარი თანამედროვე თეატრს, გამოხატოს შემოფოთება ადამიანის იმ მდგომარეობის გამო, რომელსაც 21-ე საუკუნე აყალიბებს?

- შეიძლება თუ არა, რომ თეატრი არსებობდეს როგორც ერთგვარი ღია, დემოკრატიული სივრცე სოციალური, ეგზისტენციალური, პოლიტიკური, ონტოლოგიური პრობლემებისთვის; როგორც ერთგვარი სახელოსნო განსხვავებულობათა სიმრავლის თანაარსებობისათვის?

- შეგვიძლია გავდოთ ხიდები ენებს, სკოლებს, ეროვნულ ტრადიციებს, ეპოქებს, ტენდენციებს შორის ისე, რომ მხედველობაში არ მივიღოთ სოციალური ტრავმა?

სამყარო რამდენადაც ჰვავს ნამდვილს, იმდენად შორს არის რეალობისგან - საგანთა მაცოცხლებელი მოძრაობისგან. ესაა ერთგვარი პარალელური სამყარო, შექმნილი იმისთვის, რომ ადამიანებმა ჩამანაცვლებლობით იცხოვრონ, ფიზიკურ საჭიროებათა მიღმა. ჩვენმა ეპოქამ ჩამოაყალიბა დავიწყების მექანიზმი, ავტონომიური გახადა იგი და ამით გაუღინთა ჩვენი ყოველდღი-

ურობა.

მაგრამ როგორ უნდა იცხოვროს მესხიერება ანუ ჭეშმარიტების გარეშე? ვინაიდან ჭეშმარიტების ძიება მოითხოვს მიმართო მესხიერების საზოგადოებელ არხს.

გლობალიზაციის ეპოქას სულაც არ აწყობს შემოქმედებითი შეხვედრა მესხიერებისა დროსთან, მითისა - სიტყვასთან, პირიქით - ამ ფუნდამენტურ პრინციპებს ავტორიტარულ, შემზღვეველ, რაციონალისტურ სისტემას უქვემდებარებს.

შემოქმედის უთანხმოება არღვევს საერთო დისკურსს, საზოგადო სივრცეს, საზოგადო დროსა საზოგადო გონს... ეს არის დროის ტრავმულ რღვევა, ეს არის დროითვე რღვევა დროში, ესაა მითის შინაგანი სისხლდენა და მისი რეკონსტრუქცია.

როგორც ჰაინერ მიულერი - თეატრალური ოლიმპიადის დამფუძნებელი ნეერი განმარტავს: „მითი არის აკუმულატორი, ერთგვარი მანქანა რომელზეც შეიძლება მუდმივად ემაგრებოდეს სხვა მანქანები. იგი ენერჯის გადაამზიდავია, მანამ სანამ მზარდი სიჩქარე არ ააფეთქებს ცივილიზაციის ციკლს“, მე კი დავამატებდი - ბარბაროსობის ციკლს.

და აქ მინდა გავიხსენო 22 ოქტომბრის დაბნელებული დღის ამალეგვებელი მოვლენა, როდესაც ჩილემი, სასტიკაგოში, მოძრაობის აკრძალვით განპირობებულ მომაკვინებელ სიჩუმეში, აივანზე გამოვიდა ერთი მეცო-სოპრანო და გასაოცრად იმღერა ერთი არაია. მოსახლეობა უფაჯრებსა და აივნებს მიანყვამ, შეძახილებით უკრავდნენ ტაშს. ეს მოვლენა ელექტროტალღასავით გადაედო უზნიან უზანს. სოპრანო სიმღერას განაგრძობდა, მზარულება და შეძახილები გახშირდა, გამრავლდა მანამ, სანამ ეს ყველაფერი მოთხოვნათა რიტმულ სლოგანად არ იქცა. აი, სწორედ იქ, იმ დროს მიულერისეული მანქანა შეიქმნა - სიცოცხლის პროექტორმა მომავალს მიანათა, მაშინ როდესაც თეატრის პროექტორი დღესაც დამაბნელებლად გარქმელებს მხოლოდ საკუთარი თავის განათებას.

მითის შესახებ

მინდა მითის იმ ასპექტებზე გავამახვილო ყურადღება, რომლებიც გაუჩინარების საფრთხის წინაშე დგას.

მითს საოცარ მიზიდულობას იწვევს ადამიანში. მას შესწევს ძალა საკუთარ ტრეპტიკორიაზე გადმოიყვანოს იგი. ამიტომაც ევროპაში ყოველთვის იყო და დღემდე დგას აუცილებლობა იმისა, რომ მითი განჯადოვდეს და მასზე დაკვირვება რაციონალური პერსპექტივიდან მოხდეს. ხშირად მითი ყავარჯენივით გამოიყენება საიმისოდ, რომ ფესვზე მყარად იდგნენ ეროვნული იდენტობები. ამგვარი აკვიატება კი ყოველთვის იყო და რჩება სახიფათო მოვლენად. თუკი მითს მოვგვფვთ მისი ბნელი ფესვებიდან, ვეღარ შევძლებთ მისი გასაოცარი ენერჯის გამოყენებას მომავლის რესურსად და ჩვენდა უნებურად, ერთგვარ მონსტრულ შექმნით მისგან. სწორედ ამგვარ მონსტრად მო-



ველინა ფაშიზმი. მითი სახიფათოა, ვინაიდან იგი განეკუთვნება უჩვეულოსა და უცნაურის სამყაროს, თუმცა, ამაოდ როლად, იგი არის ერთგვარი გასასვლელიც ამ სამყაროსკენ. მითის საშუალებით კავშირს ვამყარებთ საგანთა ბნელ მხარესთან. მითი იწვევს ძრწოლას, ვინაიდან იგი განგვიცხადებს მოუთხინებელს, ძალადობრივს, ანუ იმას, რისი დამორჩილებაც ცივილიზაციას არ შეუძლია. მითი არის კაცობრიობის კომპარი, თუმცა სწორედ ამ კომპარიდან იზადება ადამიანი. კომპარი არის „კაცობრიობის სამშობლო“, „გაურკვევლისა და უჩვეულოს“ განზომილება და გადამწყვეტ როლს თამაშობს იგი ადამიანის ცხოვრებაში.

ამ სახის კითხვებზე ჩვეული რეაქცია იმთავითვე წარმოადგენდა სირთულეთა და დაძაბულობათა განმუხტვის ერთგვარ მცდელობას, რომელიც შობს უჩვეულოს იმით, რომ მიმართავს პუმანიზების ტექნიკას, რაც ადამიანური გამოცდილების შელამაზებას ისახავს მიზნად. მაგრამ ადამიანი საკუთარ თავზე ყველაფერის მორგებით, არსებითად უარყოფს ყველაფერს, რაც კი „არაადამიანურია“, განუდგება ცხოვრების ამოუცნობ, ბნელსა და დაფარულ მხარეს, ხელს უწყობს და წარმოაჩენს ნაცნობსა და შინაურს, ჩვეულს - პუმანიზებისა და შელამაზების პროცესების მეშვეობით.

ადამიანი გაუთავებელი და ამოო მოქმედებით ცდილობს შეავსოს უფსკრული, გადაახტეს მას და გააქროს, მალავს მას მეტაფორებისა და მიითხებების საშუალებით, ცდილობს არაპირდაპირი გზით განმარტოს გამოუთქმელი. თუმცაღა, კომპარი ინახავს ღია უფსკრულს და უარს აცხადებს „გამოუთქმელის“ მოთხინებებაზე.

მითის სიღრმის კვლევით, შემოქმედი საკუთარ თავისუფლებას პოვებს. ინვრთნება „უცნაურის“ ძიებაში ანუ იმის ძიებაში, რასაც ვერ იგებს და ცდილობს, რომ გაიგოს. ეძიებს განუჭვრეტელს, უჩვეულოს, პარადოქსულს. „უცნაურის“ სამსხვერპლოზე გააქვს თავისი სხეული, განუწყვეტილვ სევამს შეკითხვებს და მუდამ დილემათა წინაშე დგას.

სპექტაკლის ესთეტიკას განაპირობებს სხეულის დინამიკური კავშირი მითთან, დროსა და მსოფნასთან. ამ კავშირის საშუალებით დისიმის ფუნდამენტურად ონტოლოგიური შეკითხვა: „რასთან ვაქვს საქმე?“. ესაა შეკითხვა, რომელსაც, პუნებრივია, საბოლოო პასუხები არ გააჩნია, მაგრამ განუწყვეტილვ აღძრავს შემოქმედს ადამიანური გამოცანის მრავალნახნაგოვან განზომილებათა, სიტყვისა და ხმის ფეხვების სულ უფრო და უფრო ღრმად საკვლევად.

მითი უნდა დაფასდეს არა მხოლოდ მისი ნარატიული და სიმბოლური ფუნქციის გამო არააუქმად რეალობასთან კავშირში, არამედ იმ ყველაფერის მყისიერად გამოცხადების უნარის გამოც, რასაც კი სხეული და სული მალავს საკუთარ თავში.

მითი კიდევ უფრო ახლოს მიდის ინდივიდთან,

წარმოგვიდგება რა მესხიერების ფორმით, და მსგადამწყვეტი შემობრუნება შიგნითა მიმართულებით აღმოგვაჩინებს შინაგანი ენერგის მდიდარ მარაგებასა და ფსიქოსომატურ ფუნქციათა მთელ წყებას.

სხეული და ხმა იქცევა მესხიერების ერთიან ადგილად და აქ უკვე მითს ამბების თხრობა კი აღარ აინტერესებს, არამედ მესხიერების აღგენა. სხეული გადადის არაცნობიერში დაბრუნებისა და ტრანსცენდენტურ მდგომარეობაში და როგორც ინდივიდუალურ, ისე კოლექტიურ დონეზე საუბრობს ან, უფრო მეტად - გაწყვირის რაღაც ახალ ენაზე და ცდილობს ახალი მითის რეკონსტრუქციას.

მითიდან მესხიერებასა და სულზე გადასვლა, თავისი გამორჩეული მითური პროტაგონისტის - დიონისეს შუამავლობით, ღრმად ამოიტიფრება იმ შემოქმედის სხეულსა და სულზე, რომელიც სხეულის ენერგის მატარებელ კომპონენტებს იკვლევს და მათი საშუალებით ეძიებს თავის წარმომავლობას, მოგონებებს, ხილვებს. უფრო მეტიც, შეუძლებელია არსებობდეს ხილვა იმ ცოდნის გარეშე, რომელიც თითოეული ინდივიდის ძარღვებში, სისხლსა და ენერგიაში ძევს, და რომელიც მრავალფორმინი და ამოუწვავია.

დღევანდელ გარდამავალ ეპოქაში ჩვენ მოწმენი ვხდებით არაერთი კატასტროფული ცვლილებისა სხვადასხვა საფეხურზე. საკმაოდ ბევრი შემოქმედის საფიქრალიც ისე, როგორც არასდროს, დღეს ღიაა ახალი ხერხების გამოსაკვლევად, იმ უფსკრულთა საკვლევად, რომლებიც გვემუქრებიან, და იმ სტერილურ დოგმატურ მოსაზრებათა ახალი ინტერპრეტაციებისთვის, რომლებმაც სამყარო კატასტროფის პირას მიიყვანეს და ადამიანური არსება ადამიანობისგან განძარცვეს.

ამიტომაც დგას აუცილებლობა, შეექმნათ, გამოვიგონოთ ახალი ფსიქოფიზიკური და სომატოცენტრისტული ფილოსოფია, რომელიც შორს დგას სხეულისა და სულის, მითისა და სიტყვის, სახელებულისა და ანონიმურის, სემიოტიკურისა და სიმბოლურის შესახებ არსებული უნაყოფო აკადემიური და ასევე პოსტმოდერნისტული მოსაზრებებისგან, იმისათვის, რომ გავხსნათ ახალი ფილოსოფიური სივრცე, რომელშიც შევძლებთ ურთიერთსანიანაღმდეგოთა ჰარმონიულ დაწყვილებას.

ჩვენ უნდა ვფოკუსირდეთ ცხოვრების თხრობის ახალ ხერხზე, განვმარტოთ იგი არა წინასწარ ზუსტად განსაზღვრული იმ მითის ტერმინოლოგიით, რომელიც მცირერიცხოვანი ელტის პატივმოყვარეობას აკმაყოფილებს, არამედ იმ ტერმინებით, რომლებიც მიზნად ისახავს სამყაროს გაადამიანურების უფრო შედეგანი, ახალი ხერხების აღმოჩენას.

ნეოლიბერალიზმს სულაც არ აწყობს შემოქმედებითი შეხედურა სხეულისა სამყაროსთან, მესხიერებისა - დროსთან, მითისა - სიტყვასთან. დროის რღვევა დროშივე - აი, ეს არის მითის შინაგანი სისხლდენა და მისი რეკონსტრუქცია.





ადამიანი!
 მეცოს ხმა არ გაუღია - კარგად იმღერა, ბრწყინ-
 ვალედაც კი,
 თუმცა არაფერი უთქვამს თავის დასაცავად...
 იცოდა, რაც ჩაიდინა.

კოლეგები საყვედურით უყურებდნენ ან საერ-
 თოდაც თავალს არიდებდნენ, დირიჟორს კომპლიმენ-
 ტიც კი არ უთქვამს მისთვის, ისე დატოვა თეატრი.
 აბსურდული რაღაც ხდებოდა: ქალმა კარგად იმ-
 იღერა და რისხვა გამოიწვია. და პირიქით, ვინც ვერ
 იმღერა, იმას მთელი დარბაზი უკრავდა ტაშს.
 რადგან ყველამ იცოდა, რა ხდებოდა...

სოპრანო ხმას კარგავდა და ამის დამალვა ან არ-
 შემჩნევა უკვე შეუძლებელი იყო. მართალია, ტემპრი
 ვერაც თავისი ჰქონდა - უნიკალური და მაგიური,
 მაგრამ უკვე ძალაც დაეკარგა და მაღალი ნოტებიც...
 მისი დიდი დიპაზონიდან - დრამატული სოპრანო-
 დან კოლორატურულ მალღებს რომ სწვდებოდა წლე-
 ხის წინ - თითქმის აღარაფერი შერჩენოდა...

აღარაფერი დარჩენილიყო მისი ბედნიერებიდა-
 ნა...

საყვარელ კაცს სხვა ქალი შერთო ცოლად და ეს
 ცნობა გაზუთებიდან შეეტყო ამ დილით. სიყვარუ-
 ლის ნაცვლად ტყუილიმ და სიცარიელე ერგო. შვი-
 ლის განეჭა უნდოდა ამ კაცისთვის და ესეც არ გამო-
 უვიდა... ეგონა, რომ ყველას და ყველავეს ეყოფო-
 და მისი სიყვარული და თურმე თავი მოუტყუებია.

ეგონა, რომ უკვე უარის თქმაც შექმლო ოპერა-
 ზე, რადგან თითქოს უკვე შექმლო კიდევ თავისი
 ცხოვრების მოხელთება და არა გმირების ვნებებით
 უზღომირება - ტოსკათი, ვიოლეტათი, ლუჩიათი თუ
 ნორმათი... იქ გახარჯვა აღარ სჭირდებოდა, რადგან
 უკვე ჰყავდა (ასე ეგონა, რომ ჰყავდა) თავისი კვა-
 რადოსი, ალფრედო და პოლიონი... და თურმე არა -
 როგორც ვერდის, ქერუილის და ბელინის ოპერებში

კარგავდა ამ კაცებს, ცხოვრებაშიც დაკარგა ეს ერ-
 თი, იასონი, ბერძენი იმ მოღალატე არგონავტის მსგავ-
 სად, ვისაც ყველაფერი მისცა და შესწირა, როგორც
 მედეამ... ხმაც კი!.. გულიც, ცხოვრებაც, თავისი თა-
 ვიც... იმან კი გლაგეში გაცვალა, ახალგაზრდა ქალ-
 მბ, გლამურულ ქერივში, რომელსაც მხოლოდ სახე-
 ლი და გვარი ჰქონდა და ესეც ყოფილი ქმრის - მოკ-
 ლული პრეზიდენტის... ამას კი ყველაფერი თავისი
 ჰქონდა და საყვარელი კაცისთვის გაიღო მსხვერ-
 ლად. თავისთვის აღარაფერი დაუტოვებია, რადგან
 იტყვრა, რომ ბრძოლა დასრულდა, რომ დეკორაცია
 აღარ სჭირდებოდა ბედნიერების იმიტირებისთვის...

და იქნებ აღარც ხმა, რითაც ამ ბედნიერებისთვის
 გახაზარჯ ძალას იძლეოდა სცენიდან... სცენის ჯადო
 დატყრა, რადგან სიყვარული იპოვა.
 არადა, მისი მსხვერპლი თურმე არაფერი ყოფი-
 ლა. საყვარელმა კაცმა საყვარელი გაიჩინა და რო-
 გორც ისონმა, დაუფიქრებლად მოიშორა მისთვის
 დაგანბნირული მედეა.

მარია კალასმა გაზუთიდან გაიგო, რომ არისტო-
 ტელე ონასისს ჯეკი კენედი მოჰყავდა ცოლად. ბო-
 ლო თევები ეჭვობდა, რომ რაღაც შეიცვალა მათ შო-
 რის და ეს მის იოგებზეც აისხა... ნერვებზეც... აგერ
 დალასის ოპერაში მაღალ ნოტებს ველარ შეწვდა „ლუ-
 ჯია დი ლამერმურში“ და კულისებისკენ წასულმა,

გოდებით ამოიძახა: „აქ ხომ ვიღებდი ამ ნოტებს, ყო-
 ველთვის ვიღებდი!..“

... დალასში! ქალაქში, სადაც მისი შეყვარებულის
 საყვარლის ყოფილი ქმარი მოკლეს რამდენიმე წლის
 წინ... პრეზიდენტი... დამთხვევა? დანყველილი ად-
 გილი ყოფილა.

- ხმა აღარ მაქვს, თუ შეგიძლია, დამეხმარე, -
 სთხოვა კალასმა

ახალგაზრდა კოლეგას, ამომავალ ვარსკვლავ ფი-
 ორენაც კოსოტოს, რაზეც ცხადია თანაგრძნობით
 აღსავსე დასტური მიიღო.

დახმარება იმას ნიშნავდა, რომ კოსოტო ყუ-
 რადღებით,

ადამიანურად უნდა მოჰპყრობოდა დიდ კოლე-
 გას - ესმინა მისი სუნთქვისთვის, რთული ფრაზები
 უკიდევანოდ არ გაეჭმა დუეტში სიმღერის დროს
 და თავისი რკინის ხმით არ ჩაეხშო აჩრდილად ქცეუ-
 ლი კალასი.

მაგრამ ამ ქალმაც მოატყუა (როგორც ყველა
 ატყუებდა, ვისაც ენდო), ამბიციურმა ახალგაზრდა
 მომღერალმა, რომელსაც როგორც იქნა, შესაძლებ-
 ლობა მიეცა, რომ მარია კალასი დაეჯაბნა, შეუბრა-
 ლებელი გლადიატორივით გადაეჯეგა და ყველაფე-
 რი ეღობა, რაც კალასის დიდებას დაასრულებდა
 „ნორმანა“, თუნდაც ამ ხილული კონტრასტის ხაზ-
 გასმით: უსმინეთ, კალასს ხმა აღარ აქვს...

კალასი მთელი საღამო ხროტინებდა, მომაკვდა-
 ვივით იხრჩობოდა და ვერაფრით ენოდა პატივმოყ-
 ვარეობის ამ ახალგაზრდა და ჯანსაღ მონსტრს, -
 როგორც ვერაფერი გაანყო მოღალატე კაცის ახალ-
 გაზრდა საყვარლის სხეულთან, იმ ქალის მორიდ ტრი-
 უმფთან (ძლევაძამოსული და მდიდარი ქმრების მენყე-
 ლესთან), რომელიც იქნებ არც იყო ტრიუმფი, რო-
 გორც ფიორენცა კოსოტოს გამარჯვება ვერ შედგა
 ამ საღამოს...

რადგან ყველამ ყველაფერი იცოდა და არავის
 უნდოდა ჯანმრთელი მეცო-სოპრანოს ხმის გაგონე-
 ბა... კალასის ოხვრა ბევრად სათუთი აღმოჩნდა იმ
 დღეს!

ახალგაზრდა ქალმა დასუსტებული კალასი „და-
 ახრჩო“, მაგრამ ტაში არ რგებია, ლანძღვა და სი-
 ძულვილი მიიღო პასუხად...

უხმო მედეამ შური იძია.

ახალგაზრდა მეცო-სოპრანო ისეთივე მგრგვი-
 ნავი ხმით ტიროდა კულისებში, როგორი ხმითაც სა-
 მი საათის განმავლობაში გუდავდა არცთუ ახალგაზ-
 რდა კალასს.

მაგრამ „სუსტს“ თურმე ჯერაც შერჩენოდა ჯა-
 დო. სხვა ჯადო. კალასის ჯადო. მედეას ჯადო.

რა კი ტყუილსა და შურისძიებას გარდაუვალად
 მოჰყვებოდა სასჯელი.


მედეას სასჯელი.

თუნდაც მედეა ბარბაროსი ყოფილიყო, კალასი
 კი ხმადაკარგული და გულდაფლეთილი...

ამ საღამოს ან თუნდაც დღისის გაზუთს კი არა,
 არამედ უკვე ისტორიას გადაეწვიებდა, რომ კალასს
 ვერავინ და ველარასდროს დაჯაბნინდა. ქალღმერთი
 ის იყო და არავინ სხვა...
 ხმას რალა მნიშვნელობა ჰქონდა!
 ხმა თავად კალასი იყო.

თათია მთვარელიძე

ათენის წიგნი



ათენში, ფილის ქუჩაზე სამი რამ აუცილებლად უნდა ნახოთ:

პირველი - დომნას სახლი, რომელიც მთელ ცხოვრებას იტევს, მათ შორის - ჩემი ცხოვრების დიდ და მნიშვნელოვან ნაწილსაც... უფრო სწორად კი, ამ სახლის ოდესღაც სიმწვანეში ჩაფლულ აივანს შემხმარი მცენარეები უნდა დაინახოთ - ქვემოდან, ქუჩიდან, მეზუთე სართულისკენ მიმართული დაჟინებული მზერით, რათა მიხვდეთ, თუ რა ფორმისა და ფერისაა აივანზე დასახლებული, დომნას სიკვდილი.

მეორე - ბაზარი, რომელიც ყოველ ოთხშაბათს დილის 6 საათზე იწყებს ხმაურსა და მკვინვარებას და სისხამიდან ავსებს მთელ ქუჩას მხიარული შეძახილებით: „აბა, საზამთრო, ღვთაებრივი საზამთრო, გინდათ ნესვი - ორივე აქ გორავს, მოდიით!“ ან „გაიღვიძეთ, მეზობლებო, წითელ-წითელი პომიდვრები გელიან, რალას უცდით, გაიღვიძეთ!“ ან „გაგონა, მოდი ჩემთან, ამ

ლამაზ მარწყვებს მარწყვივით კოცნასაც მოეყოლებ! მოდი, მოდი, ისეც გაჩუქებ!“ - და ასე დაუსრულებლად.

და მესამე - მთელ ქუჩაზე ჩამწკრივებული ანთებულფანრიანი უცნაური შესასვლელები, რომლებშიც ბაზრის შეძახილთა სულ პირველი მსმენელები შედიან და გამოდიან, შედიან და გამოდიან...

დიახ, ფილის ქუჩა ბორდელების, გნებათსაროსკიპოების ერთ-ერთი უძველესი ქუჩაა ათენში. მე ამ ქუჩაზე ვცხოვრობდი, ოღონდ დომნასთან.

არ გაგვიკვირდებათ, თუ გეტყვით, რომ ბორდელების ევროპული ლეგალური ისტორია ათენიდან იწყება: ძველი ნელთალრიცხვის 5% წელს დიდმა კაცმა - სოლონმა საროსკიპოები ოფიციალურ დანესებულებებზე გამოაცხადა, ჩვენებურად რომ ვთქვათ, პროსტიტუციის ლეგალიზაცია



მობინდა, მეძავეების საქმიანობას კი პროფესიის სტატუსი მიანიჭა. და ასე, მშვიდად და ბედნიერად მოღვაწეობდა ათენში მცხოვრები ქალების ნაწილი და ამ ნაწილს, სხვათა შორის, კანონი მშვენიერად იცავდა. მაგალითად, თუ რომელიმე კლიენტს ძალადობის მცდელობა ექნებოდა მეძავეზე, საქმიად სოლიდური თანხის გადახდა მოუწევდა, ხოლო თუ ვინმე იძალადებდა კიდევ, მის მკვლელობას კანონი დანაშაულად არ აღიქვამდა.

იმ დროისთვის კი არა, ამ დროისთვისაც ნამდვილ მიღწევად ჩანს ეს ამბავი, განსაკუთრებით - გარშემო კარგად თუ მიმოვიხედავთ და ქართულ, მამაპაპურ ძალადობათა სტატისტიკასაც ჩაეხედავთ. მაგრამ მოდა, არ გვინდა ჩვენს ბედურულ თანამედროვეობაზე საუბარი მაშინ, როცა ნარსული ბევრად უფრო მომხიბლავად გამოიყურება, განსაკუთრებით კი - ათენელ მეძავეთა ნარსული.

ძველ საბერძნეთში მეძავეები რამდენიმე კატეგორიად იყოფოდნენ. მათგან, როგორც ვიცი, ავლანზე დაბალ საფეხურზე მყოფნი ე.წ. პორნეები იყვნენ. სწორედ მათი წყალობით ასულდგმულებს თანამედროვე ინდუსტრიათა მონსტრს ბერძნული სიტყვა „პორნოგრაფია“ დემოსთენე ამბობდა - ოჰ, ეგენი, კაცო, ისე ვასართობად, ვე-ლური თინის მოსაკლავად გვჭირდება, მათგან, აბა, სხვა რა ხეირს უნდა მოელოდეთ. როგორც წესი, ეს მეძავეები, რომლებიც უდაბლეს სოციალურ ფენას მიეკუთვნებოდნენ, დიდად ვერც წარმოშობით დაიკვეხნიდნენ (მათი უმრავლესობა უცხოელი ან ტყვედ ჩამოყვანილი, ან რამე მსგავსი იყო), ვერც განათლებით (ვინ აღირსებდა ამ ქალებს განათლებას?) და ვერც სიმდიდრით (დიდი-დიდი თავი გაეტანათ და შიმშილით არ დახოცილიყვნენ), რასაც მეძავეთა მეორე კატეგორიაზე ნამდვილად ვერ ვიტყვი.

და აი, ჩემი სკანდალური აღიარების ჟამსაც მათია:

მე სულ მინდოდა ათენელი ვყოფილიყავი! არა, განა ხაშურს რამეს ვუნუნებ (ის ობიექტურად არის საუკეთესო ქალაქი დედამიწის ზურგზე, ოღონდ ათენის შემდეგ!), მაგრამ ასე მგონია, რომ ათენელობა, უფრო სწორად კი ძველი ათენელქალობა უფრო მომიხდებოდა. და როცა ვფიქრობ ბოლოზე, ვინ ექნებოდა ძველ ათენში რომ დავბადებულყავი - ერთადერთი პასუხი მომდის თავში და ეს პასუხი არის: ჰეტერა!

ჰეტერები ანუ „მამაკაცთა თანამგზავრები“, მათი ტოლნი და სწორნი, ხშირად - მათზე აღმატებულნიც, ძველ ათენში ელიტარულ მეძავე ქალებს ერქვათ. არა, განა მეძავეობა მხიბლავს, მაგრამ ჰეტერები იყვნენ ერთადერთი კატეგორია ქალებისა, რომლებიც განათლებით, ცოდნითა და მელოგენებისადმი ტრფიალით გამოიჩნეოდნენ. სულიერი განვითარების მაღალი მაჩვენებელი ჰეტერასათვის ისეთივე აუცილებელი პირობა იყო, როგორც დახვეწილობა სიყვარულის ხელოვნ-

ბაში. ამიტომაც ამბობდა იგივე დემოსთენე - აი, ჰეტერები, ოოო, ჰეტერები, უჰ ჰეტერებო... მაგათ გარეშე სიამოვნება არ არსებობსო!

რა თქმა უნდა, არაფერია მომხიბლავი იმაში, რომ ვილაც რიგითი კაცი ან თუნდაც არარიგითი დემოსთენე სიამოვნების წყაროდ აღვიქვამს და სხვად არაფრად, მაგრამ ყველაფერი ხომ შედარებითია ამ სამყაროში? და შედარებითიც რომ არ იყოს, რაც არ უნდა ეთქვათ კაცებს, ათენელი ჰეტერები პირდაპირი მნიშვნელობით ატრიალებდნენ მათ ქალაქს.

აკროპოლისი კი ვიცით რა სიდიადეცაა, პერიკლეს სახელიც არაერთგზის გვსმენია - დემოკრატის მამააო, ხშირად ამბობენ მასზე. ფიდიასაც თაყვანს ვცემთ - ძველი სამყაროს უდიდეს მოქანდაკეს, აი იმ ოლიმპიელი ზევსის ქანდაკების ავტორს, მსოფლიოს შვიდი საოცრებიდან ერთ-ერთი რომაა და ძველ ოლიმპიაში რომ იდგა. სოკრატე ხომ ვიცით და ვიცით. ესენი - ყველა და ყველაფერი ერთი ქალის გარშემო ტრიალებდნენ ძველი ნელთალრიცხვის მე-5 საუკუნის ათენში. ამ ქალს ასპასია ერქვა. მილეთიდან იყო, კარგი განათლებაც ჰქონდა და როგორც ამბობენ, არც მეტი არც ნაკლები, ანტიკურობის ყველაზე უფრო გავლენიანი ქალი ვახლდათ. აბა, რანაირად ვერ იქნებოდა გავლენიანი, როცა პერიკლემ მასთან კავშირის გამო საკუთარი ცოლი გაათხოვა! გაამზიოთ! დააოჯახა! ასე, ლამაზად... მასზე შეყვარებულმა ფიდიასმა მისი სახე და აღნაგობა მისცა აკროპოლისზე აღმართულ ათენას ქანდაკებას. სოკრატესთან ხომ უახლოესი მეგობრობა აკავშირებდა, მასვე გაუხსნია ათენში ქალთა პირველი აკადემიაც (დიახ, პლატონის აკადემიის მსგავსი), რომელშიც ფილოსოფიას ასწავლიდა გოგონებს სულ რაღაც 20 წლისა და, საერთოდაც, თუკი რამ მნიშვნელოვანი ჩაიდინა პერიკლემ - ყველაფერში მისი ხელი ერია თურმე, პერიკლემ კი რა სასწაულებიც ჩაიდინა, მშვენიერად მოეხსენება მთელ ჩვენს სამყაროს. თუმცა ასპასია ეგეთი ქალი კი არ იყო - არც პერიკლეს სიკვდილის მერე დაუკარგავს ძალა და გავლენა, ეგ კი არა, თავისი ახალი სატროფოს - ლისიკლეს წარმატებაც მისი დამსახურებააო, ამბობენ. გასაკვირი არაა, რომ ასეთი ძალისა და გავლენის მქონე ქალი საშუალო იქნებოდა, უპირველესად - კაცებისთვის, უფრო სწორად კი - მათი პატრიარქალური მორალისთვის, ამიტომაც არც სასამართლოები მოაკლეს და არც ბრალდებები სიძვასა და უღმერთობაში.

ასპასიაზე უამრავი რამის თქმა შეიძლება და ვიტყვით კიდევ, ოღონდ მოგვიანებით, აქ კი მნიშვნელოვანი ისაა, რომ ასპასიამ პერიკლესა და ფიდიასიც და კიდევ ასობით წარჩინებული ათენელი თუ არაათენელი რაინდი, კი ბატონო, ჯერ სილამაზით მოხიბლა, მერე კი, როგორც გადმოვცემენ, ჭეშმარიტად დამორჩილა თავისი სიბრძნით, მჭევრმეტყველებითა და ღვთაებრივი მუ-



სიკალური უნარებით.

მოკლედ, ჰეტერები ათენელ ქალთა განსაკუთრებული წარმომადგენლები იყვნენ. სხვა ქალებისგან განსხვავებით, მათ ნადიმებზეც მიესვლებოდათ - აი, იმ ნადიმებზე, სოკრატე რომ დადიოდა ხოლმე და პლატონი რომ აღგვიწერდა. მათ უმრავლესობას კაი გვარიანი ფულიც ჰქონდა. ეგრე კი არაა საქმე - ჰეტერასთან ყოფნა ძვირად უჯდებათ ათენელ მოქალაქეებს. ესენიც აგროვებდნენ და აგროვებდნენ ქონებას.

და ამ ჰეტერათაგან ერთ-ერთი გამორჩეული იყო ფრინე. სინამდვილეში, ამ ლამაზ გოგოს მწესარტეც ერქვა, ფრინე კი მისი ჰეტერული სახელი იყო. სიტყვა „φρῦνι“ ბერძნულად ნიშნავს კონკრეტული სახეობის ბაყაყს, რომელიც იმით გამოირჩევა, რომ დაბადებისას სრულიად გამჭვირვალე კანი აქვს. ასეთი ჰეტეროვანი კანი ჰქონია ფრინესაც.

ფრინე წარმოშობით თესპიელი იყო, მაგრამ ათენში ცხოვრობდა, მე-4 საუკუნეში. აქვე მოღვაწეობდა კიდეც. ამ მოღვაწეობით ისეთი დიდძალი ქონება შეუძენია, რომ ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის შედეგად დანგრეული თებეს გალავნის აღდგენის დაფინანსება განუზრახავს. ამ ამბავს ათენელის ვიციკება და იმასაც გამეცნობს, რომ ფრინეს გალავნის ასაშენებლად ერთადერთი პირობა ჰქონდა: კედელზე ასეთი წარწერა უნდა დატანილიყო - „დაანგრია ალექსანდრემ, აღადგინა ფრინემ - ჰეტერამ“. ცალკე ამბავია ეს წარწერა - რალაცნაირი, ჰეტერულად ამაყი ამბავი და ვერ დავმალავ, რომ ძალიან მომწონს. ხშირად ასეც ხდება - „დიდი“ კაცები ანგრევენ, ქალები კი ამ ნანგრევებისგან ახალ და დიდებულ ამბებს აშენებენ ხოლმე - ამაყად და თავდაჯერებით.

როგორც ამბობენ, ფრინე ელევსინური მისტიკებისა და პოსეიდონის დღესასწაულის დროს გაიშლიდა თავის მშვენიერ თმას, მიყრიდა სამოსს სანაპიროზე და შიშველი ჩადიოდა ზღვაში. ამ დროს ფრინე ქალღმერთს ჰგავდა. ალბათ ზღვაში ამგვარი ღვთაებრივი შესვლის მომსწრე ვახდა დიდი ათენელი მოქანდაკე პრაქსიტელეც, რომელმაც ბერძნული ქანდაკების ისტორიაში პირველმა შექმნა სრულიად შიშველი ქალის სკულპტურა - ფრინე გამოაქანდაკა და მას ენიდოსელი აფროდიტე უწოდა. განა რაა მოულოდნელი იმაში, რომ ჰეტერა ფრინე სიყვარულის ქალღმერთ აფროდიტედ აქცია ხელოვნებამ? არც არაფერი, მით უფრო, რომ არც სხვა ხელოვნები დარჩენილან გულგრილნი ფრინეს მიმართ. მათ შორის იყო ანტიკურობის ერთ-ერთი უდიდესი მხატვარი აპელესი, კუნძულ კოსიდან.

ათენელის ცნობით, აპელესს ზღვიდან ამომავალი ფრინე რომ უხილავს, უფიქრია - ასე მხოლოდ ახალშობილი აფროდიტე შეიძლება ამოდიოდეს ზღვიდან და ეს ფიქრი გადაუტანია თავის ტილოზეც, რომელსაც „აფროდიტე ანადიომენე“

ანუ „ზღვიდან ამომავალი აფროდიტე“ ჰქვია. ჩვენ ამ ნახატს ვერასდროს ვიხილავთ, მაგრამ შეგვიძლია ვენდოთ პლინიუსსა და ათენელს და მის დიდებულება დავიჯეროთ. სხვა გზა, სინამდვილეში, არც გვაქვს, ვინაიდან ერთხელ მინც ლეგინახავთ ბოტიჩელის „ვენერას დაბადება“ ანტიკიანის „ზღვიდან ამომავალი ვენერა“, უკვე იფიქრათ მასშტაბის დიდებულებასთან გვექნებოდა საქმე აპელესის ტილოზე. დიახ, ეს ნახატები, ისევე როგორც ზღვიდან ამომავალი აფროდიტეს სოფეტის შემცველ ტილოთა უმრავლესობა, სწორედ აპელესის ნახატი, უფრო ღრმად კი - ზღვის ხილრმიდან ამომავალი თუ შემავალი ფრინეს წარწერასახვითაა განმსჭვალული. თქვენ წარმოიდგინეთ ამ ნახატებზე ასახული ნიჟარაც არაა შემთხვევითი - ჯერ კიდევ ანტიკურ ხელოვნებაში ქალი ვულვის სიმბოლიკა დაჰყვებოდა ამ მშვენიერ ზღვიურ ქმნილებას. და აქ ისიც უნდა ვახსენოთ, რომ ფრინეს ერთი დიდებული ოქროს ქანდაკება - პრაქსიტელეს მიერ შექმნილი, ცხადია - თვით აპოლონის წმინდა მინაზე, დელფოში იდგა მთელი თავისი დიდებულებით.

ფრინეზე ბევრი ამბავი ვიცით და ამ ამბებს ანტიკური წყაროები გვამცნობენ. მათგან ერთ-ერთი ყველაზე დასამაზსოვრებელი ფრინეს სასამართლოს სცენაა. როგორც ფსევდო-პლუტარქე გვიამბობს, ფრინეს არეოპაგის წინაშე წარდგომა მოუწია. ბრალდება კი „ასეუბია“ ანუ მკრეხელობათა მომცველი ურწმუნოება, უდემთობა თუ რალაც ეგეთი იყო. პატივს არ სცემს ჩვენს ღმერთებს, წინაპრებს, ტრადიციებს, მოკლედ, ბერძნობას გვართმევსო - ძველ ათენშიც ამბობდნენ ხოლმე ჩვენთვის ესოდენ მშობლიურ ფრინეებს.

ფრინეს სასამართლოში მისი ერთ-ერთი სატროფო - ათენელი რიტორი ჰიპერეიდესი იცავდა სასამართლოზე საქმე ცუდად მიდიოდა - ველარაფერი დაიხსნიდა ფრინეს სასჯელისგან, თვით კარგი ორატორის მჭევრმეტყველებაც კი. და თუ არ იცით, რამ შეიძლება ვადაგარჩინოთ მამის, როცა თვით ბერძნული სიტყვებიც კი უძლურია, ეს ამბავი გაიხსენეთ:

ჰიპერეიდესმა, რომლის მჭევრმეტყველებაც სასამართლოზე დამარცხდა, ისევე ფრინეს სილამაზით გაიმარჯვა. უეცრად ფრინეს სამოსი შემოაცალა და არეოპაგის წევრების წინაშე სრულიად შიშველი დატოვა. და სასამართლომ ფრინე გამართლა.

რატომ? იმიტომ, რომ სილამაზე ნიჭია ან უფრო მაღლი, რომელიც ასე თავისით არ ეძლევა ადამიანებს. მათში რომელიმე ღმერთის ხელი აუყოლებლად ურევია. ამის ბერძნებსაც სწამდათ და მაც მწამს. ამიტომაც, ფრინეს მშვენიერებით დატყვევებულმა მსახულებმა იფიქრეს - ეს აფროდიტეს რჩეულია, სხვაგვარად ასეთი სილამაზე შეუძლებელიაო. და იმისათვის, რომ მშვენიერი ჰეტერას დასჯით ქალღმერთის რისხვა არ გა-



მოწინააღმდეგებ, ფრინეს ყოველგვარი სასჯელი მოუხსნეს. აი, ასეთ სასწაულებს სჩადის ხოლმე სილამაზე, კი ბატონო - ცურუნმენაც.

ფრინესა და სილამაზეზე საუბარი ძალიან შორს წავიყვანს, ამიტომ მოდი, აქვე ვალიაოთ, რომ ჰეტერები უბრალო ქალები არ იყვნენ. ისინი იმაზე უფრო მაგარო ქალები იყვნენ, ვიდრე მათ საყვარლებს წარმოედგინათ და ვიდრე ჩვენ წარმოედგინათ.

ამიტომაც, დიდება მათ - ჰეტერებს!
თუმცაღა ძველ საბერძნეთში, ისევე როგორც სხვა ძველ ცივილიზაციებში, არსებობდა მეძავეთა კიდევ ერთი კატეგორია. მაგრამ, აბა, ამათ კატეგორია რანაირად უნდა უნდოდო, როცა ისინი, არც მთი, არც ნაკლები - ღვთისმსახურები იყვნენ. პო, ცხადია, ახლა შეგიძლიათ გაიხსენოთ „დეკამერონები“ და არანაკლებ ცოცხალი ამბები ჩვენთანავედროვე ღვთისმსახურთა ცხოვრებიდან, მაგრამ ძალიან გთხოვთ, არაფერი შეგეშალოთ! ის ქალები, ანტიკურობიდან, ნამდვილად იყვნენ ღვთისმსახურები და საკუთარ სხეულსაც ღვთისმსახურების მოტივით ყიდდნენ. მერე ამ ფულით ტაძრებს ამკობდნენ. ისე, ამ მხრივ, ტრადიცია დიდად არც შეცვლილა ანტიკურობის მერე, უბრალოდ ღმერთის სახელით სიძვა უფრო ოკულტურად მასშტაბური გახდა.

ამ ქალებს „ჰიეროდულები“ ანუ წმინდა თუ სწმინდის მონები ერქვათ. დღეს ეს სიტყვა ბერძნულში, ძირითადად, მეძავის მნიშვნელობით გამოიყენება. არავითარი წმინდა! ხანდახან სიტყვებიც კარგავენ ხოლმე სწმინდეს.

სხვათა შორის, ძველად მთელ რიგ ქვეყნებში კაცთა ქურუმებიც ადგებოდნენ იმავე გზას. მაგრამ მაინც რა ხდებოდა ძველ საბერძნეთში?

რა ხდებოდა და მამები (არ მოგეჩვენათ - მამები!) საგანგებოდ აგზავნიდნენ თავიანთ ქალიშვილებს აფროდიტეს ტაძარში, რათა ქალწულობა ეინმე უცხო სთვის მიეზარებინათ, ცხადია, ქალღმერთის მეთვალყურეობის პირობებში. აი, ეს დიდი საქმე იყო! როგორც წყაროები გვამცნობენ, ჩამოსხდებოდნენ აფროდიტეს წმინდა მეძავეები ტაძრის წინ და ელოდნენ მას, ვინც რამდენილაცა დრაქმის სანაცვლოდ შიგ აფროდიტეს ტაძარში მიეცემოდა სიყვარულს ქალღმერთის ქურუმთან. აი, ასეთი დიდებული ღვთისმსახურება იცოდნენ ძველ საბერძნეთში!

ცხადია, იმასაც ამბობენ, რომ ამ ტაძრებში ქალებს დასჯის მიზნით განაწესებდნენ ხოლმე. არ უცი, რომელია მართალი, მაგრამ ჰეროდოტეს ერთი ცნობა კი წამიკითხავს, რომელშიც ამ წმინდა მეძავეებზე გაგულისებული ისტორიოგრაფი გვამცნობს - კორინთოში მდებარე აფროდიტეს დიდებული ტაძრის მეძავეთა ქცევა მთლად სახარბიულო ვერ არისო. აბა, რა საქციელია - ჩამოდგებიან ეს ურცხვები გამჭვირვალე კაბით, მთელი პიშვილი სილამაზე რომ მოუჩანთ ისე და საწყალ მუზღავურ, ვაჭარ და ათასი სხვა პროფესიის კა-

ცებს თავგზას უზნევენო. ოჰ, ეს წმინდა მეძავეები, ცოტანი მაინც იყვნენ - მთელი 1000 წმინდა მეძავე იღვწის კორინთოს აფროდიტეს ტაძარშიო.

მე არ ვიცი, რომელმა წმინდა მეძავემა გაანაწყნა ჰეროდოტე, ასე გაბრაზებით რომ წერს მათზე, მაგრამ ერთი ვიცი - წმინდა მეძავეების პრაქტიკა მხოლოდ ბერძნული ფენომენი არ არის. მსგავსი ტაძრები ბაბილონშიც მრავლად ჰქონიათ, ეგვიპტეშიც და, თქვენ წარმოიდგინეთ - ჩვენს სამეზობლოში, სომხეთშიც კი. იშთარისა და ანაჰიტის ქურუმი ქალებიც ზუსტად ეგვე იქცეოდნენ თურმე, როგორც აფროდიტეს წმინდა მეძავეები.

ყველაზე ამაღელვებელი კი ამ ამბავში ისაა, რომ გარდა აფროდიტეს მსახურების სახელით სიძვისა, წმინდა მეძავეებს სხვა პრივილეგიაც ჰქონდათ - ისინი მალალ სოციალურ საფეხურზე იდგნენ. ასე კეკლუცად მოიხდიდნენ თავიანთ ვალს აფროდიტესთან, გაერთობოდნენ, გაილაღებდნენ, ამ გზით განიწმინდებოდნენ, მერე კი რომელიმე კეთილშობილ ათენელს ან სპარტელს, ან, რა ვიცი, კორინთელს გაჰყვებოდნენ ცოლად და კაი მეოჯახე ქალების სახელსაც თავისუფლად მოიპოვებდნენ ხოლმე. მოკლედ, თუ ჰეტერას ცოლად მოყვანა შეუძლებელი ამბავიც კი იყო, ამ ქურუმ მეძავეებს არავინ იწუნებდა, პირიქით - ერთი ამბავი ჰქონდათ სასიძობეს მათ გამო. აბა, ღმერთის სახელით ჩადენილი სიძვა ბოზობა ჰო ვერ იქნება, არა? სიძვა კი არა, ეგ არის ვაცსხივოსნება, განწმენდა, გაფურჩქნა და, რა ვიცი, კიდევ რა! მოკლედ, აი ეს სექსქურუმები ყოფილან, ვინც ყოფილან და ამიტომაც, ისევე დიდება მათ - წმინდა მეძავეებს!

ფილის ქუჩაზე სამი რამ რომ უნდა ნახოთ, ხომ გახსოვთ? აი, იქ - ფანრებიან შესასვლელებს მიღმა რა ხდება, მე არ ვიცი, მაგრამ მანდედან, როგორც წესი, ყოველდღე გამოდიან ხოლმე გოგოები. რთულია მათი გამოსვლის წუთის მოხელთება, თუმცა როცა ფილის ქუჩაზე ცხოვრობ და ყოველდღე ვინევს ამ ფანრებთან ავლა-ჩავლა, ერთხელ აუცილებლად დაგინებართება ასეთი რამ:

- ჰეი, როგორ ხარ? - გეკითხება შემთხვევით უზნის მალაზიაში გაცნობილი ახალგაზრდა, ლამაზი ქალი, რომელიც ერთ-ერთი ფანრიანი შესასვლელიდან გამოდის.


- კარგად, შენ როგორ ხარ? - კითხვითვე უბრუნებ.

- მეე? ჰჰჰჰ, - ჩაიცინებს და თვალებში სევდა, სახეზე დანანება და ირონიანარევი სიხარული ედება, - მეეე? მე - ქალღმერთით!

და შენ უკვე იცი, რომ ფილის ქუჩის წმინდა მეძავეები ზუსტად ისე უხერხულად აქანავებენ მზერას ამ შეკითხვაზე, როგორც შენ - გამოცდის დროს, როცა ლექტორი იმას გეკითხება, რაზედაც უამრავი პასუხი გაქვს, მაგრამ არცერთი მათგანი არ არის სწორი.

ნანა ტოხვაძე

კოსტას მონტისი - ისტორია, მეხსიერება, ანემო



მეამბოხე კვიპროსელი პოეტის, კოსტას მონტისისთვის მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში მშობლიურ კუნძულზე განვითარებული ისტორიულ-პოლიტიკური მოვლენები შემოქმედებითი მოღვაწეობის განმსაზღვრელ ფაქტორად იქცა. მან ჯერ კიდევ მონაფეოებისას მიიღო მონაწილეობა ინგლისელ კოლონიზატორთა წინააღმდეგ მიმართულ 1931 წლის „ოქტომბრის“ აჯანყებაში. მოგვიანებით კი „კვიპროსელ მებრძოლთა ეროვნული ორგანიზაციის“ (E.O.K.A.) პოლიტიკური მრჩეველიც (კოორდინატორი) გახდა ნიქოზიის ოლქში. ამ ორგანიზაციის ძალისხმევითა და თაოსნობით 1955-1959 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომი ინგლისელ კოლონიზატორთა წინააღმდეგ წაწილობრივი წარმატებით დასრულდა, მაგრამ საბერძნეთთან

„გაერთიანების“ ოცნება ოცნებად დარჩა. პოეტმა მთელი ცხოვრება მიუძღვნა თავისი ხალხის სამახურს, გაუმხაურებელი არ დარჩენია არც ერთი მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტი, რომელიც შეეხებოდა იმ უპოქას, რომლის ფერხულშიც იდგა მონტისი. როგორც ირკვევა, აქტიური საზოგადოებრივი და პოლიტიკური ბრძოლის ავანგარდში ყოფნამ განსაზღვრა კიდევ მისი შემოქმედების ორიგინალობა. პოეტი დროის უქონლობით ხსნას მისი ლექსების სრულიად ინდივიდუალურ სტილის, რომელიც დროთა განმავლობაში „ნუთების“ პოეზიად იქცა.

კოსტას მონტისის შემოქმედებას განსაკუთრებული დაღი დაასვა 1974 წლის თურქთა შემოჭრითა და კუნძულის ოკუპაციით გამოწვეულმა ტრაგედი-

ამ, რომლის თემატიკაც ფართოდ გაიშალა კრიტიკოსთა მიერ მონტისის შემოქმედების მწვერვალად აღიარებულ დედისადმი წერილებსა და „წუთების“ პოეზიაში, რომელიც „გაერთიანების“ იდეისა და ოკუპაციით გამოწვეული ტრავმების მუდმივ ჭიდილს ეძღვნება. მისი ლექსების მაგალითზე შეგვიძლია თამამად ვიმსჯელოთ მხატვრული ტექსტის როლსა და მნიშვნელობაზე ისტორიული სინამდვილის დადგენისას, რადგან მისი პოეზია გამოირჩევა რეპრეზენტატულობის მაღალი ხარისხით კუნძულ კვიპროსზე XX საუკუნის მეორე ნახევარში მიმდინარე პოლიტიკურ-საზოგადოებრივი პროცესების აღწერისას. საინტერესოა, თუ რა ხერხებს მიმართავს თავად მონტისი ქვეყნის ცხოვრებაში აქტუალური პრობლემების წარმოსაჩენად და რა მხატვრულ-ტექნიკური საშუალებებით აღწევს საზოგადოებაში ეროვნული იდენტობისა და კოლექტიური მესხიერების ფორმირებას, წარსულის სოციალური სახის გაანალიზებას თუ ისტორიული „მეცდომების“ ანმყოფ ზეგავლენის ხაზგასმას, რაც, ნებისთუ უნებლიედ, აქცევს მის შემოქმედებას ისტორიულ პირველწყაროდ. თუ თავად მონტისს დავეყრითებით, ისტორიისადმი მისი განწყობის გათვალისწინებით, რჩება შთაბეჭდილება, რომ მისთვის ისტორიის სამსახურში ყოფნა იმდენად შეუძლებელია, რომ აცხადებს: „მე არ ვიზრუნებ ისტორიის, ღვთის გულისათვის!“ თუმცა არ უარყოფს, რომ მთელი თავისი ცნობიერი არსებობა დაუთმო სწორედ საინააღმდეგოს მტკიცებას და შემოქმედის ძირითად ფუნქციად განსაზღვრა ხელოვანის ისტორიულ ქართველურ აქტიური ჩართულობა. კოსტას მონტისის თითქმის მთელ შემოქმედებაში გამოვლილი კვიპროსის თანამედროვე ისტორიის კომპლექსური სურათი. მის ლექსებში ცოცხლდება ისტორიული პერსონაჟები, მოვლენები, ისტორიულ-პოლიტიკური ფაქტები ინსპირირებული სიუჟეტების სიმრავლე, რაც უფრო გასაგებს ხდის ოკუპაციის სიმწვავეს. ამ ცვლილებათა ადეკვატურად იცვლება პოეტის მიდგომები, განწყობები და მოლოდინები ისტორიული რეალობის მიმართ. მისი ლექსები დოკუმენტური სიზუსტით აღწერს თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემებს და ამიტომაც ვუნოდებთ მის შემოქმედებას „მესხიერების პოეტურ ხმას“ (მიხალის პიერისი).

ცხადია, სამყაროს უკეთესობისკენ შეცვლაა ლიტერატურის უმთავრესი მისია და კაცობრიობის, ქვეყნისა და კუნძულის ბედ-იღბალზე ზრუნვისას პოეტი ნაკლებად უთმობს პოზიციებს ისტორიის ანუ, ციკლონის შეფასებით, „ცხოვრების მასწავლებელს“. რადგან ამ სამყაროს „წინასწარ განსაზღვრულობის ჩარჩოებშიც“ კი პოეტები მარადიულ შემოცნებებად გვევლინებიან და არ ნებდებიან დროის წარმავლობას. საინტერესოა, აქვე დავიხსენოთ კოსტას მონტისის შეფასება მისი ერთ-ერთი ინტერვიუდან: „რა თქმა უნდა, ვიცნობთ სამყაროს უკეთესობისკენ შეცვლაზე, მაგრამ არ ვარ დაწინაურებული, რომ მას მივიღებთ. სწორედ ამის-კენ ისწრაფვის პოეზია და ეს მიზანი ამოძრავებს“.

წუთები

- სულ მთლად ამოა ეს ბრძოლები.
 - ვიცო. ამიტომაც ჩავერეი.
- სწორედ ამიტომ ჩავერეი.

უნდა აღინიშნოს, რომ გარდა თეორიული ჰიპოთეზებისა, მონტისის მხიდან კვიპროსის თანამედროვე ისტორიის შესაცვლელად ჩარევას აქვს მყარი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზები. ამასვე კარნახობს პოეტს მდიდარი ანტიკური ტრადიცია. ფილოსოფიის მწვერვალად, ძველი დროის უდიდეს მოაზროვნედ აღიარებული არისტოტელესგან, რომელმაც რამდენიმე მეცნიერებას დაუდო საფუძველი, პირველ სისტემატიზებულ ტრაქტატში „პოეტური ხელოვნების (პოეტიკის) შესახებ“, მეცხრე თავში დასმულია პოეტისა და ისტორიკოსის როლების დაპირისპირების საკითხი, სადაც პოეტი აშკარა უპირატესობით სარგებლობს; ვინაიდან ისტორიკოსი აღწერს იმას, რაც მოხდა, ხოლო პოეტი იმასაც კი, რაც შეიძლება მომხდარიყო, „ამის გამო პოეზია უფრო ფილოსოფიურია და უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ისტორია. პოეზიას უფრო მეტად მხედველობაში აქვს ზოგადი“. ამასთანავე, სინამდვილის პოეტური წარმოსახვის თავისებურება ასახვის, ბაძვისა და შემოქმედების ცნობიერ პროცესში მდგომარეობს, რაც თავისი მხატვრულობით უფრო გასაგებს, მიმზიდველს ხდის სინამდვილეს და ადამიანთა სულიერ ამაღლებას, ტკობას იწვევს. „აქედან ცხადია, რომ საჭიროა პოეტი იყოს უფრო მეტად ამბის შემთხვევი, ვიდრე ლექსისა, რამდენადაც იგი ასახვის გამო არის პოეტი, ხოლო ასახავს იგი მოქმედებას“. მონტისის შემოქმედება, მთლიანობაში, ისტორიის აღქმისა და რეპრეზენტაციის კუთხით, იძლევა გონივრული ვარაუდის საფუძველს, რომ მისი პოეზია სხვა არაფერია, თუ არა პოეტური ხერხებით წარსულის გამოცდილებათა პარალელური ინტერპრეტაციის მცდელობა ისტორიული ანმყოფ შესაცვლელად.

ისტორიული მესხიერების ჩამოყალიბება არ არის მხოლოდ ისტორიკოსთა საქმი, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ხელოვნების სხვადასხვა დარგები; მედია, მხატვრული შემოქმედება. ისტორია არ „ეკუთვნის“ მხოლოდ და უპირატესად ისტორიკოსებს. ძნელია იმის თქმა, რამდენად იცნობდა მონტისი ანალიზის ფარგული სკოლის წარმომადგენელთა შრომებს, მაგრამ ერთი კი ფაქტია, იგი ბოლომდე იზიარებს და პრაქტიკაში განახორციელებს მათ ნააზრევს. მისთვის ისტორია საინტერესო დასანახია არა „რეზოდან ქვემოთ“, არამედ „ქვემოთდან დანახული“ ნეალობა, ისტორიულ პროცესებში რიგითი ადამიანების ცხოვრებაზე დაკვირვება და ოკუპაციის პრობლემის პოეტური ინტერპრეტაცია გვაგვრძნობს ისტორიის მაჯის-ცემას. ალბათ, ამიტომაც გვიცხადებს მონტისი დაჟინებით, რომ „ისტორიას არ წერენ ისტორიკოსები. ისტორიას მწერლები წერენ. მათგან ათავსებ სიმართლეს“.

| არისტოტელე, პოეტიკა, წინასიტყვაობა, თარგმანი და კომენტარები პროფ. ს. დანელიას, თბილისი, 1944.



ამგვარი გამომწვევი სითამამე და ისტორიის კანონზომიერების ეჭვქვეშ დაყენება კიდევ უფრო წარმოაჩენს ამ „შემანუხებელი“, ერეტიკოსი პოეტის (მიხალის პიერისი) განსხვავებულ სახეს. იგი აცნობიერებს, რომ არ არსებობს სინამდვილის ავთენტური გადმოცემა და ისტორიული ნარატივი სხვა არაფერია, თუ არა სხვადასხვა ტექნიკურ საშუალებებზე მორგებული იდეოლოგიური შეფუთვა ამა თუ იმ აღმსუსხველ-დამკვირვებლის მიერ, სადაც სუბიექტურ მიდგომებს ვერაფერს გაეცევა. ამრიგად, თუ ამგვარი ჭეშმარიტება ვრცელდება ხელოვანებზე, მწერალთა და პოეტთა მიერ დანახული სინამდვილეც უდავოდ სუბიექტურობის ჩარჩოებში მოექცევა და მესხიერების ერთგვარ რეპრეზენტაციას წარმოადგენს. ოღონდ განსხვავება ისაა, რომ მათ „საკუთარ ტყავზე“ გამოცადეს მოვლენათა სიმწვავე და პოეტის ნაზრები ერთგვარი „კრებითი განწყობების“, სოციალური ტენდენციების გამოშვურების ან, სულაც, ეროვნული ინტერესების წარმოჩენის მცდელობაა, რაც ისტორიისთვის, როგორც ფაქტი, ნაკლებ საინტერესოა. იქნებ მონტისის ანტიისტორიული, ფილოსოფიური მიდგომა ობიექტური სინამდვილის გასააზრებლად მხოლოდ სურვილია, წინა პლანზე წამოწიოს მწერლობის როლი ისტორიის ფუნქციის დაკნინების ხარჯზე. უფრო მეტიც, მონტისის პოეზიაში ხშირად ვხვდებით ისტორიასთან „შეჯახებას“ და ეს პაექრობა კიდევ უფრო მწვავდება პოეზიის მისიის ზეალმატებულ ხარისხში წარმოჩენის ფონზე. იგი გამუდმებით ეჭვქვეშ აყენებს მეცნიერების ამ დარგის ავტორიტეტულობის, სანდოობისა და ობიექტურობის საკითხს. პოეტი ხშირად ეწინააღმდეგება და უპირისპირდება კიდევ ისტორიას, სარკასტულ დამოკიდებულებას ავლენს მის „შემოქმედთა“, ისტორიკოსთა მიმართ. ვფიქრობთ, მსჯელობის მეტი სიზუსტისათვის უპრიანია, პირველ რიგში, ვაგაცნოთ კოსტას მონტისის მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოზიცია და ის „წუთები“, სადაც პოეტი ისტორიისადმი დამოკიდებულებას ცხადზე ცხადად წარმოაჩენს:

* * *

ერთი დამიხედეთ, ისტორიაო!

* * *

და უდავოდ არის
მალაფარდოვანი ისტორია,
ეს წარსულით
იაფფასიანი მოვაჭრე.

* * *

და ისტორიაც თავისი დამაჯერებლობით,
და ისტორიაც თავისი „მწერლებით“,
და ისტორიაც თავისი ანგარებიანი მესაფლავებით.

და ისტორიაც თავისი მლიქვნელებით,
თავისი მატყუარებით?

ისტორია

ელოდება მივუთითოთ,
მოუმარჯვებია კალამი და იცდის.

ისტორია

დანყველილი წუთი,
როცა გადაშალე შენი დავთრები
რომ ჩაგენრა პირველი მოვლენა!

ფიქრები ისტორიაზე

შეუტიეთ, მეგობრებო,
დანერეთ მისი ისტორია
ვნახოთ ერთი, როგორ მოეწონება!

პოეტი მოუხმობს მსოფლიო ისტორიას, რათა იცხოვროს ანმყოში. იგი არწმუნებს მკითხველს, რომ ისტორიის რეპრეზენტაცია სწორედ რომ შემოქმედის ვალია, რათა ისტორიულ ანალოგიას მოხმობით თავიდან ააცილოს საზოგადოებას წარსული შეცდომების გამეორება და ამ კუთხით წარმართოს მისი მესხიერება. ანმყო წარსულის ლოკურ გაგრძელებად განიხილება, მაგრამ პოეტი ცდილობს მზერა მიმართოს დღევანდელობისთვის ისტორიიდან, რადგან წარსულის აღქმისას მისთვის მნიშვნელოვანია რას იმახსოვრებენ არა ინდივიდები, არამედ ერთობები, კონკრეტულ შემთხვევათა კვიპროსელი ხალხი. „ჩემი შემოქმედება მოჭარბებულად კვიპროსული ხასიათისა, სწვდება ზოგადსაკაცობრიო პრობლემატიკას, რაც მეტწილად კვიპროსული შთაგონების გამოძახილია. მინდა ვთქვა, რომ ამ კუნძულს მტრებმა თუ მოკეთებმა თავადატყვეს იმდენი განსაცდელი, რომ მათი თვალს გადავლებით, იმავდროულად, ჩვენ თვალწინ იმდენა მთელი მსოფლიოს პრობლემატიკა. ამდენად კვიპროსი თვალსაჩინო და ხელმისაწვდომი მაგალითია სამჭაროს ვრცელი ბიბლიოგრაფიიდან“.

კოსტას მონტისი

ახალბერძნულიდან თარგმნა ნანა ტხვავაძე



ისტორია

გავათავებდეთ და უბრალოდ კი აღარ ინიშნავს, ავითავებდეთ და ერევა.

* * *

განსხვავება იმაშია, რომ თუ თავს არ დახრი, ვერ შეძლებ წერას.

* * *

და უდაოდ არის მაღალფარდოვანი ისტორია, ეს წარსულით დაუფასიანი მოვაჭრე.

* * *

და ისტორიაც თავისი დამაჯერებლობით, და ისტორიაც თავისი „მწერლებით“, და ისტორიაც თავისი ანგარებიანი მესაფლავეებით. და ისტორიაც თავისი პირფერებით, თავისი მოტყუებულებით?

ისტორია

ელოდება ვუკარნახოთ, მოუმარჯვებია კალამი და იცდის.

ისტორია

დაწყველილი წუთი, როცა გადაშალე შენი დავთრები რომ ჩაგენერა პირველი მოვლენა!

ფიქრები ისტორიაზე

შეუტიეთ, მეგობრებო, დაწერეთ მისი ისტორია ენახოთ ერთი, როგორ მოეწონება!

პოეტები

როცა ისინი ჩუმდებიან, იკავენს ნაბიჯს გაზაფხული. როცა ისინი ჩუმდებიან, ცხოვრება გეგმებს გადახედავს ხოლმე და ითხოვს სხვა ინსტრუქციებს.

პოეზია

როცა ყველაფერი დაბლა იყურება, ის ცას შესცქერის.

პოეზია და ადამიანი

ბოლო წუთს, როცა ტოვებდა სამოთხეს, შეებრაღა ღმერთს და დაუძახა: - მისმინე, ეს თან წაიღე.

პოეზიის შესახებ

ასე წუ უყურებ, ზემოთ სამეზობლოდან არის, ის მაღლა სამეზობლოდანაა, შენ არ იცნობ.

პოეზიის სიმამაცე

სიმამაცე ჭირდება პოეზიას, სხვა სიმამაცე, თავისებური.



პოეზია

ვერ ეგუება „ვარიაციებს“,
ვერ ეგუება „დამუშავებას“, „გადაკეთებას“
რაც თქვა და როგორც თქვა, სწორედ ისეა.

პოეტები

ჩვენც გვაქვს ჩვენი წყაროები,
ჩვენც გვაქვს ჩვენი, საკუთარი წყაროები,
გამორჩეული კრიპტოგრამები
სხვა მხრიდან.

* * *

ეს როგორ, ჩემო კარგო?
მე ვიცი, რომ პოეტები არ ექვემდებარებიან
მითითებებს,
მე ვიცი, რომ პოეტები არ ემორჩილებიან.

პოეზიის შესახებ

ყველაფერში ვამართლებ.
აქვს წარმომავლობა, უფლება აქვს.
სხვაგვარად როგორ?

* * *

თქვენი წარსული ჩემი ნაოჭებია, გეთაყვა,
თითო-თითო, მწყობრად დალაგებული თქვენი
წარსული!

* * *

იტირე საკმარისად, რამდენიც უნდა გეტირა?
გეტყვინა საკმარისად, რამდენიც უნდა გტკენოდა?

* * *

ღრმა პატივისცემის მიუხედავად,
უფრო სერიოზული საკითხებიც გვაქვს,
ვიდრე აკროპოლისია.

* * *

რაც უნდა იყოს აკროპოლისი,
იცოდეს, რომ ჩვენს ზურგს ეყრდნობა.

წინაპრები

ბოლოსდაბოლოს რატომ?
გვკითხეს, ვიდრე შექმნიდნენ „ისტორიას“,
გვკითხეს ვიდრე გვიანდერძებდნენ?

* * *

ოჰ, ეს წინაპართა ღირსებების მავთულხლართები,
წინაპართა ისტორიის ეს მავთულხლართები!

გმირთა ძეგლებზე

მეშინია მთავარი განზრახვის,
მეშინია, რომ უბრალოდ
ნავაქეზებთ სხვებსაც ჩაიხოცონ.

დროშები

როგორ შეთანხმდნენ ასე ერთხმად,
როგორ შეთანხმდნენ ყველანი ერთხმად.
რა ღრმა აზრი დევს ერთ ოთხკუთხა ნაჭერში,
რა აზრი დევს ერთ ოთხკუთხა ნაჭერში, რომელიც
ფრიალებს?

დროშები

ჩააწყო მწკრივში ყველა და სიკვდილით დასაჯო!
აი, ეს უნდა ქნა!

* * *

არ არსებობს „კი“ და „არა“,
ყველაფერი ერთი დაწყვეტილი წრეა,
გადაჯაჭვული
და მე ტყუილად ვმასხარავდები.

* * *

მთელი დედამიწა სხვა არაფერია, თუ არა ნრული
თეატრი
სულ ციციქნა მბრუნავი თეატრი,
რომელსაც თვალს ადევნებენ სხვები ბინოკლით
და იცინიან
საუბედუროდ ისტორია არ ერევა, რომ ხელი
შეუშალოს
საუბედუროდ ისტორიას არ აინტერესებს, რომ
ხელი შეუშალოს
პირიქით, მისი ლუკმა-პური ჩვენს შეცდომებზე
კიდა.

ისტორია

პირველივე ბიძგისას წამოფრინდება:
- მზად ვარ!

ისტორია

უძველესი ლითონის ჟანგივით,
როცა უფრო დაოსტატებულნი ვბრუნდებით,
კვლავაც ბოროტად გვიყენებს.

თავისუფლება

ბევრი უძილობა, სიფხიზლე ჭირდება თავისუფლებას,
მეგობრებო
წამითაც ზრ მოაშორეთ თვალი. ნუ შეისვენებთ.

* * *

არ გამოგვიჭიროს ძილის დროს ისტორიამ,
იმ დროს, როცა წერს.



1955-1959

ეს მაშინ იყო, როცა ჩვენს მუშტის კვრას მიბაძა თავისუფლებამ,
ეს იყო მაშინ, როცა თავისუფლებამ გაიმეორა ჩვენი მჯილის ცემა,
ეს მაშინ იყო, როცა გააერთიანა ჩვენი მუშტის კვრა თავისუფლებამ.

კვიპროსული აჯანყება

და უცებ მხარზე ხელი დაგვკრა თავისუფლებამ,
როგორც ქუჩაში შეხვედრილმა ძველმა თანაკლასელმა.

* * *

ნუტავ რამდენი დაცემა დაგვრჩა მწვერვალამდე?

მოგონებები

როგორ მშვენივრად, რაც უფრო შორდებით
როგორ შორდებით, რაც უფრო მშვენივრად.

მოგონებები

ხანდახან ვფიქრობ,
იქნებ თავგზა აებნათ
და გვახსენებენ ისეთ ფაქტებს, რაც არ გვიცხოვრია?

კვიპროსი

დაეკარგეთ სახაზავი,
რომელიც გვიჩვენებდა სწორ ხაზებს.

ათას ცხრაას სამოცდაოთხი

მტრებით გაჯერებული ჰაერი
მტრებით გაჯერებული ზღვა.

ეპიგრამა

და საბერძნეთი უკანასკნელი ბუჩქი უფსკრულთან,
რომ მოეჭიდოს თავისუფლებას.

მეხსიერება და დავინყება

საუბედუროდ მათ ხელში ვართ.
ახლა, უკვე კარგად ვიცით, საიდან იღებს
წყაროებს ისტორია.

ან უკვე

რამდენ მრავალმარცვლიან, ვრცელ ისტორიას იტყვის
ეს კლდესავით ერთმარცვლიანი „ან“.

* * *

ისტორია კი არა, ჩემო კარგო,
მეტივით უღმობელია, გველგესლაა,
ვაი, იმას ვინც კუდზე ფეხს დაადგამს.

გაერთიანება

ბევრი გამოუყენებლობით დაგვაგინყდა, როგორ
ინერება

და იშვიათად ვხედავთ ზოგჯერ
შეცდომით მინერილს ლეგკოსისის შარაზე
ძველი, დიდებული ომელას გარეშე,
რომელიც ჩია ომიკრონით ჩანაცვლდა.

გაერთიანება

რომ იცოდე, როგორ შემაჩოჩქოლე
დღეს, როცა დაგინახე უცაბედად,
ამდენი წლის შემდეგ, ნიქოზიის ძველ, ღარიბულ
სახლს

კედელზე მინერილი.
რომ იცოდე, რა მოგონებები გამიღვიძე,
რომ იცოდე, რა მოგონებები აღმიბეჭდე.

კვიპროსი 1974-1976 წლებში

და რა მოხდება ახლა?
დავხიოთ ძველი რვეულები,
რომლებიც გადავსებულია შეფერადებული „გაერ-
თიანებით“.

დავხიოთ ძველი სასკოლო რვეულები,
რომლებიც გადავსებულია მორთული „გაერთი-
ანებით“

ჟასმინის, ლიმონის ყვავილებითა და ზიზილოე-
ბით.

დავხიოთ ჩვენი ბავშვების ძველი სახელმძღვანე-
ლოები

ბერძნული დროშებით,
გადავაგდოთ გიმნაზიის სამახსოვრო საყვარელი
ქუდი

„გაერთიანებით“ კანტად,
გადავყაროთ სახაზავი,
ჩანათა, ბურთი და ველოსიპედიც,
რომლებზეც ეწერა „გაერთიანება“?
მართლა, მითხარით, რა მოხდება ახლა?

* * *

დასანანია, რომ მართლები ვართ!

* * *

ვნახოთ, დროც თავისას იტყვის!

* * *

ნამოვაყენეთ წინადადება.
ამის იქით...

კრეტა და კვიპროსი

გარიყულო ბავშვებო, რომელნიც მიმოიფანტეთ
ქარაფშუტულად და რა ძვირად დაგიჯდათ?!

კვიპროსი 1968

არ შეგიძინევიათ, რომ ქანდაკებებმა სხვა მხარეს დაინყეს ყურება?

ჰიპნი თავისუფლებას - 1968, 1969, 1970

უკვე კარგად გვიცნობს, ამბობს თავისუფლება, და არ გვენდობა.

შევიცვლიო სახელს, ამბობს თავისუფლება, გააუქმებს თავის ქანდაკებებს, „მაცადეთ მშვიდად ყოფნა“, ამბობს, ბოლოს და ბოლოს ჩამომეხსენით, დამინდეთ რა იყო ეს? რა არის ეს“?

კვიპროსი 1970

დასახლებულია ეს კუნძული?

თავისუფლება ჩივის და ამბობს

ნუ ამბობთ, „თავისუფლებას უნდა ეს“ და „თავისუფლებას უნდა ის“. მე არაფერი მინდა. ხელს ნუ შემანშენდთ, ნუ ამკიდებთ თქვენს სისხლს.

* * *

მოსყიდული იყო ეს კედლები, რომ შეენახათ ეოკას ლოზუნგები? ნაშაღეთ ისინი, ღვთის გულისათვის!

* * *

არ უნდა დაეშვათ, რომ ასე შეგვეყვარებოდა ეს ქალაქი. არ უნდა მივეშვიო, ასე ძლიერ შევთავსებოდით ამ ქალაქს, რადგან სხვა მხარეს გვისტუმრებდნენ.

მეორე წერილი დედას (ფრაგმენტები)

დაგპირდი, რომ ისევ მოგწერ და აი, ისევ გწერ, დედა. არ ვიცი რამდენად დავგავიანე, რადგან ნებას აღარ ვრთავ მოვალეობებს წინ გადამიდგნენ და მიყურონ, თვალყური მადევრონ და დამაბეზლონ. ნებას აღარ ვრთავ უმნიშვნელო ტიკტაკს, რომ ითვლებოდეს გულისცემის გვერდით, რომ გადააჭარბონ გულისცემას, და რომ შემოიჭრან და რომ შემახსენონ და რომ იძალადონ და რომ იბატონონ.

ზოგადად, ვფიქრობ, დადგა დრო მოვიპოვო ადგილი, დედა

.....
რომ ვაქციეთ ჩვენიანებად უცხოები, რომ გავიხადეთ მსაჯულებად უცხოები, რომ დავრთეთ ნება, სათვალავში შედიოდნენ, რომ დავრთეთ ნება, გადააბიჯონ ჩვენს თავის ქალს, რომ დავრთეთ ნება, გადააბიჯონ ჩვენს გულს, რომ გავათავებდეთ, რომ ვასარგებლეთ და ბედავენ...

.....
დედა, გეუბნები და ნუ შეცბუნდები, რომ საჭიროა უსწრაფესად

დავუბრუნდეთ სანყის მიზეზებს, დედა გეუბნები, რომ იცოდა ღმერთმა ჩვენი ამბავი და დაგვიძალა, ისე, როგორც ბავშვებს ვუმალავთ სახიფათო ნივთებს, იცოდა ღმერთმა ჩვენი ამბავი და ასე ბრძნულად გადაძალა,

ასე ბრძნულად შეურია ქვაში,
ჩვენ კი სულელები ჩავერით და გამოვცალკევდით ქუდან.

ჩვენ კი სულელებმა ჩავანაცვლეთ მათი ძალა, დავშალეთ მათი ერთობა, გავათავისუფლეთ მათი დემონები და ვიკვებნიდით ჩვენს მიღწევას, ვტრიაბახობდით ჩვენი წარმატების გამო, ვინიშნავდით რა თარიღებსა და სახელებს ისტორიის სახელმძღვანელოებში და არც კი ვიკვლევდით - ან კი როდის ვიკვლევდით, და აქ არის მთავარი შეცდომა - ხომ არ იყო ნაადრევი ეს წარმატება,



და არც კი ვიკვლევდით
-ან კი როდის ვიკვლევდით,
და აქ არის მთავარი შეცდომა -
ოყავით კი მომნიშებელი ამ მიღწევისთვის,
ოყავით კი მომნიშებელი მისი შედეგებისთვის.
არ ვიცი, რამდენად დავაგვიანე მონერა, დედა.
თანაც ეს ხომ არ ითვლება წლებით,
ახლა ეს ტკივილით იზომება.

არც კი ვარ დარწმუნებული, დედა, რომ არ
გავიმეორებ იმას,
რაც რაღაც ხერხებით მოგიყევი წინა წერილში,
დედა, უკვე არც ისე იოლია გამოვაცალკო ისინი,
არაფრის გამოყოფა აღარაა იოლი, დედა.

.....
არაფერია იგივე, მათ შორის კერინის უცვლელი
მთებიც კი,

რომელსაც დღეს ხელით ეხები,
დღეს შენს სახლზეა მომდგარი საჩრდილობლად,

.....
და ხვალ აღარ არის,
დღესაა
და ხვალ არ იციან, არც გაუგონიათ,
რომელსაც დღეს სახელი აქვს,
ხვალ კი აღარ,
უკვე აპროტესტებენ გეოგრაფიული რუკები.

.....
არც კი ვარ დარწმუნებული, დედა,
რაც მოგიყევი წინა წერილში,
შეეხება კუნძულს და მე,
ან იქნებ გადაშორდა საზღვრებს.
თუმცა, ასეც და ისეც განასხვავებ ჩვენეულს,
ან კი რატომ განასხვავებ,
ან კი როგორ განასხვავებ,
მაშინ, როცა კუნძული აღარ ჰგავს კუნძულს,
მაშინ, როცა აგვირიეს საზღვრები,
მაშინ, როცა აგვირიეს მოსაზღვრე ზღვებმა,
მაშინ, როცა აგვირიეს მოსაზღვრეთა ინტერესებმა
და გვეუბნებიან „ასეც“ და „ისეც“,
და გვყრიან ჩვენს ოთახებში
თვალხილულად გაძვალტყავებული შავები.

.....
რატომ ვნერდით ამდენი წელი ლექსებს?
რას გვრავდით ამდენი წელი ჩვენი ლექსებით?
მივცეთ ნება, ახლა გამოჩნდეს უკეთესად,
ვიდრე ჩვენ ვნერდით.

.....
გპ, არა, დედა,
ვერ შევძლებთ, შევინარჩუნოთ მუდმივად
ისტინქტებითა და ქვეცნობიერით,
ვერ შევძლებთ შევინარჩუნოთ მუდმივად
შოლოდ „გარდაუვალი“.

.....
რადგან, დედა, ჩვენში დაირღვა ნყოფა,
რადგან ჩვენში დაირღვა წესრიგი,
რადგან კანონით წაიღეს ჩვენგან ყველაფერი,
მსჯელობენ,
ეჭვი შეაქვთ,
არ თანხმებიან,

.....
მეხსიერების ნაგროვებს ინვევენ, დედა,
დავინყებულები მეხსიერების ნაგროვებს, დედა.

.....
დედა, შეთქმულებას გვინყობენ დაუსრულებლად
აჯანყებები,
შეთქმულებას გვინყობენ დაუსრულებლად
ამბოხებები,
შეთქმულებას გვინყობენ დაუსრულებლად
მცდელობები.

.....
და ყველაზე უარესი ისაა, რომ არაფერი ხდება
ამის იქით,
ყველაზე უარესი ისაა, რომ ჩამყავდა აჯანყება
და როგორც იცი, უფრო საშიშია
დაჭაობებული რევოლუცია,
.....
რომელიც საგანგებოდ მოეწყო, რომ არ ჰქონოდა
წარმატება.

.....
დედა, ვგრძნობ, რომ ჩემმა წერილმა დაიწყო
დანაწევრება,
ვგრძნობ, რომ მთლიანობამ, რომელსაც მივალწიე,
დაიწყო დანაწევრება...

.....
და ვრცელდება შეტყობინება
და მოდიან სხვანი და სხვანი
და ეჭეჭებიან?
ვტოვებ მთლიანობას, დედა,
ვტოვებ ნყოფას, დედა,
ვტოვებ შედეგს,
ვინაიდან შეუძლებელია არსებობდეს შედეგი,
ასე, როგორც ახლა, ვსაუბრობ ყველას მაგიერ
და ახლა ჩემს მაგიერ,
ასე, როგორც ვარ ყველა
და ახლა, როცა ვარ მარტო,
ასე, როგორც გამოვცალკევდები სრულიად,
და ახლა, როცა ვუერთდები სრულიად.

.....
დედა, ყველაფერი ერთი მოჯადოებული წრეა,
დედა, ყველანი ერთ დაწყვეტილ წრეში
ვტრიალებთ,

.....
სამასხაროები.
ვსხედვართ მერხებთან და ჯერ კიდევ ვუსმენთ
მომხსენებლებს, რომლებიც იტყუებიან,
ვსხედვართ მერხებთან და ჯერ კიდევ ვუსმენთ
მომხსენებლებს, რომლებიც იტყუებიან,
რომლებმაც იციან, რომ ვიცით მათი ტყუილის
შესახებ.

.....
არსებობს, რა თქმა უნდა, მოსაზრება,
რომ არ აქვს დიდი მნიშვნელობა ამ ყველაფერს,
რადგან სხვა შესახებეთან ვიცდით.
მაგალითად, არის მოსაზრება, რომ ახლა, მოხდება
რევოლუცია,

.....
და ხდება რევოლუცია,
და არაფერი იცვლება.

.....
დედა, გვითხრეს, რომ არა ვართ ინფორმირებულნი,
დედა, გვითხრეს, რომ კარგად არ გვახსოვს,



გვითხრეს, რომ გულმავინეები ვართ,
გულმავინეები წარსულის,
გულმავინეები ანმყოსა
და მომავლის.

.....
თითქოს ვაგრძელებთ საუბარს, რალაც ენაზე,
ისეთზე, რომელიც ვერ უნდა გაგვეგო,
თითქოს აღარც ვსაუბრობდით ბერძნულად,
რომ მოხსნილიყო პასუხისმგებლობა,
სიტყვა ვალდებულება.

.....
ყველაფერი მიუღებელია, დედა,
სამწუხაროდ, ეს კუნძული განსაკუთრებით
მიუღებელია,
სამწუხაროდ, ეს კუნძული განსაკუთრებით
საყვარელია, დედა.

.....
შენ გიხმობ, დედა,

.....
შენ უნდა იცოდე, დედა,
ახლა როცა აღარც წიგნებმა იციან,
-ან კი როდის იცოდნენ-
ახლა, როცა აღარც ბრძენკაცებმა იციან,
-ან კი როდის იცოდნენ-
ახლა, როცა აღარც ჩვენმა პოეტებმა იციან,
- ან კი როდის იცოდნენ -
შენ უნდა თქვა სათქმელი, დედა,
ახლა, როცა სხვები აღარ საუბრობენ.

.....
დედა, ვახსენე დასაწყისში ჭრილობა,
სწორედ ეს ჭრილობაა ახლა ჩვენი იმედი, დედა,
ეს სისხლმდინარი ჭრილობა,
ეს ცოცხალი ჭრილობა.

.....
არ ვიცი, თუ ისევ მოგწერ.

პოეტი და ომი

რა დილემის წინაშე მაყენებ, სამშობლოვ,
რა საშინელი დილემის წინაშე, სამშობლოვ!
რა დილემის წინაშე მაყენებ სამშობლოვ!
ნუ მომცემ, გეთაყვა, ხელში ამ იარაღს.
ნუ მომცემ, გეთაყვა, ხელში ამ იარაღს!

* * *

თვით ისტორიაც კი
დავაბნით და ეჭვობს,
უნდა განაგრძოს თუ არა
ჩანეროს ის, რასაც ჩავდივართ.

**კვიპროსის ისტორია ინგლისელ და
თურქ დამპყრობლებს**

ორ-ორჯერ მაინც არ გინდათ, ბიჭებო.
სხვებიც ელოდებიან რიგს!

ბერძნული დროშა კვიპროსზე

იმ ყველაფრის შემდეგ, მიდით, აბა, ამოძირკვეთ
ახლს

* * *

უცნაურად მომეჩვენა, რომ ამ საღამოს ვიცოდი
ბერძნული

ბერძნულ ჯარზე, რომელიც წავიდა

არ გვმართებდა, ამრიგად, არც ერთი ეპიგრამა,
არ გვმართებდა ამრიგად, არც ერთი ლექსი ?

**„დატყვევებული“ გოგონა კერინიიდან
ბრუნდება ნიქოზიაში - ბერძნული
დროშის წინ**

დედა, ჩვენი დროშა!

**მთვარე თურქებდაპყრობილ
მორფუში**

შარს აგვიტეხს ეს მთვარე,
რომელმაც არ იცოდა და ძველებური
გაბედულებით შემოაბიჯა,
და შემოაბიჯა ძველებური სითამამით.

**პენდადაქტილოსი -
ივლისი, აგვისტო 1974**

ახლა, უკვე, ვისხდებით ყოველდღე
ერთმანეთის პირისპირ
მწუხარედ მომზირალნი.

თურქები პენდადაქტილოსზე

მიკვირს, როგორ თანხმდებიან მასთან!
მიკვირს, რა ენაზე ესაუბრებიან?!

* * *

ძნელია, დავიჯურო,
რომ ისინი მოგვიყვანა კერინის ზღვამ,
ძნელია, დავიჯურო,
რომ ისინი მოგვიყვანა კერინის უსაყვარლესმა
ზღვამ

ბედკრულო ზღვაო, კერინისა,
უკან უნდა დავიბრუნოთ
რაც კი სტრიქონი მოგვიძღვნია შენთვის.

თურქეთის შემოჭრა

მომეცით, ერთი კასრი კერინის ზღვა.



კერინიის ზღვას (თურქების შემოჭრის შემდეგ)

ოპ, როგორ გაგვაცურე, ფარისეველო!

კერინიის ზღვას (თურქების შემოჭრის შემდეგ)

ნუთუ, ასე გვიხდის ლექსებისათვის, რომელსაც გიძღვნიდით, ნუთუ, ასე გვიხდის სიყვარულისთვის, რომლითაც გვიყვარდი?

თურქების დაპყრობილი მორფუ

ამ შთაგონებას ელოდებოდნენ ამდენი წლები ჩემი ლექსები და არ გიმღეროდნენ? ამ გლოვას ელოდნენ? იცოდნენ ესე იგი, წინასწარ გრძნობდნენ ესე იგი?

ლაპითოსი

კარგია ლაპითოსი თავისი წყლებითა და ხეებით, მაგრამ მის უკან არის პენდადაქტილოსის ქვა, ორი ნაბიჯით ქვევით, პენდადაქტილოსის ქვა მკაცრი, შეუვალი, საბედისწერო.

გალიის ღია კართან

ახლა სადღაა ფრთები თავისუფლებისთვის! სადღაა ხალისი!

სოკრატეს მიხედვით

წერ: რომ არაფერი დამინერია.

კვიპროსელები

გბერდებით ჭკუის უსწავლელნი და მერე?

ისტორია

ქურდულივით თვლემს და ელოდება შენს ხელის წაკერას.

კვიპროსის ისტორია - განმეორებად დამპყრობლებს

მე ვამბობ, უნდა გვიხაროდეს მოთხოვნა რომელიც კუნძულზე აქვთ ავტო უკვე ხუთი ათასი წელია!

კარავასა და ლაპითოსის მიდამოები, 1974

რა ბედისწერამ დადღა თქვენი წლებანდელი ყვა ვილობა,

რა შავმა ბედისწერამ მწარე წლებისა? პირტიტველა ბიჭების ძვლებმა გაგიპოხეს მინა, სისხლი იხდება ლიმონის წვენად.

კვიპროსი 1974-1976

მაინც რას ლამობდნენ პოეტები ამ დროს, გეთაყვა?

პოეტები კვიპროსზე 1974, 1975, 1976

აბა უყურეთ, ესენიც თავისას დანერენ!

მესამე წერილი დედას (ფრაგმენტები)

გენახეთ მაინც, დედა, როცა თავს დაგვატყდა უბედურება, გენახეთ მაინც, როგორ ველოდებოდით საბერძნეთს! არასდროს აგვისტოს დაგვალული მინა ისე არ ელოდა პირველ წვიმას, არასდროს დამხრჩვავი ისე არ ეპოტინებოდა ნაფოტს, არასდროს მომაკვდავი ბავშვი ისე არ ეძებდა დედის ხელს.

..... მას ველოდებოდით ყელამდე ჩაყვინთულნი კერინიის ზღვაში, ვიკავებდით რა სულის გაფრთხობას, რომ მოესწრო. ვფურცლავდით მის ისტორიას, ვფურცლავდით, როგორც სახარებას, მის ისტორიას

-“აი, აქ და კიდევ აქ“- და მას ველოდით, არა, „არ შეიძლება არ მოვიდეს“, ვამბობდით, არა, „არ შეიძლება არ მოვიდეს“, ვამბობდით და სადაცაა გამოჩნდება თავის სპარტელებით... .. და მართლაც, ერთ ღამეს ხმა დაირხა, რომ მოვიდა.

და ეს რა ღამე იყო, დედა, მაინც რა გამოძახილი მოყვა, რა ექო, რა ყიყინამ მოიცვა მთელი კუნძული! ტირილით ვეხვეოდით ერთმანეთს და ვხტოდით, ვკოცნიდით და ვგრძნობდით, ვიდრე მომდევნო დღეს, არ დავენარცხეთ უფსკრულამდე,

და მკერდი გვებერებოდა გასკდომამდე, გული ხტოდა ბაგაბუგით, ლამობდა გამოვარდნას. გახარებულებს დაავინყდათ თავიანთი შვილები, ძმები და მამები და უკვე, მარტო საბერძნეთისთვის ტიროდნენ, და ერეოდათ სიცლ-ტირილი.

და ამბობდნენ მასწავლებლები - "ნახეთ"?
და ვამბობდით ყველანი - „ნახეთ“?
ვიდრე მომდევნო დღეს, არ დავენარცხეთ უფსკრულამდე,
ვიდრე მომდევნო დღეს, არ დავენარცხეთ უფსკრულს მიღმა,
ვიდრე მომდევნო დღეს, არ ჩაიძირა ტრიპილოსი,
ვიდრე მომდევნო დღეს, არ დაიხია მდუმარედ ტროოდოსმა,
რომ კლდეზე მაინც ჩამომჯდარიყო.
ვიდრე მომდევნო დღეს, არ გადმოკარკლა თვალები ეპიამ,

.....
და ნიქოზიამ სახრჩობელებით,
რადგან საბერძნეთი არ მოვიდა,
რადგან ტყუილი იყო შეტყობინება,
ტყუილი ბერძენთა გადანანილება პაფოსზე,
რადგან ტყუილი გვითხრეს ცებმა და ზღვებმა,
ტყუილი მერცხლებმა და გულმა,
ტყუილი ჩვენმა ისტორიებმა,
ტყუილი და ყოველივე ტყუილი.
თქვეს, სხვა საქმე ჰქონდაო საბერძნეთს,
რალაც დღესასწაულები,
და თანაც, შორს ვართო და ვერ შეძლო,
წუხდა, არ ელოდა,
გულწრფელად წუხდა,
გულწრფელად ძალიან წუხდა.
და ჩვენმა მასწავლებლებმა თავი ჩაქინდრეს დარცხვენით,
და „სახელმძღვანელოებმაც“ თავი ჩაქინდრეს დარცხვენით,
და ჩვენი მასწავლებლები უკვე თრთიან,
და „სახელმძღვანელოებიც“ უკვე თრთიან,
როცა უახლოვდებიან თერმოპილესა და სალამინას ისტორიებს...
არ ვქმნი პოეზიას, დედა,
მაქვს ასლები.

.....
და მოდის, დედა, საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური მდივანი,
რომელმაც გადმოინაცვლა სხვა მხრიდან,
და გვაგულიანებს, რომ გავმაგრდეთ
და გვაგულიანებს, რომ დავიზოცოთ, რაც შეიძლება მეტნი
და არ შევშინდეთ, რადგან ჩვენი საქმე მათი საქმეცაა,
რადგან ჩვენი საკითხი, მთელი მსოფლიოს საკითხია.
ზუსტად იგივე, რასაც ეუბნებოდა სხვებსაც,
ხოლო მოგვიანებით აღმოჩნდა,
რომ არ იყო მთელი მსოფლიოს საქმე,
არამედ მხოლოდ მათი საქმე,
და მოგვიანებით აღმოჩნდა,
რომ არ არსებობდა „მთელი მსოფლიო“,
რომ არაფერი არ არსებობდა, არაფერი...

.....
გახსოვს, დედა, მეშინოდა, რომ ბოლო წერილს
არ დახვდებოდი ფანჯარასთან,

.....
დამიჯერებ, რომ ახლა, იმის იმედადღა ვარ,
რომ არ არსებობდე,
რომ აღარ წამიკითხო,
რამდენიც უნდა გეძებოს ჩემმა წერილმა,
.....
დედა, ამჯერად დარწმუნებული ვარ,
რომ აღარ მოგწერ.



თანამედროვე ბერძნული პოეზია

კიკი დიმულა

მრავალტანჯულნი

თავზედი არ ვარ, ჩემო ქრისტევი,
 მაგრამ მინდა ზუსტად ვიცოდე -
 არის თუ არა სიყვარული შეგრძნება მართლაც ღვთაებრივი
 და თუ ასეა,
 შენ რანაირად მიუტყევე იუდეებს
 ის ბრმა ვნებები და ის გამცემი ამბორები და
 პლატეებს სამსჭვალეები და ავაზაკებსაც,
 და ერთადერთი - მაინცდამაინც მაგდალელის სიყვარული
 დასაჯე რალაც აკრძალვებით,
 ნება მიეცი მხოლოდ შენს ფეხებს შეხებოდა
 მისი ამბორი - ისიც უკვე მკვდარს...
 და აი, მთელი შემართებით წააგე შენ,
 ჩემო ქრისტევი, გეუბნები - წააგე-მეთქი,
 რადგან უარყავ სიყვარულის ეს მახვილი და
 ყოვლადმინდა ტკბობა-სიამე.
 და რომ იცოდე, მთელ ამ მძიმე დანაკარგთაგან
 მხოლოდ ერთმა გაიმარჯვა - მაგ შენი მკაცრი მამისადმი
 ბრმა მორჩილებამ.
 ჩემს სიტყვებზე კი პასუხს ვაგებ და გეუბნები ამას ახლა მე -
 მაინც საბოლოოდ წარვინწყმიდე თავი
 ჩემი ტირანი მშობლის -
 ბიშისადმი ბრმა მორჩილებით.



წყალობა უძვირფასესი მნიშვნელობისა

ქვა იყო ერთობ მშვენიერი -
 ღრმულოვანად შობილი და
 წესისამებრ - ფიქრს შთაგონებით აღავსებდა.

 და კარგა ხანს აძალებდა მას მოქანდაკე
 დაერთო ნება - რალაც უფრო მგრძნობიარე
 სისაყვარლედ გარდაეხასა.

 უამრავი მცდელობის შემდეგ,
 როგორც იქნა, დანებდა იგი მოქანდაკეს, რადგან იფიქრა:

 „სჯობს აბსტრაქტული ხელოვნება ვიყო, ვიდრე ქვა
 და რომელიმე თვითმკვლელობამ ყელზე მომიბას“.

 აღტაცებული მოქანდაკეც
 შთაგონებას გაშმაგებით ძერწავდა და აქანდაკებდა.
 მაგრამ უეცრად გადაირია ქვა, აყვირდა:
 „მორჩა! გეყოფა! ფრთები არა! ფრთები არ მინდა!

 მას ხომ ძალიან ეშინოდა სიმალიდან დაცემისა და
 ამ თავბრუსხვევის,
 მის გაშხლართული მარცხის ხილვის დროს რომ შეიგრძნობო...

 შე - სულ პირიქით!
 შევისაც ღრმად და ფანატიკურად

მნამს ყოველივე ურწმუნოსი,
დამსახურებულ ჩემს მყარ მინას სიამოვნებით
ერთ-ორ სანტიმეტრ აქაფებულ ზეცაშიც გავცვლი.

და შევევედრე წარმოსახვის თავისნათქვამა ხელოვნებას:

გთხოვ, მე მომეცი ფრთები,
ოღონდ იყოს ისეთი, როგორიც შენ გაქვს,
რომ შენსავით მეც შემედლოს ყოველივე შეუძლებელი
შესაძლებლად გარდავსახო მარტოდენ ფრენით.

მაგრამ ამ ჩემმა წარმოსახვამ წამიერად შემანყვეტინა:

ბუნების რჩეულ „გინყალობებს“ შორის
რამდენ „გინყალობებს“ არ წავენყდომივარ!
სულ სათითაოდ ჩამომინერს და მიგ ზავნის ხოლმე ბუნება,
მაგრამ რა გიყო, შენი ქარი
ამ სიაში არ მინახავსო!

დინოს ხრისტიანოპულოსი

კომენტარი

ერთმა ახმახმა დიდი ამბით მომიტანა სავსე რვეული,
რომელშიც მისი სიმღერების სტრიქონები ამოენერა.
ერთ-ერთ მათგანში მიმართავდა
„ერთ-ერთ პოეტს, ჰომოსექსუალს“ და აუწყებდა, რომ
სიხარულით გაურღვევდა ტრაკს, თუკი ეს
შეენეოდა, კარგი ლექსი რომ დაენერა.

ხელი მოვკიდე ფანქარს და ქვემოთ მივანერე:
„ძალიან ცდებით თუ ფიქრობთ, რომ ლექსები ასე იწერება.
რადგანაც ლექსი გარღვეული ტრაკიდან არა,
გარღვეული სულიდან მოდის“.

ზღვა

ზღვა ჰგავს სიყვარულს - ისე შედიხარ, რომ არ იცი
უკან გამოსვლას კვლავ თუ შეძლებ,
ზღვა სიყვარულს ჰგავს.

სიყვანვილის ფამს, აბა, ვის არ უგემია
საბედისწერო ჩაყვინთვები, სასიკვდილო გადახტომები.
ვის არ უგრძნია განასკვული ფეხის სიმწარე,
მოულოდნელ წყალქვეშა ორმოს,
ანდა უხილავ რიფებს ვინ არ გამოსდებია.
აბა, ვინ არ გაუტაცია ველურ მორევს,
ვინ არ შემკრთალა ზვიგენისა თუ მეღუზათა ნასუსხის შიშით.
სისულელეა, ზღვაზე გასვლა მისთვის შევწყვიტოთ,
რომ რაღაც ხუთი-ექვსი კაცი დამხრჩვალა მისით.
სისულელეა, ზღვას მხოლოდ მისთვის ვულალატოთ,
რომ ჩვენი შთანთქმის ყველა ხერხს ფლობს, ყველა გზა იცის.

სიყვარულს ჰგავს ზღვა -
ათასები ხარობენ მისით,
მაგრამ ერთი ზღავს.



დედაბერი

დედაბრად იქცა,
 ბერამ ჯიუტად განაგრძობს ჩემზე მბრძანებლობას:
 სად იყავი, ამდენ ხანს რატომ არ მოხვედი? ასე გვიან რას აკეთებდი?
 (თზე ებრუნდები შინ და თვლის, რომ ეს გვიანია).
 შვირა - ბოროტი და ბოლმით სავსე,
 გელი, რომელიც საკუთარ შვილს პატარა რამის გამოც სჯიდა.

და ახლა, როცა გავიზარდე, არაფერი შეცვლილა მაინც.
 უტიც არ უნდა, სალამოს შინ ბედნიერი დავუბრუნდე -
 შამს ანთხევს მყისვე:

„აქამდე ხომ სულ მამაშენს ველოდებოდი,
 ტყუენებიდან შინისაკენ გზა რომ ეპოვა,
 ახლა შენ გელი, ქუჩიდან რომ დაბრუნდე სახლში!“

და რაც დრო გადის
 და რაც მეტად კარგავს კონტროლს ჩემზე, მით უფრო
 დაჟინებით მქანცავს ცრემლების, ავადმყოფობის მოშველიებით.

რეფრენად კი მუდამ იგვივე:
 „უნამუსოვ, მე ვკვდები და შენ კი ერთობი“.

ო, ღმერთო ჩემო,
 დელოს უნაზეს სიყვარულს როგორ შეერია ამდენი შხამი?
 ამ დედაჩემმა, რომელიც შიშით ძრწოდა, როცა ბავშვი ვიყავი,
 რომ რამე ცუდი არ მომსვლოდა,
 მიზნად როგორ დაისახა - გამანადგუროს?

ყულფი

ახლა, როდესაც საბოლოოდ ამოგშალე ჩემი გულიდან,
 უფრო და უფრო დაჟინებით ბრუნდები უკან,
 ტირანულად ბრუნდები უკან.
 ჩემთვის წყალობას ვერ იტყვენ შენი თვალები,
 ჩემთვის სინაზეს ვერ იტყვენ შენი სიტყვები,
 და ეგ თითებიც უფრო მეტად მტკიცენი გახდენ -
 ჩემი ყელისთვის უფრო სანდონი.

მონინებით

მოდი გავცვალოთ სხეულები და მარტოობა -
 შე გიბოძებ სასონარკვეთას, შენ მომცემ ძალას,
 და შენ ცხოველი არ იქნები, ხოლო მე - მხდალი.
 მე გიბოძებ დამარცხებას, შენ კი - ნაკვერჩხალს,
 მე გაყინვას გადაფურჩები, შენ - ქედმაღლობას.
 შემდეგ კი დიდი მონინებით მე ფეხებში ჩაგივარდები,
 რათა ისწავლო წიხლი როგორ არ უთავაზო შენ წინ დაჩოქილს.



მარადიული სამდურავი

რაც არ უნდა ქნას, რაც არ უნდა ბევრი ეცადოს,
 მაინც ვერ შეძლებს
 გრამოფონის ნემსი სხვაგვარი სიმღერის მღერას.
 რაც არ უნდა ვთქვათ, რაც არ უნდა ბევრი ვეცადოთ,
 მარადიული სამდურავისთვის
 მაინც იგივე სიტყვები გვაქვს
 სარეფრენოდ გამზადებული.

მაგრამ, აბა, როგორ დავმალო, როგორ არ ვთქვა, რომ
ამ საღამოსაც ორ საათზე მეტ ხანს გელოდი,
რომ შენ გელოდი სიცივეში ამ საღამოსაც,
რომ გუგუნებდნენ მოედანზე ლამის კლუბები,
რომ ცეკვავდნენ საკვირაოდ მოკაზმული წყვილები და, რომ
სამეგობრონიც გაუჩრებლად ცლიდნენ მანქანებს,
და მხოლოდ მე, მხოლოდ მე ვიდექ - სულ მარტოსული,
ვიდექით მე და კიდეც - გზაში დაცემული, უსულო თავიცი.

როგორ დავმალო, როგორ არ ვთქვა, თუ რა სიმწარით
დაინერა ეს სტრიქონები,
რა ღუნით, რა ტანჯვით...
ეს სტრიქონები,
თქვენ რომ სრულიად ბანალურად მიიჩნიეთ
მარადიული სამდღურავის
ჩვეულ რეფრენად.

* * *

ისინი, ვინაც გვანამებდნენ, სულ უფრო მეტად
გვამძიმებენ და მძიმდებიან ჩვენში და ნეტავ
კიდეც რამდენ ხანს გაუძლებს მათ შენი სინაზე?
რამაც დაგვატკბო, ყველაფერი ჩამორეცხა დრომ, გარიგებამ.
ისინი, ვინაც გავვილიმეს,
ჭათა სიღრმეში ჩაიძირნენ,
იქცნენ ზმანებად
და შემოგვრჩნენ მხოლოდ ისინი,
ვინც ჭრილობებად დაგვრჩნენ,
უარგვყვეს,
მორჩილება არ დაგვანებეს.
მეტად და მეტად გვამძიმებენ ისინი, ვინც გვექცნენ წამებად.

* * *

ზღვა ჩაძირვებით ტკბება,
გემებს ისრუტავს,
შთანთქავს.

კი!
მე გემი ვარ,
ხოლო შენ ზღვა ხარ.

* * *

ვინც შევიყვარე, ყველა გაქრა.
ხე ჩიტების გარეშე დარჩა.
უცნაურია -
საიდან აქვს იმის ძალა,
რომ კვლავ აყვავდეს?



კატერინა ანგელაკი-რუკი

სამწუხარეთი

წინათქმა

ლექსები მაშინ მარცხდებიან,
როცა მარცხდება სიყვარული.

ნუ მოუსმენთ მათ - რას ამბობენ,
ლექსს სჭირდება მცხუნვარება სიყვარულისა,
იზისთვის რომ ცივ დროს გაუძლოს.

ერთი ადგილი გამოვიგონე.
იქ მივდივარ ხოლმე, როდესაც ღრმად მწუხარე ვარ.
ისე მწუხარე - შიგნით უღლობ ყინულეზამდე,
გავრისტალებულ ცრემლებამდე.
ისე მწუხარე, თითქოს შიგნიდან გამოვბოდნენ მონატრებები -
თუთრი პატარა პანტერები,
მორბოდნენ, გაკბენდნენ და ნაკბენები მწარედ გენვოდეს.
სამწუხარეთს ვუნოდებ ადვილს, რომელიც მე გამოვიგონე,
რათა გავექცე ღრმა მწუხარებას -
შუფერებლად განვცრობად სივრცეს, მდგომარეობას,
არადა, თითქოს დასასრულის ყველა თვალწარმტაც
პეიზაჟს ბოლოს დაოხებული წყლებისა და
ჩამომპალი ნაყოფების მყარალი სუნი სდევს.



სამწუხარეთში ჩახვალ ოხვრა-კენის გარეშე,
მხოლოდ ერთი ნაზი მოჭერთი,
რომელიც მოჰგავს სიყვარულის პოზას - როდესაც
სახლის ზღურბლთან დგას და ყოყმანობს, არ იცის რა ქნას.
აქ თქვენ შეხვდებით სინმინდზე მოჯირითე რჩეულ პოეტებს,
დიდ პოეტებს - მონოდებით ზეცისმიერებს
და უმაღლესებს, რომელთა ერთი თავის დაქნევა
ნიშნავს „არა.. მცდარია.. არა“
ან „ახლა უკვე გვიანია, სამწუხაროა!“
მაშინ როდესაც კუთხეში ვიღაც მწირი მუდამ დგას და ბუტბუტებს:
„ნადილს კარგი ის მაინცა აქვს, რომ როცა ქრება,
მასთან ერთად ქრება ნადილის ობიექტის ღირებულებაც“.

ახალგაზრდობის ყველა მარცხი
აქ მდუმარე მოედნებად გადაქცეულა,
ხეივანი ვენებები კი - ბნელ ნაკრძალებად გადაშლილან,
უჩინანსკელი უბედური სიყვარულები -
გაძვალტყავებულ ძალებად, ჩიხებს რომ ედებიან.
და სიბერეზე უარესით -
ეს ქვეყანა გაფლანგული სიყმანვილით დასახლებულა.

სამწუხარეთში გამუდმებით ვტირი მას შემდეგ,
რაც შენ მაჩვენე მე ღირსება მწუხარებისა.
არა, არ არის ეს ნიშანი უარყოფითი - შობადობის,
არამედ - უფრო დადებითი სახე არყოფნის...
მუშბნობდი ამას და უცებ შემაძრუნა შენმა პროფილმა,
თითქოს მკაცრ კლდეზე იყო იგი ამოკვეთილი,
შენი თვალები კი გოგირდით მონამლულიყო,
შემომხედე და მეც მოვიწამლე.

დაე, ვტიროდეთ,
მაშ, ვტიროდეთ და ვუნოდებდეთ ცრემლებს სიხარულს,
სიხარულს - რომ ჯერაც აქ ვართ და ვიტანჯებით.
გამთენისას მივადგებით და შევალთ ახალ ნავსადგურში,
ეთ ახალ ლექსში,
დღის ნისლში გზის გასაკვალად.
გამოუთქმელი სიყვარულის
ამბის ბოლო სტრიქონს დავიჭერ.
შენი ხმა, სიგრძე შენი სხეულის და კისრის ხაზი
- გაუმაძლარი შიშის მარად განმეორება.
აჲ, მე შენს ყურებაში აღმოვაჩინე
გერძნებათა შიდამინები.

სამწუხარეთის ყველაზე უფრო მომხიბლავმა კაცმა ლოგინში
ბეი პეპელა იპოვა - მკვდარი.

შიშველი იყო კაცი, ოდნავ გაოფლილი და პრიალებდა,
მაგრამ არა ისე ძალიან, როგორც პეპელა -
სიკვდილისგან გამოტყორცნილი უთვალავი შუქით მისილი.

იქნებ პეპელა ერთი ფრთოსანი სიმბოლოა გულგრილობისა?
ლამის ფერებით შემოსილი ისე უძრავად
მინოლილიყო, თითქოს სიკვდილი
მასთან სიყვარულს მიეცა და წამში მიაგდო.
ან თითქოს ცოტა შეისვენა სანამ ისევ დაადგებოდა
თავის რთულ გზას - სიმავიდან სრულყოფილამდე.

სამწუხარეთის ყველაზე უფრო ახალგაზრდა ქალი კი მე ვარ.
მე - ვინც ვუყურებ, ვუყურებ და მაინც ვერაფრით ვერ ვიჯერებ,
რომ სისხარულის გზაზე ამდენი მტკვერი გროვდება.
და ვამბობ ჩემთვის: რალაც მოხდა,
აღბათ მე შევეცდი, აღბათ არასდროს დავდგომივარ აბრეშუმის გზას,
და ლექსის გმირის მკერდსაც არასდროს შევხებივარ,
აღბათ მხოლოდ წარმოსახვაში დავაყენე მისი გული,
ვით რომელიმე ბანკი, გზად რომ ჩავუვლით და ვამბობთ:
„წარმოდგინე, რამდენ რამეს, რა საგანძურს ინახავს იგი!“.

რასაც დაკარგავ, ყოველივე სამუდამოდ შენთან დარჩება.
სამწუხარეთიც ქვეყანაა, რომელიც მისთვის შევქმენი, რომ
ვყოფილიყავი მუდამ ერთი იმათგანი, რაც კი დავკარგე.
როცა დგებიან ის სასტიკი, გაუსაძლისი შეღამებანი
და ის უხმო განთიადები
და ისეთი შეგრძნება გაქვს, თითქოს ელოდე
როდის დარეკავს სკოლის ზარი,
რომ კვლავ დაიწყოს გაკვეთილი და
კიდევ ერთი სავარჯიშო შეასრულო უცნობ თემაზე,

ძირს იყურები, ეზოს ცემენტს დაჰყურებ და
სკოლის ფორმას ჩამოიბერტყავ,
და მერე ლურჯი წინსაფრიდან
ორცხობილას ნამცეცებსაც ჩამოიფერთხავ,
კლასში შედიხარ -
უგემური დროის ცალხმაში
რომელსაც, ვიცი, ოდნავ სახეცვლილს,
მაგრამ ბოლოს ისევ შეხვდები.

სამწუხარეთის რელიგია
ერთი უთავო მნიშვნელობაა.
და მორჩილად ზის მისი ძეგლი
თავის დებთან -
ულამაზეს სიქველესა და
უსწორესი პროპორციების მქონე სიბრძნესთან.

თუმცა მაინც თავყვანს სცემენ ცნებას უთავოს,
და როდესაც იგი, ვისაც შევიყვარებდი, თუკი...
როცა ის მოდის, რომ მის წინ მუხლი მოიყაროს,
აცვია ხოლმე ვარდისფერი პერანგი და ცხადი ალგზნება,
რადგან ყოველი მნიშვნელობა მისთვის რალაც მნიშვნელობა
ისევე, როგორც თითოეული ანტონიმი მნიშვნელობისა.

აქ სიყვარული და სიკვდილი ერთხორცად იქმნენ
და ის ბალახი, ქანდაკებათა ამ გულალმა ნაწილებს შორის რომ იზრდება,
მათ ისეთ იერს აძლევს, თითქოს ჯერაც ცოცხალი სულელები იყვნენ,
რომლებიც შუა სიმწვანეში მწუხარებენ,
უცხო თვალეებში აცურებენ თავის ხომალდებს
და შეყვარებულ სულთა დარად იტანჯებიან.

სამწუხარეთში თავყვანს სცემენ სიკვდილ-სიყვარულს,
როგორც ერთ და უთავო ცნებას,
უთავოს რადგან უიმედოა.



ვირონ ლეონდარისი

* * *

სიკვდილი ტკბილი არსად არის.
 და მამ, რატომაც არა - სადმე, უცხო მიწაზე,
 სადაც უფრო მოკრძალებულია ჩვენი გადანაცვლება,
 გამოსათხოვარ ქებათა და პატივებათა თხოვნის გარეშე,
 და უცხო ზეცაც - ეგებ უფრო სამართლიანი მსაჯული იყოს?

მე ვერასოდეს ვერ გავიგე ნატვრა ანდრეას კალვოსისა
 - ვითომც არ ეგრძნო, სინამდვილეში რა უცხოობის დამტყვევია დაბადების მიწა
 და დღე დაბადებისა და მშობლიური ჩვენი ენაც...
 და რანაირად ვითხოვთ ხოლმე ბედისწერისგან „რომ ნუ...“
 როცა მას მხოლოდ ძალუძს - დანეროს და არა - ნაშალოს.
 ჩვენ კი უბრალო გრაგნილი ვართ მის ხელში, რათა
 ბინ და უკან გვახვევდეს და გვშლიდეს, გვახვევდეს,
 მაგრამ არასდროს არ განმარტოს დაუნერელი.

ამაზე ვფიქრობ ლამლამობით, როცა წერილებს
 ვწერ და ვში და ვწერ ჩემს მეგობრებს,
 უკვე ნლებია რომ ცხოვრობენ ან დაიხოცნენ უცხო მიწაზე
 უცხო დროს და უცხო ენაზე -
 და რანაირად შეწყდა წლებში დრო,
 ან საუბარი როგორ შეწყდა ენაში,
 როგორ გადაიქცნენ შუადღეები სალამოებად
 რანაირად დაიფანტნენ ეს მეგობრები?
 თითოეულმა საკუთარი ბედი მოქაჩა
 და ბოლო ხელი ბანქოც დარიგდა.
 ... ეს წერილები - ჩემს მეგობრებს „უცხოეთისა“,
 თუმც აქ არიან - ჩემში „აქ მყოფნი“.
 სულ არ მალეღვებს, რომ სახელებს და მისამართებს
 უცხო ენაზე ვწერ, მაგრამ თარიღს, თარიღს ვერ ვშველი.
 რადგანაც სადღაც სხვაგან არის ხვალ,
 სხვაგან - გუშინ,
 აქ კი არის დღეს
 და დღეს, მხოლოდ დღეს.



დიმიტრის ლიაკოსი

პირველი სიკვდილი

IV

უნდა ნახვიდე - დღესასწაულთა ნარჩენებში იმოგზაურო
 იმ ცხვირის ტყავივით შენს თვითნაკეთ სახრჩობელაზე რომ ნიაგდება
 და შუალამის ნაკლეჯებში გამოგელვიდოს
 პირში მწარე სიზმრის გემოთი.
 აბა თვალები - ლოგინს რომ წვავენ სნეული მზერით
 და აბა ცოდნაც იმისა რომ უკლებლივ ყველა შენში ჩაიხრჩო.
 რაც უფრო მეტად იჭიმება სიმი მით უკეთ
 შეიგრძნობ ძალას იმ ზეციური ხელისას
 ამ სიმს რომ მოზიდავს -
 და აქ უკვე სულმოუთქმელად უნდა იკითხო
 როდის მიაღწევ ამ წარწყმედილი სხეულის ნაპირს
 უნდა იკითხო ეს საცოდავი ჩახუტება ანუ ჯალათი
 როდის მოგახლეჩს ხეიბარ სულს -

ტირილისგან გასავათებულ
შენივე ძებნით დალილ დედაბერს
და ამ შენი უბედურების ნანთხევებში
სულს როდის დაღვრი.
(მერე კი, მერე ამაღლები ყვავილებად ხის იმ ტოტისა,
რომელზეც თოკი ჩამოკიდე და ჩამოსრულდი).

ახალბერძნულიდან თარგმნა თათია მთვარელიძემ

რულა კაკლამანაკი

ლურჯი ჯინსები ყველგან

ხომალდებზე, მატარებლებში,
ხალხში, მეტროში, ავტობუსებზე,
ლუდის ბარებში, კაფეებში,
მაღაზიებში, ტავერნებში,
შინ და გარეთ - შუა ქუჩაში,
უძრავ ქალებში, უძრავ კაცებში -
ლურჯი ჯინსები -
ეს მარტოხელა სვეტები დგანან!
და ზმურინანი მეგობრები,
რომლებიც უმიზნოდ დახეტებიან ცისქვეშეთში
და სხვები, რომელთაც მართლა ეჩქარებათ სამსახურებში...
და სხვები, სხვები, ამქვეყნიურ საზრუნავში გადაშვებულნი
ატარებენ მხოლოდ ლურჯ ჯინსებს
და საუბრობენ კვლევისა და სტატისტიკებზე!
ბაბუა ლურჯ ჯინსებში.
მისი შვილები: გოგო, ბიჭი.
შვილიშვილები - სხვადასხვანი - და ყოველი შემდეგი თაობა,
რომელიც მოვა, ჩაიცვამს ჯინსებს...
და თვალეები, რომლებიც ირეკლავენ
ჯინსთა სილურჯეს ჩვენს სამყაროში...
ჯინსებიანნი მოგზაურობენ, ნატრულობენ, აღმოაჩენენ...
შენ კი აქ რჩები,
თანაც ყველგან ხარ, იქ, სადაც ლურჯი ჯინსებია!

ჩემს მხარეში

არ გვინდა ღამით ჩვენს მხარეში რომ დავიძინოთ,
ვუცქერთ მთვარეს და ვმასლაათობთ:
„აი, იქ წავალ, იქ წაგიყვან, ან შენ წამიყვან...
მეორე დღეს კი გვეკიდება რული, ვამთქნარებთ.“

ვტოვებთ ძრავს ჩართულს და გვერდით მყოფს ვესაუბრებით:
„მოდი შუალამით, გელოდები!
თუ არ იქნება მთვარე, მაინც რამეს ვიპოვით.“

ჩემს მხარეში მატარებლები არ მოძრაობენ.
მემანქანენი ხსნიან კროსვორდებს
და შეკითხვიდან შეკითხვამდე
ბრძენდებიან -
აი, სულ ცოტაც და გაიგებენ
რად არ იძვრიან მატარებლები!

ჩემს მხარეში ერთი გოგო თქვენთვის მღერის ყელგამოჭრილი.
და ჩემი მხარე თქვენს მხარეს ჰგავს ისე ძალიან...

და ერთადერთი, ვინც იქ ვცხოვრობდი
რადგანაც მომკლეს,
სწორედ ამიტომ შემიძლია, გელაპარაკოთ!..



სხვაგან რეკავს ზარი

წმინდაო მონყენავ,
წმინდაო რუტინავ,
ომის გარეშე,
შემშლილს გარეშე,
აუადმყოფობის და სიკვდილის გარეშე!

ყოველ დილით ალებ ფანჯრებს,
იბან ხელ-პირს,
ყლაპავ აბებს
და ემზადები საუზმისათვის.

გამოალებ ზედა-ქვედა კარადის უჯრებს,
ამოლაგებ იქიდან კაბებს...
აეკრძები საკუთარი ტანის
მასას და წონას...
ღიზიანდები,
გსურს კიდევ ერთი კრუასანი.
პყები ცდუნებას
და გაუმძღვრად უმზერ ვაზას ხილით სულ სახეს.
სასიამოვნოდ ირეკლება თვალებში ფერი,
გწვდება საამო არომატი!
რბილ ბანანს თვალს ადგამ
სინდისი გქენჯნის,
რომ კალორიებს გადაამეტე!
სიამოვნება, თუმცა, ძირს გითხრის.
საკუთარ თავს პირობას აძლევ...

ერთი საუზმე მთელი სიცოცხლეა,
რომელიც ზუსტად მეორდება.

ღროდადრო წაიჩხუბებ ვინმესთან.

ათწლეულიდან ათწლეულამდე:
ერთი პატარა მოტეხილობა;
გრიბი;
კოჭლობა...
გენყება ღვიძლის პრობლემები;
შესაძლოა სიმსივნეც კი,
რომელიც მოგაგონებს იმ ტკბილ ლოცვას:

წმინდაო მონყენავ,
წმინდაო რუტინავ,
წმინდათა წმინდა
მშვიდობავ ჩემო!

*ახალბერძნულიდან თარგმნა
ალექსანდრე ჯინჭარაძემ*

იორღოს მარკოპულოსი

ჩემი ძველი მე(ებ)ი

სად წავიდა ყველა, სად გაქრნენ?
მას ვისაც სურდა სამყაროს შეცვლა,
ბავშვი, რომელიც არასოდეს არ იჯდა მშვიდად
ან კიდევ ის სხვა, სიყვარულისგან დაჭრილი

ჯარს დაუმორჩილებელი, ხისტი და გულადი ჭაბუკი
მგზნებარე ქუჩებზე ფეხით მოგ ზაური.
სად წავიდნენ, სად გაქრნენ?
ქარმა დაუბერათ, ქარში გაეხვნენ.
და ის, ვისაც მარტოდ დარჩენილს უძილობის
შეემინდა

აი, აქ არის, კვლავ ქუჩას დაუბრუნდა
ხელებში უჭირავს ვაშლები და ცეცხლის ქურები.

ქლოი კუცუმბელი

ქალბატონი და ბატონი ნიკოლსონის ტუმბოები

1828 წლის გაზაფხულზე
გადავწყვიტეთ აღგვედგინა სახლი.
მე ხელში ლურჯი საღებავის სათლი მეჭირა
და დილიდან დაღამებამდე ვღებავდი ფუნჯით.
შენ ცას ალაშაზებდი
და ჩამქრალ ვარსკვლავებს ახლით ანაცვლებდი.
საბოლოოდ, შეგვეძინა სამი შვილი
და ერთი ხის თოჯინაც
ცხვირმოტეხილი.
„იმ მძიმე წლებში“ ამბობ
ფეხსაცმლის ძირების შეკეთებისას.
„მაშინ ასეთი იყო ქორწინება“ ოხრავ
და ძირს ურტყამ ხელჯოხს.

ხის მსგავსი მტკიცე ამტანობის,
ადამიანები საწოლთან
და აქეთ-იქით მდგარ მოჩუქურთმებულ
ტუმბოებთან ერთად იხრნებიან.
მომხიბვლელი ვხედები,
იმისათვის რომ შეგვიყვარდე.
საუკუნე გავიდა
და შენ ჯერაც არ მიყურებ
როცა შენს წინაშე ვმისვლდები.

დანაი სიოზიუ

ზღვის მოქცევა

მარილით შენახული
ჯერ კიდევ დგას საძირკველზე
სანაპიროს ძველი სახლი.
ზღვა მიდის და აბრუნებს
ტალღებს,
ძველ შეგრძნებათა დაუკარგავ ტალღებს.
ამ ნათურის შუქზე ქარგავდა დედა
ამ იატაკზე ეცემოდა მისი ცრემლები
ამ ფიცარანათა ქვეშ დიდდებოდა ზღვები.

ხშირად ირიყებოდა ნიჟარები,
ხის მორები და კენჭები



და ზოგჯერ სულაც სანოლქვეშ აღმოვაჩენდით
ხოლმე ზღვის მცენარეთა გროვას.
მათ ყოველ კვირას მამა ამზადებდა
და მთელი ოჯახი შეექცეოდა ერთად.

ნახე, ბაბუა ამ კიბეზე ადი-ჩადიოდა ხოლმე
და მისი სიკვდილის მერეც, ვერავინ გაბედა მისთვის
ადგილის შეცვლა.
და მერე, ღრმა მწუხარებამ მოიცვა ბებო
უმეტეს დღეებს სანოლში ათევდა.

მხოლოდღა შაბათობით დგებოდა ხოლმე
და კარადიდან ძველისძველ საქორწინო კაბას
იღებდა,
ტანზე ირგებდა, კართან დგებოდა და ასე ელოდა.
სჯობს ახლა ეს მინა, იმას რაც იყო
როცა ზღვა გვქონდა გვერდით.

ეს ქარი სჯობს, დასავლეთის
ეს ქარი სჯობს.

ხრისტოს არმანდო გეზოსი

გატეხილი ფრთები

საკუთარ თავს გავუგზავნე
დალუქული ყუთით
ერთი ნყვილი გატეხილი ფრთა
საჩუქარი ჩემი სიკვდილისათვის.

გავწმინდე სისხლი და ძვლები
გავაპრიალე ოფლითა და
ჩემი ცრემლებით
ძვლები კი ძაფით ჩონჩხად ავანყე.

ახლა მხოლოდღა დრო სჭირდება,
და მოთმინება,
იქნებ ერთხელაც ერთმანეთს შეხვდნენ
ზურგისთვის განკუთვნილი პატარა ლურსმნები.

დიმიტრა ხრისტოდულუ

პერსევსი მწუხარებაში

შიმშილობა

და ახლა? რა უნდა უქნა
მედუნას ამ მოკვეთილ თავს?
თავს ვერ გრძნობ გამარჯვებულად მისი მოკვეთით.
შვებას ვერ გრძნობ, რომ არ გაქვავდი.
შემზარავიც არ არის შენთვის თუ როგორ სძინავთ
ჩუმ-ჩუმად დამარცხებულ გველებს.

აქეთ-იქით იყურები, არავინაა
 ვინც არ გიყურებს გაოგნებული.
 ფრთხილად, ფრთხილად, ბედის მქუხარე
 ზეიმს ნუ შეხვდები ცრემლების დაღვრით.
 გამბედაობა იპოვე და ღმერთებიც გწყალობდნენ,
 მაინც ხომ მიაღწიე შენსას, ურჩხული მოკალი
 ახლა რატომ იყურები შენს პანანინა სარკეში
 თითქოსდა დაცლილი ხარ შიგნეულობისგან.
 მიეცი ახლა. ჯილდო მიიღე.
 არ მითქვამს „გაეცი“. მე ვთქვი „მიეცი“.
 მკაცრი არა ვარ გმირების მიმართ.
 მე ხომ მათ საკუთარ მკლავებშიც დავაძინებდი.
 მარტოსულები ისმენენ იმას, რისი მოსმენაც სურთ.
 მიდი, განაგრძე სვლა გაღმერთებისკენ. ასეა ეს.
 გმირია თუ არა, რა იცის ადამიანმა
 თუ ყოველ ჯერზე რის მოსაკლავად მიდის.

ახალბერძნულიდან თარგმნა თამარ მღებრიშვილმა

ხარის ვლავიანოსი

დანარჩენი სიჩუმეა

Dunne-ის სტილში

თუ წარმოსახვითი ქალი ნამდვილს
 უწნოდ, უღაზათოდ და უმეცრად აჩენს
 („ვინ არის კამიუ?“)
 და თუ წარმოსახვითი ქალს
 მხოლოდ წარმოსახვაში შეუძლია შენთვის სიამის მოგვრა,
 ხოლო ნამდვილი, სისუსტეების მიუხედავად,
 თავს ბედნიერად გავგრძობინებს,
 რატომ ეძახი წარმოსახვით ქალს
 სანოლში ღამით,
 როცა ნამდვილს შენ გვერდით სძინავს, ეჭვის არმქონეს?


და თუ ნამდვილ ქალსაც
 ჰყავს წარმოსახვითი კაცი
 (უსათუოდ ჰყავს)
 ვინც ალასრულებს მის ყოველ სურვილს,
 ვინდა იცოდე, რომ ახლა
 ის პარიზშია მასთან ერთად, ერთ პატარა ბისტროში
 სხედან ჩახუტებულნი, იცინიან და ღვინოს წრუპავენ,
 თუ გირჩევნია, ხედავდე
 შენ პირდაპირ ტახტზე ჩამომჯდარს
 ეურნალით ხელში,
 თითქოსდა მარტო იყოთ სახლში თქვენ ორნი?

არ არის მისი ღუმელი ოქრო?
 შენი კი - შენთვის სახეირო?
 ამიტომ გიჯობს, ამ თემაზე საუბარი შენ არ დაიწყო.
 დღეს, ხვალ ან ზევ მაინც.
 ნაგებული შენვე დარჩები.

ახალბერძნულიდან თარგმნა თეა გამრეკელმა

ანინა გოგობია

კოსტას ტახცისი - ჭეშმარიტების სრულყოფილი სინათლე



1988 წლის 27 აგვისტოს, ათენის ერთ-ერთ უძველეს უბანში, კოლონოსში, საკუთარ სახლში იპოვეს მამაკაცის გვამი. პოლიციამ დაადგინა, რომ გარდაცვლილი მოკვლული იყო, მკვლელმა ის დაახრჩო და მიიმალა. მამაკაცის ცხედარი მისმა დამ აღმოაჩინა საძინებელში. საქმის გახსნა გამოჩენილმა გამოძიებელმა ითავა, გაზეთების პირველი გვერდიდან არ ჩამოდიოდა მკვლელობის დეტალები, მთელი საბერძნეთი თვალყურს ადევნებდა გამოძიების მიმდინარეობას. საქმე დღემდე გაუხსნელია. არავინ იცის, ვინ და რატომ მოკლა დიდი ბერძენი მწერალი, კოსტას ტახცისი.

ტახცისის სიცოცხლის ტრაგიკულ ფინალს თითქოს განაპირობებდა მისი მღელვარე, მოუსვენარი, თავისუფალი, თავგადასავლებითა და მოგზაურობებით სავსე, ხშირად ხიფათის ზღვარზე გამავალი ცხოვრება. ის იყო ადამიანი, რომელიც არ ემორჩილებოდა საზოგადოებაში დანესებულ ნორმებსა და წესებს, ვერ ეტოვდა ვერცერთ ჩარჩოში. ბრწყინვალე ინტელექტუალი, მახვილი გონებისა და მწარე ენის პატრონი, უახლესი ბერძნული ლიტერატურის ყველაზე ცნობილი რომანის ავტორი არ მიეკუთვნებოდა არცერთ ლიტერატურულ დაჯგუფებასა თუ გაერთიანებას, წინააღმდეგობრივი ურთიერთობა ჰქონდა კოლეგებთან, მაგრამ მკითხველთან ყოველთვის მართალი და უკიდურესად გულახდილი დარჩა.

„გადავწყვიტე, რომ ყველაფერში, ისევე, როგორც სიყვარულში, რაღაცას წარმოვადგენდე და, ამავე დროს, არაფერსაც. აქაც ვიყო, იქაც და ყველგან... ალბათ, ნაწილობრივ ესეცაა მიზეზი - მხოლოდ იმაზე

ფიქრიც კი მახრჩობს, რომ შეიძლება ოფიციალურად და საბოლოოდ ვეკუთვნოდე რომელიმე ჩაკეტილ ჯგუფსა თუ ორგანიზაციას. ვფიქრობ, რომ ჭეშმარიტ თავისუფლებას - ყოველდღიური ცხოვრების პრაქტიკული თავისუფლებებისგან განსხვავებით - თავად მარტომ უნდა მიაღწიო“, ამბობს ტახცისი ერთ-ერთ ინტერვიუში და ასეც ცხოვრობს და წერს. საბერძნეთის ლიტერატურული ელიტის enfant terrible, მისი ფენომენალური ნარმატიების შემდეგაც განზე მდგომ, მარტოსულ ფიგურად რჩებოდა. მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან ორ დაპირისპირებულ ნაწილად, მემარჯვენეებად და მემარცხენეებად მკვეთრად გაყოფილ ბერძნულ საზოგადოებაში იგი არცერთ „ბანაკში“ არ აღმოჩენილა და მისთვის დამახასიათებელი ირონია ორივე მხარეს თანაბრად ერგო. ტახცისი იყო საბერძნეთში პირველი ლიად ჰომოსექსუალი ცნობილი პირი, რომელსაც არასდროს დაუმალავს საკუთარი ორიენტაცია და მისი პირადი ცხოვრება განუწყვეტელი განსჯისა და მითქმა-მოთქმის საგანი გახლდათ. თუმცა, მწერალი აქაც ვერ ენერებოდა საერთო სურათში, ცნობილია მისი უთანხმოება სექსუალური უცირესობების პროფკავშირების შექმნასთან დაკავშირებით, ესოდენ მნიშვნელოვანი მოძრაობისთვის პოლიტიკური ელფერის მიცემა მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა.

ეს წინააღმდეგობრივი პიროვნება ახალი ბერძნული ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნაწილი მომადგენელია. მისი რომანი „მესამე გვირგვინი“ მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ყველაზე კითხვადი ბერძნული წიგნია, რომელიც მრავალ ენაზე თარ-

გნული და პოპულარობით სხვა ვერცერთი ბერძნული რომანი ვერ შეედრება. „მესამე გვირგვინში“ მოთხრობილი ამბავი, ერთი შეხედვით, „ოჯახური საყვარელი“ შთაბეჭდილებას ტოვებს - ერთი ათენური ოჯახის ამბავი, რომლის ისტორიაც მეოცე საუკუნის 20-ანი წლებიდან 60-იან წლებამდე, საბერძნეთის ისტორიისთვის ურთულეს წლებში ვითარდება. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. სინამდვილეში, თანამედროვე ბერძნული ლიტერატურის უმთავრესი რომანი არცერთ შაბლონში არ ექცევა, სრულიად ახალი სიტყვაა თავისი დროისთვის და მას დღემდე არ მოეპოვება ახალი. ტახცისის რომანი რადიკალურად განსხვავდება ყველაფრისგან, რაც მაშინ იქმნებოდა ათენის ლიტერატურულ წრეებში. მთავარი მოქმედი პირი ორია, ორი ქალი - ნინა და ეკავი, რომელთა მონათხრობის შემდეგ ერთი ვეცნობით. სინამდვილეში მიმდინარე მოვლენებს. ნაწარმოების ენა და სტრუქტურა ბერძნული ლიტერატურისთვის სრულიად განსაკუთრებული და ახალია. მთელი ტექსტი დანერგულია მონოლოგის ფორმით, მთავარი გმირი მთხრობელია და ცოცხალი, სალაპარაკო ენით (დიმოტიკის და კათარეფუსას ბრწყინვალე სიმბიოზი) გვიამბობს საკუთარ თავგადასავალს, საიდანაც მაშინდელი საბერძნეთის დაუფინყარი სურათი იშლება. რომანის მთავარი პერსონაჟი, ნინა, მსოფლიო ლიტერატურის გამორჩეული სახეა, ძლიერი ქალი, რომელიც ყველასთვის ცნობილი ანტიკური ლიტერატურის ქალი პერსონაჟების ბრწყინვალე გალერეას ავრძლებს - შვეკაბუს, ანდრომაქეს, მედეას, კლიტემნესტრასა თუ ანტიგონეს გვახსენებს. ტახცისის ქალები, თანამედროვე საბერძნეთით, ძველი საბერძნეთის მემკვიდრეები არიან, ოღონდ მათი ქმრები, შვილები და ძმები უკვე აღარ გვევლინებიან აქავე და ტროელ გმირებად, ჩვეულებრივ, სუსტ, დაღლილ კაცებად ქვეულან და გმირობის ნაცვლად, ხშირად არცთუ ისე სასახელო საქმეებით არიან გართულნი. უცვლელი მხოლოდ ქალები და მათი ტრაგედიაა.

ქალი პერსონაჟები შემთხვევით არ ქვეულან კოსტას ტახცისის რომანის მთავარ გმირებად. მწერალმა მთელი ბავშვობა ქალების გარემოცვაში გაატარა. ათენის მემბტინანე, ავტორი, რომელმაც საბერძნეთის დედაქალაქის ერთ-ერთი საუკეთესო სახე დაგვიტოვა ლიტერატურაში, ქვეყნის სიდიდით მეორე ქალაქში, თესალონიკში დაიბადა. მშობლები მალევე განქორწინდნენ და დედამ იგი გასაზრდელად ათენში გააყოლა ბებიას. სწორედ დედა და ბებია გახდებიან „მესამე გვირგვინის“ პერსონაჟთა - ეკავის (ერთ-ერთი მთავარი გმირის) და მისი ქალიშვილის, ელენის - პროტოტაჟები. ამ ორმა ქალმა დიდი გავლენა მოახდინა მთავალი მწერლის ცხოვრებაზე. წლების შემდეგ, ინტერვიუში ის ასე იხსენებდა საკუთარ ბავშვობას: „ამბობენ, რომ ცხოვრების პირველი ექვსი წელი თითოეულ ჩვენგანზე ნარულულ კვალს ტოვებს. ეს წლები ჩემთვის ტრავმას და ტკივილს უკავშირდება“. მაშინ არასებობა მის ცხოვრებაში, თავისი დროისთვის გამორჩეულად დამაშოკებელი და გაუწონასწორებელი დედა და მძიმე ცხოვრებას შექმნილი, ძალადუღების მოყვარული და მკაცრი ბებია - ასეთი იყო ის გარემო, რომელშიც კოსტას ტახცისი იზრდებოდა. მწერლისავე სიტყვებით, ამაჲ დიდწილად განაპირობა მისი ცხოვრების გზა - წინააღმდეგობით აღსავსე, არსებულ ნორმებთან შეურიგებელი, ერთი მხრივ, ელი-

ტარულ წრებთან დაახლოებული დიდი მწერალი, მეორე მხრივ, ლუმპენების სამყაროს სრულუფლებიანი ნევრი. ამ ყველაფრის გამო მას ხშირად ადარებენ პიერ-პაოლო პაზოლინის, მათი ზიოგადობი და სიკვდილიც კი მრავალი პარალელის საფუძველს გვაძლევს. იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი, რომელსაც არასდროს აუღია დიპლომი, ლიტერატურული ელიტის საყვარელი კაფეების - „ვიზანდიოსა“ და „ბიანილიანის“ - მუდმივი სტუმარი, მოუსვენარი, ირონიული და თავისუფლებისმოყვარე ტახცისი ვერ ეგუებოდა მაშინდელი ბერძნული საზოგადოების კონსერვატიულ და ჩაკეტილ გარემოს. „ნავედი, რადგან 50-იანი წლების საბერძნეთში სული მეხუთებოდა. ყველა თვალსაზრისით - სულიერი, სოციალური, სექსუალური ცხოვრების მხრივ. რომ არ ნავსულიყავი, არასოდეს დაგწერიდი „მესამე გვირგვინს“. იგი ათი წლით ტოვებს სამშობლოს, მთელ მსოფლიოს მოივლის - ავსტრალიიდან ამერიკამდე, ევროპაში თავისი საყვარელი „ვესპაით“ მოგზაურობს და სწორედ ამ პერიოდში, ათწლეულის მოგზაურობის დროს წერს თავის მთავარ ნაწარმოებს, თანამედროვეობის საუკეთესო ბერძნულ რომანს.

„მესამე გვირგვინს“ ცნობილმა ბერძენმა პოეტმა, ანდრეას ემბირიკოსმა „ბერძნული ეპოსი“ უწოდა. მას უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებად მიიჩნევენ ნობელიანტი პოეტი გიორგოს სეფერისი, ავტორის თანამედროვე პოეტები და მწერლები, როგორებიც იყვნენ ნანოს ვალაორიოტი, მენის კუმანდარეასი და მრავალი სხვა. თუმცა, მომავალი ბესტსელერის პირველმა გამოცემამ სრულიად შეუმჩნეველად ჩაიარა, გამოცემლობებმა ხელნაწერი არც კი მიიღეს და ავტორი იძულებული გახდა, საკუთარი ხარჯით გამოეცა 1962 წელს. გამოცემა სულ რამდენიმე ცალი გაიყიდა. 1970 წელს კი, როცა რომანი დაბეჭდა დიდად ბერძნულმა გამოცემლობამ - „ერმის“, მისმა პოპულარობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ცნობილია, რომ სამხედრო დიქტატურის პერიოდში, პოლიტიკურ პატიმრებს სწორედ „მესამე გვირგვინს“ უგზავნიდნენ ახლობლები ნასაკითხად. ითარგმნა თითქმის ყველა ევროპულ ენაზე, ხოლო ინგლისურ გამოცემის შემდეგ, 1967 წელს, ცნობილი ლიტერატურის კრიტიკოსი, მარტინ სემიურ სმიტი ევროპისთვის ახლად აღმოჩენილ ტალანტზე წერდა, რომ მისმა შემოქმედების ძალამ ავტორი თანამედროვე ევროპული მწერლების ავანგარდში დააყენა.

ახალ ბერძნულ ლიტერატურა საქართველოში ნაკლებად იცნობენ. უმდიდრესი ლიტერატურული ტრადიციის ქვეყანა დღესაც უაღრესად საინტერესო ავტორების სამშობლოა. თანამედროვე ბერძნული მწერლობის მრავალფეროვან და დიდ სამყაროში კოსტას ტახცისი სრულიად გამორჩეული და განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. „მესამე გვირგვინი“ სამუალებას გვაძლევს დაინახოთ საბერძნეთი ისეთი, როგორსაც მას თავად ბერძენი ხედავენ, ისეთი, როგორც ბოლო ასწლეულის განმავლობაში იყო და გავირით, რას წარმოადგენს დღეს ეს საოცარი ქვეყანა. წინამდებარე წერილი პირველი მცდელობაა, ქართველ მკითხველსაც გავაცნოთ მწერალი, რომელსაც „არ ემინია სიმართლის. ის ესწრაფვის დამაბრმავებელ სინათლეს - სინათლეს სრულყოფილებისა“¹.

¹ ალექს ფასიანოსი, „მებრძოლი ტახცისი“.

კოსტას ტახცისი

მესამე გვირგვინი


ახალბერძნულიდან თარგმნა ანინა გოგობიაშვილი



1

აღარ შემიძლია, არა, აღარ შემიძლია ამის ატანა! ეს რა ჭირი დამმართე, ღმერთო? რომელი ცოდვებისთვის მსჯი ასე სასტიკად? როდემდე უნდა მაჯდეს კისერზე? როდემდე უნდა ავიტანო, როდემდე უნდა ვუყურო მის სიფათს, როდემდე ვუსმინო მის ხმას, როდემდე? აღარ გამოჩნდება ვინმე თვალდავსებული ქრისტიანი, რომ ითხოვოს, გამათავისუფლოს ამ უღდეურისგან, მამამისმა თითქოს ჩემზე შურის საძიებლად რომ დამიტოვა? არ გაიხარონ იმათ, ვინც აბორტი არ გამაკეთებინა!

თუმცა, რას ვწყევლი? არცერთი აღარაა ცოცხალი. არც მათი ბრალია. მე ვარ დამნაშავე, რომ დავუჯერე. ამ დროს ყველამ მხოლოდ საკუთარ გულისთქმას უნდა უსმინოს, სხვას არავის!.. სანამ პატარა იყო, თავს იმით ვიმშვიდებდი, გაიზრდება და შეიცვლება-მეთქი. „გამოსწორდება!“ ვამბობდი, „გამოსწორდება. ბოლოს და ბოლოს, ერთ დღესაც გათხოვდება, სხვას დააჯდება კისერზე“. მაგრამ რას ამბობ! ტყუილად მქონდა იმედი. როგორც ვატყობ, შინაბერად დარჩება. როგორ არ უნდა დარჩეს შინაბერად ასეთი? სულ იმ საზიზლარი ერაზმის ბრალია, დაღუპა თავისი კატეხიზმობით. კარ-



გი რა, რომელი კაცი შეხედავს ნდომით ასე ჩაცმულს, ასეთი ქცევითა და ლაპარაკით? რომელი სერიოზული ადამიანი დათანხმდება, საკუთარი შეილების დედად წარმოიდგინოს უაზრო იდეების მქონე, ნევროზით და ეგზეზით დაავადებული არსება, განუწყვეტილოდ რომ იფხანს და შებრაყებას არ აცლის? ასე დამწინილებული დარჩება სამწუხაროდ, მე უბედურმა კი, აღარ ვიცი, ვინ მეტად შევიცოდო: ჩემი თავი თუ ის? რადგან, რაც უნდა ვთქვა, ტყუილია, მაინც მისი დედა ვარ და გული შემტკივა.

მაგრამ საკუთარი თავიც მეცოდება. ყოველ ჯერზე, როცა წყობიდან გამოვყავარ, ეს დაგროვილი ტკივილი მაგიჟებს. „რაკი ღმერთმა ასეთი მახინჯი გაგაჩინა,“ ვუღებები, „ცოტა თვალში საცემად მაინც ჩაიცვი, იქნებ და ვინმე მოატყუო!“ თუმცა, სამწუხაროდ, არც ამით დამემსგავსა. არ ვამბობ, რომ ლამაზი ვარ, მაგრამ ყოველთვის ეშხიანი ვიყავი. ჩაცმაც ვიცოდო, მის ასაკში ვარსკვლავებს ვეთამაშებოდი. ქუჩაში მივდიოდი და ყველა კაცი მე მიყურებდა, თავს ჩემკენ აბრუნებდა, როგორც მზესუმზირები მზისკენ. ამ ხელიკივით კი არ ვიყავი! ნეტავ გაბაგებინა, ვის დაეცხვავსა. მე არ მგავს, ბებიამისს არ ჰგავს, ბაბუას ხომ საერთოდ, მამამისს უფრო ნაკლებად. შეიძლება ცუდი ადამიანი იყო, შეიძლება ის იყო, რაც იყო, მაგრამ საზოგადოებაში გამოსული კაცი ვთქმობა. თან რა ლამაზი - ბევრად ლამაზი, ვიდრე საჭირო იყო...

არა, ლამაზი არ ვარ! მაგრამ ცხოვრება ვიცი. ჩემს ასაკში რომელი ქალი გამოიყურება ჩემსავით? „არსაკონიდან“ ჩემი ყველა მეგობარი და კლასელი დაბერდა. ქუჩაში რომ მხვდებიან, მეშინია. შეხედავ, ბებიები არიან. იმიტომ კი არა, რომ მიწვევები მყავთ - იულოლია, მაგალითად, არ ჰყავს - არამედ საკუთარ თავს ყურადღებას არ აქცევენ. მოეშენენ და დაბერდნენ. სხეული არ ბერდება, მანამდე გული თუ არ დაბერდა. „ანი ჩემი ქალიშვილები გაიპრანჭონ!“ გუბუნებთან, „ჩემმა შვილებმა იარონ საცეკვაოდ და გასართობად! ჩემი უკვე ვიცხოვრე!“ რატომ არ იტყვიან, მათი შვილები ხომ ნებისმიერი მსხვერპლის ღირსები არიან. მარია კი არ ჰყავთ! არ იციან, რას ნიშნავს მარია დედობა, ამიტომაც ვერ დაფრთხობა, როცა ისევე გათხოვებას მსაყვედურობენ, მის გათხოვებაზე ზრუნვის ნაცვლად. არ იციან, რომ მაშინ, როცა თოდორეს მივყვებოდი, ყველაფერი ავწონ-დავწონე. ჩემს თავს ვუთხარი: მარია დასახრჩობდა და განწირული, მასთან გადასარჩენად მისვლა რომ ვცადო, მეც თან ჩამოთრევს... მე მაინც გადავრჩე, იქნებ გავზრდის დრო მივცე, იქნებ მომწინავეს როგორღაც. „გათხოვე,“ ყველა ამას მეუბნებოდა, „და ნახავ, მერე ვეღარც იცნობ“. მე გავათხოვო? უუნაროა, თვითონ რომ ვერ ნახოს ქმარი? მე უნდა მოვუყვანო მზამზარეული? მის ასაკში ათი კაცი ერთად მერამიყებოდა. სადაც უნდა წავსულიყავი, ჩემს ქვედაბოლოს იყენენ გამობმულები. რომელსაც ვეტყო-

დი, შენ მოგყვები-მეთქი, კისრისტეხით გამოიქცეოდა! იკითხავთ, როგორ მოვახერხე, რომ ფოტის გადავყროდი - ეს ცალკე ამბავია. მირჩევნია, არ გავიხსენო, რადგან უარესად მეშლება ნერვები. ხანდახან ვფიქრობ, იქნებ ღვთის განგება და ჩემი ბედი იყო, მას გავყოლოდი და ის გადამეტანა, რაც გადავიტანე. ბედი იყო, ეს მედუზა გამეჩინა!.. ზოგჯერ კი მგონია, რომ არც ღვთის ბრალია, არც ბედის, ჩემი ბრალია და სხვა არავის! ჯიუტი ვიყავი და ჩემი გავიტანე. ვთქვი, ამას გავყვები-მეთქი და გავყევი კიდეც. ზუსტად იმიტომ, რომ ჩემთვის არ მოსწონდათ. ცხოვრებულ მამარქმეცა კი, რომელიც ყოველთვის ასეთი ზომიერი იყო შეფასებისას. არ ვაპირებდი, კიდე ერთხელ მიმეცა უფლება, ჩემს საქმეებსა და ცხოვრებაში ჩარეულიყვნენ, როგორც ადრე. ბევრი დამიშავეს თავიანთი ცხოვრის ჩაყოფით არ გვირის შემთხვევაში. აღარ ვიყავი მაშინდელივით თვრამეტი წლის, ოცდაშვიდი შემისრულდა. დამოუკიდებელი ვიყავი და გადანყვებილი მქონდა, რაც მინდოდა, ის გამეკეთებინა. გავაკეთე და კარგი ჩიტიც დავიჭირე!

მაგრამ ეს სულ სხვა რამაა. ერთ შეცდომას ყველა უშვებს. ნუთუ ეს არის მიზეზი, რომ მთელი ცხოვრება იმ იდიოტურ შეცდომას გადავყოლო? რამდენს ვიცოცხლებ კიდეც? ათ წელს? ოცს? ვინ იცის! შეიძლება დღეს გარეთ გავიდე და მანქანა დამეჯახოს, გიჟებივით რომ დაჰყავთ. მაგრამ ერთი საათის ცხოვრებაც რომ მქონდეს დარჩენილი, ისე ვიცხოვრებ, როგორც მე მინდა! კირა-გალათია! სხვა ნინას ვეღარ გააჩენს. დიდი ხანია, მიწაშია. ცოტა ხანს მისი ბუზღუნის გარეშე მაცხოვრე, ჩემი ცხოვრებისთვის მიმახედინე, უფრო სერიოზულ თემებზე მაფიქრე, ვიდრე მარიაა პრობლემებია - ღმერთო, ნუთუ არასდროს მალირსებ ამას?..

ეს ორი-სამი დღეა, თოდორე ცოცხლად შეჭამა. ხანდახან უცნაური სიგიჟე შეიპყრობს ხოლმე. კარს ცხვირწინ უკეტავს, ჩვენთან ერთად მაგიდასთან არ ჯდება. როცა მარტონი ვართ, საშინლად ლანძღავს მასაც და მის ოჯახსაც, არადა, საცოდავს მისთვის არაფერი დაუშავებია. ჩემზე ეჭვია-ნობს, ჭირი მგავს, აბა, რა უნდა იფიქრო ადამიანი? „თუ ასე ვინდა ქმარი“, ვუთხარი დღეს, „გადი პარკში, ნახე ვინმე აყლაყულა! პარკი შორს ხომ არაა? სულ ორ ნაბიჯზეა! ნაღი და იბოვე ვინმე მეზღვაური ან ჯარისკაცი, იქნებ ჩაგიქროს ეგ ცეცხლი რომ გიკიდა! მე უნდა გიპოვო ესეც? შენს ასაკში უკვე მარტო შენ კი არ მყავდი, მეორედ გასათხოვრად ვემზადებოდი! მიდი, გაინძერი!“ ვეუბნები, „ჩაიცვი, გადი გარეთ! და მამაჩემის სულს გეფიცები, მამაჩემისა, ყველაზე მეტად რომ მიყვარდა ამქვეყნად, ვინც უნდა მოიყვანო სახლში, ვინც უნდა იყოს, საკმარისია მოიყვანო და მითხრა: „ეს ბატონი ჩემი მეგობარია, ჩემი საქმრია, ჩემი ქმარია“, ხმის ამომღები არ ვარ. არაფერს ვიტყვი, ჩემს აზრს ჩემთვის შევიწინაბე! დიდი პატივითაც მივიღებ! მე არ მივყვები ცოლად, მე არ დავიძინებ

! კირა - გავრცელებული მიმართვა ასაკით უფროსი ქალისადმი ან პატივისცემის ნიშნად. ნაწარმოებია სიტყვიდან κυρία (კირია) - ქალბატონი. მამაკაცისადმი მიმართვისას გამოიყენება „კირ“, სიტყვიდან κύριος (კირიოს) - ბატონი.

მასთან ერთად, მასთან შენ უნდა გეძინოს. რა თქმა უნდა, თუ არ მოგატყუა - რადგან, როგორც წესი, შენნაირი ცინგლიანი ქალიშვილები ტყუევდებიან ხოლმე - და მთელი მზითვეი არ შეგიჭამა! მერე კი მიგატოვებს და მარტო შენ კი აღარ მეყოლები სათრევი, შენი ნაბიჭვარიც ჩემს კისერზე იქნება! ჩაიცვი, " ვუთხარი, "გადი გარეთ, აქ აღარ დაგინახო! თუ ქმარი არ გინდა - ასეთმა გაუწონასწორებელმა, თავად არ იცი, რას ელი ცხოვრებისგან - მაშინ მონასტერში მიბრძანდი. კიდევ არსებობს რამდენიმე. კერატეაში წაიღო მარიამთან! მიდი, მონაზონს დაემსგავსე ერაზმისასვით, ის არ გყავს დიად მაგალითად? რა იყო, მამაშენმა საგანგებოდ დაგტოვა აქ, ჩემთვის სიცოცხლის გასამწარებლად? მოშორდი აქედან, ჩაიცვი! ბოლოს და ბოლოს გააკეთე ის, რაც გინდა. მაგრამ, იცოდე, უკანასკნელად გაფრთხილებ: აღარ გაბეძო ჩემი წყობიდან გამოყვანა დღევანდელივით, მით უმეტეს, თოდორეს თანდასწრებით! იცოდე, ჩემი ხელით მოგკლავ! და აღარ გაბეძო მამაჩემის და კირა-ეკავის ფოტოების ჩამოსხნა მისაღებში! შეიძლება, ცუდი ხარისხის სურათებია და აღარც არის მოდამი კედლებზე ფოტოების დაკიდება, მაგრამ სანამ მე ცოცხალი ვარ, ეს სახლი ჩემი საკუთრებაა! მე ვარ აქ დიასახლისი და რაც მე მინდა, ის იქნება კედლებზე გამოფენილი, გესმის? როცა გათხოვდები და საკუთარი სახლი გექნება ან როცა, შენი სიტყვებით, ჩავძალდები და მემკვიდრეობას მიიღებ, რაც შენ ნერვებს მანყვეტ, მალე მიიღებ მემკვიდრეობასაც, მერე სულ ზანზალაკები დაგიკიდია კედლებზე!.. მაგრამ სანამ ცოცხალი ვარ და ვსუნთქავ, იმ ადამიანების ფოტოებს მინდა ვუყურებდე, ვისაც ვუყვარდი და რომლებიც, სამწუხაროდ, აღარ არიან. შენ ხელში დამტოვეს, რომ ცოცხალად შემეჭამო!" ვუთხარი და მამაჩემისა და კირა-ეკავის ფოტოები თავის ადგილზე დავაბრუნე.

როცა ნახა, რა გავაკეთე, გაცოფდა. „ჰმ!“ მითხრა, „არსად დაგეკარგოს შენი მრეცხავი დედამთილი!“ მივბრუნდი და ვუთხარი, მრეცხავიც ხარ და უარესიც-მეთქი და ასე დაიწყო ჩვენი დღევანდელი შეხლა-შემოხლა. „მრეცხავიც ხარ და უარესიც!“ ვეუბნები, სიტყვა სიტყვას მოჰყვა და ლამის ხელით შეხებამდე მივიდა. გავცხარდი, რადგან ზუსტად ვიცი, კირა-ეკავის ჩემს გასამწარებლად, ზინზაღ ლანძღავს. უნდა, რომ თოდორემ გაიგონოს, როგორ ეძახის დედამისს მრეცხავს, ქეჩოში ხელი მოკიდოს და კარგად დააბზრილოს. და ვის დააწყებდა ნერვები? ვის, ჩემი და თოდორეს გარდა? რა თქმა უნდა, არა მარიას. მარიას ჩხუბი ასაზრდოებს, არ შეუძლია მის გარეშე არსებობა.

თოდორეც რომ არ ყოფილიყო, სანამ ცოცხალი ვარ, კირა-ეკავის ფოტო ჩემს კედელზე უნდა ეკიდოს. იმიტომ კი არა, რომ ჩემი დედამთილი იყო. რომელ რძალს უყვარს დედამთილი? ღმერთმანი, ცოცხალი რომ ყოფილიყო, თოდორეს არავითარ შემთხვევაში არ გავყვებოდი. ჩემზე უკეთ ვინ იცის - საუკეთესო მეგობარი იყო, მაგრამ დედამთილად - მტერს. ისეთ მდგომარეობაში, როგორმაც ბოლო დროს იმყოფებოდა, აღარ შეეძლო ნორმალური

ურთიერთობების შენარჩუნება. აღარ იყო ის ძველი კირა-ეკავი, თავისი ხუმრობებით, ადამიანებისა და სიცოცხლის რწმენით (მიუხედავად მისი მოწვევებითი პესიმიზმისა), ის კირა-ეკავი, რომელსაც ყველაფერს მოუყვებოდი და ისეთ რჩევას მოგცემდა, როგორსაც სხვა ვერავინ. არა! ახლო აღმოსავლეთიდან თოდორეს დაბრუნებისას ცოცხალი რომ ყოფილიყო, თავშიც არ მომივიდოდა, მის შვილს ცოლად გავყოლოდი და მისი რძალი გავმხდარიყავი. წარმოუდგენელი იქნებოდა. სრულიად წარმოუდგენელი. საშინლად ვიკამათებდით. იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ ხალხს სასაცილოდ არ ყუთფოდა. დღემდე მხედვებიან ხოლმე წლების უნახავი, იმდროინდელი ნაცნობები და ირონიულად მეუბნებიან: „თქვი, ნინა, ოდესმე წარმოიდგენდი, რომ ერთ დღესაც მისი რძალი გახდებოდი?“ მე კი ყურადღებას არ ვაქცევ, თორემ ყველასთან შელაპარაკება მომიწევდა. გულში კი ვფიქრობ, რომ ნახილობრივ მართლები არიან. სასაცილოა, როგორ აენყო ყველაფერი, მაგრამ საერთოდ არაა სასაცილო ხალხის თვალთ დანახული იგივე ამბავი. ამ „სვეტიბიდან“ რომელი იცნობდა კირა-ეკავის? რომელმა იცოდა, რა გული ჰქონდა? ხანდახან იმაშიც ვჭკვი მეტარება, მე თუ ვიცნობდი, არადა, რა არ გამოვიარეთ ერთად...

ზოგიერთის აზრით, კირა-ეკავისთან დროს კარგად გაატარებდი. ზოგიერთი კი ლამის ზიზღით უყურებდა, როგორც სნობი იულია. ვერაფრით იგებდა, როგორ ვემგებობრებოდი. პირდაპირ არასდროს უთქვამს, მაგრამ გადაკვრით სულ მაგრძობინებდა. „შენ, ჩემო ნინა, ისეთი ოქროს გული გაქვს!“ მეუბნებოდა, „ვინც უნდა იყოს, ნებისმიერისთვის ღიაა შენი სახლის კარი. ყოველთვის ამას ვეუბნები ჩემს ლილიას: ნინას მსოფლიოში ყველაზე კეთილი გული აქვს-მეთქი“. ვერაფრით იგებდა, როგორ შეიძლებოდა, კირა-ეკავისთან მეგობრობა მერჩია, მასთან ან კარუსუსთან მეგობრობას.

მართა კი სულაც მასხარას ეძახდა. ერთხელ ისიც კი მითხრა, იმპერატორივით ხარ, საკუთარი მასხარები რომ ჰყავდათო. ძალიან ნაკითხად კი მოჰქონდა თავი, მაგრამ ისიც ვერ ხვდებოდა, რა აიძულებდა ხოლმე კირა-ეკავის მასხარასავით მოცუულიყო, არადა, მისი თავმდაბლობის გამო იქცეოდა ასე. კირა-ეკავის საცარიე ნიჭი ჰქონდა, საკუთარი ცხოვრება დრამად ექცია, და რაც უფრო იხლართებოდა დრამატულობაში, მით მეტს ხუმრობდა - ყოველთვის თავის თავზე და არასდროს სხვებზე.

დეიდა კატიგოს, თავისი ყალბი მოკრძალებითა და ეთიკაზე სასაცილო წარმოდგენებით, ბუნებრივი იყო, კირა-ეკავი ამქვეყნად სატანის განსხეულებად მიეჩნია. ერთი მხრივ, მართალი იყო - ეს ქალი სატანაც გახლდათ, მაგრამ ამავე დროს, ღმერთი იყო, წმინდანი და ჩემზე უკეთ ეს არავინ უწყობდა. მთელი მისი ისტორია თავიდან ბოლომდე ეივლიდ და შვილებზე უკეთ ვუგებდი.

მისი შვილები, ჰმ! ჩემი შვილის პატრონმა კარგად ვიცი, რომ დედამისის ზურგზე არ არსებობს სულიერი, ვისაც ჩვენი გაგება მათზე ნაკლებ შე-



უძლია, ვინც ჩვენ თვითონ ვშვით. და თუ ეს ყველაფერი საკმარისი არაა იმისთვის, რომ ამ ქალის ფოტო მეკიდოს კედელზე, მაშინ ჩავთვალთ, რომ ერთად გატარებული დაუფინყარი დღეების მოსაგონებლად ვიქცევი ასე. რადგან მას ისე გადავუშალე გული, როგორც არავის, რადგან მასაც საკუთარ ქალიშვილთან ურთიერთობის მწარე გამოცდილება ჰქონდა და არც სხვა შვილებს დაუკლიათ სიმწარე მისთვის (საბოლოოდ, პოლიქსენიც კი ელენისათვის მოექცა). მთელ ჩემს ნათესავეებსა და მეგობრებს შორის, ის ერთადერთი იყო, ვინც მთელი გულით თანამიგრძნობდა, ერთადერთი, ვისაც შეეძლო გაეზიარებინა ჩემი ტკივილი და სიმწარე ამ უბედურების გამო - შვილის ნაცვლად ურჩხული მეშვა!

2

კირა-ეკავი 1937-ში გავიცანი. თუმცა, ალბათ 37 არ იყო, 36-ის ზაფხული იქნებოდა, აგვისტო. მასსოვს, რადგან რამდენიმე დღეში ღვთისმშობლობა მოდიოდა და მისი უდიდებულესობა, ჩემი ქა-

ლიშვილი, სახელობის დღეს აღნიშნავდა. გაურჩებლად ვტრიალებდი - მტვრის წმენდა, პარკეტი და მსგავსი ამბები. მარიეტასთან ერთად ტერასაზე ვიყავი და ფეხშიშველები მისალების ხავერდის ფარდებს ვფერთხავდით. ბოლო საქმე იყო, რომელიც იმ დღეს უნდა მოგველია. საკმარისია, ვფიქრობდი, ხვალაც ამ თვისაა-მეთქი. „მოვრჩეთ ამ ფერთხვას და გადავივლოთ, გავგრილდეთ“, ვეუბნებოდი მარიეტას, როცა ზანზალაკის ხმა გავიგეთ, შემოსასვლელი კარის გაღებისას რომ წკარუნობდა. „ნახე, ვინაა“, ვუთხარი, „მომეცი ფარდის კიდე და ნახე, ვინაა. იმედია, ვინმე უცხო არ არის, ისეთი გაჩეჩილი ვარ, ვინც არ მიცნობს, იფიქრებს, ვიღაც ბოშაა“.

მარიეტამ ფარდის კიდე მომაჩეჩა და შველივით (საწყალი გოგო!) ისკუპა სამრეცხაოს წინა ტერასიდან, საიდანაც მთელი ეზო ჩანდა, კარიდან მოვარ შემოსასვლელამდე. თვალები სწრაფად აახამხამა, როგორც სჩვეოდა, როცა უცნობ ადამიანს დაინახავდა. ვუყურებდი და მეღიმებოდა. ნამდვილად ვიღაც უცხოა-მეთქი, გავიფიქრე. მარიეტა ტურებს ასე თუ ამირიზავს, ნიშნავს, რომ უც-



ნობია მოსული. ასეთი იყო, ველური ბულდოგით. ისევ ტერასაზე დაბრუნდა და ფარდის კიდე გამო- მართვა, ფერთხვის გასაგრძელებლად.

მივხვდი, რომ თვითონ ხმის ამოღებასაც არ აპირებდა, უკვე კარგად ვიცნობდი. „ეინ არის?“ ვეკითხები. „არავინ...“ „როგორ არავინ, ზარის ხმა გავიგონე“. „ოოო, არავინ-მეთქი, გითხარი!“ ასე მელაპარაკებოდა. „ერაზმია მობრძანდა“, კეთილი ინება და მითხრა ბოლოს და ბოლოს, „ერთ დედა- კაცთან ერთად“.

ერაზმია მარიეტასთვის „არავინ“ იყო, ისევე, როგორც დიდხვესი პოლიფემესთვის. მართალი ვიყავი, უცხო რომ მეგონა. მაგრამ ვინ უნდა ყოფილიყო, წარმოდგენა არ მქონდა. რომელიმე ის ჩიტი იქნებოდა, ერაზმია ღირს ევფემიასთან რომ გადაეყრებოდა ხოლმე, თორემ მარიეტა დედაკაცს არ დაუძახებდა. ნაცნობსა და უცნობს, ყველას დედა- კაცს უწოდებდა, თვალში თუ არ მოუვიდოდა ვინმე.

სამწუხაროდ, საშინელი ჩვევა ჰქონდა, ადონის დედაც ასე მოეხსენებინა. მისთვის დედაკაცი იყო და დამთავრდა. მერე ეს მეტსახელი მიეწება კიდევ და ჩვენც კი, როცა ადონი სახლში არ იყო, დაგვცდებოდა ხოლმე. გული მისკდებოდა, ერთხელ მისი თანდასწრებით არ წამოგვცდენოდა. ვიცოდი, რომ არაფერს იტყოდა, მაგრამ ეწყინებოდა. ისე- დაც ხშირად უშლიდა ნერვებს ჩემი მზეთუნახავი თავისი გატლუკილი ენით. ბოროს ასჯერ უთქვამს ჩემთვის: „ნინა, გაუფრთხილდი, მისთვის ნერვიულობა არ შეიძლება. გული საშინელ მდგომარეობაში აქვს. მიხედ“. მაგრამ რასაც მე ვცდილობდი მოთმინებითა და ზრუნვით, ჩემი ქალიშვილი თავისი საძაგელი ენით ანადგურებდა. დედაპირებდა, შენიშვნა მიეცა და ის უკვე ყვიროდა: „თავი დამანებე! ვინ ხარ საერთოდ! მამაჩემი ხომ არ გგონია თავი!“ თორმეტი წლისაც არ იყო. ისეთ დღეში აგდებდა, ფოთოლივით თრთოდა კაცი.

მარიეტა ერთ ზაფხულს ჩამოვიყვანეთ ანდროსიდან, როცა დეიდამისი ბოლენას, მამაჩემის ბიძაშვილის სახლში ვისვენებდით. პისომერიიდან იყო და რომელ ანდროსელსაც უნდა ჰკითხოთ, გეტყვით, რომ პისომერიელები თავიანთი არასტუმართმოყვარეობით და მწარე ენით გამოირჩევიან. მარიეტა ნამდვილი პისომერიელი იყო. მე ერთგული ძალღმერთ ვუყვარდი. ადონის პატვის სცემდა და თუმცა სულ ერთმანეთს ეხუმრებოდნენ, გულში იცოდა, რომ მისი უფროსი იყო და ცოტათი ეშინოდა კიდევ მისი. სხვას ყველას, უცხოსა თუ შინაურს, არაფერს შეარჩნდა. არავინ დატოვა მეტსახელის გარეშე. დეიდა კატისთვის „დესპოტი“ შეარქვა - „უხვს დესპოტი!“ მის უდიდებულესობას - „ზარნაშო“. როცა ასე ახსენებდა, ვითომ ვუბრაზდებოდი (ზედმეტად არ გათამამებულიყო), მაგრამ სინამდვილეში ვფიქრობდი, რომ ასეთი ზუსტი მეტსახელი არავისთვის შეურქმევიათ. ზარნაშო იყო, ახლაც ზარნაშოა და ზარნაშოდ დარჩება მთელი ცხოვრება!

თუმცა, ყველაზე მეტად ერაზმიას ვერ იტანდა,


მისი დანახვისას თითქოს გულ-მუცელი უბრუნდებოდა. როცა ერაზმია თავის მეგობრებს მოათრევდა ხოლმე ჩვენი სახლის საჩვენებლად, ძლივს ვაკალებდი, გარეთ არ გაეგდო. ხშირად ჩემი ავადმყოფობაც მოუმიზეზებია და უთქვამს, რომ სტუმრებს ვერ მივიღებდი. „ნადი, ყავა მოვიდოდლე!“ ვუბნებოდი. ცხონებულმა დედაჩემმა მასწავლა ყველას მიმართ სტუმართმოყვარე ვყოფილიყავი, მაშინმისგან კი მახსოვდა, რომ სწორი არ უნდა იყო და არავინ უარყო, სანამ ოდნავ მაინც არ გაიცნობ. როგორ გინდა, ადამიანი გაიცნო, ერთხელ მაინც თუ არ დალიეთ ერთად ყავა? „ნადი, ყავა მოვიდოდლე და ალუბლის მურაბაც გამოიტანე!“ ვუბნებოდი. ის კი მიდიოდა სამზარეულოში, ისე დგებოდა, რომ მხოლოდ მე დამეხანა, იქიდან მემანქებოდა და მანიშნებდა - არ მოვედულეებ ყავას! რას ამბობს! მეტი საქმე არ მაქვს, მურაბაც გამოვუტანო! და ასე მაგდებდა უხერხულ მდგომარეობაში.

მაგრამ, რაკი, ერთი მხრივ, ხმამაღლა იმას ამბობდა, რასაც მე გულში ვფიქრობდი და ჩუბად ყოფნას ვარჩევდი, მეორე მხრივ - რადგან პატრონი, მშრომელი და ერთგული იყო და უფრო მეტად, ვინაიდან ბოლო დროს, ომის წინა წლებში, ადონის ავადმყოფობის და სამუშაოს შემცირების მიზეზით იქამდე მივედი, რომ ათი თვე იყო მისთვის არაფერი გადაგვეხადა, მარიეტას კი სიტყვაც არ უთქვამს ამის გამო, ყველაფერზე თვალს ვუჭავდი. სტუმრებს ვებოდიშებოდი, თუმცა უკვე ისინიც კარგად იცნობდნენ და არ სწყინდათ. შეეშვი, ვეუბნებოდი საკუთარ თავს, იფიქროს, რომ ოჯახის წევრია და სიტყვა ეთქმის-მეთქი.

„მოდი, მოვრჩეთ ამ ფერთხვას!“ ვუთხარი, „დავილაღე! ჯანდაბა ამ დედასანაულებს, ერთხელ იქნება, ამომივა ყელში და ყველას ცხვირწინ მიუკუეტავ კარს!.. თქვი, ვინაა ეს დედაკაცი?“ ვიცოდი, თუ არ ვკითხავდი, ხმასაც არ ამოიღებდა. თუმცა, როცა ვეკითხებოდი, არც მამის ნებდებოდა ადვილად. „უფ, დედაკაცია-მეთქი, ეთხარი!“ არ უყვარდა ბევრი ლაილაი. უკვე შენობითაც მელაპარაკებოდა, თქვენობით მარტო ცხონებულ მამაჩენს მიმართავდა. ვინმეს რომ მოესმინა, ის ეგონებოდა ქალბატონი და მე მისი მონა.

ეს, ალბათ, პირველი შემთხვევა იყო, როცა მარიეტა შეეცადა. კირა-ეკავი არ იყო დედაკაცი, საერთო არაფერი ჰქონდა იმ ქაჯებთან, ერაზმია რომ მომითრევდა (თუმცა, არ მიჯერებდა, ადონის მზარდაჭერა ჰქონდა უზრუნველყოფილი) ხოლმე. ბევრჯერ მყავდა გაფრთხილებული, პირდაპირ და შეულამაზების გარეშე მინდობდა, უცნობები მოეყვანა ჩემს სახლში. არა! კირა-ეკავი დედაკაცი არ იყო. ამას მამიწვე მივხვდი და პირველი შთაბეჭდილებები არ შემცვლია, მამინაც კი, რომ აღმოჩნდა მართლს ვიყავი, რდცა ვეთქვი, ერაზმიას ღირს ევფემიასთან გაიცნობადა-მეთქი. დღერთმა იცის, რა მქონდა გადატანილი და რას ვუძღვებდი იმ ბებერი თაღლითისგან!

ღირსი ევფემია „მონაზონი“ გახლდათ. ახალ



გაზრდობაში უზან-უზან დადიოდა და სანთლებს, საკმევებს, ცხოველმყოფელი ჯგერის ნაწილებს და წმინდანთა ცხოვრების შესახებ წიგნებს ყიდდა. როგორც ჩანს, ეს წიგნები თვითონაც წაიკითხა და მიხვდა, რომ წმინდანად თავის მოჩვენება არც ისე მწელია. ერთი პატარა ოთახი იქირავა აგიოს ლეფტერიზე, ღირსი ევფიმია დაირქვა და მორწმუნეების შემოწირულებებით ცხოვრობდა (ვის ცოტა მაქარი მოჰქონდა, ვის - ყვადა და ათასი წვრილმანი), რითაც, როგორც მოგვიანებით გავიგე, მისი რძალი მშვენივრად ვაჭრობდა - „წმინდანს“ ორი ვაჟი ჰყავდა. სახელი კი ასე გაითქვა - ამბობდნენ, ხორცისთვის ორმოცი წელია პირი არ დაუკარებია და მომავალს წინასწარმეტყველებსო.

ერთ დღესაც, მასთან მისასვლელად გავემზადე. რა თქმა უნდა, იმიტომ არა, რომ ჩემი ბედი შემეტყო. ჩემი ბედის ამბავი ჩემზე უკეთ ვინ იცის! ადონის ხათრი ვერ გავუტყებ, იმ დროს თავით იყო გადაშვებული რელიგიაში. ცოლად რომ გავყვები, მაშინ ეშმაკიც არ იქნებოდა მასზე უღმერთო. არასდროს მენახა, ადამიანს ასე ეგინებინოს ყველაფერი წმინდა. მაგრამ სინმინდეების გინება ურწმუნობის გამო კი არ სჩვეოდა. რამდენი მორწმუნეა, არაფერ წმინდას არ ტოვებს და არც უფიქრდება, რას აგინებს, და რამდენი ურწმუნო, რომელსაც არასდროს დასცდენია გინება, როგორც ცხოვრებულ მამარქმეს. იცით, ეს აღზრდიდან მოდის. თუმცა, ადონი არცერთ კატეგორიას არ მიეკუთვნებოდა. მთელი გულით იგინებოდა, ყველა სიტყვას გემოს ატანდა, ყველაფერს დასცინოდა, რასაც ღმერთთან ან ეკლესიასთან რაიმე კავშირი ჰქონდა. მე კანდელის ანთებისთვისაც მასხრად მიგდებდა, მიდი, იქნებ მოგეტყვოს ცოდვებო, მეუბნებოდა. სინდისი ჰყოფნიდა, ჩემს ცოდვებზე ელაპარაკა. მე უბედური იმ კანდელს, პირველ რიგში, დედაჩემის ხსოვნის პატივსაცემად ვანთებდი, მიმარჩნდა, რომ არ ვიქნებოდი მართალი, ჩემს დაბადებამდე არსებული ტრადიცია მხოლოდ იმიტომ შემენყვიტა, ცოცხალი რომ აღარ იყო. მერე მხრივ კი, გულწრფელად რომ ვთქვა, არასდროს მიყვარდა სრულ სიბნელეში ძილი. ასეთი ამბები იყო ჩვენთან ადონის ავადმყოფობამდე.

როცა ინსულტმა დაარტყა და მარცხენა ფეხი პარალიზებული დარჩა, თავისი საქმეები ერთ ნათესავს გადააბარა (რომელმაც, ბოლოს, პირწმინდად გააძრცვა), ჩვენ კი ზაფხულის გასატარებლად კორინთში წავიდეთ. ათენში ამდენი წლის შემდეგ, პირველად ბრუნდებოდა საკუთარ სოფელში. მე შევწინდი, რომ ეს გადანყვეტილება მიელო. შეგვეძლო ანდროსზეც წავსულიყავით, როგორც ყოველთვის, მაგრამ იმედი მქონდა, კორინთს კლიმატი მასზე კარგად იმოქმედებდა. ანდროსი, ცოტა არ იყოს, ნესტიანია. ამავე დროს, იმასაც ვფიქრობდი,

რომ ამდენი ხნის შემდეგ მშობლიურ გარემოში დაბრუნება, ძველი ადგილების მონახულება, სადაც მთელი ბავშვობა და ახალგაზრდობა გაატარა, ფსიქოლოგიურადაც არგებდა, ხასიათზე მოვიდოდა და ძალა მოემატებოდა. აღმოჩნდა, რომ არ შევმცდარვარ, თუმცა, ყველაფერი ისე არ მოხდა, როგორც მე ველოდი.

ბორომ, რომელიც ადონის ათენში მკურნალობდა, უკნთების გასამაგრებლად ყოველ დღით ფეხით სიარული ურჩია. ჩვეულებრივ, ციხეზე ადიოდა ხოლმე. თუ კორინთში არასდროს ყოფილხართ, არ იცით, რას ნიშნავს ბუნების სილამაზე. ჩემს პატარაობაში ბევრს ვმოგზაურობდით, მოვლილი გვქონდა ეგინა, მეთენა, სუნიო, ანდროსი და უამრავი სხვა, მაგრამ კორინთის მსგავსი სილამაზე არსად მინახავს. იმედია, ოდესმე დამთავრდება ეს საშინელება, ეს აუტანელი მდგომარეობა, ძმა რომ ძმას კლავს4 დღმერთი ისევე მალისებს იქ დაბრუნებას, მანამდე ერთხელ მაინც, სანამ სამუდამოდ დავხუჭავ თვალებს. სადღაც გვქონდა ათინა ტასულის წიგნი, პელოპონესის სხვადასხვა ადგილების სურათებით, კორინთის ფოტოებიც იყო. სად წავიდა ეს წიგნი, აზრზე არ ვარ, წლებია, აღარ მინახავს.

კორინთის ციხე ვენეციურია. მისი ნანგრევებიდან ერთი საცალფეხო ბილიკი ჩადიოდა და ზღვასთან ჩაჰყავდი, ზღვისპირა მღვიმესთან. საუკუნეების წინ, ამ მღვიმეში იპოვეს ღვთისმშობლის ხატი, რომელიც, გადმოცემის მიხედვით, თვით ლუკა მახარებელს დააუხატავს. ტინოსის ღვთისმშობლივითან სასწაულმოქმედად მიჩნეული ხატის მოსალოცად, ტაძრად მიყვანების დღესასწაულზე, მახლობელი სოფლებიდან ყოველ წელს მოდიოდა ხალხი. ამბობდნენ, ბევრი უუკრებელი სენით დაავადებული განიკურნაო. მე ეს ყველაფერი მოგვიანებით გავიგე, მაგრამ, რაკი თან ძალიან მომწონდა ციხიდან გადაშლილი ხედი, თან ადონის მარტო გაშვებაც არ მინდოდა (მეშინოდა, რომელიმე ქვაზე არ წაფორხილებულიყო და იქვე არ დამრჩენოდა), მეც მიყვებოდი ხოლმე. პატარა კალათით მოხარშული კვერცხი, ყველი, პამიდორი და სოფლური პური მიმიქონდა, ავდიოდით ციხეზე, მინდორზე ვისხედით და იქვე წავიხემებდით. ხანდახან ჩემს ძვირფას ქალიშვილს გავატანდი, როცა ვახერხებდი ლოგინიდან მის ნამოგდებას და ძილქუშიდან გამოფხიზლებას. „რა ჯანდაბა გემართება“, ვეუბნებოდი, „ისევე ბუზმა ცეცემ გიკბინა?“ მაგრამ იმ დღეს ადონის არ უნდოდა მისი წაყვანა. „ნუ გააღვიძებ“, მითხრა, „მარტო წავალ“. ვიცოდი, როგორი თავისნათქვამა და ჯიუტი იყო, ადვილად ვერ გადაარწმუნებდი. მე, რომც ეთხოვა, ვერ წავყვებოდი, მის ბიძაშვილ არტემისთან ერთად ხილოპიტები უნდა გავგვეკითხინა, მერე ათენში რომ წავ-

3 პატარა ქალაქი პელოპონესის ნახევარკუნძულის სამხრეთ-დასავლეთში.
 4 იგულისხმება სამოქალაქო ომი საბერძნეთში, 1946-1949 წწ.
 5 ღვთისმშობლის ხატი, რომელიც 1823 წელს აღმოაჩინეს კუნძულ ტინოსზე. მას მიენერება მრავალი სასწაული და ითვლება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სინმინდელ საბერძნეთისთვის.
 6 ტრადიციული ბერძნული ცომეული, მზადდება ძირითადად ფქვილის, კვერცხის და ზეთუნის ზეთის გამოყენებით.



ველო. დაახლოებით ათ დღეში ვაპირებდით დაბრუნებას, სამი თვე გავატარეთ კორონაში, მეტს ვეღარ დავრჩებოდით. თან, ათენიც მომენატრა. თვითონაც ვეღარ ისვენებდა, სულ სამუშაოზე ფიქრობდა. სოფელში ყოფნა, სასარგებლოს ნაცვლად, მისთვის უკვე საზიანო ხდებოდა.

თერთმეტისთვის ბრუნდებოდა ხოლმე. „თერთმეტია!“ ვუთხარი არტემისიას, „დაადგი რა ჯეზევე, სადაცაა მოვა...“ მაგრამ გახდა თორმეტი, პირველის ნახევარი, ადონი არ ჩანდა. „გაიქეცი“, ვუთხარი ჩემს ქალბატონს, „ნახე, იქნებ თავის ბიძაშვილებთან გაიარა, იქიდან ყავახანაში გავარდი! შეიძლება პირდაპირ ყავახანაში მივიდა“. მაგრამ ეს საძაგელი გოგო ძლივს წამოდგა წასასვლელად და ისე დაიწყო მორთვა-მოკაზმვა, თითქოს ქორწილში მიდიოდა. იმის ნაცვლად, ჩემი მღელვარება გავზიარებინა, სარკის წინ დადგა და თავის ნებაზე თმის ვარცხნა დაიწყო. სანამ გაემზადებოდა, დაღმდებოდა კიდევ. ეს რომ დავინახე, გავცეცხლდი. „შე უგულო!“ დავუყვირე, „არარაობავ! შენ მომიღებ ბოლოს! მინას არ აჩინხარ და მთელი საათია თმას ივარცხნი, ერთი თხოვნა რომ შემისრულო! დაიმასხრო, მოვბრუნდები და მე შენ გიჩვენებ სეირს!“ ხილოპიტები შუა კეთებაში მივყარე და ადონის ბიძაშვილებთან გავიქეცი, იქიდან ყავახანაში, მოედანზე, გიჟივით დავბოდი ზევით-ქვევით, სოფლებს ვეკითხებოდი, ხომ არ ენახათ. ფეხი დაუცდა და დაეცა-მეთქი, ვფიქრობდი, ნამდვილად დაეცა და ცოცხალს ვეღარ ვნახავ! ყველა სამინელება თავში მიტრიალებდა ციხეზე ასვლისას, იმის გარდა, რაც მომხდარიყო.

გულამოვარდნილი, გორაკის წვერს ვუახლოვდებოდი, როცა დაღმართზე მომავალი ადონი დავინახე - ყავარჯენი თავს ზემოთ აენია, უნდოდა შორიდანვე ეჩვენებინა, რომ უფროსად დადიოდა. „არც კი გრცხვენია!“ ვუთხარი მიახლოებისას და ტირილი ამივარდა. „არც კი გრცხვენია, როგორ მიხეთქავ გულს! არ გიფიქრია, რომ ნერვიულობისგან გავგიჟდებოდი?“ პატარა ბავშვივით ვკვითინებდი, მან კი ნელზე ხელი მომხვია და ჩახუტებულეები ჩამოვედით დაღმართზე.

ჩვენთვის არ უთქვამს, როგორ მოხდა ეს „სასნაული“. მეორე სასნაული ის იყო, თუ როგორ მოახერხეს კალამატას და ტრიპოლის 7 გაზეთებმა ასეთი დეტალური ინფორმაციის გამოქვეყნება. მთელი სოფელი ჩვენს სახლში შევიკრიბა, რომ საკუთარი თვალით ენახათ ღვთისმშობლის რჩეული. ხელით ეხებოდნენ და სინჯავდნენ, თითქოს იმის შემონქმება სურდათ, ნამდვილი იყო თუ არა. „აბა შენ იცი, კირ-ადონი, აწი მართონიც უნდა გაირბინო!“ უთხრა, მახსოვს, ერთ-ერთმა და მუხლზე ფეხი მიარტყა. არტემისიას დეო ბრმებით, კოჭლებით და სიფლისიანებით გაივსო. რთული დასაჯერებელი იყო, რომ სოფელში, ამ განკრიალეულ, თეთრად ახლადმეღებულ სახლებში, ამდენი დაავადებული

ცხოვრობდა უჩინრად. მალე ხმა გავარდა, „კირადონი“ ღარიბებს ფულს ურიგებო და მივხვდი, რომ ხმა უნდა ამომელო. ღამის ძალით წამოვიყვანე და ათენში დავბრუნდი. და ერთი კვირაც არ გასულიყო ჩვენი ჩამოსვლიდან, რომ ფეხზე ისევ დამბლა დაეცა, წინანდელზე უარესად!..

ეჰ, რა უბედური ბედი დამყვა მაინც ცხოვრებაში! - ვფიქრობდი აგიოს ლეფტერიზე ასვლისას. თითქოს არ კმაროდა, რომ ქორწინებიდან ხუთი წლის თავზე დაავადდა, ზუსტად მაშინ, როცა ცოცხა ამოსუნთქვა მიწოდდა, ცხოვრებით დატკობა და არა ექთნის როლის მორგება, ახლა ისიც დაემატა, რომ ბებერ ღვთისმოსავ ქალს დემსგავსა და მე, ნინა, იძულებული ვარ ქუჩა-ქუჩა ვიარო და მოსალოცად ვივად თაღლითს მივადგე, მარტო იმიტომ, რომ გავაჩუმო და აღარ ვისმინო, რომ თურმე ჩემი ბრალია მისი მეორედ პარალიზება და ისიც, რომ სამსახურში ცუდად მისდის საქმე... მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ადონი ჩემი ქმარია და მოთმინება მევალება-მეთქი, ვამბობდი გულში.

ამ ყველაფერთან ერთად, ვერაფრით ვეგუებოდი ერაზმისას, რომელიც განსაკუთრებული როლი ერგო ჩვენს სახლში. ერაზმია დედაჩემის ყოფილი მოსწავლე იყო. დედას სამკერვალო ატელიე ჰქონდა სინას ქუჩაზე, ერაზმია კი კეფალონიდან ჩამოვიდა თავის გათხოვილ დასთან ათენში, ბავშვის გაზრდაში დასახმარებლად და, ამავე დროს, კერვის სწავლა უნდოდა. თავიდან მარტო დღისით მოდიოდა, დანარჩენი მოსწავლეების მსგავსად, მაგრამ რაკი სხვებისგან განსხვავებით, ჩუმი და შრომისმოყვარე იყო, დედას მოსწონდა. ნელ-ნელა საღამომობითაც დაიწყო დარჩენა, საბოლოოდ კი ჩვენთან დაფუძნდა, შინაურვით. იმ დროიდან, ერაზმია გახდა ჩემი და დედაჩემის უთანხმოების მთავარი მიზეზი. თანდათან მოწამლა ჩვენი ურთიერთობა. ვეჭვიანობდი, მაგრამ საკუთარ თავსაც არ ვუშვლდი. რაც უფრო კარგად ეპყრობოდა დედა, მით მეტად ვერ ვიტანდი მე. ბოლოსგან ყვითელი ფერი დაჰკრავდა, საშინლად მიშლიდა ნერვებს. მის საქციელს ჭკუიდან გადავყავდი. ვიცოდი, რომ ვჭულდი და ამ სიძულვილს შხამივით აფრქვევდა სახლში. თუ ვიცინოდი, მისი დანახვისას სიცილი მაშრებოდა სახეზე. ვჭულდი, რადგან მაშინ, როცა თვითონ იძულებული იყო თვალეზი დაებრმავებინა კაბებზე მაქმანებისა და ბუმბულუბის მიკერებით (როგორ მოდაში იყო იმ დროს!), მე კიფისიაზემ ვატარებდი დროს, ან ვკითხულობდი, ან მეგობრებთან ერთად კინოში მივდიოდი. მაშინ კინო ჯერ კიდევ მუხჯი იყო. ერთი კინოთეატრიდან გამოვედი და იქვე, მეორეში შევიდიოდი.

საკმარისი იყო, დიდი დეკოლტე ჩამეცვა, ბოლოსგან უარესად უყვითლდებოდა სახე. გულბრყვილო დედაჩემი კი, რომელიც მის ჭკმარტივზრახვებს ვერ ხვდებოდა და ერაზმია სამაგალი

7 ქალაქები პელოპონესის ნახევარკუნძულზე.

8 ათენის ერთ-ერთი უბანი, სადაც მოსახლეობის შეძლებული ფენა ცხოვრობდა.



თუ ადამიანი ეგონა, ეუბნებოდა: „რა მოგვიდა, გენაცვალე? ცუდად ხომ არ ხარ? გადადი მალაზი-ში, ათი წყრთა შავი ნაჭერი გამოაყოლე, ჰაერზე გასვლა მოგიხდება!“ ამ მღიღამ თავისი თვალ-თმაქცობით იმდენი ქნა, დედა სრულებით ენდობოდა. სანამ მუშაობას შეუდგებოდა, ქვეყანა რომ დაქცეულიყო, აუცილებლად წმინდა დიონისეს ეკლესიაში შედიოდა სანთლის დასანთებად. და დედასაც, რომელსაც ძალიან უნდოდა, მაგრამ არასდროს ჰქონდა ეკლესიაში სიარულის დრო, უკვე ოჯახის მფარველ ანგელოზად მიაჩნდა. იქნებ ერაზმის მცდელობით ღმერთს ჩვენთვისაც გადმოუხედა და ცოდვები შეენდო! „ცუდად ხომ არ ხარ, გენაცვალე?“ რა დამაფიქვებს! მე კი ჩემს ოთახში გამიყვანდა, მტუქსავდა და მეუბნებოდა, როგორი ბოროტი და ეგოისტი ვიყავი, ატელიეს გოგოებს ტირანივით რომ ვექცეოდი.

ასაკში დედას კატარაქტა დამართა და იძულებული გახდა, კერვა შეეწყვიტა. ასე რომ, დროებით გავითავისუფლდით ერაზმიასგან. კეფალონიზე წავიდა. სინას ქუჩაზე სახლი გავყიდეთ და ეს ვიყიდეთ. მაგრამ ერთი წლის თავზე ერაზმია კეფალონიიდან დაბრუნდა, იქვე, უზანის ოთახი იქირავა და ისევ ჩვენთან სიარული დაიწყო. დედა სთხოვდა, ხშირად მოსულიყო და რაც მთავარია, ჩემი ამბები მიეტანა. ამასობაში, სულ დაბრმავდა და ისედაც სჭირდებოდა გვერდით ვინმე თვალები-ლული, დაწვრილებით რომ მოეყოლა, რა ხდებოდა სახლში და გარეთ. მარიეტას დედა ძალიან უყვარდა და პატივს სცემდა, მაგრამ მუდამ მის განკარგულებაში არ იყო. „გადმოდი და ჩვენთან იცხოვრე“, უთხრა ერთ დღესაც ერაზმიას დედამ, თუმცა ამ გაიძვირამ იუარა, დრო იხელთა და ისევ შხამი მოაფრქვია გარშემო. „თქვენ კი მეპატიჟებით, უპასუხა, „მაგრამ ნინას არ ეკითხებით, უნდა თუ არა? ახლა ხომ ის იძლევა ბრძანებებს!“ მარიეტა იქ იყო და ამბავი მომიტანა. თუმცა, სხვადასხვა მიზეზთა გამო, ერაზმიასთვის ამკარად არასდროს მიგრძნობინებია ჩემი ანტიპათია. ჩემი ძვირფასი ქალიშვილის მტკიცების მიუხედავად, ანგარება არაფერ შუაში იყო, რაკი უფასოდ გვიკერავდა ხოლმე, უბრალოდ, კონფლიქტის სერიოზული მიზეზი არ მქონდა. ბუნებით მომთმენი და თავშეკავებული ვარ, განსაკუთრებით ისეთ ადამიანებთან, რომლებიც არ მიყვარს. ჩვეულებრივ, ისინი ჩემთვის არ არსებობენ, მაშინაც კი, როცა ახერხებენ ზიანი მომავრონ.


ერთადერთხელ მოხდა, რომ კინალამ სახლიდან ვიფრინე, ისე ამოვიდა ყელში მისი საქციელი. იმ დროს მე და ფოტი სულ ვჩხუბობდით, რამაც, საბოლოოდ, განქორწინებამდეც მიგვიყვანა. ქალბატონი ერაზმია კი დედაჩემის ოთახში შეიკეტებოდა და მთელი დღე ჩემი და ფოტის პრობლემებზე ეჭორავებოდა. გამოჰქონდათ გადანყვეტილებები, როგორც წესი, ფოტის სასარგებლოდ და თავხედობა ჰყოფნიდათ, ჩემთვის მოეთხოვათ, შემესრულებინა. ან ჭკუას მარიგებდნენ, როგორ უნდა

გამეზარდა შვილი, რადგან არ უნდოდათ, მე დამსგავსებოდა და „ულმერთო“ გამოსულიყო. თავად დაიმსგავსეს და დალუპეს კიდევ. მაგრამ მაშინაც კი მოთმინებას ვიჩენდი. ზუსტად იმ დროს, დედას კატარაქტის გარდა, სამწუხაროდ, სიმსივნეც აღმოაჩნდა. ექიმი მაქსიმუმ ერთ წელს აძლევდა და ერაზმია, უნდა ვალიარო, ნებისმიერ ექთანზე უკეთ უფლიდა, შვილზე უკეთაც კი. დღე და ღამე არ მოშორებია. და როცა მამაც ავად გახდა და ვნახე, როგორი თავდადებით და უანგაროდ მოუურა მასაც, გული ამიჩუყდა. ყველაფერი ვაპატიე. ბევრჯერ მიფიქრია, რომ უსამართლოდ ვექცეოდი და სინდისი მანუხებდა, რადგან შეიძლება ყველა ამქვეყნიური ნაკლი მქონდეს, როგორც ჩემი ქალიშვილი ამტკიცებს, მაგრამ უმადური ნამდვილად არ ვარ.

მოკლედ, იმ დროისთვის, აღონის რომ გავყევი ცოლად, ერაზმია უკვე შინაურზე ბევრად მეტი იყო, ოჯახის წევრად იქცა. როცა ჯერ დედა გარდაიცვალა, შემდეგ კი მამაც, მისი უდიდებულესობის, მარიას ძიძობა იკისრა. დაჰყავდა ეკლესიაში და რელიგიურ დღესასწაულებზე, პარკში ასეირნებდა. ხშირად ვაპროტესტებდი და ვუუბნებოდი: „მომისმინე, თუ გგონია, რომ მარიას დედა არ ჰყავს და იშვილე, აი, კარი და მიბრძანდი! ნიყავნე აქედან და ადგილი გამითავისუფლეთ! შენსავით ერში მონაზვნად თუ გინდა აქციო, ჩემი სახლიდან შორს, რომ ვერ გხედავდეთ მაინც!“

ამ ყველაფერს გაბრაზებულ გულზე ვამბობდი ხოლმე, მაგრამ იშვიათად ვბრაზობდი. უმეტესად, ღმერთს მადლობას ვწირავდი, რომ არსებობდა ადამიანი, ვისაც გარეთ გაჰყავდა და ცოტა ხნით მაინც სიმშვიდე ისადგურებდა სახლში. ახლა, რა თქმა უნდა, საშინლად ვნანობ. მარტო მე ვიცი, რა ძვირად დამიჯდა სიმშვიდის ის თითზე ჩამოსათვლელი საათები. დედაჩემის გარდაცვალებისთანავე უნდა მიმებრძანებინა ერაზმია სახლიდან. მარიასაც ველარ დალუპავდა და მის გარეშე არც სასწაულები მოხდებოდა ჯერ კორონიში, შემდეგ კი ათენში. ნაწილობრივ, ჩემი ქმრის სიკვდილშიც კი მისი ხელი ურევია. ის საცოდურ ასე რომ არ გადავარდნილიყო რელიგიაში, გადავიჩნებოდა თავისი ცხოვრების უკანასკნელ და, ალბათ, ყველაზე დიდ იმედგაცრუებას, რომელმაც, საბოლოოდ, ბოლო მოუღო კიდევ.

ინსულტამდე აღონი უმოწყალოდ დასცინოდა ერაზმიას ეკლესიურობას. „რატომ არ თხოვდები?“ ეკითხებოდა, „ქრისტეს უნახავ, თუ რა ხდება?“ და თავადვე სცემდა პასუხს: „ვიცი, რაშიცაა საქმე! რადგან ლამაზია და ფეხები არ უყვარს, არა?“ და სიცილით კვდებოდა. ერაზმია ფიქრდებოდა, კანკალი უტყდებოდა, მეც კი მეცოდებოდა ხოლმე. მაგრამ მევე მივხვდი, რომ არაფერში სჭირდებოდა ჩემი თანაგრძნობა. პირიქით, ჩუმი ტკბებოდა მარტვილისა და ებრაელი ნინასწარმეტყველის რელიგიით. ხშირად ხმალომეუბნებოდა ერთგვობა ბრძოლაში, თვალებიდან ნაპერსკვლეებს ყრიდა და ჩემს უღმერთო ქმარს უტყედა, ეუბნებოდა, რომ ერთ



დღეს მასაც დასჯიდა უფალი უპატივცემულობის-
თვის, ისევე, როგორც მავანი და მავანი დაუსჯია
და უმარგო მავალითს აფრქვევდა ძველი ალტემი-
დან. ადონის სარკასტულად ეცინებოდა, მაგრამ
მე, რომელიც მას ასე კარგად ვიცნობდი, ვხვდე-
ბოდი, რომ სარკაზმის მიუხედავად, მაინც ექცეო-
და ამ ქალის გავლენის ქვეშ. ისიც ხომ ცრურწმე-
ნებით სავსე, ერთი სოფლიდან ჩამოსული კაცი
იყო. გულის სიღრმეში ღვთის შიში ჰქონდა და ჯო-
ჯობეთის სასჯელის სწამდა (სულის წარწყმედის
კი, მინდა გითხრათ, სულაც არ ეშინოდა უმიზე-
ზოდ). დღესაც ვფიქრობ, რომ იქნებ სწორედ ეს
იყო მისი ღვთისგმობის საბაბი. როცა ავად გახდა,
მამინე გაახსენდა ერაზმის სიტყვები. ჩვენი „წმინ-
დანი“ არაფერს ამბობდა, მაგრამ ტრიუმფით უბ-
რწყინავდა თვალები. აღარც იყო რაიმეს თქმა სა-
ჭირო, უკვე ოსტატურად მოენამლა მონინააღმდე-
გე. ვუყურებდი ადონის, როგორ იღვოდა თვალსა
და ხელს შუა და ვხვდებოდი, რაზე ფიქრობდა.
„მართალია ერაზმია. შევეცოდე და ახლა ღმერთი
მსჯის“, მსგავსი აზრები უტრიალებდა თავში. ერთ
საღამოს, საძინებელში შესვლისას, ხატის წინ მუხ-
ლმოყარულ შევეუსწარი. თითქოს არც დამენახოს,
ისე გამოვედი და გამოვიხურე კარი. ხატთან მუხ-
ლებზე დავარდნილი ადონის დანახვაზე შეშმრა. შე-
იძლება მღვდლებს ვერ ვიტანდი, მაგრამ ურწმუ-
ნო არ ვარ. მწამს იმ უხილავი ძალისა, სამყაროს
რომ მართავს. გული ამიჩუყდა. რა ვიცოდი, რომ
ის, რაც მე გულწრფელ და ღრმა მონანიებად მო-
მეჩვენა, ცოტა ხანში ცირკს დაემსგავსებოდა, რად-
გან ადონის დაბრუნება დედა ეკლესიის წიაღში
მართლაც ცირკი იყო. კორონიდან რომ ჩამოვე-
დით, ერაზმიამ ის დაკარგული ცხვარივით მიიღო,
გულში ჩაიკრა და პატარა ბავშვივით ტიროდა. ჩემ-
მა ქმარმა პირველივე ღამეს უარი განაცხადა ჩვენს
საძინებელში დანალახზე, თუმცა განცალკევებულ
საწოლებზე გვეძინა. მისი უდიდებულესობა მისა-
ლებში, დივანზე გადავანვიხე, ადონის კი ეზოში
გამავალ ოთახში გაეშალე ლოგინი. „თუ ასე გინ-
და,“ ვუთხარი, „შეგიძლია მონასტერშიც წახვიდე-
რას უხიხარ ამ ცოდვითა და უწმინდურებით სავსე
ქალაქში? მიბრძანდი ათონის მთაზე, იქნებ წმინ-
დანობასაც გამოჰკრა ხელი...“

მონასტერში წასვლა არც უფიქრია. არჩია იქ-
ვე, ჩემს სახლში მოეწყო წმინდა სავანე. ერაზმიას
მეშვეოვით გაიციო ღირსი ეფიმი, ძველი სტი-
ლის მიმდევარი მღვდლები, ყოფილი მღვდლები,
ვიღაც ღირსი მამა ნეო ფალიროში, სხვა ღირსი -
ბრახამიში და ყველამ ჩვენს სახლში დაიწყო სია-
რული. მოდიოდნენ და ყურადღებასაც არ მაცქევ-
დნენ, თითქოს მე კი არა, ერაზმია ყოფილიყო აქ
დასახლბისი. ვიცოდა, რომ ასე დიდხანს ვერ გა-
ძრძელდებოდა - ან ადონი უნდა შეცვლილიყო, ან
დავშორდებოდი. მანამდე კი მოთმინებას ვიჩენ-
დი და ჩემს ღმერთს შევთხოვდი, სასწაული მოეხ-
დინა და ამ ღირსი მამებისა და დედებისაგან ვეხ-
სენი. ვფიქრობდი, რომ საუკეთესო ხერხი იქნებო-

და, ხანდახან მის მხარეს მომეჩვენებინა თავი,
სხვაგვარად საერთოდ გაეუუცხოვდებოდი ერ-
თმანეთს. ამ განწყობით გადავწყვიტე, ღირსი ეფ-
ვიმისა გასაცნობად წაესულიყავი.

ოთახი, რომელსაც ვეძებდი, ერთი უბრალო
ეზოს სიღრმეში ვიპოვე, სადაც ჭუჭყიანი გუმბები
და ცხვირმოუხოცავი, ფეხშიველა ბავშვების გნი-
ასი დამხვდა. კითხვა არც დამჭირვებია, სად ცხოვ-
რობდა - ეზოში შესვლისთანავე მეცა საკმევლის
სუნი. ვერასდროს ვიტანდი საკმევლს. ყოველთვის,
როცა დედა სახლში აკმევდა, სული მეხუთებოდა,
მაგრამ დროთა განმავლობაში თითქოს გამიარა.
ოთახში შევედი. კუთხეში ერთი რკინის საწოლი იდ-
გა, შუაში - მაგიდა სკამებით, იქვე დიდი სკივრი,
იატაკზე ფერადი ფარდაგი ეფინა. ასეთ ოთახს ყვე-
ლა უბრალო უბანში ნახავთ, თუ არ ჩავთვლით ხა-
ტებს, რომლებიც კედლებს თავიდან ბოლომდე ფა-
რავდა. ასი, ორასი ხატი მაინც იქნებოდა, ყველა
ზომისა და ფერის: ღვთისმშობელი მარჯვენე,
ღვთისმშობელი სწრაფმეცმენელი, მონყალე ღვთის-
მშობელი, იოანე ნათლისმცემლის თავი ლანგარ-
ზე, მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი, ტაძრად მიყ-
ვანება, ხარება, შობა, საიდუმლო სერობა, ჯვარ-
ცმა, აღდგომა, ყველანაშინდა ერთად და ცალ-ცალ-
კე, მონაშენი, ღირსი მამანი და დედანი და კიდევ
უამრავი, თუმცა, ყველა უბრალო და ქაღალდზე
უხარისხოდ დახატული, ბიზანტიურიც კი არ იყო
არცერთი, ჩვენი ხატებივით. კედელზე საბატიო ად-
გილს იკავებდა ზოდიაქოს წრე, რომელსაც რა ხე-
ლი ჰქონდა ამ სიმშინდეებთან, აუხსნელ საიდუმ-
ლოდ რჩებოდა.

ნელში მოხრილი ღირსი ეფიმი თავისი საწო-
ლის გვერდით, დაბალ სავარძელზე იჯდა. სრული-
ად მარტო იყო. სამონაზნო კაზა ეცვა, ვერცხლის-
ბალითანი ტყავის ქაბრით, თავზე - ნითელჯვრია-
ნი ქუდი, გაძვალსკავებულ ხელში - კრილოსანი.
მისი დანახვისას შევკრთი. როგორი სკეპტიკოსი
უნდა იყო, შეუძლებელია, მონიხება არ დაგუფ-
ლოს ასეთ უცნაურ არსებასთან შეხვედრისას, რო-
მელიც უფრო მეტად წმინდანის ნაშთს ან რომელი-
მე ფარაონის მუმისა ჰგავს, ვიდრე ცოცხალ ადა-
მიანს.

იმ დღეს ერაზმია სხვის სახლში მუშაობდა და
ვერ შეძლო გამომყოლოდა. სამაგიეროდ, დანერ-
ლებით ამიხსნა, როგორ უნდა მოვეცეულიყავი: უნ-
და დამეჩოქა და ხელზე ვმთხვეოდი, კურთხევის
მისაღებად თავი დამეხარა და არავითარ შემთხვე-
ვაში მანამდე არ დავლაპარაკებოდი, სანამ თავად
არ მეტყოდა რაიმეს. მზად ვიყავი, ბოლომდე მეთა-
მამა მთელი ეს კომედია და ვითამაშებდი კიდევ,
მაგრამ ღირსმა ეფიმიამ შემაჩერა. როგორც კი
ოთახში შესული დამინახა, თითქოს მელოდებოდა
(თავს დავდებ, რომ წინა დღეს იყო გაფრთხილე-
ბული), ხელი ასწია, თავისი პატარა, ღრმად ჩაყარ-
დნილი თვალებით მომაჩერდა და ისეთი ხმით მომ-

მართა, ადამიანისას არ ჰგავდა, თითქოს უძირო, ამომშრალი ჭედან ამოდიოდა: „შეჩერდი!“ შემდეგ ჩაისუნთქა და დაიწყო: „შეჩერდი! შენი სახელი ნ-ზე იწყება... სამი გვირგვინი გიჭირავს ხელში... წყალი დამისხი...“ სიტყვის უთქმელად ავჯავაჭა ჭიქა მაგიდაზე მდგარი გრაფინიდან და დავაღვივინე. „მეძინება!“ მითხრა, როცა მეკრძრე ჩამოუნწული წყალი მოვწმინდე. „მეძინება!“ ჭიქის დასადებად ერთი წამით შევაქციე ზურგი და როცა ისევ მისკენ მივბრუნდი, არ ვაჭარბებ, ხვრინავდა!..

გადავწყვიტე, წავსულიყავი. ჩანთიდან მისთვის მოტანილი ჰალვა ამოვიღე (დიდმარხვა იყო) და მაგიდაზე დავტოვე. ფეხის ნვერებზე გამოვედი ეზოში, იქიდან ქუჩაში, სუფთა ჰაერზე და ღრმად ჩავისუნთქე ველური იასამნის სურნელი, გზის გადაღმადან რომ მოდიოდა. თითქოს ჯოჯოხეთიდან ისევ სიცოცხლეს დავუბრუნდი.

ადონის შეკითხვაზე, რა მოხდაო, ვუთხარი: „არაფერი... მიხვდა, რომ ჩემი სახელი ნ-ზე იწყება. მერე კი დაძინა“. კმაყოფილი დარჩა. სამი გვირგვინი შესახებ „წინასწარმეტყველებაზე“ არაფერი მითქვამს. როგორი საქმე იყო, ადონისთვის ასეთი რამ მიმეხალა, ავადმყოფი ადამიანისთვის, ცალი ფეხი რომ უკვე სამარეში ედგა. ისე ბრმად წნამდა ღირსი ევფიმიას წინასწარმეტყველური შესაძლებლობებისა, რომ აუცილებლად იფიქრებდა: „ჰმ, ესე იგი, მოვკვდები თუ არა, წინა მაშინვე მესამე გვირგვინს იფსკვინს!“ იმ დროს, როცა ათასი ხერხით ცვდილობდი, მისთვის სიცოცხლე გამეხანგრძლივებინა, ეს აზრი თუ ჩაებექვდებოდა გონებაში, ბევრად ადრე ჩაიყვანდა საფლავში საცოდავს. თან, ერთი წუთითაც არ მომსვლია თავში, რომ ეს „ხილვა“ შეიძლებოდა ამხდარიყო. ახლაც დარწმუნებული ვარ, რომ უბრალო დამთხვევა ან დელტოს ინჰაქულის წინასწარმეტყველების მსგავსი ზღაპარი იყო. ვიცით ეს ხრიკები. ერაზმიას დანვრილებით ექნებოდა მონაყოლი ჩემი ამბები. როცა ქალი ორჯერ არის გათხოვილი, მისი მეორე ქმარი ნახევრად პარალიზებულია და გული ანუხებს, თვითონ კი ჯერ ახალგაზრდაა, არ არის აუცილებელი, ტირისიასი იყო, მომავალი რომ იწინასწარმეტყველო. ამ ყველაფერს ახლა ვფიქრობ, მაშინ კი მეციხნებოდა მესამედ გათხოვების შესაძლებლობაზე. აბა, სხვას რას უნდა ნიშნავდეს სამი გვირგვინი? თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ გულში არ ჩამრჩა. შიში დამჩემდა, რომ ადონის მალე დავკარგავდი და მასზე ზრუნვა გავაასკეცე. ფეხის და გულის გარდა, ბოლო დროს წნევააც ანუხებდა. ადამიანი რომ დაავადდება, ყველაფერი ერთად ემართება. მკაცრი დეტის მიუხედავად, რომელზეც გადავიყვანე, ისეთი მსუნაგი იყო, ჩემი არყოფნისას მაცივრიდან ჩუმიად ჭამდა. წნევაც, იმის ნაცვლად, დანუწლიყო, მალა ადიოდა, ლამის დაეხრჩო თავში მონოლილ სისხლს. იძულებული იყო, თვითონ ეშველა საკუთარი თავისთვის - ცხვირში მაკრატლით ნასერებს

იკეთებდა და ლამის მთელ ტაშტს სისხლით ავსებდა! ფეხი ისევ ნახევრად პარალიზებული ჰქონდა, მაგრამ, ამასობაში, მიეჩვია კიდევ ინვალიდობას და დიდად აღარც ანაღვლებდა. აიღებდა ხოლმე თავის ხელჯოხს და კოჭლობ-კოჭლობით სამსახურშიც დადიოდა და ყავახანაშიც. რაც დრო გადიოდა, უფრო ხშირად ყავახანაში ნახავდით, ვიდრე სამსახურში და რალა თქმა უნდა, სამსახურის საქმეებიც მოიკოჭლებდა. საქმე რომ კარგად წასვლოდა, ადონი ასე მალე არ დანებდებოდა ბედს. ის კაცი არ იყო, ფიზიკურ უუნარობას დაემარცხებინა. მაგრამ მსოფლიოში სულ უფრო უარესდებოდა მდგომარეობა: ომი ჩინეთში, ომი აბისინიაში, ომი ესპანეთში! ყველა იმას ამბობდა, რომ მალე ევროპაშიც ომში გავვხვდებით. ნელ-ნელა ხალხი აღარ აბანდებდა ფულს უძრავ ქონებაში. ფიქრობდნენ, რისთვის ავაშენით სახლები? ბომბები რომ ჩამოავდონ და გაგვინადგურონ?.. შეწყდა მშენებლობები, ადონის ნათესავი აგრძელებდა მის ძარცვას, ერაზმია აიძულებდა სხვადასხვა საეკლესიო ხარჯებისთვის შეენახა ფული - ზეთის ცხება იქნებოდა, ლამისთევა თუ უაზრო მიზნებისთვის თანხის შეგროვება. თითქოს, გარშემო ყველაფერმა ჩვენ წინააღმდეგ შეკრა პირი, იმ ცხოვრების დასანგრევად, რომელიც მომავლის ასეთი იმედით დავიწყეთ! ისე კარგად მიგვდიოდა საქმეები, ისიც კი ვიფიქრეთ, რომ მუდამ ასე გაგრძელდებოდა, რომ ჩვენი მოგზაურობები ლუტრაკიში 10, ეგინასა და პოროსზე 11 არასდროს დამთავრდებოდა!

ღირსი ევფიმიას გაცნობიდან დაახლოებით ორი თვის შემდეგ, ჩვენს სახლში ცნობილი ლამისთევა გაიმართა, რომელიც საგარეულ მჭედში „წმინდანი“ ხელში აყვანილი მოაბრძანეს, „შვიდ ენაზე“ საქადაგოდ. რამდენიმე დღის შემდეგ კი, ანუ ზუსტად იმ ნაშუადღევს, როცა მარიეტასთან ერთად ტერასაზე ფარდებს ვფერთხავდი, ერაზმიამ კირაკავი მოიყვანა, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, ღვთის მიერ იყო გამოგზავნილი, რათა არ მხოლოდ ერაზმიასგან ეხსენი, არამედ მოძრაობაში მოეყვანა ის ბერკეტები, ღირსი ევფიმიას წინასწარმეტყველება წლების შემდეგ სინამდვილედ რომ აქცია...

თუმცა, ვინ იცოდა მაშინ ამის შესახებ? იმ სალამოს, როცა პირველად მოვიდა ჩვენთან (უფრო სწორად, მეორედ, თუ ლამისთევას ჩავთვლით), წარმოდგენა არ მქონდა, რომ ეს ქალი ჩემს ცხოვრებას შეცვლიდა. სასიამოვნო და განსხვავებული მეჩვენა იმ ჭრელი საზოგადოებისგან, ერაზმია რომ მითრევდა სახლში. ჩვენი ღვთისმოსავის გულის გასახეთქად, კიდევ დავპატიუე. დავემგობრდი. ოჯახის კერბეროსს, მარიეტასაც კი მოსწონდა და როცა მოდიოდა, ისე გარბოდა მისთვის ყავის მოსადულებლად, სიტყვის თქმაც არ მჭირდებოდა. მაგრამ რას ვიფიქრებდი, რომ ერთ დღესაც ჩემი დედამთილი გახდებოდა


10 საკურორტო ქალაქი კორინთოს ყურეში.

11 კუნძულები სარონისკოსის ყურეში.

ხრისტოს იკონომე

მ ა ლ

ახალბერძნულიდან თარგმნა ქეთევან ცინცაძემ



მაოს ეძახიან, რადგან ჩინელივით ყვითელი ყოფილა, როდესაც დაიბადა. დედაც და დებიც კი ასე ეძახიან. მაო. მამამისი წლების წინ მოკლეს ერთ ბენზინგასამართ სადგურზე პერამაში. კომუნისტი იყო, თუმცა მშვიდი და მხიარული ადამიანი. სწორედ მან დაარქვა მაო. ახლაც, ამხელა ვაჟეკაცს, მთელი უბანი მაინც მაოს ეძახის.

როგორ ხარ, მაო?

ყველას გხმარობთ.

მისი უფროსი და, კატერინა, ზაფხულში ქვის სამტეხლოში გააუპატიურეს, კატრაკიოში. ათამდე კორიდალოსელი იყო, მემუს მოედნიდან. მას შემდეგ აღარ გვინახავს. ამბობენ, დედამისმა ვიღაც ნათესავებთან ვაგ ზავნაო რომელიღაც კუნძულზე, ქიოსზე თუ სამოსზე. დაზუსტებით არავინ იცის. საიდუმლოდ ინახავენ. ლამაზი გოგო იყო კატერინა. მთელი უბანი ამას ამბობდა. მაღალი და გამხდარი, ქერა თმითა და ნაცრისფერი თვალებით. სადაც არ უნდა გამოჩენილიყო, გამვლელები ჩერდებოდნენ და თვალს აყოლებდნენ. ოღონდ პატარაობიდანვე ცუდი სამეგობრო წრეში აღმოჩნდა. ლამისთევები და მისთანები. ასეთი ამბები კარგად არ სრულდება ხოლმე. დე-

დამისსაც გამუდმებით ეუბნებოდნენ, ყურადღება მიაქციე გოგოს, კატერინას მიაქციე ყურადღება, მაგრამ ერთმა ქალმა რა უნდა გაანყოს, როცა სამ შვილს მარტო ზრდის, მთელ დღეებს ქუჩა-ქუჩა ნანანაღში ატარებს, კონტინენტები და ქვაბები რომ გაყიდოს როგორმე თავის გასატანად. უმცროსი ქალიშვილი თომაი სხვანაირია. ლამაზია ესეც, თუმცა უფრო მამის კვალს დაადგა. სახლი - სკოლა, სკოლა - სახლი, ყველაფერი გამოზომილად. სამეგობროებისა და კაფეტერიების ამას არაფერი გაეგება. ნარჩინებული მოსწავლეა, უცხო ენებს სწავლობს და აკორდეონზე უკრავს. ცხონებულები გიჟდებოდა აკორდეონზე, მაგრამ ქალიშვილით სიამაყე არ დასცალდა, მოუნათლავი ჰყავდათ ჯერაც, პერამაში რომ მოკლეს. მისი სახელი იმეკვიდრა, თომასი - თომაი. ღამით, მისი დაკრული რომ გვესმის, მთელ სამეზობლოს მამამისი გვახსენდება ხოლმე, ფანატიკოსი კომუნისტი, თუმცა მშვიდი ადამიანი, ჭიანჭველასაც რომ არ აწყენინებდა.

სექტემბერში, მას შემდეგ, რაც კატერინა სახლიდან გააგდეს, მაომ სკოლას თავი მიანება და საბილიარდოში დაიწყო მუშაობა ლიდოში, პერივოლაკიზე.



მას შემდეგ დედამისი გაცოფებულია. ვერაფრით გა-
დახარმა, მის შვილს წინსაფარი რომ უკეთია და კა-
ნფეში ყავას, სენდვიჩებსა და ლუდს დაატარებს. გა-
სულდემბით ჩხუბობენ. ქვრივი ყვირის და ურტყამს -
ახო კრინტსაც არ იღებს. სიტყვას არ ამბობს. შემზა-
რავი ამბავია. მერე გარეთ გადის, მთელი ღამე კიბის
საფეხურზე ზის, ეწევა და ძაღლებსა და კატებს ესა-
უბრება. მთელი სამეზობლო ხედავს და არავინ იცის,
რა უთხრას.

ძალიან შეიცვალა მათ შარშან მერე. არც მანამ-
დე იყო დიდად კომუნიკაბელური, მაგრამ ახლა სა-
ერთოდ სიტყვას ვეღარ დააცდენინებ. მიხალისი, პა-
ნილირაკისი, რომლის მამაც სასაფლაოზე მუშაობს
და ასეთ რამეებში ერკვევა, ამბობს, მათს სიკვდილი
აქვს თვალეში ჩამდგარი. ამბობს, მამო იცის მის
დაზე ვინ იძალადა და ფულს აგროვებს იარაღის სა-
ყიდლად, შური რომ იძიოსო. ვილაც მანელები იპო-
ვო და ეუბნებიან, ათასად კარგ დაბაჩას გაშოვნი-
ნებით. მიხალისი ამბობს, იმით კორიდალოსიდან შე-
მოუთვალეს, გაინძრევი და ღამით შენს სახლშიც შე-
მოვივლი და დედაშენს და შენს დასაც ვიხმართ, შენ
კი გაყურებინებო.

ამიტომ არ სძინავს ღამ-ღამობით. სახლს დარა-
ჯობს, ვინიცობა და კორიდალოსელები გამოჩნდნენ.
ტყუილია თუ მართალია, ასე ამბობს მიხალისი.
სინამდვილეში მათს თავში რა უტრიალებს, არავინ
იცის დანამდვილებით, რადგან მათ არავის არაფერს
უუბნება. მხოლოდ კატებს ესაუბრება.

კაი ხანია ასეა. მთელი უზნის კატები და ძაღლები
შემოიკრება, კვებავს, ეფერება და ებაახება. კვირაო-
ბით პურის ნამცეცებს ყრის ტროტუარზე მტრედე-
ბის, გვრიტების და ბელურების მოსაზიდად. ერთი
ოქფლი კატა ჰყავს, ავგუსტოს ეძახის. მღვდრია, ხეა-
ლი არაა, მაგრამ მაინც ასე ეძახის. ავგუსტო. სხვე-
ლისგან გამორჩეულად ექცევა, ყელზე ყვითული ხა-
ყელურიც კი შეება, ზანზალაკიანი. ამ ყველაფრის
შემყურე დედამისი ფეთქდება ხოლმე. ყველა ამბობს,
რომ რაღაცაა ვასაკეთებელი, რადგან ყოველდღე დი-
დი აურზაურია უზნის ამდენი ძაღლის და კატის გა-
დამკიდე, მაგრამ, აბა, ვინ გაუბრუნავს მათს რაიმეს
თქმას. თავიდანვე საკუთარ თავში ჩაკეტილი ბავშვი
კი იყო, მაგრამ ახლა უყურებ და სისხლი გეყინება,
ისეთია. ამას ნინებზე თავი გადაიპარსა და მთლად
ძვლი და ტყავი დარჩა, გიყურებს ასე ჩალამებული
ბავშვი თვალებით, ბლოკდაში შიშხილისგან მომაკვდა-
ვი ბავშვისას რომ მიუგავს.

მოსაც ველარავინ ეძახის პირისპირ.
როგორ ხარ, მათ?
ყველას გხმარობთ.

ღამ-ღამობით მათს არ სძინავს. გარეთ ათენებს,
კიბის საფეხურებზე. სვამს, ეწევა და ავგუსტოს ელა-
პარაკება. რაც მართალია, მართალია, დიდი შვებაა
უკუნ სიბნელეში მისი და მისი კატის ზანზალაკის
ხმის გაგონება. დიდი შვებაა. შიგადაშიგ დგება და
გუშავით აქეთ იქით დადის. იკონიომდე, შემდეგ
უკან კასტამონიმდე და ძაველამდე. აქეთ-იქით ყო-
ველ ღამე. ოქტომბერში, როდესაც წვიმს და მხო-
ლოდ საწვიმრებში მორაკრაკე წყლის ხმა ისმის. რო-


მელიც ქუჩის კუთხეში სადინარებში უჩინარდება.
დეკემბერში, როდესაც ქარი ქრის და ზმუის დენის
კაბელებში და თუთის ტრეტები ფანჯრებს ხსლებიან
სიცივისაგან გაყინული თითებივით. მარტში, როდესაც
ღამეები გრილია, ფანჯრიდან გამოხედვისას ნა-
რინჯების არომატს შეიგრძნობ, ცაში ვარსკვლავებს
და ცაზე მიმოფანტულ ღრუბლებს უცქერ და ამბობს,
რომ შეიძლება რაღაც მოხდეს, შეიძლება, რაღაც
მოხდეს და სამყარო და ადამიანები არც გაქრნენ.
მაო იქაა. ყოველ ღამე. მთელი ღამით. ალიონამდე
არავინ იცის, როგორ იტანს ამდენ ღამისთევას და
ჩვეულებრივ მიდის მერე სამსახურში.

დიდი შვებაა ოღონდ. დიდი შვებაა, როცა იცი,
რომ ვილაც გარეთ, ქუჩაში ღამეს თათებს. თუ მზერა-
სა და სმენას მიენდობი, ისეთ რამეებს დაინახავ და
მოისმენ, რასაც დღისით, დღის ყვითელ სინათლეზე
ყურადღებას არ აქცევ. თითქოს საათის სვლასთან
ერთად იცვლება გარემო. თითქოს ღამეს რაღაც იდუ-
მალი ზრახვები აქვს, მაგიური ძალა, რომელსაც ყვე-
ლაფრის შეცვლა შეუძლია, დამფრთხალი ადამიანის
გულის დასამშვიდებლად, ნაკლებ საშოშად, ნაკლე-
ბად მკაცრად რომ გამოიყურებოდეს ყველაფერი.
მზერასა და სმენას თუ გაულებ, დაინახავ და გაიგებ.
ხელის უცაბედი ვაქნევა, ვაკვარ, ასანთის ალი, რო-
მილიც სიგარეტს უკიდებს. ბოლი, მათს პირიდან
ყვითლად რომ გამოდის და ამოსუნთქვასავით სიბ-
ნელეში იფანტება. მოკიდებული სიგარეტი, ხნიერი
ციცინათელასავით რომ ციმციმებს. კატა, რომელიც
მათს მკლავებში იზომრება, მისი ხლები ყველგან
რომ მისწვდეს მოფერებისას. გაიგებ ზანზალაკის
წკარუნის ხმას და მათს ჩურჩულს, რომელიც ღმერ-
თმა იცის, რას ამბობს. გაიგებ ბოთლის ხმას, რო-
მელსაც კიბის საფეხურზე გვერდით იდგამს. მისი ნა-
ბიჯების ხმას, აქეთ იქით რომ დადის.

შვებაა. დიდი შვებაა, როცა იცი, რომ უბანში ვი-
ლაც ფხიზლობს მთელი ღამით. მთელი უბანი წუხს
მაოზე, თუმცა, მეორე მხრივ, ვამბობთ, რომ, რადგან
ასე მოხდა, კარგია, ღამით ვილაც რომ გვიცავს,
თუნდაც მისი მიზანი ეს არც კი იყოს. გარშემო თით-
ქმის ასე ოჯახი ცხოვრობს. ბოლო დროს ყველაფერი
აირია. სკოლაში ნარკოტიკები. ჯიბის ქურდები. მძარ-
ცველები. ცოტა იქით, წმინდა ნიკოლასზე ერთი
კვირის განმავლობაში სამი ბინა გაძარცვეს. ერთი
ნაშუადღევს სკოლიდან ბავშვის გამოსაყვანად გავი-
და ცოლთან ერთად და შინ დაბრუნებულებს სახლში
სამი, დანებით შეიარაღებული, მძარცველი დახვდათ.
პაკისტანელები, ოდესღაც თვალის გასწორებასაც
რომ ვერ გიბრუნებდნენ. ახლა ღამ-ღამობით ბანდე-
რად დაძრინან. ცოტა ხნის წინ ველოსიპედის გამო-
სული პატარა ბიჭი გაიტაცეს. ზემოთ, წმინდა ქსენის
მონასტრის ეზოში აიყვანეს და დიდი ზიანი მიაყენეს.
ათი წლისაა ბავშვი.

ბოლო დროს ძალიან აირია ყველაფერი.
თუმცა ჩვენ რა გვიჭირს.
აქ ღამ-ღამობით მშვიდად ვართ.
ჩვენ მათ გვყავს.

სალამოს ცა ილუშება და სადღაც ცხრისთვის
წვიმდება. სისველე ძვლებამდე აღწევს. ეს ესაა, ტე-



ლევინორში მოვისმინეთ, რა მომხდარა გუშინ საღამოს კონდილიში. ორი ლანჩირაკი უბნის პატარა მალაზიაში შეგარდნილა და შვიდი თვის ორსული გოგო დაუჭრიათ. ორ ნაბიჯშია კონდილი აქედან, ჩვენ კი ტელევიზორიდან გავიგეთ. ავირ-დავირიეთ. ადმირალი ამბობს, პოლიციაა ყველაფერში დამნაშავე. ვალიოსი, ტრაქტორისტი, რომლის ძმაც ძალია, ამბობს, ყველაფერი პოლიტიკოსების ბრალიაო. მემარცხენეები თავს იკლავენ პოლიციის ჩამოსაშლელად, რადგან სძულთ, მემარჯვენეები კი ამის საშუალებას აძლევენ, რადგან მემარცხენეებს უშინიათო. მიხალისი ამბობს, ერთი წვეთი თავმოყვარეობა მაინც რომ გვექონდეს, ნამდვილი კაცები ყოფილი და არა კაცუნები, მათსავით მოვიქცევოდით ტელევიზორის წინ ტირილის ნაცვლადო.

ასე იქცევიან კაცები, ამბობს მიხალისი. სიტუაციის მართვის სადავეებს ხელში იღებენ. ჩვენ ჩერები ვართ.

დგება და ტელევიზორს რთავს, სანთელს ანთებს და ერთი ბოთლი ციპურო და ქიმიშიანი მუხუდო მოაქვს. სიბნელეში ვხსევდვართ და ფანჯრიდან ვიყურებით. რაოდენ დიდიც არ უნდა იყოს შიში და ბრაზი, მაინც ვერ ახერხებ, ცოტა ხნით მაინც არ მიწებდე წვიმის სიმყუდროვეს. უსმენ ნკაპუნს, წვიმის წვეთებს რომ გააქვთ კარნიზებზე და გგონია, გულში გეღვენთება. ცოტა ხნით თავდავიწყებას ეცემი. ცოტა ხნით გავიწყდება კონდილიში მომხდარი, ისიც, ოქტომბრიდან რომ წვიმდა, ვინ იცის, როდემდე იწვიმებს კიდევ. წვიმას უგდებ ყურს და თავდავიწყებაში გადადიხარ. თუ ფანჯარას გამოაღებ, თავს გარეთ გაჰყობ და ღრმად ჩაისუნთქავ, წვიმით გაჟღენთილი მიწისა და ნარინჯების არომატს შეიგრძნობ, შაერსაც, რომელსაც ამ საღამოსაც უცნაური მომწარო სურნელი დაჰკრავს. ზევითაც თუ აიხედავ, დაინახავ, როგორ ეცემა ყვითლად დაფერილი წვიმა ქუჩის ფანრების გარშემო და კიდევ უფრო ზემოთაც თუ აიხედავ, მუქ ყვითლად დაფერილ ღრუბლებსაც დაინახავ, თითქოს ხანძრის თავზე შეკრებილან, ცეცხლი მოსდებიათ და იწვიან.

თერთმეტს რომ გადასცდა, მათ შინიდან გამოდის და კიბეზე ჯდება. გვერდით სივარეტს და ბოთლს იღებს. ციკუდინა¹, ამბობს მიხალისი, რომელიც ბევრჯერ შესწრება, როგორ გამოდის მათ კრეტელის მალაზიიდან ცალდარისზე. შემდეგ კატა აჰყავს, რომელიც მანამდე მხარეთმოზე იყო ნამონოლილი, ისუტებს და ეფერება. ხან გზას გაჰყურებს, რომელიც წვიმის წყლისგან ბზინდება, ხან თავს წევს და წვიმას ასცქერის, ყვითლად რომ ეშვება, მოხუცის ნიკოტინისგან გაყვითლებული წვერებივით. ვალიოსი, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ძველი მაცხოვრებელია ამ უბანში, მათს ბაბუას, სტავროსს იხსენებს, რომელიც ასევე გიჟდებოდა კატებზე. ერთხელ თეთრი ფუმფულა კატა მოუყვანეს, ნაბილა ერქვა, მაგრამ მოხუცს, რომელიც ოთხმოცს იყო მიტანებული, კარგად არ ესმოდა და მანდილას ეძახდა. გიჟდებოდა ამ კატაზე, გვერდიდან არ იცილებდა. მის სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე კატა დაიკარგა. პიჟამითა და ხელჯოხით გამოდგა ქუჩაში და ეძახდა, მანდილა, მანდილა. მეზობლის ქალმა გაიგო და ეგონა, დრომ

უნია მოხუცს ან წნევა დაარტყაო, დაასველა რაღაც პირსახოცი და ტყეისასვით გამოვარდა გარეთ, მივარდა მოხუც სტავროსთან, მანდილი მოგიტანე, ნამო, შინ შევიდეთ, მანქანა არ დაგეჯახოსო. მოხუცს ტვინში სისხლმა აასხა, ეგონა, დასცინოდა, ხელჯოხი მოუქნია, ცოტაც და სულს ვააფთხოზინებდა. შენი კუბო ვნახე. ნახეს, გარდაიცვალა და დამშვიდა, თორემ ჯერ კიდევ სისხლი უღულდა, თუმცა ცალი ფეხით სამარეში იყო. მოხუცი. სისხლისმსმელი იყო ბოლო წუთამდე. ძველები ამბობდნენ, სამოქალაქო ომში ბევრს მოუხსნარავა სიცოცხლეო.

ბაბუამისივით დაასრულებს ესეც, ამბობს ვალიოსი. აუცილებლად გამიხსენებთ. ვალიოსი არ თმობს. ყველა კომუნისტი ასეთია. ნაძირალეზი.

კომუნისტია თუ ვინცაა, ჩვენ ყველას გვეკობა, ამბობს მიხალისი. იცი, რომ აქ ხალხი ველარ იძინებს, სახამ მათ კიბეზე არ გამოვა? აქ ხალხი ყოველ ღამე მიდარაჯებულია, მათ როდის გამოვა შინიდან. ბერისგან გამიგია, უფრო მშვიდად გვეძინავს მას შემდეგ, რაც მათ დამისთვევით დაინკო. მარტო ერთისგან ან ორისგან არა, ბევრისგან.

ადმირალი დგება და ფანჯარასთან მიდის. პენსიაზე გასული მეზღვაურია და ამიტომაც ვეძახით ასე. ცოლიც კი ასე ეძახის. ხანდახან, „სატანასთან“ რომ ვათენებთ ხოლმე, რეკავს და დიმიტრის ან პავლაკოსს კი არ კითხულობს, ადმირალს კითხულობს, ადმირალი მანდა?

მიწას ხელით ასუფთავებს და გარეთ იხედება. ძალიან გახანდა ამ ბოლო დროს, ტანსაცმელი ზედ ჰკიდის. ნახევრად ბნელში სახეც ყვითლად მოუჩანს, შემოდგომის თუთის ფოთლებივით. ამას წინათ ვალიოსს უთხრა, რაც პენსიაზე გავედი, სხვა ადამიანი გავხდით. დეპრესიაშია. არაა სწორი კაცების ასე ადრე ჩამოწერაო. ვალიოსმა კი შეუუკრთხა, ჩვენ აქ მუშაობისგან სული გვეძვრება და ეგ გვეკლავს, შენ დარტყმული, შენ კიდევ დასვენება გავაგდებს დეპრესიაში? დამეკარგე აქედან შე გარყვნილოო. გვარინანდა დასცხეს.

აი, დაუფიქრდით, ამბობს მიხალისი, დაახლოებით ასი ოჯახი ვართ აქ, ასე არ არის? ზოგი ერთმანეთს ხმას არ სცემს, ზოგიერთები სახეზეც არ იცნობენ ერთმანეთს. ამ კორპუსში ვილატებს მხოლოდ შობას და აღდგომას ვხედავ და მაინც, ყველა ერთნაირად ღელავს ყოველ საღამოს, ერთი სული აქვთ, კიბეზე გაშოსული მათ დაინახონ. შორს რომ არ წაივდე, თუმცა მანდილას საღამოს ვხედავ, დედაჩემს აუნთია საკმეველი და გადის აივანზე და ქუჩასაც წერს პირჯვარს. რას აკურთხებ, დედა, ვეკითხები, კატებს? არა, მათსო. კარგად გვიმყოფოს ღმერთმა ეს ბიჭი, ღამ-ღამობით როგორ გვიცავსო. გესმით? თანაც მათს დედასთან წლებია ნაჩხუბარია. დიდი შვებაა, ვილატე ღამეს რომ გითენებს, როცა შენ გძინავს. დიდი შვებაა. დიდი ამბავია ღამით მშვიდად ძილი. გითხრათ კიდევ რაღაც? ყველა უბანს ორმ ჰყავდნენ თითო მათ, ხალხიც ყველგან უკეთესი რომ უბნებია. თუ გინდოდა დავნაძღვედეთ. ნუ იცინით. ესაა დემოკრატია, ღარიბები მდიდრებისგან კი არ ელოდონ დახმარებას და შველას, არამედ თვითონ აიღონ სიტუაციის მართვის სადავეები საკუთარ ხელში. მთელი უბედურე

1 არყის სახეობა კუნძულ კრეტადან.



ბის სათავე ისაა, რომ გვეგონია, მდიდრები ღარიბებს ოდესმე ხელს გაუმარტავენ. არ ხდება ასე. ორი სრულად სხვადასხვა სამყაროა. ისინი სხვაგან არიან, ჩვენ - სხვაგან. ჩვენ თვითონ უნდა ავიღოთ სადავეები ხელში. ამას აკეთებს ზუსტად მათ. როგორ ფიქრობთ, რა არის ადამიანის ყველაზე დიდი მტერი? სიკვდილი? ფული? არა, ცხადია, შიში. ესაა ყველაზე დიდი მტერი. შიში. შიში.

რალაც ხდება, ამბობს ადმირალი. ისევ მირაფიორი. რალაც ხდება.

ფანჯარასთან ვიყრი თავეს და ვიხედვით. ყვირთელი მირაფიორი მოდის გზაზე ჩამქრალი ფარებით და თუხთუხით. მათს მკლავებში განოლილი კატა თავს წევს. მანქანა მათს რომ უახლოვდება, სვლას ანელებს. მათ კიბის საფეხურიდან დგება, ამ დროს მძლოლი სიჩქარეს უმატებს და თავისი ბანდიანად მიდის. მათ შუა გზაზე გადის და მანქანას გაჰყურებს, რომელიც კვიპროსის ქუჩის კუთხეს უახლოვდება და მარცხნივ უხვევს. ისევ ჯდება. იცდის. აქეთ-იქით იყურება. წინ იხრება და კატას რალაცას ეჩურჩულება ყურში. კატა აბრეხილი კუდითა და კითხვის ნიშანით მორკალული უსმენს. შემდეგ მათ ბოთლიდან სვამს და სიგარეტს უკიდებს, ბოლს რომ უშვებს, ყვირთელია და სქელი, თითქოს ერთი მოქაჩვით მოწია მთელი სიგარეტი.

ამ საღამოს უკვე მეორედ, ამბობს მიხალისი. ნაშუადღევსაც ჩაიარეს.

რამდენი იჯდა შიგნით? ორი დავინახე. სამი იყო. ერთი უკანაც იჯდა. საჩოთირო ამბები გველის, ამბობს ვალიოსი და ფანჯარას სცილდება. მენდეთ. ვალიოსი თავისას არ ეშვება.

წვიმამ გადაიღო, თუმცა წვეთები მაინც მოგორავს მინაზე და ნახევრად შეღებული ფანჯრიდან ტროტუარის კიდზე მდინარესაღივ ჩამდინარე წყლის ხმაც ისმის. ადმირალი სიმღერას ეძებს რადიოში და რალაც ძველ მელოდიას პოულობს, მაგრამ ცოტა ხანში რადიო ცხრას ორის² სიგნალი ისმის, ვალიოსი დგება, პიდარასტები იგინება და სისხრეს ცვლის.

რა ხდება?
 არაფერი.
 რას აკეთებს.
 არაფერს. კატას ეთამაშება.
 რას ეძახის? იულოუსს?
 ავგუსტოს.

აა, ჰო. მე მითქვამს, მაგრამ არ მისმენთ, ამბობს ვალიოსი. სულძალი ბაბუამისივით დაასრულებს ესეც, იმის ასაკამდე თუ მიაღწევს ოღონდ, რამიც ეჭვი მეპარება. დარწმუნებული ვარ, შარშია. მისი დის და კორიდალელების ამბავიც ამის დასტურია. მიხალას რაც უნდა, ის თქვას. კომუნისტების ატანა გაქვს?

კარგად მახსოვს სამოცდათვრამეტი, ამბობს მიხალისი. მაშინ პირველად გამოვიდა ქალაქის მერი ლოგოთეტიისი. გახსოვთ, რა მოხდა იმ საღამოს? მთელი კომუნისტები წაინდა ქსენიში შეიკრიბნენ და ისე ღრიალებდნენ, იფორქებდი, ომი დაიწყოო. სკოლაში

დავდიოდი, მაგრამ დევანდელივით მახსოვს. მახსოვს, დედები გამოცვივდნენ, შეგვეკრიბეს და სახლებში გამოვიკეტეთ მეზობლებთან ერთად. ყველა შიშით კანკალებდა, ამბობდნენ, ამ საღამოს ბოლოს მოგივლებენ კომუნისტები, შემოიჭრიბან და დაგვხოცავენო. სიტყვით ვერ გადმოსცემ, რამდენი ვიტყვირეთ იმ საღამოს. სიკვდილს გავუსწორეთ თვალთ. ტიროდნენ ქალები, ტიროდნენ ბავშვები, მოსუცები კი, ოთხზე დაცემულები, მეტანიებს აკეთებდნენ. პანიკა იყო. ისიც მახსოვს, მამაჩემმა და სხვა ორმა თუ სამამა კაცმა სამხარეულოს დანებს დაავეყრეს ხელი და მთელი ღამე კარს იცავდნენ. პანიკა. სამოცდათვრამეტზე თან საუბარი და არა ორმოცდათიანებზე ან სამოციანებზე. სამოცდათვრამეტში მოხდა ეს ყველაფერი.

ასე იყო, უდასტურებს ვალიოსი. გაცოფებულები იყვნენ მაშინ კომუნისტები. ეგონათ, სტალინგრადად აქცევდნენ კოკინიას. ახლა კიდევ პარლამენტში გვყავს ეს ლეშები და ფულსაც ვუხდით. ეჰ. მოგიტყანთ ეგ დემოკრატია, მახსარებო. ცუდად ვხდები, ტო, ცუდად ვხდები, მაგათ რომ ხედავ. განსაკუთრებით იმათ ვერ ვიტან, მაგათ დაბრუნების და სისტემაში მოხვედრის შანსი ვინც მისცა. პალსტუხებით და ძვირფასი მანქანებით რომ მოძრაობენ, საღამოობით ტელევიზორის წინ მოკალათებულები (ვალ ხელში პულს) და რომ უეკავია, მეორეში კი თავიანთი სირები და რევოლუციებზე ოცნებობენ. მაგ პიდარასტების ატანა არ მაქვს ყველაზე მეტად. მემარცხენეებით, გეუბნებიან, გესმის? ერთადერთი, რაც მემარცხენე აქვთ, მაგათი მარცხენა კვერცხია. პიდარასტები.

ადმირალი წამოინევა, ბოთლს იღებს და ჭიქებს ავსებს. ხელები უკანკალებს. სვამს, ავსებს, ისევ სვამს. ეს არაფერია, ამბობს. სამოცდათვრამეტში ნორფოლკში გავგზავნეს „ნავკარტუსას“ წამოსაყვანად. გემი კი არა, მხეცი იყო, ყველაზე დიდი ჩვენს ფლოტში. მითელი ქალაქი. საღლაც ორი თვე დავრჩით იქ, კაი ჯავა კი დაგვადგა. ყოველ ჯერზე, გარეთ როცა გავდიოდით, ერთი აყალმყალი ტყდებოდა. დღემდე მახსოვს ზანგები რა დღეშიც გავგდებდნენ. კორპუსებიდან ნავკის გვაყრიდნენ. ვიეტნამის ამბები იყო მაშინ, ჩვენ კი ფორმებში გვხედავდნენ და ცოფდებოდნენ. გეგონება, ჩვენი ბრალი იყო ის ხოცვა-ჟლეტა, იქ რაც ხდებოდა. ჩვენ, საცოდავებმა, სიტყვის მნიშვნელობაც კი არ ვიცოდით, რუკაზეც ვერ ვიპოვიდით ვიეტნამს. მახსოვს, ერთხელ, ერთ ბარში, იქიდან დაბრუნებულ საზღვაო ქვეითს გადავყარეთ. ხელები ბინტით ჰქონდა გადახვეული. საუბარი გავაბით და გვიამბო, როგორ მოყვა მისი ბატალიონი თავდასხმაში და მისი და ერთი კანადელის გარდა, როგორ დახოცეს ყველა. მას მერე ფსიქოლოგიური პრობლემები ჰქონდა, ფრჩხილებს იჭამდა ხორცამდე. შიშის გამო, გესმით? ამიტომ ჰქონდა ხელები გადახვეული. ორმეტრიანი ვაჟკაცი იყო. დღემდე მახსოვს. ლუდით და ვისკით გავუმასპინძლით და ჩვენი გამოშვება აღარ უნდოდა. გვეხვეწებოდა, გემში დამხალეთ და საბერძნეთში წამოყვანეთო. გევიცვებით, ორმეტრიანი კაცი ჩვილივით იქცეოდა. ახლაც მახსოვს. რაც არის, არის. ისტორიები. არადა ბავშვობიდან ვაფერენდი ამერიკაზე. სულ ვამბობდი, როგორმე იქ



უნდა გადავსახლდე-მეთქი, მამაჩემი კი, რომელსაც მსოფლიო ჰქონდა მოვლილი, მეუბნებოდა, ჩვენნაირი ადამიანებისათვის არ არის ამერიკაო. ევროპაში სიღარიბე უიღბლობად მიიჩნევა, ამერიკაში კი სიღარიბე სირცხვილია და აიტან ერთდროულად სიღარიბესაც და სირცხვილსაცო? დაეტიე შენს ადგილას და შეეშვი ოცნებებსო.

ვალის მისაღობის უყურებს, შემდეგ ადმირალს. რაზე ვსაუბრობთ საერთოდ, მიცოს, - ეკითხება. ბაბუა სტავროსის კატიდან ვიეტნამამდე როგორ მოვედი? ვერაფერი გავიგე.

სხვა რამის თქმა მინდა, ამბობს ადმირალი. ახლა, ამდენი წლის მერე ვფიქრობ, როგორ მამოლებდა ცხოვნებული. გეგონება, აქ დარჩენით რამეს მივადნიე. თითქოს აქ დარბი და ღირსება აყრილი არ ვარ. ოცდათხუთმეტი წელი ვიმსახურე და რა მივიღე? ოთხი სული ვცხოვრობთ სამოც კვადრატულ სოროში. ორი წელი პარლამენტარიდან პარლამენტართან

დავბოდი, ბიჭისთვის სამსახური რომ მეშოვა და უკვე უშვებენ. წელი გაიწვიტა ნანილების თრევიტ და ახლა მისი გამოგდება უნდათ, რადგან ქალბატონ ტოიოტას კარგად არ მისდის საქმეები, ხუთასი მილიონის ნაცვლად წელს მხოლოდ ოთხას ოთხმოცდაათი მიულიათ თურმე. დიდი ზარალია, გესმით? ახლა თავიდან უნდა ვირბინო და ვემუდარო ყველა ნაბიჭვარს. გახსოვთ, რომ გითხარი, სამსახური პანაიოტაკოსმა უშოვა-მეთქი. ერთად ვიყავით ფლოტში, ჩემი ხელქეებითი იყო. ნავს მისცემდი და კლდეზე ლენავდა, არაფრის მაქნისი იყო, პარლამენტარი კი გახდა. როგორცაა. სამსახური რომ უშოვა, ოფისში გავუარე, მადლობის სათქმელად. ძალიან მძაფრი სუნამო ესხა და ხელი რომ ჩამომართვა, სურნელი ჩემს ხელსაც შერჩა. არ დამიჯერებთ, ამდენი დრო გავიდა და ხანდახან ახლაც მგონია, რომ ისევ ამდის ის სუნი. გეფიცებით. ხელს ვცნოსავ და გული მერევა. თითქოს სულს მიბინძურებს. აი, ახლაც. ახლაც გვრძნობ.

ხელი ცხვირთან მიაქვს და ყნოსავს, მერე მიხალისს უწვდენს.

ნახე. ნახე, როგორ ყარს. შეგიძლია, ამიხსნა, რა ემპაქი ხდება?

კარგი რა, ამბობს ვალიოსი. კარგი რა, ადმირალო, შენ რალა ვატირებდი. სუნამოები და სისულელეები კიდევ. რამდენი აილე საპენსიო დაზღვევა? პენსიას რამდენს გიხდიან? სიკეთე გვიყავი და ყველა რომ იტყვის თავისას, შენი მერე თქვი, ორმოცდაათს გადაცილებული რომ გახვედი პენსიაზე და უკანალის ტკეპნაში ვიხდიან სხვებზე მეტს. თემა შეეცვალა, თორემ ვიჩხუბებთ კიდევ. მიხალის, ამას გასდის? მოიტან რამეს, თუ ავდგე და ნაყიდე?

მიხალისს ციპურო მოაქვს, ჭიქებში ასხამს და ისევ ჯდება. ვალიოსი წინ იხრება, სანთლიდან სიგარეტს უკიდებს და გვერდით აბოლებს. სიგარეტის ყუთს ცელოფანს აძრობს, კუჭავს და საფერფლეზე აგდებს, თან პავლაკოს უყურებს გვერდულად, რომელსაც თავი ფანჯრისკენ აქვს მიბრუნებული და გარეთ იყურება.

ახლა ფული რომ ასხენეთ, ამბობს მიხალისი, შარშან მამაჩემი რომ გარდაიცვალა, სალამოს ირაკლისმა გამოიარა. ირაკლისი ხომ იცით, ლაკისი, კუთხეში, მოსახვევში რომ ცხოვრობს.

დალაქე ამბობ? ბაზარში რომ აქვს დახლი?

ეგაა. გვიან მოვიდა, თქვენ რომ ნახვედით, მერე. მოდის ერთი ბოთლი ვისკით და ვსხდებით საძინებელში, რადგან აქ ქალები იყვნენ და დედაჩემთან ერთად მოთქვამდნენ. ვსვამთ და თან ვხუმრობთ, ერთ მომენტში კი ტიპი ატირდა და მიყვება, როგორი კარგი ადამიანი იყო მამაჩემი, როგორ უყვარდა და ისეთი განცდა აქვს, თითქოს ძმა დაკარგა. ტირის და მეხვევა, მე კი არ ვიცი, რა გავაკეთო. მერე, რალაც მომენტში მიბრუნდება და მეკითხება, დაკრძალვა რა ჯდებაო. ამდენი-მეთქი და უცებ მუხუზდება, მისმინე, მიხალის, რადგან ცხოვრებული ძმასავით მიყვარდა და თან ვიცი ახლა როგორი სიდუხჭირე გიდგათ, დაკრძალვის ფულის გადახდა მინდაო. ფულს მე მოგცემ. მშვიდად რომ ვიყთო. მე მოგცემ ფულს. აქ მე ვანყევტინებ, სახე ნაშლილი აქვს, თვალური დასიყვებული და ვეუბნები, აბა, რასაა, რომ ამბობ, ლაკის? მადლობას გიხდი, მაგრამ ასე არ გამოვა. შენ როგორ გადაგახდევინებ მამაჩემის დაკრძალვის ფულს? არ გამოვა. ბევრი რომ არ ვილაპარაკო, არაფრით თმობა. ჩემთვის ისიც ვიფიქრო, შედადგება ეს დედააფეთქებული-მეთქი, რადგან ვიცი, გალტეტილია თვითონაც, მაგრამ, ბიჭებო, დგება უცებ და მეუბნება, დამლოდეო, ათ ნუთში კი უკან ბრუნდება და კონვერტს მადლევს ასიანით, მწუქნის. მწუქნის, ვესმით? დედაჩემსაც უძახის და ეუბნება, ის უბედური კი ალელევებული ხმას და ტირილს უმატებს, მერე იხრება და ხელებს უკოცნის. ხელებს უკოცნიდა, ტო, ბიძაშვილები და ბიძები გვყავდა ჩამოვლილი ფულის სასესხებლად. ბევრი რომ არ გავაგრძელო, დილით იმ ნაბიჭვარ კიოსვილლუსთან მივდივარ და ვაშავებ ფულს კუბოსთვის, ყვავილებისთვის და კიდევ სხვა რამეებისთვის, ჰოდა, ასე თორმეტისთვის სადღაც მირეკავს ირაკლისი და მთავრდება ჩემი ზღაპარი. ძმარ, საქმე აირია, ის ფული ჩემი ცროლის იყო, რალაც საბუთებისთვის, ბავშვების სკოლისთვის და ასეთ

სისულელეებს მეუბნება. ტირილს იწყებს და მიბოდიშებს და მიბოდიშებს. ყურმილით ხელში გაეშეშა. მუხლები მომეკვეთა.

და რა გააკეთე? ეკითხება ადმირალი. საბოლოოდ როგორ მოიქციე? მიეცი?

მიეცი, რა თქმა უნდა. რა უნდა მექნა. აქეთ ვეცი, იქით ვეცი ნათესავებში, შევავროვე და მივეცი. წარმოგიდგენია, ის ნაძირალა თვითონაც არ მოვიდა, ქალიშვილი გამოგ ზავნა გამოსართმევად. ეგ ნაძირალა.

რა ამბობ, ტო, ამბობს ვალიოსი. ასეთი იაღლიში? აქამდე რატომ არაფერი გვითხარი?

რა უნდა მეთქვა. ვითომ რამე შეიცვლებოდა? ახლაც სიტყვამ მოიტანა. დედაჩემსაც კი ხნის მერე ვუთხარი. დაკრძალვაზე ეგ საწყალი მე მეკითხებოდა, ირაკლისი სადაა, რატომ არ მოვიდაო და ათას დალოცვას უგზავნიდა იმ ნაძირალას. ასეთი არაფერი დამმართვია. კონვერტი რომ მომცა, ღმერთია მონამე, გულიდან ლოდი მომწყდა, ვიფიქრე, ღმერთმა ამ ერთხელ ჩვენც გადმოგვხედა-მეთქი. მერე კი ასეთი სირცხვილი. ასეთი სირცხვილი. დაკრძალვამდე ერთი საათით ადრე წინ და უკან დავბრდი, ორმოცდაათი ერთისგან რომ შესესხა და ორმოცდაათი - მეორისგან. სახე წამქვია. მინა დახსნილიყო და ჩავეტანე. რამდენიც არ უნდა ვიცოცხლო, ამას ვერ დავივიწყებ. ასეთი სირცხვილი. თუმცა, ყველა თავისას იღებს. გაიგებდით, მის ვაჟს რაც დაემართა.

ვისას? კითხულობს ვალიოსი.

რა ვისას? გამოთვერი უკვე? ამდენი ხანი ირაკლისზე არ ვსაუბრობთ? არ გავგივიათ, მის ბიჭს რაც დაემართა? როდოსზე გაუშვეს, კარგი სტუდენტიც იყო და ნარკომანი კი დაუბრუნდათ. ამასწინებზე შეტევა ჰქონდა, დედამის ყელში სწვდა და კინაღამ დაახრჩო. ახლა რალაც კლინიკაში ჰყავთ გამოკეტული, ვულაში, ლლიფადაში და იწვნებიან, იმდენს იხდიან. ასეა, ძმარ. ყველას მიუზღვება. ყველას. დაკრძალვის დღიდან ვნატრობდი, რამე მომხდარიყო, მაგ ნაბიჭვარს რომ ცხვირში ამოედენოდა, რაც მე გამიკეთა. როცა გავიგე, მის ვაჟს რა დაემართა, სულმა გაიხარა. უცნაური კია ოღონდ. რა ძალა ჰქონია სიძულვილს. ხანდახან ვფიქრობ, რომ სიძულვილი იმ ჰაერითაა, ქალაქის მაცხოვრებლები რომ ვსუნთქავთ, ნელ-ნელა გვკლავს, თუმცა უიმისოდაც ვერ იცოცხლებ.

მიხალისი სათვალეს იხსნის და სანთლის შუქს უყურებს, შემდეგ ისევ იკეთებს. ადმირალი სავარძელში მოკუნტულა, თავი ჩაულუნავს და ფეხსაცმელებს დაშტერებია. ვალიოსი დგება და ფანჯარასთან მიდის. იხრება და გარეთ იხედება. მისი სუნთქვისგან მინა იორთქლება.

რაც არ უნდა იყოს, სულ თქვენთან ერთად ვხედავ, ამბობს. გუშინწინაც „სატანასთან“ შენს გვერდით არ იჯდა?

ვიცი, ამბობს მიხალისი. ყველამ უგანა და გამუდმებით ჩემთან მოდის. შეგეცოდება. მთელი დღე მთვრალია. რა არის, ადმირალო? რატომ იმანჭები? რამე განუხებს?

ადმირალი სიგარეტს უკიდებს და ბოლს პირდაპირ სანთლის ალისკენ უშვებს. კვამლი რამდენიმე წამით მრუდდება და ისევ სწორდება.



არა, მიხალის, ამბობს. არაფერი მანუხებს. სხვა რამეზე ვფიქრობ. ვსაუბრობთ, ვსაუბრობთ და ვხვდები, რომ ის, რაც გვეერთიანებს, ისაა, რაც გვაფრთხობს და გვაძულს. როგორ ვიქცევით ასეთებად? საიდან მოვიდეს ამდენი სიძულვილი და ამდენი შიში, მეტყვის ვინმე? თან რაც დრო გადის, კიდევ უფრო უარესდება ყველაფერი. არის დღეები, რალაცების შემყურეს თავის მოკვლა მინდებდა. გეფიცვებით. ამდენი ვადაჭირი გამომივლია გემზე და ასეთი რამე აზრადაც არასდროს მომსვლია. არასდროს. ახლა სხვანაირად აღარ გამოდის. ვიხრჩობი, რასაც ჰქვია. ვიხრჩობი.

მიხალისი უყურებს ვალიოსს, რომელიც ჯერაც ფანჯარასთან დგას, ვალიოსი კი თვალს უკრავს სერიოზული სახით, თითი ჯერ ტუჩებთან მიაქვს, შემდეგ კი საფეთქელთან. ფანჯარას სცილდება, ადმირალის წინ ჯდება და ჭიქებს აესებს. სვამს, შემდეგ წინ იხრება და სიგარეტს უკიდებს სანთლის ალზე.

ვუღის ნიშანია, ამბობს ადმირალი.

ვალიოსი სანთლისკენ გადახრილი რჩება, უყურებს, თან სიგარეტი კბილებით უჭირავს. სიბნელეში სახეზე საშუალო ჩრდილები დაურბის.

ვუღის ნიშანია სიგარეტის სანთლით ანთება. გემზე ვამბობდი, სიგარეტს სანთლის ალზე თუ აანთებ, რომელიმე მეზღვაური მოკვდებაო.

ჰოდა, ახლა რა განაღვლებს, ხმელეთზე ხარ უკვირ.

ადმირალი თავს ნეებს და ისე გვიყურებს, თითქოს ეს ესაა კომიდან გამოვიდა და ცდილობს გააღრჩიოს, ვინაა გარშემო. თვალები დაორთქილი მინებივით ამღვრეული აქვს.

შემდეგ იხრება და სანთელს უბერავს. ალი ილევა, ლამის ქება და შემდეგ ისევ ნელში იმართება.

გასულ თვეში, ერთ შაბათ საღამოს ჩვეულზე გვიან გამოვიდა მათი კიბეზე. მთელი დღე ნვიშდა და რომ დაღამდა, აგრძელდა. კარგად თუ დააკვირდებოდი, შეამჩნევდი, როგორ ასდიოდა სველ ასფალტს ორთქლი - თითქოს რალაც ცოცხალი არსება იყო იქ, რომელიც ათასი პირით სუნთქავდა სიბნელეში. როგორც კი გამოვიდა, დაუსტივინა და მაშინვე კატა ამოხტა იქვე დაწყობილი იოტას მალაზიის ყუთებიდან. მაიმ ერთი კვადრატული ყუთი ხელით გაშალა, კიბის საფეხურზე დააფინა, ზედ დაჯდა და სიგარა და ბოთლი გვერდით მოიხყო. შემდეგ კატას სწვდა კისერში, მის ფეხებს რომ ელაჭუცებოდა და მუხლებზე დაისვა, ეფერებოდა და ესაუბრებოდა. ისეთი სიჩუმე იყო იმ საღამოს გათვლებში, ისეთი რამეებს ამბობდა, თუთის ტოტებიდან ჩამოცვენილი წყლის ნვეთებისა და ტროტუარის გასწვრივ მორაკურავე წყლის ხმასაც გაიგებდი, გაიგებდი კატის ზანზალაკის წკარუნს და მათს ჩურჩულსაც გაიგებდი, ისეთ რამეებს ამბობდა, მისნაირი ბიჭისგან რომ არც ელი. გულისტკივილითა და ნოსტალგიით სავსე სიტყვები. ბავშვია ჯერ, რისი ნოსტალგია უნდა მოესწრო? ისეთი ტკბილი და მშვიდი იყო მისი ხმა, ღამეზე უფრო მშვიდი, ჩურჩული ტროტუარის გასწვრივ მორაკურავე წყლის ხმას მიაგვდა. თვალებს თუ დახუჭავდი, საოცარ სიმშვიდეს შეიგრძნობდი, წყლის რაკრაკი მათს ხმას ერთოდა.

ხომ ამბობენ, რომ ღამით ვინმეს ხმის გაგება დიდი შვებაა. დიდი შვებაა იმის ცოდნა, რომ ვიღაც შიშისგან ღამეს ათენებს, როცა იცი, რომ ვიღაც რალაცს მაინც აკეთებს შიშის დასაძლევად.

მხოლოდ მიხალისმა დაინახა, რაც იმ ღამით მოხდა.

მისაღებ ოთახში იჯდა და დოკუმენტურ ფილმს უყურებდა სამყაროს აღსასრულზე, თუმცა რალაც მომენტში დააფრთხო იმან, რასაც უყურებდა, ტელევიზორი დაგროთო, რადიო ჩართო და ვისკი მომარჯვა დასალევად. დედამისი საძინებელში იყო თავის დაქალებთან ერთად და რალაც სიმღერებს უსმენდნენ ტელევიზორში. ჩვევად ჰქონდათ მიხალისის სახლში შეკრება, რადგან ქვრივებს საღამოობით შინ მარტო დარჩენის ეშინოდათ. ამაზე მიხალისი სულ ეჩხუბება დედამისს, სახლი ქვრივების თავმსაფრად აქციეო, მაგრამ ის ყურსაც არ უდევს. ბოთლი რომ გამოცალა, საძინებელში შევიდა და ჩართული ტელევიზორის წინ ჩაძინებულნი დედაბრები გააღვიძა, სახლებში ჩამოარიგა, რომ დაბრუნდა, ცოტა ხანს დედამისს ესაუბრა, შემდეგ ისევ მისაღებში შევიდა, ახალი ბოთლი გახსნა, გაიხადა, სიგარეტს მოუქვია და როგორც სჩვეოდა, ფანჯარასთან ჩამოჯდა. მათს დაუხყო ყურება, რომელიც კიბის საფეხურზე იჯდა, ეწეოდა, სვამდა და თავის კატას ელაპარაკებოდა.

მოსწონს ღამ-ღამობით სიბნელეში ჯდომა და მათი თვალთვალი. ბევრჯერ უფიქრია, აელო ერთი ბოთლი ვისკი, ჩასულიყო, გვერდით მისჯდომოდა, მოხვეოდა, მის გადახობრილ თავს მოფერებოდა და ეთქვა, კატის მაგივრად მე შესაუბრეო. ბევრჯერ უფიქრია ამის გაკეთება. არ ადარდება, ღამის გათენება თუ მოუწევს და დილით სამსახურში გამოუძინებელი წავა, თუმცა იცის, მათს არ მოსწონს კომპანიონები. თანაც, სამეზობლოდან თუ ვინმე თვალს მოჰკრავს, ატყდება ერთი მითქმა-მითქმა. სჯობს თავი გაიტყუხო, ვიდრე სახელი, ასე არ არის? ასეა.

სამს იყო გადაცდენილი, მირაფიორი რომ გამოინდა. კვიპროსიდან შემოუხვია დარღვევით, გამორთული ფარებით განაგრძო სვლა და მათს სახლის წინ შედგა. მიხალისმა დაინახა მუხურუჭის სინათლეები რომ აინთო და ყვითელი გამონაბოლქვიც. მანქანის უკანა მინაზე მიხატული დიდი ყვითელი ღრინაკალიც შენიშნა. წამოდგა და ფანჯარა გამოაღო. დიაცადა. გაიფიქრა, რამეს გადავიცვამო, რადგან ნესტი ძვლებამდე ატანდა, თუმცა ვერ მოასწრო. მათ წამოხტა, კატაც ველური ჩხატილით ჩახტა მისი მკლავებიდან და მათ თეთრი ძალით ეძებრა მძლოლის კარს. მირაფიორი საბურავების ღრჭიალით მოსწყდა ადგილს, თან სველ ასფალტზე სრიალებდა. მათ უკან დაედევნა. მუნჯის სახლის წინ შეჩერდა, ხელი წინ გაიშვირა და მაშინ გაისმა გასროლის ხმა, ისე ყრულ, თითქოს ტოტი მოტყუდო, რასაც შუშის მსხვერვის ხმა მოჰყვა. მირაფიორი უკუსვლით გავიდა კასტამონისზე და თვალს მიეფარა. მიხალისი შიშველივე გადაიკედა ფანჯრიდან. დაძახება უნდოდა, მაგრამ ყელიდან ხმა არ ამოსდიოდა. ხედავდა მათს, რომეიც ვზის შუაში იდგა წინ გამკვერილი ხელით და კობოისავით მოხრილი. ელოდა, სინათლეები აინთება და ხალხი გამოცვივდებაო, მაგრამ არც არაფერი



მომხდარა. მათ კუთხისკენ დაიძრა. ქუჩას გახედ-გამოხედა. მაღლა ცას ახედა, რომელიც ჭირბლში იკარგებოდა. შემდეგ უკან დაბრუნდა ნელი სვლით, თან ბოტებს დასჩერებოდა, რომლებიც მძიმე ხმას გამოსცემდა ასფალტთან შეხებისას. მალე და ასე გამხდარი, უსხეულო აჩრდილს წააგავდა.

კიბეს რომ მიაღწია, ბოთლიდან მოსვა და სიგარეტს მოუკიდა. კატა თუთის ხიდან უცქერდა. დაუძახა, მაგრამ არ მივიდა. ერთგან სინათლე აინთო შენობაში. მაომ სიგარეტით მოისროლა და გაიქცა.

მიხალისი ისევ შიშველი გადაეკიდა ფანჯრიდან და დაინახა, როგორ გაუჩინარდა ქუჩის სიღრმეში. უზარმაზარი ჩრდილივით ჩამონოლილმა სიბნელემ ისე შთაბეჭა, თითქოს მის სხეულს შეერწყა.

მართალია თუ ტყუილია, ასე ჰყვება მიხალისი.

მეორე დღით მუნჯის სახლში შევიკრიბეთ. ათი იქნებოდა. მუნჯი აღმფოთებული იყო, ტყვიას მისი მანქანის მინა ჩაემსხვრია. ხელებით ლანძღავდა მათ და დედამისს, საკუთარ ბედსაც წყევლიდა, მანქანას სულ სახლის წინ რომ აყენებს და მაინცდამაინც გუშინ რომ დახვედა ვიღაცის მანქანა მის ადგილზე და კუთხეში მოუწინა გაჩერდა. ხელებს იქნევდა და თვლებს აბრიალებდა, კისერზე კი ძარღვები ისე ჰქონდა დაჭიმული, ლამის დასკდომოდა. ვიღაც სამეზობლოს აგინებდა, პოლიციას რომ არავინ შეატყობინა, ვიღაც ამბობდა, რომ ვერ მიხვდა, გასროლის ხმა თუ იყო, მაშინ პირველმა დასძინა, ყველანი ერთნაირი ქათმები ვართ და თვითონ ქორწილში რომ არ ყოფილიყო წასული, აუცილებლად გამოვარდებოდა გარეთ, ყელში სწვდებოდა იმ ნაბიჭვარს და იმ დამბაჩას უკან ვასთხრიდა. ცოტა ხანში დიდი აყალმაყალი ატყდა, რადგან, ყველაზე ადულტებლებიც კი მდგომარეობიდან გამოიყვანა მუნჯის ხელების ქნევამ და ბლუილმა, მმმმმმ, ნნნნნ და შეუტყეს, მოკეტდა და კუთხეში დაჯექი, გვაცადეო, ის კი უფრო განითლდა, დიდ დავითარს დასატყა ხელი და იმის მაგიდაზე რტყმა დაიწყო. ყველა გაცოფებული და შეშინებული იყო. ზოგი ამბობდა, განყოფილებაში წავიდეთო, დანარჩენები მათს დედას ლანძღავდნენ, ძალღვივით რომ დაეთრევა აქეთ იქით და სახლი ბორღელად აქციაო. ერთმა ისიც თქვა, ქალებმა სამყაროს დიდი ჭრილობა მიაყენეს, მას შემდეგ, რაც სხვა რამეებით დაკავდნენ და რაც ევალეზათ იმით არ არიან დაკავებული, ანუ ბავშვების გაჩენით და მათი გაზრდით, ამით თავიც განინადგურეს, ბავშვებიც, კაცებიც და სამყაროს მოსპესო. ყველა იმაზე თანხმდებოდა, რომ რალაც უნდა მოემოქმედებინათ, თორემ ეს ლანჩრაკი წარკომანი თუ ისევ ასე იმოძრავენ უბანში, ხვალ თუ იმის მერე, აუცილებლად ვინმეს შეინიარავსო. ირაკლისმა, დალაქმა, იკითხა, რომ წაჰყვებოდა მათსთან, მისთვის ცეცხლი რომ შეენთოთ, მაგრამ ვილაცამ თქვა, გუშინდელი დღიდან გაუჩინარდაო. ყველა გაცოფებული იყო და შეშინებული. შემდეგ საქმეში მიხალისი ჩაერია, თქვა, რომ არ უნდა გავგეზვიადებინა და რალაც კომპრომისისთვის უნდა მიგვეგნო. თქვა, რომ მათ უნძის გუშავია და ბევრმა მოიპოვა სიმშვიდე მას შემდეგ, რაც მათ დაუმეგობრებინა და უბანს ყარაულობს. ისიც არ უნდა

დაგვევინყდეს, დის გამო რაც გადაიტანაო. არც ის დავივიწყოთ, ის კორინდალოსელი გარეხრები რომ დაემუქრნენ, ერთ ღამეს მოვალთ და დედაშენს და შენს დასაც არ დაადგებათ კარგი დღეო.

გარეკე, მიხალისო? წამოგტა ვალოოსი. რადგანაც და მოუტყენს, ახლა ჩვენ უნდა მოგვეტყნას? მხარსაც უჭერ.

ასეა, თქვა ირაკლისმა. საიდან ვიცით? საიდან ვიცით, რომ ყველაფერი ასე იქნება? გუთხბები, ვილაც წარკომანებსა გადაკიდებული და ამიტომაც დასდევენ. წყალი არ გაუფა. ის კრავიც მაგ ამბებში იქნებოდა გახლართული და ამიტომაც გააგდეს შინიდან. დედამისიც გარეულია და ამიტომაც აფარებს ხელს. გვიცავს არა ის. ეგ წარკომანი გმირადაც რომ გამოიყვანე.

დიდი განხილვის შემდეგ გადაწყვიტეს, მიხალისი და ირაკლისი წასულიყვენ მათს დედასთან და ენახათ, რა ეშმაკი მოხდებოდა. თავიდან განყოფილებაში წასვლა ვისაც უნდოდა, ისინიც დათანხმდნენ, რომ პოლიციის ჩარევით შეიძლება მათც და კორინდალოსელებიც უარესად გაღიზიანებულიყვენ და შეიძლება უარეს შარში გავხვეულიყავით - სერიოზული ამბავია, თამაში კი არა. ძაღლების და დამატებითი ისტორიების გარეშეც მშვენივრად გავერკვევით ჩვენი თავიცო.

ასეც მოხდა. თუმცა მათს დედამ თქვა, რომ არ იცოდა, სად იყო მათ. ისიც თქვა, რომ ლამისაა გავიწყებულიყო, რადგან შიშობდა, რაიმე სისულელე არ ჩაედინა იმ იარაღით. თქვა, რომ წარმოდგენა არ ჰქონდა, რა იარაღი იყო, ან საიდან ჰქონდა. არაფერიც არ იცოდა.

სხვებს პოლიციაში უნდათ წასვლა, ძლივს ვაკავებთ, უთხრა მიხალისმა. ვიცი, უპასუხა ქალმა. წავიდნენ. მეც ვავყევი. არც კი ვიცი, სხვა რა ვაკაკეთო.

შემდეგ თქვა, რომ ლიდოში მათს უფროსთან უსაუბრია და ის დაჰპირებია, მე მოუძებნო. უთვამს, ნაშუადღევამდე დამელოდო. რე ვემინია, მე მომანდევ, ვიცი, როგორ ამოუთხარო.

კეთილი, უთხრა ირაკლისმა, როცა ესენი მოისმინა. თუმცა მუნჯიც არ დაგვევინყდეს, იცი, შენმა ვაჟკაცმა მინა რომ ჩაუშისხვრია? მის ზარალს ვინ ანაზღაურებს?


ქალმა ორივეს შეხედა, შემდეგ სკამზე დაეცა და ატირდა. ერთიანად ცახცახებდა, სუნთქვა ეკვროდა. უმცროსი ქალიშვილი, თომაი მასთან მივიდა, მოეხვია და ცდილობდა, პიჟამას მკლავით ცრემლები მოენმინდა. შემდეგ მათს დედა ადგა, უჯრა გამოკლო და ორმოცდაათიანი ამოლო.

ეს რა არის? იკითხა ირაკლისმა. ორმოცდაათი ევრო. ამით რა უნდა გავაკეთოთ, ჩემო ქალბატონო? ორმოცდაათ ევროდ წვიმის სანმენდსაც ვეღარ იყიდი მინას კი არა.

მეტი არ მაქვს, უპასუხა ქალმა. ვეცდები ერთი კვირის განმავლობაში ვიმოგო. ახლა მხოლოდ ეს მაქვს. მეტი არ მაქვს.

კეთილი, უთხრა მიხალისმა.

არა, არა, შეანწყვეტინა ირაკლისმა. ორმოცდაათი ევროთი აპირებს გამოძრომას? გუშინ საღამოს კინალამ ხალხი შეინარა. ასე არ გამოვა.



მეტი არ მაქვს, გაიმეორა ქალმა. აიღეთ და დამტოვეთ ჩემს სადარდებელთან. სად არის ჩემი შვილი? ჩემი მამო. რატომ არ მიდიხართ მის მოსაძებნად? რა გაუკეთეთ? სადაა ჩემი მამო?

გოგო, აქამდე ხმას რომ არ იღებდა, გავიდა და უკან აკორდეონით დაბრუნდა.

აიღეთ, უთხრა მიხალისს. გერმანულია. ათას ევროზე მეტი ღირს. აიღეთ და შეგვეშვით.

დედამ ქალიშვილს შეხედა, შემდეგ კი კაცებს. ჩანდა, რომ ვერ ხვდებოდა, რა ხდებოდა. გაფუჭებული თოჯინასავით ამოძრავებდა თავს ზემოთქვემოთ. ბლუზა მხარზე ჩამოუცურდა და ლიფის ბრეტელი გამოუჩნდა. ვარდისფერი იყო.

წავედით, უთხრა მიხალისმა და მხარში სწვდა კომპანიონს. წავედით, გეუბნები. გაინძერო.

ირაკლისმა ხელი გაიწოდა და აკორდეონის შავ ლილაკს დააჭირა თითი. არანაირი ხმა. გოგო შეკრთა და უკან დაიხია. მხრები უცახცახებდა და ლოყებზე ალი ეკიდა.

არ დაგვისრულებია, თქვა ირაკლისმა. არ იფიქროთ, რომ ასე იოლად გამოძკრებით. თქვენს ვაჟკაცს კი უთხარით, რომ ველოდები. ეს ასე არ ჩაივლის, გესმით? ჩემთან არ გაგივით.

გარეთ რომ გამოვიდნენ, ტროტუარზე შეჩერდნენ და სიგარეტს მოუკიდეს. ქარი ქროდა და წვალება მოუწიათ, კარგად რომ მოჰკიდებოდა.

ყურადღება მიაქციე? იკითხა ირაკლისმა.

რას?
მის პირს. ეგრევე ეტყობა რა ბინძურიცაა, უამრავ დუღუკზე აქვს დაკრული. ერთი ჩემი ძველი ბოზი გამასხენა, კერაცინიდან. მაგარი მწოველი იყო. ყლეს არ მახავდა.

ესეც ისეთივეა. მიბრუნდა და სახლს გახედა.

პატარა კარგია ოლონდ. უბინო. ძვლებსაც გაულოკავ.

მუხჯს რა ვუყოთ, თქვა მიხალისმა.

დაიკიდე ეგ დედაფეთქებული. ცოტა ხანი ვაცადოთ, ვნახოთ, რა მოხდება. „სატანასთან“ ცოტა უზო ხომ არ გადაგვეკრა? მე გეპატიჟები.

იმ შაბათ-კვირის შემდეგ მამო გაუჩინარებულია. არავინ იცის, რა შეემთხვა. კაი ხანია, დედამისი და მისი დაც აღარ დაგვინახავს უბანში. მიხალისმა შეუარა რამდენჯერმე, მაგრამ არავინ დახვდა. ამბობს, ალბათ კატერინასთან წავიდნენ იმ კუნძულზეო. ან უბრალოდ სადმე სხვაგან რჩებიან, სანამ ეს ამბავი დაიწყებას მიეცემა. ვინ იცის?

ამასობაში სხვა ამბები გვეკონდა უბანში. გასულ კვირაში თვითმმართველობამ დიდი ლურჯი ნაგვის ურნები მოიტანა და ყოველ კუთხეში დადგეს თითო. რაღაც ბროშურები და სპეციალური ჩანთები დაგვირიგეს, ქალაქი და ქილბო ცალ-ცალკე შეაგროვეთო. პროგრესი. ხუთშაბათს საღამოს კი, „სატანასთან“ რომ ვიყავით, ადმირალი მოვიდა და სკოლის გვერდით რომ სოფრონისი ცხოვრობს, იმისი ამბავი თუ გაიკეთო.

რა შეემთხვა? იკითხა ვალიოსმა. მოკვდა?
სულ აერია გონება ამ ბოლო დროს, თქვა ადმირალმა. გუშინ საღამოს ჩემი ბიჭი სამსახურიდან

ბრუნდებოდა და იმ დროს წააღვა, გადასამუშავებელი ნაგვის ურნაში რომ ცდილობდა გადაარმოს. სულზე მიუსწრო. აქ რას აკეთებთ, ძია ტასოსო, ჰკითხა. გაგიჟდი? ნაგავში ხტები? და ის რას პასუხობს? შემეშვი სტეფანოსო. შენს გახარებას, შემეშვი, კაცი, რომელიც ცოლს ვერაფრით ეხმარება და სიკვდილის უფლებას აძლევს, გადასაგდება. ვამიშვი, მეც წამიყვანონ და გადამამუშაონ, იქნებ უკეთესი ადამიანი გავხდეთ. გესმით? ხედებით, რა ხდება სამყაროში? დაინახა და ჩემი ბიჭი მიშველა მერე კუთხეში დაჯდა და თავისთვის იცინოდა გიჟივით. არ ვიცი კარგად. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ საერთოდ არაფერი არ მიდის კარგად.

მასხოვს მისი ცოლი, თქვა მიხალისმა. კაი ხანს იტანჯებოდა საავადმყოფოებში და ექიმებში. კიბო არ ჰქონდა? კარგად მასხოვს.

ადმირალმა ციპურო შეუკვეთა ჩვენთვის. რაღაცის მოყლა დაინწყო სოფრონისზე და მის ცოლზე, მაგრამ, როცა მიხვდა, რომ ხმას არავინ იღებდა, გაჩუმდა. არავინ იღებდა ხმას. გარეთ ქარი ქროდა. ფანჯრებს აზანზარებდა და ნაპრალებიდან უბერავდა. თერთმეტი ხდებოდა. სატანასმა ტელევიზორი გამორთო, დახლის უკან დადგა და ყურება დაგვიწყო.

ხვალ წავალ, ბავშვს კლინიკიდან გამოვიყვან თქვა ირაკლისმა. ასე გადავწყვიტე. გვიტხრეს, ექსკურსიაზე წაიყვანეთო სადმე ამ შაბათ-კვირას. სასიკეთოდ წაადგებაო. დედამისს ეშინია ოლონდ და არ უნდა წამოსვლა. მე ვერ წამოვყოლო, ამბობს. ეშინია. არც კი ვიცი, როგორ მოვიქცე.

რამდენი წლისაა? იკითხა ვალიოსმა.

ოცის. ოცდაერთის გახდება მალე.

ვინმე რუს ქალთან წაიყვანე, ექსკურსიაზე კარა. მარტო ეს თუ მოიყვანს აზრზე.

ჩემსას თვის ბოლოს შეაფასებენ, თქვა ადმირალმა. გუშინ შეატყობინეს. ვუთხარი, ყურადღებით იყავი-მეთქი. ყურადღებით იყავი, რწმენა არ დაკარგო. ნუ გაუწევ სამსახურს და რწმენას ნუ დაკარგავ. უნდა გწამდეს. ღმერთი რომც არ არსებობდეს, შენ უნდა გწამდეს. შენი რწმენაა ღმერთი. ასე ვუთხარი. ცოტა დასცა ამ ამბავმა ოლონდ. ნუხელ დამით გამეღვიძა და აივანზე ვიპოვე, ენოდა. ასე აივნის მოავლირზე გადაყუდებული რომ დავიხანებ, მეც არ ვიცი, რატომ, მაგრამ სისხლი გამეყინა. სიბნელეში დავჯექი და ვუყურებდი. გული მიფრიალებდა.

ირაკლისმა სიგარეტი ჩააქრო და წამოდგა.

მივივარ, თქვა. ადრე უნდა ავდგე.

მიმავალმა სკამს წამოკრა ფეხი და ნააქცია. არც კი მიუხედავს.

ადმირალმა კიდევ ერთი ჭიქა გამოცალა და ისევ შეივსო. ხელები უკანკალდებდა. ფანჯრიდან ირაკლისს გახედა, რომელიღაც მანქანასთან რომ იყო გადახრილი და ცდილობდა სიგარეტისთვის მოეკიდებინა. დალია, თავი დახარა, თვალები დახუჭა და ასე დახუჭული თვალებით დაინყო საუბარი.

მე ჯერ კიდევ მწამს, თქვა. მართლა მწამს. ამ ბოლო დროს ვზივარ ლოგინში და ისტორიებს ვთხზავ. ვითომ ჯადოსნურ წამალს მივაგენი და უჩინარი გავხდი, გავიტაცე ფული ბანკებიდან



ხალხს ვურიგებ. კიდევ დიდი მინა ვიყიდე შემად-
 ლებულ ადგილას, ზღვის პირას და სახლს ვაშენებ,
 ისეთს, თვალს რომ ვერ მოსწყვეტ. ქვითა და ხით.
 ჩემი ცოლის სახელი დავარქვი. ვილა კონსტანტინა.
 ასე ვეძახი. ხუთ-ექვსი სახლს ვაშენებ კიდევ, თქვენ
 გინანილებთ და ვცხოვრობთ ყველა იქ ერთად და
 ბედნიერად. ჩემს ქალიშვილს ბალი აქვს საკუთარ
 თავზე აღებული, ხეები და ყვავილები. ჩემი ბიჭი,
 ირაკლისის ბიჭთან და მოსთან ერთად ზედამხედ-
 ველად მყავს დანიშნული. კარგად ვუხედი, მანქანებ-
 საც ვაძლევ სამივეს და ძალიან ბედნიერები არიან.
 მას დედა და უფროსი და სამზარეულოში გავანე-
 სე, იქაურობაზე აგებენ პასუხს. საყიდლებზე რომ
 იარონ, საქმელზე იზრუნონ და ასეთი რაღაცები.
 უმცროს ვაგოს მუსიკის დაკვრა ევალება საღამო-
 შინით, რომ ვიქეიფოთ და გავგრთოთ. ცხადია. ყვე-
 ლაფერი გავთვალე. უკანასკნელი წვრილმანებიც
 კი. ამ მინაზე ბევრი რამე მაქვს გაკეთებული. ერთი
 ქვის სარდაფი მაქვს, გარშემო ფანჯრით. შიგნით
 აუზია, დამთბარი რომა ისეთი. ზამთარში სითბოში
 რომ იცურაო და ფანჯრიდან წვიმას და თოვლს
 უყურო. კარგი რამეები. კარგი რამეები. ერთიც მა-
 ლალი შენობა მაქვს აშენებული, კომკივით მაღალი,
 გარშემო ისიც შემინული. იქ ვქეიფობთ ხოლმე.
 მთლიანად პარკები აგია და დიდი მაგიდა მიდგას
 მთელს სიგრძეზე, იცდათი, ორმოცი ადამიანი თა-
 ვისუფლად რომ დაეტიოს. ბუხარიცაა და საცეკვაო
 მოედანიც. საუკეთესო სტერეო სისტემაც მაქვს,
 თუმცა არ გვჭირდება, მუსიკას ხომ პატარა თომაი
 გვიკრავს. სპეციალური კომპიუტერიც მაქვს, დაა-
 ჭერი და ჭერი ორად იხსნება, ფანჯრები კი დაბლა
 ეშვება. საზაფხულო ხრიკია, ხომ ხვდებით, რომ არ
 დაგვცხებს, თუმცაღა საუკეთესო კონდიციონერიც
 მიდგას. ზაფხულში საღამოობით მაღლა ვიკრიბე-
 ბით, ვჭამთ და ვვსამთ კარგი დროების სადღეგრძე-
 ლოებს და ვცეკვავთ გათენებამდე. მეც იქვე ვზი-
 ვარ კუთხეში და გიყურებთ, როგორ ქეიფობთ და
 მიხარია, მიუხედავად იმისა, რომ შიგნით რაღაც
 მწვავს. თქვენ არ იცით. გგონიათ, თითქოს მილიო-
 ნი მოვიგე ჯოკერში ან ლატარიამი. ასე მაქვს თქვენ-
 თვის ნათქვამი. არ იცით, ჯადოსნური ნამალი რომ
 მაქვს, რომელიც უჩინარს მხდის და ფულს ბანკები-
 დან ვიპარავ, ისე, რომ აზრზეც ვერაფერს მოდის. არც
 ის იცით, რომ ყოველ ჯერზე, როდესაც ნამალს
 ვყლაპავ, უხილაყო რომ გავხედი, ცხოვრების ერთ
 წელს ვკარგავ. ასეთია შეთანხმება. ყოველ ჯერზე,
 ნამალს როცა ვსვამ, სიცოცხლის ერთ წელს ვკარ-
 გავ. თუმცა თქვენ არაფერი იცით. თქვენ არაფერს
 გაგებინებთ. ჭიქებს ვუჭახუნებთ ერთმანეთს და
 ჩემი ჯანმრთელობის სადღეგრძელოს სვამთ, ათა-
 სი წელი იცოცხლე შენს ოჯახთან ერთადო. მეც გი-
 ყურებთ ჩემი კუთხიდან და კმაყოფილი ვარ. ვუყუ-
 რებ ბავშვებს, რომლებიც ერთობიან და ვხარობ.
 თვალს ვავლებ ირგვლივ ყველაფერს, რაც შევქმე-
 ნი და ვამბობ, ალალია. და, როცა ქეიფი სრულდება
 და ყველანი დასაძინებლად მიდისნარით, სანაპირო-
 ზე ჩავდივარ, ვვადები ჩემთვის მარტო და ზღვას
 გავცქერი საათობით. და სევდა მიპყრობს, რადგან
 უკვე ბევრი ნამალი მაქვს დაღეული და ბევრი დრო
 აღრ მრჩება. იმასაც ვფიქრობ, რომ სინამდვილეში

მთელი ეს ამბავი დიდი უსინდისობაა. თუმცა არ
 ვნანობ. არა. რადგან თქვენი სახეები ვნახე და ვი-
 ცი. ვიცი, რომ ხანდახან სიკეთესა და სიმართლეს
 ერთი გზა არ აქვთ. ვიცი, რომ ხანდახან სიკეთე სი-
 მართლეზე მაღლა დგას. ვიცი.

საუბარი შეწყვიტა, თუმცა თვალები არ გაუხე-
 ლია. ღანვეები გაუყვითლდა. ვალიოსმა გადმოგვხე-
 და, ტურები მოჰკურა და თავი გადაიქნია. ადმირა-
 ლის ჭიქა აიღო, შორს გადადგა და სატანას მოუხ-
 მო თავის გადაქნეით. სატანასი დახლიდან გამოვი-
 და, ირაკლისის ნაქცეული სკამი წამოაყენა და მერე
 ჩვენ მოგვიახლოვდა. ნეკნს ღრღნიდა.

რა გჭირთ ყოველ საღამოს, თქვე ჩემისებო, სახ-
 ლები არ გაქვთ?
 ადმირალმა თავი ასწია და ახედა. დამფრთხალი
 ცხოველივით აფახულებდა თვალებს.

ნახევარი ლიტრიც მოგვიტანე, თქვა. ბიჭებსაც,
 რასაც სვამენ. რამე მისაყოლებელიც.

სატანასმა ძვალი მაგიდაზე მოსროლა, ცხვი-
 რი გამოიფრთხა და ადმირალის სკამს დაეყრდნო.

რა მისაყოლებელს ისურვებენ ბატონები? თქვა.
 ანჩოუსის კვერცხები გვაქვს ველური ბრინჯით და
 ნიანგის საგანაკი ოთხი ყველით. ან იქნებ რაიმე
 ტკბილი გირჩევდით? ნაყინი მაქვს გაკეთებული,
 სპეციალ, ნაღების კრემითა, კენგურუს რძითა და
 ტყის კენკრის სიროფით.

შემოგვხედა და შემდეგ ადმირალს შეხედა, რო-
 მელსაც ისევე ჩაეღუნა თავი. მოულოდნელად მხრებ-
 ში სწვდა და სკამიდან ასწია.

ეს ნაიყვანეთ და ნადით, უთხრა ვალიოსს. დრო-
 ზე, გზას ეწიეთ, ნადით-მეთქი.

კართან მისულები დაძახილით შეგვაჩერა.

სად ხართ? მეც დამიძახეთ ხოლმე იმ თქვენს
 მინაზე საქეიფოდ, კარგი? მეც ვიბანაო იმ თქვენს
 აუზში. კარგად იყავი, პავლაკოს, ბანკების უჩინა-
 რო მძარცველო. მოსაწვევს ველი, კარგი? ერთი
 ამათ უყურე. ამათ უყურე, ვილები და აუზები მო-
 მინდომეს. სათვალავს მიხედეთ, სათვალავი არ აგე-
 რითო.

გუშინ საღამოს მას კატა მისი სახლის წინ ვი-
 პოვეთ თუთის ხეზე ჩამოკიდებული. უკანა ფეხები
 მავთულით შეეკრათ, თვალბაში კი მართალი ჩაეყა-
 რათ. სისხლში იყო ამოთხვრილი. თვალები ბრჭყა-
 ლებით ამოეჩიჩქნათ. როცა ვიპოვეთ, სისხლი უკვე
 შემხმარი იყო ტროტუარზე, ნახევარი თავი კი ბუ-
 ზებს ჰქონდათ გამოჭმული. ყარდა იქაურობა.

ვიდექით და უსიტყვოდ შევყურებდით. მხოლოდ
 მუნჯი ცდილობდა რაღაცის თქმას ხელებით, თუმ-
 ცა მიხვდა, რომ არავინ აქცევდა ყურადღებას და
 წავიდა.

მიხალისმა კატა ტოტიდან ჩამოხსნა, გაზეთში
 გაახვია და ოსია ქსენიზა წაიღო გადასადგებად.

ხალხი რომ დაიშალა მიხალისის დედამ სათლი
 და ჯაგრისი მოიტანა და ტროტუარიდანა სისხლის
 მწენდას შეუდგა. თავის თავს ესაუბრებოდა და თვა-
 ლებს ჟაკეტის მკლავით იწმენდა.

უბედური მათ, ამბობდა. რა გიყვეს იმ ნადირა-
 ლებმა, ჩემო ბიჭო, საწყალო მათ.

დიმიტრის ნოლასი

უკანასკნელი შორეული მოგზაურობა

კრებულიდან „პატარა მოგზაურობები“

ახალბერძნულიდან თარგმნა ანი ჩიქოვანმა

ამბობენ, რომ ვექსინის უშორესი ადგილია და სანაოსნოდ უკიდურესი სტრაბონი. გეოგრაფია 11.2.16


ქართული ხმა
ჩვენ თვალწინ იყო საქართველო. გადააჯაჭვეთ ედემის ბალი და ქვესკნელი, ტკბილი და მწარე, მზიან სათბურებს ყინულების კაბა ჩააცვიოთ და თქვენ მიიღებთ საკვირველ მხარეს² ბორის პასტერნაკი



ამ მოგზაურობის დროს, რომელიც საბოლოოდ სამ ეტაპად განხორციელდა და რომელიც შესაძლოა ჯერ არ დასრულებულა, ძალიან ხშირად დაფიქრებულივარ, რა მიზეზით მაინტერესებდა ეს მხარე. რატომ შავი ზღვის მეორე კიდე? შეკითხვა ჯერ კიდევ მკაფიო და ცალსახა პასუხის გარეშეა, პასუხის გაცემა კი შეუძლებელია, რადგან ეს ადგილი ჩემში მაშინაც კი ინვევდა აღფრთოვანებას, სანამ ახლოდან გავიცნობდი.
მრავალი მოგზაურობა გამგზავრებამდე ხორციელდება. დანიშნულების ადგილის შესახებ ჩვენში წი-

ნასწარ არსებული მოსაზრება ამ მოგზაურობისადმი ჩვენს განწყობას განაპირობებს. ხშირად, გამახვილებულ ყნოსვას ნაცნობ ადგილებში მივყავართ, სადაც იმედები არ გაგვიცრუვდება. ასე რომ, მოგზაურობა ერთგვარად ეკლესიაში შესვლას ჰგავს - მოსალოცად შესვლას და არა შესასწავლად.
რალა თქმა უნდა, ჩემთვის აბსოლუტურად სულერთია, თუ რამდენად ობიექტური შეიძლება იყოს ასეთი პოზიცია. პირიქით, რაც უფრო მეტად შეესაბამება აღმოჩენის ადგილის შესახებ ქვეცნობიერ სუბიექტურ ხედვას, მით უკეთესია ტურისტული გიდე-

1 ანტიკური კავკასია (ენციკლოპედია), ტომი I, თბილისი, ლოგოსი 2014. გვ. 252.
2 ბორის პასტერნაკი „ტალღები“, ქართულად თარგმნა ლანა ღოღობერიძემ, „ინტელექტი“, 2013.



ბისა და ტურ-ოპერატორებისთვის. თავიანთი საქმის გაკეთებას ყოველთვის შეძლებენ.

თბილისი

ფართოდ არის გავრცელებული წმინდა გიორგის თავყანისცემა, რაც იმისი მიზეზი გამხდარა, რომ ბევრ ქართველს გიორგის არქმევენ. დასავლეთმაც ამ მიზეზით უწოდა „გეორგია“ ქვეყანას, რომელსაც მისი მოსახლეობა საქართველოს უწოდებს. კლასიკურ წარმოდგენაში ალბეჭდილი დრაკონის ადგილას, რომელსაც მეომარი წმინდა გიორგი ლახვარს სცემს, ხშირად გამოსახვენ სამეფო ფიგურას, დიოკლეტიანეს, ქრისტიანთა უკანასკნელ მღვდელს. ძლიერმა რელიგიურმა გრძნობამ სტერეოტიპის შეცვლა გამოიწვია, რაც იმ დრაკონთან ომის სურვილზე მიუთითებს, დაუნდობლად რომ ებრძოდა ქრისტიანობას.

მიუხედავად უამრავი ეკლესიისა და ღრმა რწმენისა, რომელმაც საბჭოთა რეჟიმის დროსაც კი მოახერხა გადარჩენა, ქართველები რჯულთშემწყალბელები არიან და სულიერი სიღრმე და გახსნილობა ახასიათებთ. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ თბილისის ცენტრში, ქალაქის ძველ უბანში, ერთმანეთის გვერდით და უპრობლემოდ თანარსებობს სინაგოგა, მართლმადიდებლური საკათედრო ტაძარი, მეჩეთი და მონოფიზიტიური სომხური ეკლესია. და ეს ყველაფერი მე-5 საუკუნიდან, როდესაც სამეფოს დედაქალაქი მცხეთიდან თბილისში, თბილი წყაროების ქალაქში გადაიტანეს.

უკიდურესი სიღარიბე და უბედურება იგრძნობა, მაგრამ, ამავდროულად, სიამაყის ძლიერი გრძნობაც თვალსაჩინოა. არიან ადამიანები, რომლებიც დახმარებისთვის ხელს იშვერენ, მაგრამ ძალიან ცოტანი გამოდიან ქუჩაში. ისინი, ძირითადად, ეკლესიების შესასვლელებთან იკრიბებიან, რადგან იციან, რომ მოწყალეების მიღების უფრო მეტი შანსი აქვთ მორწმუნისგან, ვიდრე გულგრილი გამველებისგან.

თებერვლის ბოლოა და ქალაქი თოვლს მთლიან

ნად დაუფარავს, ასეთი რამ, როგორც ჩანს, ხშირად არ ხდება. ამას იმით მიხვდები, რომ ყველა ძალიან გახარებულია. მემამოხე თინეჯერები ქუჩების კუთხეებში, მინისქვეშა გადასასვლელების გასასვლელებსა და შესასვლელებში ჩასაფრებულან და თოვლის გუნდებს შერჩეულ სამიზნეებს ესვრიან. როგორც წესი, ეს სამიზნეები სასიამოვნო გარეგნობის გამველები არიან, ახალგაზრდა გოგონები, რომლებიც მიდი-მოდინ ქუჩებში, სახეზე „პარიზული ქალის“ მკრთალი ლიმილითა და აღმოსავლური ცეცხლით აღვსილი. ტანზე მუქი ფერის ზამთრის სამოსს ატარებენ. ჭარბობს შავი და ყავისფერი, ნაცრისფერი, შავი ზღვის-ფერი მუქი ლურჯი ფერები. ყველა გოგონა მკაცრი და დიდებულია.

პუშკინის სკვერში, სასულიერო სემინარიის მობირდაპირედ, სადაც სტალინი ახალგაზრდობაში სწავლობდა და დღეს ქართული ხელოვნების მუზეუმი, გაუბედურებული ადამიანები, ხან კი შემთხვევითი ვაჭრები, გაჭირვებულების როლს რომ ირგებენ, განსაკუთრებული ხერხით ყიდიან ძვირფასეულობას. და დიან ტროტუარზე, თითო თითზე ხუთი-ექვსი ოქროს ბეჭედი აქვთ წამოცმული, ყელზე ოქროს ჯვრები და ძენკეები ჩამოუკიდებიათ. ამ ნაკეთობებს ტროტუარზე, როგორც პანელზე, დაატარებენ.

ეს კიდევ ერთი თავისუფალი ბაზარია, სხვა დანარჩენების მსგავსად ხალხის მიმშობილსან გადასარჩენად შექმნილი. მისი მსგავსია მცირე მოვაჭრეთა ათასობით დახლი და კუსტარული ჯიხური, განათებული ნავთის ლამპებით, რომლებიც შორიდან საეკლესიო კანკელებს ჩამოვავს, მოდერნიზაციისა და თავისუფალი ეკონომიკისკენ გზას რომ უჩვენებს მომხდურს.

განადგურებულ გზებზე მოგზაურობისას, ეს ქვეყანა ისეთ შთაბეჭდილებებს ტოვებს, როგორსაც, სავარაუდოდ, საბერძნეთი ტოვებდა 1945 წელს, გერმანელთა ოკუპაციის დასრულებიდან ცოტა ხნის შემდეგ.

სუნთქვა გეკერის გზაზე, რომელზეც ყველა სა-



ოცრად თავდაჯერებული გადაადგილდება. მოძრაობენ გზის მთელ სიგანეზე, ზოგჯერ მარცხნივ, ზოგჯერ მარჯვნივ და ზოგჯერ ცენტრში, რათა თავიდან აიცილონ ორმოებში ჩავარდნა და დაიცვან საკუთარი ავტომობილები. გზები ისეთ მდგომარეობაშია, თითქოს მათ კეთილმოწყობაზე პასუხისმგებლები ფულკანიზაციებთან და ავტოფარეხებთან თანამშრომლობენ. გზები ორმოებითაა სავსე და იმისათვის, რომ მანქანა არ დაამტვრიო, ილუზიონისტის ოსტატობაა საჭირო, ამავდროულად კი, საოცარი მეტაფიზიკური გრძნობა - სხვასაც რომ არ დაეტაკო. სულაც არ მამშვიდებს ის ფაქტი, რომ ამ უნასრულო გასართობ პარკში ჩვენც შესაჯავებელი მანქანების ატრაქციონის მანქანებივით ვმოძრაობთ. ერთადერთი ნუგეში ის არის, რომ, საბოლოოდ, მანქანები ვერ ახერხებენ ერთმანეთთან შეტაკებას. ისინი ჩვენ ირგვლივ ცეკვავენ.

ქალაქებში სიტუაცია უკეთესია, მაგრამ შუქნიშნების სიმცირე აქაც პრობლემატურს ხდის ავტომობილის მართვას. ვგრძნობ, რომ აღდასრულებს უჭირთ მანქანა-მექანიზმებით ურთიერთობა.

არაინტენსიური მოძრაობის დროა, უნივერსიტეტის მახლობლად ცენტრალურ გზაზე გადავდივარ, ქუჩაში ერთადერთი მანქანა მოძრაობს, ნელა, ბლუინით მიახლოვდება, მისი სირქარ საათში 10 კილომეტრს არ აღემატება. ვუყურებ მძღოლს, თან გზაზე გადავდივარ, ჩემგან დაახლოებით ოცდაათი მეტრით არის დაბორებული და ისე მოდის ჩემკენ, თითქოს გაჩერება არ შეუძლია. სპეციალურად არ მიმიზნებს, როგორც ზოგჯერ ხდება, როდესაც მძღოლს სურს ფეხით მოსიარულის თვალეში შიში დაინახოს. არა, ნელა მიახლოვდება, შემინებული, თითქოს სამუხრუჭე შედარს ვერ პოულობს. ბოლოს, სწორედ მე დავინახე მის თვალეში შიში, როდესაც საოცრად ახლოს ჩამიარა და ჩემი პალტოს კიდეს შეეხო. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ მართვის მოწმობა არ სჭირდებათ. თითქოს ერთმანეთს საჭის დაჭერა ასწავლეს და სულ ესაა.

სვეტიცხოვლის ეკლესია

ვიზიტი საქართველოს უძველეს დედაქალაქ მცხეთაში. თბილისიდან ოც კილომეტრშია, მაგრამ იქ მისასვლელად დაახლოებით ერთი საათი გეჭირდება. ვტოვებთ მწვანე ბორცვებიან თბილისს და ლამაზად მოხაზულ ეკლესია და ვენახებს ვუახლოვდებით. ამ ქვეყნის შესახებ ესქილემ დანერა, ესააო ველური სილამაზის ადგილი, აქაფებული მდინარეებით, რომლებიც კავკასიის მწვერვალებიდან მოედინება. მისი მწვერვალები ვარსკვლავებს ემეზობლება, მის მდინარეებს ჩამოაქეთ ოქრო, მინა კი ისეთი ნაყოფიერია, რომ ნელინადში ორჯერ ან სამჯერ იძლევა მოსავალს.

გარემო, რომელსაც ესქილე „მიჯაჭვულ პრომეთეში“ აღწერს, გადასახლებისათვის იდეალური ადგილია. სხვაგან სად უნდა ეფიქრათ ღმერთებს პრომეთეს მიჯაჭვა, თუ არა იმ ადგილას, სადაც ტყვეობის მიუხედავად ირგვლივ სამოთხის დანახვასა და შეგრძნებას შეძლებდა.

პრომეთეს დანაშაული დიდია, სასჯელი ორმაგი. როგორც ჩანს, მხოლოდ კავკასია შესაფრისი ადგილი სასჯელისა და სიხარულის ზეციური სიმაღლეებისთვის.

სტრახონიც თავის „გეოგრაფიაში“, როდესაც ესქილეს ეპოქიდან რამდენიმე საუკუნის შემდეგ მოიხსენიებს საქართველოს, მაშინდელ იბერიას, აღწერს სამოთხის ბაღს, რომლის მინა ნელინადში ორჯერ და სამჯერ იძლევა ნაყოფს. და ეს ყველაფერი ხენა-თესვის გარეშეც. ადამიანის ძალისხმევითა და ოფლისგარეშე. ვენახს არ თოხნიან, ყოველ ზუთ ნელინადში ერთხელ ცვლიან და იმდენი ნაყოფი გამოაქვს, რომ დიდ ნაწილს ტოტებზე ტოვებენ.

მცხეთაში შესვლამდე, გორაკზე, რომელიც ქალაქს გადაჰყურებს, სადაც მდინარეები მტკვარი და არაგვი ერთდება, დგას ჯვრის ეკლესია ძველი ციხისა და მონასტრის ნანგრევებით. მონასტრისაკენ მიმავალ აღმართზე გვხვდება „ნატვრის ხეები“, გაყინულ ჰაერში მათზე ქსოვილის ნაკუნები ფრიალებს. ნატვრის ხე - გამხმარი ხეა ცნობილი და სასწაულმოქმედი ეკლესიების მახლობლად, რომლის ტოტებზეც მორწმუნენი პირადი სამოსის ან ცხვირსახოცის ნაკუნებს ჰკიდებენ და სურვილს ჩაუთქვამენ ხოლმე.

მცხეთაში, სვეტიცხოვლის უნიკალურად ლამაზი ეკლესია, ეკლესია, რომელიც საქართველოსთვის იგივეა, რაც აია სოფია იყო ბიზანტიელებისთვის. აქ პატრიარქი აღაღწენდა ნირვას, აქ მეფეებს გვირგვინს ადგამდნენ და კრძალავდნენ.

ეკლესიის ჩრდილოეთ ფასადის მთავარი სარკმლის ზემოთ ქვაა, მასზე ხელისა და არქიტექტორული გონიოს რელიეფური გამოსახულებით. ქვეშ კი წარწერაა: ხელი მონისა არსუკისისია. შეუნდევთ.

მე-11 საუკუნის დასაწყისში პატრიარქმა ცნობილ ხუროთმოძღვარს, არსუკიძეს, საკათედრო ტაძრის აგება დაავალა იმ ხის ტაძრის გარშემო, იმავე ადგილას მე-4 საუკუნისგან რომ არსებობდა. ლეგენდის თანახმად, მცხეთის მკვიდრნი იმდენად აღფრთოვანებულნი იყვნენ ტაძრით, რომ გადაწყვიტეს ხუროთმოძღვრისთვის ხელი მოეკვეთათ და კედელში ჩაეყენებინათ, რათა მომავალში მსგავსის აშენება გამოერიცხულიყო.

ვარდები მანქანაში

ავთანდილის სახლისკენ მიმავალ გზაზე, გამზირის კუთხეში, მოვლილი, თეთრთმიანი და სუფთა, მაგრამ შელახული ტანსაცმლით მოსილი ქალი ქანდაკებასავით დგას. მისი გაჭირვების ერთადერთი ნიშანი მარცხენა ხელზე ჩამოკიდებული, გასაყიდად გამზადებული ყელსაბამებია.

გარშემო სხვა ქალები ჩიტვივით გნისაობენ და ქარვისა და შავი, ნახევრად ძვირფასი ქვის ყელსაბამებს ათავალმებენ. გეგონება ქალის გაპუტვას ახირებენ, თან მასზე უკეთესად არიან ჩაცმულენი. ის კი მათ მიღმა იყურება და ზოგჯერ ორიოდ სიტყვას ეტყვის - ინფორმაციას ნაკეთობის მასალისა და ფასის შესახებ. აუღელვებელია, გაცვეთილ ფაკეტში გამოწყობილი, კავკასიური მზის ქვეშ, რომელიც სიღარიბის ნიშნებს აუფერულებს და ვარსკვლავით გამოკვეთს ქალს. თბილი მზე, რომელიც ეფერება და აყალიბებს ამ ლამაზ ადამიანებს.

ის, რაც ჩემ თვალწინ ხდება, სიტყვით გამოხატული ამ რამდენიმე დღის წინ მოვისმინე თავისუფლების მოედნის, ყოფილი ლენინის მოედნის მინისკვების გადასასვლელში, სადაც ადამიანები სივარეტის, თასების, ტყემლისა თუ ქალაღლის პარკებში ჩაყრილი მზესუმზირას გაყიდვით ცდილობენ თავის გადარჩე-

ნას. შუახნის ქალი გასაყიდ საქონელს ალაგებდა და სულის შემძვრელი ხმა აღმოხდა. - ამდენი სწავლა, დიპლომი და წერა-კითხვის სიყვარული - რა იქნა ეს ყველაფერი, სად წავიდა? ყველაფერი დაიკარგა?

გიორგი წულაძეს გააჟრჟოლა და თქვა: „წამო, წავიდეთ... რამდენი წელი უნდა გავიდე, აქედან რომ ამოვძვრეთ?“

ამ სულისშემძვრელი ხმის კავშირი დაბალტყერის მინისტრმა გადასასვლელში ჯერ კიდევ გაისმოდა, როდესაც ქუჩაში ამოვედით.

ერთ საღამოს, ერთ თბილ, ნათელ საღამოს, ვოლგა - რუსული შავი ლიმუზინი, კაფე „ვაკის“ წინ გაჩერდა. მანქანიდან ახალგაზრდა ქალი გადმოვიდა, გრძელ კბაში გამოწყობილი, დახატული და მორთული, თითქოს ქორწილში მიდიოდა. მისი თანამგზავრი საბარგულს ხსნის და ყვავილების უზარმაზარი თაიგული გადმოაქვს. ნამდვილად რაღაც დღესასწაულზე მიდიან. ქალი იღებს თაიგულს, შედის კაფეში, მისი მაგიდიდან მაგიდასთან, იქ, სადაც კომპანიაში ქალები არიან და თავის ვარდებს სთავაზობს გასაყიდად. ხანგრძლივი დროის განმავლობაში, სანამ ეს საკამოდ რთული ტრანზაქცია გრძელდება, მამაკაცი უფრო პროზაული საქმეებითა დაკავებული. მანქანის კაპოტი აქვს ახდელი და ამონებებს, თან ბრტყელი ბთილიდან ორიოდ ყლუბს მოსვამს ხოლმე. მზნად რომ იყოს შემდეგი კავესთვის, შემდეგი ქორწილისთვის.

გორში

ქოხი, სადაც სტალინი დაიბადა, ძეგლის სახით არის დაცული, მის გვერდით კი ბრწყინვალე სასახლე-მუზეუმი ალმართული სტალინის ცხოვრების ფოტოგრაფიული დოკუმენტებითა და ნივთებით, ავეჯით და კლასიკური ხაკისფერი კიტელათი. აქვეა მისი პირადი ვაგონ-აპარტამენტი, რომელსაც მოგზაურობებისას იყენებდა.

ვიზიტორები ახლა თითზე ჩამოსათვლელია, მაგრამ გორის მოსახლეობა, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ფულადის მწრთობელი ბელადის ჩრდილში ცხოვრობს. უაღრესად საამაყო მათთვის, ისევე, როგორც დანარჩენი ქართველებისთვის თანამემამულე, რომელმაც საქართველოს სახელი განაღდა, თელი 30 წლის განმავლობაში მართავდა იმპერიას და ბოლო მსოფლიო ომში ნაცისტური ჯარი დაამარცხა. მას თაყვანს სცემდნენ და თაყვანს სცემენ, თუმცა საკუთარი სამშობლოსთვის განსაკუთრებული არაფერი გაუჭყებია, როგორც ეს ნებისმიერ დიდ ბელადს შეეუკრება, ვინც საკუთარი თავი მსოფლიო პროლეტარიატის სამსახურს უძღვნა.

მოგვიანებით ქალაქის ახლოს მდებარე სოფლის სახლში გვიმასპინძლეს, მასპინძელი წყლიანი დოქით დაგვხვდა სუფრასთან დაჯდომამდე ხელები რომ დაგვებანა. აქ, ისევე როგორც ჩვენთან, საპონი არ გადადის ერთი ხელიდან მეორეში, ცუდის ნიშანია.

თბილისელ მეგობრებს, ვინც ამ სახლში წავიყვანა, მასპინძლის ოჯახთან მჭიდრო კავშირები უნდა ჰქონდეთ, ეს უკანასკნელი მუწერებლივ თავს გვევლებიან, სახიდან ღიმილი არ მორდებთ. ქართველები ისეთ შთაბეჭდილებას მიტოვებენ, რომ მათ შორის გარკვეული კავშირია, ნათესაური ან სოციალური, თუმცა ძალიან ძლიერი. ისეთი გრძნობა მაქვს, რომ სულ ერთმანეთის ხათრის განწევში არიან, იმდენად, რომ საუკუნოდ დავალბებულნი არიან ერთი მეორისა-

გან და თანაც ამგვარად თუ ამის გამო თვითმკვლელობის რიცხვი მათთან საოცრად მცირეა.

ყველაფერი დაუსრულებელივ მოძრაობს და ერთმანეთზე ხვადება. მწვადზე შემონყობილი ოქროსფერი ფორთოხლები, კალმანზე შემონყობილი ბოლო-კი, ყურძენი, ვაშლი, ფელამუში და მოკოლადის კრემიანი ნამცხვრები. და სადღეგრძელოები. პოეტური სადღეგრძელოები, რომლებიც შეიძლება რაღაცას ძალიან ყოველდღიურს ეხებოდეს, როგორცაა დაბადება ან გამგზავრება, მაგრამ ხშირად მაღალფარდოვანი იდეებთან და ამბიციურ, მიუწვდომელ გეგმებთანაა დაკავშირებული.

ქართულ სადღეგრძელოებს თავისი წვლილი მიუძღვით პიროვნების კულტის აღზევებაში და უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი უძლიერესი ფესვი, რომელსაც ეს კულტი ეყრდნობოდა.

როდესაც ლენინის დატოვებული მემკვიდრე პარტიისა და სახელმწიფოს სათავეში აღმორჩნდა, მას არ დედა დავინყებია თავისი ქართული წარმომავლობა. არც დედა დავინყებია, რომელიც ყოველ ჯერზე უთვლიდა, თავის საქმეზე ეზრუნა და კარგი ადამიანი გამხდარიყო, არც სამშობლოს სუფრის ტრადიციები დავინყებია. პოლიტიკოსისა და ცენტრალური კომიტეტის სხდომებზე ყაზახეთის უხემ დელეგატებთან ან ყინულოვან ლატვიელებთან შეხვედრების მოწყენილობისგან თავის დასაღწევად ნამდვილ ქართულ სადღესასწაულო სუფრებს აწყობდა დაახლოებულ წრესთან ერთად. ლავრენტი, ბიჭო, გაშაღე სუფრა ამ საღამოს, თანაც ბოლშოის მოცეკვავეები ხომ შენი სისუსტეა. შენ კი, ორჯონიკიძე, შუუკავეთ, ჩვენებური ღვინო მოიტანონ. ასე შლიდნენ სუფრებს და იწყებოდა სადღეგრძელოები. გადმოცემით, ტრადიციისამებრ პირველი სადღეგრძელო მასპინძლის ოჯახის იყო, მერე დედა რუსეთის და დიდი სსრკ-ის. შემდეგი სადღეგრძელო დაუყოვნებლივ მასპინძლის ჯანმრთელობის, რომელსაც ესა და ეს იღრსება და დადებითი თვისებები ახასიათებს. ვინც დიდი და ძლიერი, ბრძენი და ფოლადივით მტკიცე და გამონრთობილი. მერე კი გადადიოდნენ ალავერდს ერთი მოქიფე მეორესთან, იწყებოდა საკმეფის მკვება, ქეიფი და დროსტარება არყითა და კავკასიური ზვრების ღვინით. ბელადის სიდიადის სადღეგრძელოს შესასწავლად ყველა სხვისთვის, ვისაც ნილად არ ხვდა ბედნიერება ქართველად დაბადებულიყო, გზა მოკლე იყო და ამას პიროვნების კულტს უწოდებენ.

როდესაც ჩვენს მაგიდასთან დაიწყო დედის სადღეგრძელოები, ვიღაცამ მოყვდა გაჭირვების რთულ წლებში დედამისი როგორ ვნებოდა პირველი გაყინულ სანოლში, რათა გაეთბო გაყინული უზნრები და ისე დაეძინა მის შვილს.

ტარიელმა დასძინა, რომ მისი დედიკო, ოთხმოცდაათი წლის მოხუცი, გარდაცვალების დღეს ადგა სანოლიდან და პურის ცომი მოხილა. როცა ჰკითხეს: „აქ რას აკეთებ, დედაო?“ მან უპასუხა: „ჩემი შვილებსთვის მოგიზიღე, პური რომ ჰქონდეთ საქმელი.“ და როცა პური გამოცხვა, კეთილი დედა დაწვა და გარდაიცვალა.

ბოლოსწინა სადღეგრძელო - ტრადიციის თანახმად ბოლო სადღეგრძელო წარმატებულ სუფრაზე არ უნდა იყოს - არნივების ჯანმრთელობისა და კავკასიონის თოვლით დაფარული მწვერვალების სადღეგრძელო იყო. „და არა ტრამალ-ველების ტალახის



სადღევრძელო“, - ხაზგასმით აღნიშნა თამადაძე. როგორ ფიქრობთ, ტრამალ-ველებში მცხოვრებ ადამიანებსაც აქეთ სული?

ქართული პორტრეტები

ქართული ხელოვნების მუზეუმში მხატვარ ფიროსმანის ჯადოსნურ სამყაროს ვეზიარები. მეოცე საუკუნის დასაწყისში ცხოვრობდა. მისი სამყარო, ძირითადად, დუქნებისა და პატარა სამიკიტნოების ხედვებს მოიცავს, იქ კი გარეული ცხოველები, ბუნების პეიზაჟები, მხატვრის ბუნებაში თავისუფლად ცხოვრების ნოსტალგიას ავლენს, თბილისში გადმოსვლისას რომ მიუტოვებია. აქ ცხოვრობდა და გარდაიცვალა 1918 წელს, ხატავდა აბრებს და სარეკლამო ფირნიშებს. მის ერთადერთ ქონებას ის ტანსაცმელი წარმოადგენდა, რაც ტანთ ემოსა და პატარა ჩემოდანი საღებავებითა და ფუნჯებით. კავკასიის თეოფილოსი, მისი ფერები, ძირითადად, ლურჯი და შავი იყო, მის სამყაროს თითქოს მუდმივად დანათის და ანათებს მთვარის შუკი. იმდენად მარტოსული იყო, რომ მისი საფლავიც შეე იპოვეს.

გვერდითა დარბაზში თანამედროვე მხატვართა ნახატებია. მათ შორის არის ქეთევან მაღალაშვილის პორტრეტები. ეს ნარმატიული პორტრეტისტი ოდნავ მძიმე წონითი კატეგორიის ქალი უნდა ყოფილიყო, უბრალო სახით, როგორც ეს მის მიერ დახატული ერთი ავტოპორტრეტიდან ჩანს. მის გვერდით, მეორე პორტრეტზე მანანა ხიდაშელია გამოსახული. მის შესახებ ბევრი არაფერი ვიცით, გარდა იმისა, რომ პორტრეტი 1938 წელს არის შესრულებული და იშვიათად დაუხატავს ქალს ასე ეროტიკულად სხვა ქალი.

მანანა ხიდაშელის ამ პორტრეტის ცქერით და აღტაცებით არასოდეს დავიღუბები. რამდენჯერაც ფიროსმანის სანახავად ავედი მუზეუმში, იმდენჯერაც ამ პორტრეტის სანახავად მივედი. ქალის სახე ანათებს პატარა, მუქ დარბაზს. შუკი და აურა. მყარ დივანზე ზის და წელს ოდნავ ქვემოდან დაუხატავს მხატვარს, რათა თეთრი ლამაზი ხელები გამოეჩინა, გვერდითა მხარეს უზრუნველად დაწყობილი. უკან გადაწეული თავი ქედმაღალ იერს სძენს. მისი მზერა გრძელი, მძიმე, დახრილი ნაშბამებით ოდნავ ცერად იყურება ჩვენს თავებს მიღმა. ქალის სახე ისე ანათებს, თითქოს მისივე საკუთარი გამჭვირვალე კანი ანათებდეს. ძალიან უნდა ჰყვარებოდა იგი მაღალაშვილს, ასე ლამაზი და იდეალიზებული რომ დაეხატა.

ჯადოსნური მთა

ახალციხისკენ მივემგზავრებით, თბილისიდან ორასი კილომეტრის მანძილზე, სამხრეთ-დასავლეთისკენ მდებარეობს, სულ ერთი ნაბიჯითაა დაშორებული თურქეთს. თავიდან დასავლეთისკენ მივდივართ, მარჯვენა მხარეს კავკასიონის მწვერვალებია. აქავე ბული ღრუბლის ქულების ფენა მთების დათოვლილ მწვერვალს უერთდება და მთლიანად თეთრ ზოლს ქმნის ლურჯ ცასა და შავ მიწას შორის.

როდესაც სამხრეთის მიმართულებით გადავუხვიეთ, მდინარე მტკვრის გაყოლებაზე, ტყიანი მთის ფერდებსა და ციხეების ნანგრევებიანი მთის წვერებს შორის მივდიოდით. დავინწყეთ ასევე სამხრეთის ან მცირე კავკასიონზე, რომელიც სომხეთისა და თურქეთის მთებს უერთდება, დასავლეთით კი პონტოს

მთავრდება.

ეგრეთ ნოდებული მცირე ან სამხრეთის კავკასიონი უფრო ძველია, ვიდრე კავკასიონის ქედის ის ნაწილი, საქართველოს ჩრდილოეთ საზღვარს რომ განსაზღვრავს და საქართველოს რუსეთისგან ყოფს. სამოციანე ოთხმოცამდე მილიონი წლისაა, დიდი კავკასიონი კი - მხოლოდ ორი მილიონი წლის. თავსრუ გეზვევა, როდესაც იმაზე ფიქრს იწყებ, რომ სულ ცოტათი ქვემოთაა არარატი, სადაც წივს კოდობანი მიადგა ნაპირს და ახალი აღმართი დაიწყო კაცობრიობის ისტორიამ.

ბორჯომში ვჩერდებით, რომელიც თავისი წყლით არის ცნობილი. ნაძვის, ფიჭვისა და ნიფლის ხეებსა და მორაპრაკე ნაკადულებს შორის რომანოვების ზამთრის სასახლე იმზირება, რომელსაც მოგვიანებით დასასვენებელ ადგილად იყენებდა სტალინი, დღეს კი ახალი ხელისუფლება, მაინც, რომ ვიცოდეთ და აზრზე ვიყოთ.

ახალციხეში დაღამებამდე ჩავალწიეთ და ავედი სოფელ ანში, 1600 მეტრის სიმაღლეზე. დაისის ნათების წყარო თითქოს ყოველი მხრიდანაა: ტყეებში ხეების უჩინოდ, უსაზღვრო შორიზენიდან და იმ პენსიონერი მასწავლებელი წყვილის სახეებიდან, ჩვენ რომ გვიმასპინძლეს.

თემში ასოცი ოჯახია, სკოლაში სამოცდახუთმეტი ბავშვი სწავლობს. ვაშლილი მაგიდის გვერდით, ჩვენთან ერთად სუფრასთან სკამზე ნამოსკუბებულია მანქანის აკუმულატორი, რათა დენი მიაწოდოს ეულ ნათურას, მარტოსულად რომ ჰკიდია დიდი ხნის გათიშულ ჭაღზე. ჩივიან ვარე სამყაროდან მონყევტის გამო - დენი დიდი ხნით წყდება ზოლმე. არ წუნუნებენ ოღონდ. თითქოს საუკუნეებია, ისედაც არ არსებობს ელექტრო დენი. მერე რა, რომ ნახევრად ხუმრობთ და ნახევრად სერიოზულად ელექტრონათურას „ლენინის“ ექახიან, იმის მოსაგონრად, რომ განაცხადა: ელექტრობას მივუშავთ საბჭოეთი უდრის კომუნიზმსო, აბსოლუტურ მინიერ კეთილდღეობას.

ჩვენი მასპინძლების წყვილი მასწავლებლები არიან, ერთსა და იმავე ადგილას ორმოცდახუთი წელი უმუშავიათ, მაგიდის კიდეში სხედან და სიამოვნებით ისმენენ მათ მიმართ ნათქვამ სადღევრძელოებსა და სურვილებს. მოხუცი მასწავლებელი მამაკაცი ან იქნება სამოცდაათი წლის, ან - არა, მისი შვილიშვილი გოგონები შემოდინან სასადილოში მორიდებული ნაბიჯებით და შემოაქვთ საჭმელი, რომელსაც მათი ბებია, დედა და დედა ამზადებენ.

ცოტა ხანში სოფლის მოქმედი ისტორიის მასწავლებელი შემოგვიერთდება. ჩვენი მოხუცი მასპინძელი, პატარა სიტყვას წარმოთქვამს - „გამუარჯოს განათლებას და ყველას, ვინც ქვას ენსახურება“, ამის შემდეგ კი ვგამს ყველა ჩვენგანის სადღევრძელოს. 30 წლის მასწავლებელს, სოფლის 75 ბავშვზე პასუხისმგებლობა რომ აკისრია, აზრად არც კი მოუვია მოითხოვოს გადაყვანა უახლოეს ქალაქში, მით უმეტეს - თბილისში.

ძალიან ხშირად მოსახლეობა თურქეთის მხარეს გადადის, რათა შეიძინოს ის პროდუქტები, რაც მათ ქალაქში ძნელად იშვავება. იმ ოჯახში, სადაც საღამო ვაგაბატო, პატარა მოსწავლის სამეცადინო მაგიდაზე თურქული წარმოშობის რვეულები ელაგა, მათ ფერად გარეკანზე ამერიკული მულტფილმების საზა-



რელი პერსონაჟები ესაბა.

ამ რეგიონის პრობლემა ჰგავს ყველა სასაზღვრო რეგიონისათვის დამახასიათებელ პრობლემას, როდესაც შენზე ძლიერ მეზობლს ესაზღვრები და ის „უანგარო“ დახმარებას გთავაზობს. თურქებმა შესთავაზეს მუსლიმური უნივერსიტეტის გახსნა, სადაც ხარჯებს მთლიანად თავად დაფარავდნენ. ახალციხის უნივერსიტეტის რექტორი, მერაბ ბერიძე, საუნივერსიტეტო საზოგადოებისა და ადგილობრივ მკვიდრთა მხარდაჭერით ენინააღმდეგება. „სანამ ჩვენ ვართ აქ, ეს არ მოხდება“, ამბობს ის.

აი, თერმოპილეს კიდევ ერთი მცველი.

ვარძიის გზაზე

მომდევნო დღე მიცვალებულთა მოსახსენიებელი შაბათია და დილის სუფრაზე სხვა საჭმელთან ერთად მოხარული ხორბალიცაა - ქიშიშითა, ნიგვზითა და თფლიანი წყლით შეზავებული. მაყელის ტკბილი წვენი არყის ბოთლს უმშვენებს გვერდს. თოვს შუიჩერებლივ, დღე რთული იქნება და მოძლიერება გვჭირდება. მდინარის გასწვრივ უნდა ვიაროთ, ვარძიამდე რომ მივალნიოთ.

რაც უფრო მაღლა ავდივართ, მით უფრო აქაფებულია მტკვარში წყალი, მდინარის თავზე ჰაერში ლივლივებენ ხისგან დამზადებული გადასასვლელი ხიდები, რომლებიც ერთმანეთის მოპირდაპირედ მდებარე სოფლებს აკავშირებენ.

გზის ერთ შესახვევში, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, ჩვენ წინ მოულოდნელად ამოიპართა გრანიტის მთა, თითქოს მდინარის წყლებიდან ამოიზარდა. განუწყვეტილად თოვს წვრილი ფანტელით, ოღონდ თითქოს დადებას არ აპირებს. ეს კლდე ფასადზე ამოკვეთილი სენაკებით ისეა განათებული, თითქოს სკა იყოს. სამონასტრო კომპლექსს, რომელმაც განვითარების უმაღლეს მწვერვალს მე-12 საუკუნეში მიაღწია, გარს მაღალი კედელი ერტყა, რომელიც ასი წლის შემდეგ მიწისძვრად დაანგრია. იქ, მთის ფერდებზე გამოკვეთილ კლდეებში ლამაზი დედოფალი გაივლიდა ხოლმე თავისი ლეგენდარული თაყვანისმცემლების თანხლებით ზაფხულის ცხელ დღეებში.

გრძელი იყო სავალი, საათები კი ნეტარი და დამლელი მწველი მზის ქვეშ.

იმ სავაჭრო ღერძთან ვიმყოფებით, რომელიც ინცებოდა კონსტანტინოპოლში, გაივლიდა ტრაპიზონსა და ბათუმს, ახალციხის იმ ადგილებს, სადაც ახლა ვართ, თბილისს, გაივლიდა აზერბაიჯანის ტერიტორიას, შემოუვლიდა კასპიის ზღვას - რათა მეყო თავი აზიის სიღრმეში, ჩინეთში.

უკანა გზაზე უზარმაზარი სატვირთო მანქანების ქარავანთან გადავიკვეთეთ (თურქული და სომხური წარწერებით), რომელიც უძველეს მარშრუტს იმეორებს. იგივე გზა, ახალი საშუალებებით.

ბათუმში ერთ ცისფერ ღამით

ჟილინი მოუყვა მათ თავის თავგადასავალს და დაუშატა,

„რაც დავგეგმე, იქედან არაფერი გამოვიდა, აღარც შინ გამგზავრება, აღარც დაქორწინება. არა, ეტყობა ჩემი ბედი არ ყოფილა“.

და დარჩა ჟილინი სამუდამოდ კავკასიის სამსახურში.
ლევ ტოლსტოი. „კავკასიის ტყვე“

ღამის მატარებელი ფანჯრებზე ჩამოფარებული პატარა ფარდებით ამ წელი მატარებლის ყველაზე მოვლილი ნაწილია. მატარებელი შუაში კვეთს კავკასიის ნათელ ღამეს და თბილისიდან ბათუმში ჩამოვყავართ.

ზემოდან ჯვრის ტაძარი ანათებს, მცხეთას რომ ვუახლოვდებით, ჯვარს გარს ვუვლით და მდინარის გასწვრივ მიუყვებით გზას, ეს ეკლესია შუქურას მოგვაგონებს. უფრო მაღლა თოვლი ბრწყინავს მწვერვლებზე, სადაც არასდროს დნება, რათა იგრძნო შენს თავში, ერთი საფეთქლიდან მეორეში გაატარო კავკასიის გიგანტური მთები.

გიორგი წულაძესა და კარენტან ერთად უარი ვთქვით უნივერსიტეტის პროფესორების ზრდილობიან მოპატიუებაზე და დავბინავდით „ოსკარში“, პატარა სასტუმროში პორტთან, გორგასლის ქუჩაზე.

წინომ გონიოს ციხისა და არქეოლოგიური გათხრების სანახავად წაგვიყვანა და მეგზურობა გავგინია.



ეს ადგილი თხუთმეტი კილომეტრის დაშორებითაა თურქეთთან საზღვრის მახლობლად მდებარე სოფელ სარფთან, რომელსაც საზღვარი საქართველოსა და თურქეთის შორის ორად ყოფს.

ქედმაღალ სელჩუკებს, მათ, ვინც პირველებმა მოაღწიეს იონიის სანაპიროებიდან, რადგან გზად შეფერხებები არ შეხვედრიათ და რომლებიც ამ მიზეზით საიდუმლო ხიზლსა და დაფარულ აღტაცებას ინვევენ სხვებში, თავისი ტერიტორიის ნაწილში მდებარე სარფის მხარეს აუშენებიათ მეჩეთი ძალიან მაღალი მინარეთით, რომელიც ღრუბლებს სწვდება. პონტოს ვერტიკალური გადამწვანებული მთები აქედან იწყება და თან გასდევს შავ ზღვას, აუღებელი ციხის კედლებივით, რომლებიც იცავენ ქვეყნის შიდა ტერიტორიებს. ზაფხულის ნისლი ოხშივარს ასდით.

ირინი პაპანდოპულო, კლასიკური ფილოლოგის მიმართულების პირველი კურსის სტუდენტი, ამბობს: „ბაბუაჩემს სურს სასამელი გაგიმასპინძლდეთ“. ირინი ბაბუასთან და ბებიასთან ერთად ცხოვრობს. ამბობს: „გთხოვთ, წამოხვიდეთ, ახლოსაა, ცოტა ხანს გაგჩერდებით“. არც ახლოს იყო და არც ცოტა ხანს დავერჩენილავართ.

პანაიოტის პაპანდოპულოსი ტრაპიზონიდან ლტოლვილ ბერძენთა ოჯახიდანაა, რომლებიც ამ ადგილებზე გასული საუკუნის ბოლოს დამკვიდრდნენ. იგი 1920 წელს დაიბადა აქვე, ყოროლისთავში.

გადამწვანებული გორაკია, აი, ისეთი, ბათუმს რომ უხვად აკრავს გარშემო, მანდარინის, კარალიოკისა და გარგარის ხეებში ჩაძირული. ცხელი, ნესტიანი და დაბინდული დღეა. მიწა სასაინოფერო სურნელს აფრქვევს. ზღვის წყალი ტყვიისფერი ცას უერთდება. პორტიდან ზემოთკენ რომ მივიწვევით, სოფელი არ ჩანდა, ზაფხულის ნისლს დაეფარა.

70 წლის პანაიოტისის ბაბუის მიერ, 100 წლის წინ რომ ჩამოსახლდნენ, მაშინ შექმნილმა 50 სტრემა ციტრუსებიანმა მიწის ნაკვეთმა გამოკვება და განათლება მისცა ბერძენთა სამ თაობას, როლებიც ბერძნულ ანბანს მხოლოდ 20 ასო-ბგერით შეისწავლიან. ერთხანის უღრადობის ხმოვნები უარუყვიით. ადგილობრივ ბერძნებს პაპანდოპულოსი „რომელებს“ უწოდებს და ამით საუკუნოვან ტრადიციას აგრძელებს. „მთავრობაში რომელიც, კოლმეურნეობაში რომელიც, სოლაში რომელიც, სათვისტომოშიც, ყველგან. ყოველთვის ბევრნი ვიყავით აქ რომელები და ყველა განათლებული“.

პანაიოტისი გვიყვება ამ რეგიონში მცხოვრები ბერძნების ამბავს და უეცრად ოთახი ელინიზმით ივსება. ყოველი ფრაზის ბოლოს შეკითხვას მისვამს [პონტოურად] „გრიკას მე?“ [„გესის ჩემი“]

„გრიკო სე“, [„მესამის შენი“], პანაიოტი.

„ასეთი დარწმუნებულიც ნუ იქნები“ ამბობს დაჟინებით, ვსხედვართ მაგიდის გარშემო, რომელიც დატვირთულია ხილით, ტკბილეულით, ღვინით, გამაგრებელი სასმელებითა და იმ ნუთას გამზადებული ხაჭაპურით. „ძველად, ძალიან დიდი ხნის წინ, ჩამოვიდნენ ვიღაც ადამიანები, ბერძნები, მასწავლებლები პარტიიდან, რალაცის წარმომადგენლები, არ მახსოვს. კარგა ხანს ვისხედით აქ ბაღში, სიგრილემი. შიგნით ქალბი სუფრას შლიდნენ, ამზადებდნენ რალაცებს. როდესაც ვუთხარი: „მობრძანდით, გეპატივებთ“, ერთმა მათგანმა შეხედა სასვე მაგი-

დას და თქვა: „რა ამბავია ამდენი რამე!... ზედმეტია“. და მაშინ ვუთხარი, „რატომ არის ზედმეტი? არაფერი არ არის ზედმეტი. თუკი რამე არ მოგწონს, გვითხარი და სხვა რამეს გაგიზადებთ, შევცვლით. ნუ ამბობ, რომ ზედმეტია რამე, ჩემი ბიჭი...“ არაფერი არ ესმოდა. მე კი მახსოვს, ის სიბრიყვე, რაც თქვა. იმდენად განსხვავებულია იმისგან, ჩვენ როგორც ვცხოვრობთ, რომ ამის გამო დამამახსოვრდა“.

ამ პანაიოტის პაპანდოპულოსს, ბერძენ სანტექინიკოს ხელოსანს, მდინარის სუთავში წყარო გაუქმებია იქ, სტუმართმოყვარე პონტოსის სიღრმეში, სტალინის ბიუსტითაც შეუმკია. საბჭოთა კავშირის დამლა რომ დაინყო, ბიუსტი დაიკარგა, ბრინჯაოსგან იყო და წაიღეს გასაყიდად. წყარო კი დარჩა საძირკველზე ამოტვიფრული პანაიოტისის სახელით, გამეღელთა წყურვილის დასაოკებლად.

ამალამ უკან უნდა გავემგზავროთ. ტკბილია სალამო უქარო პორტში, რომელიც სამხრეთ-დასავლეთითაა მიმართული. სანაპირო დამწვანებულია ფინიკის, კედრისა და ცაცხვის ხეებით. გარშემო გორაკებზეც ხშირი სიმწვანეა. წვიმა აქ ხშირად მოდის და არემარე პონტოს ღრმა მწვანე წყლებივით არის გადამწვანებული.

ამ ადგილებში - პორტს არ შეუცვლია ადგილმდებარეობა, მაშინ, როდესაც რკინიგზის სადგური, რომელიც პორტის მოსაზღვრედ იყო, უფრო შორს გადაიტანეს - 1920-იანი წლების დასასრულში შეიკრიბნენ ბერძნები გარშემო სოფლებიდან, ასევე ყარსიდან, სომხეთიდან, მთელი კავკასიიდან. შეიკრიბნენ, რომ ასულიყვენ გემზე და გამგზავრებულიყვენ საბერძნეთში, რათა გადარწმუნოყვნენ. „საქართველოს მთავრობამ თითოეულ ოჯახს თითო დიდი თავი პური დაურიგა, რაც იმ დროს გადარჩენის ტოლფასი იყო. ლტოლვილებმა პური ხარბად შეჭამეს და დაილოცნენ, დალოცვილი ყოფილიყოს ეს ქვეყანა, ციური მანანით რომ გაუმასპინძლდა, მიუხედავად იმისა, რომ მის მაცხოვრებლებს თავად არ ჰქონდათ საკმარისი საჭმელი და დიდი ხანია მიმშობლოდნენ...“

სანაპიროს მეთევზეებს რომ შეხედავ, იტყვი, რამდენიმე დღეა არ დაძრულან და არ გადაადგილებულან საკუთარი ადგილიდანო. ერთი მხრივ, ანკით თევზაობა ხომ მოთმინების წვრთნაა, ამას დაუმატეთ მოდუნება, გარინდებულობა, ჰაერში ლივლივი და მიიღებთ მარადიულობის წამს. ესვამ მუქ ქარვისფერ ლუდს, „ქაროულს“ და გონებაში ავადყოფური სცენარი გათამადავბა იმ ადგილას, რომელიც ჩემს მაგიდასა და მეთევზეებს შორის მდებარეობს. ეს ამბავი თავს ისე მატყდება, თითქოს რომელიღაც ლიფტს ამოუტანია, მაგრამ ვერ ვახერხებ გავარჩიო, ზემოდან მოდის თუ ქვემოდან. როდესაც ჩემამდე მოაღწევს, საშინლად გრუსუნებს, გვეგონება უეცრად მკვეთრად გაჩერდა გზაში და არა იმ სართულზე, რომელზეც საჭარო იყო.

წინა სალამოს ერთ გადაცემას ვუყურებდი ადგილობრივ სატელევიზიო არხზე. აჭარა, რომლის დედაქალაქიც არის ბათუმი, ავტონომიური რესპუბლიკაა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრებში, ზუსტად ისევე, როგორც აფხაზეთი, რომელიც მას განუდგა და დამოუკიდებლობა გამოაცხადა. როდესაც სახელმწიფო სატელევიზიო არხზე ახალი ამბები დაინყო, ადგილობრივ არხზე, რო-

მელიც სახელმწიფო არხთან არის დაკავშირებული, ახალი ამბების გადაცემა „გაქარა“ ეთერიდან, ეკრანზე გამოჩნდა ახრა ნარწერი „ტვ აჭარა“, სავარაუდოდ იმისათვის, რომ სამთავრობო არხი არ გამოჩენილიყო. ჩანს, რალაც პრობლემა არსებობს. ფხვანეთის გამოყოფას ხელს უწყობდნენ და, როგორც ჩანს, აგულიანებდნენ კიდევაც რუსები, აჭარაში კი თურქები არიან დაინტერესებულები. რაც უფრო მეტად არის დასუსტებული საქართველო, მით უკეთესი ნადავლია.

ამ სცენარის ჩამოყალიბებაში, რომელიც ჩემს გონებაში მაშინ გაჩნდა, როდესაც ასე მშვენივრად ვისვენებდი სანაპიროზე და გრილ „ქართულს“ ვსვამდი, გარკვეული როლი ითამაშა პრუსიული ტიპის რუსი სამხედროების ჯგუფის გამოჩენამ, რომლებიც ერთ-ერთ გემზე ასასვლელად ემზადებოდნენ, შავი ზღვის გარშემო რომ დაეყურავს. ავადმყოფური სცენარი იმას გულისხმობს, რომ დღეს საღამოს, სანამ უკან დასაბრუნებელი მატარებელი ამოიქოება, გამოცხადდება სეპარატისტული მოძრაობა და, რაღა თქმა უნდა, ჩაიკეტება ყველა გასასვლელი ბათუმიდან თბილისისკენ მიმავალ გზაზე. ნუთუ ასე ძალიან მიხნდა დარჩენა?

აქ ჩაეიკეტები, მოახლოებული სამოქალაქო კონფლიქტის არეულობაში, ტკბილი მარინა ვიორგაძე შეეცდებოდა დაუკავშირდეს გორდეზიანს თბილისში, რომ რამენაირად გაამშვიდებინოს ჩემი თავი და გათავისუფლდეს ჩემგან.

მარინამ, ჩემთვის სამწუხაროდ, თქვა, რომ ყოველგვარი პრობლემების გარეშე გავემგზავრებოდი, რადგან სავარაუდოდ, შეუძლებელია, ამგვარი რამ მოხდეს. ნინომ, გაკონტროლირებული უმიდლობით დასძინა, „ამინ“.

სხვაგან სადაა შესაძლებელი, რომელ ენაში, რომელიც ასე უცნაურად და გაუგებრად უღერს, როგორც ქართული, რომ ნატურის ბოლოს გაარჩის ნათელი, მკაფიო და გალობით ნათქვამი „ამინ“?

ოდ საქართველოს

ერთ მშვენიერ, სუსხიან დილას შევიძინე „ვეფხისტყაოსანი“ და დავინყე წიგნის კითხვა გადახურული ცენტრალური ბაზარიდან ცოტათი ქვემოთ, მდინარის მახლობლად მდებარე კაფეში.

ძნელია, საქართველოში მოხვედ და შოთა რუსთაველს არ გადააყვარო, თუნდაც ინგლისურად. ცნობილია, რომ მნიშვნელოვან ნაწარმოებს გვერდს ვერ ავუვლით და ერთ მშვენიერ დღეს - და ასე ხდება ყოველთვის - ის მოვა და თავად გიპოვის. სწორედ ამამაი განსხვავება დიდსა და პატარა ნაწარმოებს შორის.

რუსთაველი თავდავინყებით იყო შეყვარებული დედოფალ თამარზე. პოეტი, რომელიც მიუწევდომლისაკენ, იდეალურისკენ ისწრაფვის და ვერ ბედავს თვლი სათაყვანებელ ქალღმერთს გაუსწოროს, ქმნის ეპიკურ ლირიკულ პოემას, სიყვარულის, რწმენისა და მეგობრობის საგალობელ ჰიმნს.

ხორციელი ქალის სიყვარული ერთხელაც ყველა ენევა. განსხვავება დიდი პოეტისა, როგორც რუსთაველი იყო, იმამია, რომ როდესაც ის თავის სიყვარულზე ლაპარაკობს, სიტყვებს არ წონის. ამგვარად საყვარელი ქალის სახე იდეალიზდება და იდეის დონემდე ადის. სიყვარულის სიყვარულად იქცევა.

ამის გამო, თინათინი, პოემის მეფის ასული, რომლის სახელიც რუსთაველი თამარს ხედავს, ალვის ტანადია, მისი წამწამები გულს ისარივით აპობენ, სასურველი ვარდია, მზიანი სახე აქვს, შუადღის მზის სხივივით ნათელია, თუმცა მოკვდავი ადამიანი, რომელიც მას დაინახავს, გიჟდება და გული ნაცრად ეფერფლება.

ის კი, როდესაც დაუძახებს ავთანდილს, თავის ხელქვეითს, რომლის პერსონაჟიც შეყვარებული რუსთაველი მოიაზრება, მოინვევს იმისათვის, რომ ვეფხისტყაოსანი მოყმის მოძებნა და მოყვანა დაავალოს, ასეთი სიტყვებით ესაუბრება:

... შორით სიყვარული შენგან ჩემი შემიტყვია,
ციცი, რომე გაუწყვეტლად თვალთათ ცრემლი
გისიტყვია,
შეუპყრიხარ სიყვარულსა, გული შენი დაუტყვია.

ასრე გითხრა, სამსახური ჩემი გამართებს ამაღ
ორად:

პირველ, ყმა ხარ, ხორციელი არავინ გეყავს შენად
სწორად,
მერმე, ჩემი მიჯნური ხარ, დასტურია, არ ნაჭორად;
ნა და იგი მოყმე ძებნე, ახლოს იყოს, თუნდა შორად...

ამ მე-13 საუკუნის კლასიკური ნაწარმოების გარძელებას, რომლის ნაწყვეტებსაც იცნობენ და ზეპირად ჰყვებიან სპეციალური განათლების არმქონე უბრალო ადამიანებიც კი, თანამედროვე საქართველოში ნადიმების დროს ქართველებს მიერ ნაწარმოებულ სადღეგრძელოებში ვხვდავ. სუფრა სიტყვასიტყვით მაგიდის გადასაფარებელს ნიშნავს და იმასაც, რაც მასზე დევს. ამასთანავე, სუფრა ნადიმი, რომლის ცენტრალური სუბიექტი არა მხოლოდ მრავალგვარი და გემრიელია მომზადებული კერძებია, არამედ, უმთავრესად, ის, თუ როგორ სვამენ თანამეინახეები. ამ საოცარ ინსტიტუტში, რომელიც ძველი ბერძნული სიმპოსიონის თანამედროვე გამოხატულებათა, როდესაც პიროვნებაზე ან მდგომარეობაზე საუბრობენ, ეპითეტებს და ლამაზ სიტყვებს არ იშურებენ.

ჭამა-სმა მას შემდეგ იწყება, რაც აირჩევენ ნადიმის უფროსს, თამადას, რომელიც არ არის სავალდებულო, მასპინძელი იყოს. და ეს იმიტომ, რომ ის, ვინც სუფრას შლის, აუცილებელი არაა ავტომატურად იყოს ის, ვისაც ენა უჭრის. თამადად ყოფნა მოითხოვს ცოდნას, სენტიმენტალურობას და რიტორიკულ უნარებს. კარგად უნდა იცნობდეს თანამეინახეებს, გრძნობდეს, როდის დადგა მომდევნო სადღეგრძელოს დრო. ენციკლოპედიური ცოდნის, პოეზიისა და მალაფარდოვანი ნაწარმის ცოდნის უშრეტი მარაგი უნდა ჰქონდეს. ეს თვისებები კი არ არის ყოველთვის კომპლექტში სუფრის გამლის მატერიალურ შესაძლებლობასთან.

თამადა დგება და პირველ სადღეგრძელოს ამბობს. მანამდე და ამ დროსაც მიირთმევენ ნაირგვარ კერძებს და სვამენ მინერალურ წყალს ან ლიმონათს საკუთარი სურვილისამებრ, მაგრამ არა ალკოჰოლს.

როდესაც თამადა დაასრულებს სადღეგრძელოს, რომელიც თეატრალური, დასვენილი და მალაფარდოვანია, თანამეინახენი სათითაოდ დგებიან და ყოველთვის წარმოთქმული სადღეგრძელოს ფარგლებში, ზოგჯერ ჩურჩულით და ზოჯერ მხიარულად,



ზოგჯერ მოკლედ და ზოგჯერ მანამებლად ნელა - თუმცა ყოველთვის სახეზე ნახევარლიმილით, რომელიც შარავანდელით მოსავს მას მთიელის სიმკაცრით, რაც ხაზს უსვამს ნათქვამის სერიოზულობას - ამატებენ საკუთარ სადღეგრძელოებს სხვებიც. მხოლოდ ამის შემდეგ სვამენ იმის გამარჯვებისას, ვისი სადღეგრძელოც ითქვ.

სუფრას სახლის მასპინძელი ხშირად არ შლის. ნადიმი სადღესასწაულო ღონისძიებაა, რომლის საბაბიც სიხარულის, ანდა მწუხარების გაზიარებაა, მაგალითად დაკრძალვა ან მოსახსენიებელი წლისთავი.

მასპინძელი, რა წუთიდანაც სუფრის გამლას გადანყვეტს, ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ნადიმი ხევაზელი და სრულყოფილი გამოვიდეს. ტრადიციისამებრ, რაც უფრო შეძლებული და ხელგაშლილია მასპინძელი, იმდენად ნაკლებად სჭირდება ოჯახის გაფრთხილება. მივა თავის სტუმრებთან ერთად, ჩვეულებრივ მხოლოდ მამაკაცების სამეგობროსთან ერთად და დაავლებს, რომ სუფრა გაშალონ. თუ სახლში საკმარისი რაოდენობით ქალები არ არიან, მეუღლე ნათესავს ან მეზობლის ქალს დაიხმარს და მალევე სუფრა მზადაა.

ფორმალობა ყოველთვის დაცულია, ამაზე თამადა ზრუნავს. თამადა ნადიმის მმრძანებელია. აძლევს ან ართმევს სიტყვის უფლებას, მოითხოვს სუფრის ყველა წევრის ყურადღებას, როდესაც საუბრობს თავად, ან ის, ვისაც სიტყვა მისცა. ასახიერებს „მონარქის ნოსტალიგას, რომელსაც ყველა ქართველი საკუთარ თემში იხსავს“, როგორც სწორად შენიშნავს რუსი პოეტი. ყველას უნდა, რომ თამადა იყოს, თუმცა სუფრა წყვეტს და ასე სრულდება სამარაოლი.

სუფრა, რომელიც უფრო მეტად ცხოვრების ფორმაა, ვიდრე ბოლოგოყური საჭიროების დაკმაყოფილება, გამოირჩევა წესრიგითა და წესიერებით; ის გულწრფელია და ამავდროულად თავისუფალი. თუკი არ გაქვს უფლება დალიო საკუთარი ჭიქიდან, რ-

დესაც მოგინდება, ყოველთვის თანამეინახებთან ერთად უნდა შესვა, უნდა დაელოდო, რომ დასრულდეს გრძელი, მოსაწყენი თხრობა, რათა შესვა საკუთარი სასმელი, მაშინ, ღვინის წინაშე ასეთი მოკრძალების განცდის პირობებში, ძალიან ძნელია დათვრე და ზღვარს გადახვიდე. ასე და ამგვარად, სუფრა შეიძლება დასრულდეს ისე, როგორც დაინყო. გემივით, რომელიც ანთებული შუქებით მშვიდად დაბრუნდება პორტში, თუკი მას გამოცდილი კაპიტანი მართავს ღირსეულ და დისციპლინირებულ მეზღვაურებთან ერთად.

შუადღისკენ აღმართს ავუყევი და გადახურულ ცენტრალურ ბაზარში ავედი. თუკი ქალაქების ცენტრალური ბაზრები იმის მიმანიშნებელია, რამდენად აუღის ესა თუ ის ადგილი საკუთარი ადამიანების გამოკვებას, მაშინ საქართველო ხევაზელიების სავაითაა, რომელიც გადაივსო, გადმოვიდა და ცისარტყელას ყველა ფერი კავკასიონიდან პირდაპირ თბილისის ცენტრში გადმოიღვარა. ზამთრის ყურძენი, ბრონეული, ვაშლი, მსხალი, ფორთოხალი, ლიმონი და მანდარინი, ძონისფერი ბოლოკი და კისერნაჭრილი ჭარხალი, ვერცხლისფერი მდინარის თევზი და ძუძუს გოჭები, წვნიანი პომიდვრები (თურქეთიდან შემოტანილზე უფრო ძვირი რომ ღირს), თაფლი და ჩაი და თამბაქოს ყვითელი, გამომშრალი ფთხლები, ნიგვზისა და თხილის გორები, შაფრანი და ყველა სახეობის სანაღებელი საოცარი სანებლების დასამზადებლად, რომელშიც ხრახმუნად შემწვარ წინილებსა და რბილ მწვადს ანობენ.

პატარა თავი შებოლილი ყველი ვიყიდე და ერთი ბოთლი წითელი ღვინო და მოვახერხე მეწვანილო და მედუქნე ქალებთან მოლაპარაკება. როდესაც იმ დახსნ ჩავუარე, პეინირლის ფორმის პურები რომ ენყო, ჩემი მზერა გამყიდველი ქალის მზერასთან გადაიკვეთა. მიუხედავად იმისა, რომ თავსაბურავი ეკეთა, ქალის გვერდით გადანუული თმა ბზინავდა, კვიპაროსის ფერის თვალები ჰქონდა. შევხედე და უბ-

რალოდ კი არ დამაკვირდა, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, რადგან ჩემს შუბლს დერმატული ანთების კვალი ატყვია, არამედ მზერა პირდაპირ თვალებში ჩამასო, თითქოს უნდა გაგვეგრძელებინა საუბარი, რომელიც ეს-ეს არის შეენწყვიტეთ.

უცნაური შეგრძნება. ნათელი სახეები, ნუშისებრი თვალები, რომლებიც ფერმკრთალ და გამჭვირვალე სახეებს ამშვენებს. ოდნავ დახრილი ქუთუთოები, ნიჰილისტურად. და მზერა, რომელსაც არასდროს ხრიან. დანაშაულის იმ გრძნობის გარეშე, რომელიც, ჩვეულებრივ, დაბუდებულია ქალების თვალებში და აიძულებს მათ მზერა აარიდონ, როდესაც მამაკაცის მზერასთან გადაიკვეთება. აქაური ქალები, კავკასიური გამბედაობით აჩვენებენ, რომ არაფრის ეშინიათ, ამიტომაც მათი მზერა პირდაპირია, არნივისებრი და სამკაპივით მძიმე.

სამხედრო გზა

შორიდან ქროდნენ უდარდელი მთათა სიონი,
და თეთრდებოდა ყრუ ნალველით კავკასიონი.³
ბორის პასტერნაკი

ისინი, ვინც თერგის წყალი დალიეს, მდინარისა, რომელიც კავკასიონის უმაღლესი მწვერვალდანი, ყაზბეგიდან იშვება. თერგის წყლები უკანასკნელია, რაც შემოგვხვდება, თუ სამხედრო გზას გაუყვები, ერთადერთ გზას, აგერ უკვე 2 საუკუნის განმავლობაში, რომელიც ნათელი მთის მეორე მხარისკენ, ვლადიკავკაზისკენ მიდის, რუსეთის ნაცრისფერი სტეპისკენ.

აქედან, მწვერვალის სახელწოდების სოფლიდან, რომ არ დაბრმავდე, ნახევრად მოჭუტული თვალბით უყურებ ყაზბეგს, სუთითათს სამას ოცდაცამეტი მეტრის სიმაღლის მბრწყინავ მწვერვალს, გადასახლებისათვის იდეალურ ადგილს, სადაც სულს ყოველი ნაბიჯის გადადგმისას თავისუფლების ნოსტალგიის ლახვარი დაქსმის. მწვერვალზე შექმნილი პრომეთესათვის და ამირანისთვის - ქართული მითოლოგიის ანალოგიური გვირისათვის. ბუნებრივი სილამაზის აუტანელი სიმძიმე.

„თერგდალეულები“⁴ წრე იმ რომანტიკოსებისგან ჩამოყალიბდა, ვინც თერგის წყალი ივება. ქართული ინტელიგენციის ელიტა მე-19 საუკუნეში თბილისის ეპარქიული ცხოვრებიდან პეტერბურგისკენ მიემგზავრება, იქიდან კი პარიზისკენ, მაგრამ არ იკარგება დასავლეთში. ქართველი რომანტიკოსები არ მოხიზლულან ლეთეს ნაყოფით, არც საკუთარ მიწა უარუყვიათ, რადგან მანამ, სანამ კავკასიონის მეორე მხარეს გადავიდოდნენ, თერგის წყალი დალიეს და დაბრუნდნენ. საქართველო, ტკბილი სამშობლო.

ათიოდე წლის წინ, და ალბათ ასი წლის შემდეგ თერგდალეულ რომანტიკოსთა წრის ჩამოყალიბებამდე, იყო მცდელობა, საქართველოს ოფიციალურ ენად რუსული გამოეცხადებინათ. წარმოიჩინდა მიზეზიც (განა ყოველთვის არ არსებობს ხანარელი მიზეზი, რომელსაც წარმოადგენენ ხოლმე, როგორც უტყუარ მიზეზს?) რომ რუსული უკვე გამბდარია ლინგვა ფრანკად, ქართულზე უფრო მეტად ქვეყანაში მცხოვრები მრავალი ეთნიკური უმცირესობისათვის. და მაშინ ისინი, ვისაც არასდროს გაუპრო-

ტესტებით რამე, არასდროს წამოუყენებიათ საკუთარი პრეტენზია რამეზე, სულ უმცირესზეც კი, გამოვიდნენ ქურბები და ისეთი ძალით გააპროტესტეს, ისეთი დაჟინებით და მანიაკალურად დაიცვეს საკუთარი ენა, რომ მათ დასაშოშმინებლად მოსკოვიდან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობის სრული შემადგენლობით ჩამოსვლა გახდა საჭირო, რადგან სიტუაცია ძალიან დამძიმდა.

არა მხოლოდ აჯანყდნენ და ჩაშალეს კანონპროექტი, არამედ მაშინვე, ლამის მეორე დღეცავე ქალაქის ცენტრალურ პარკში აღმართეს ბრინჯაოს ქანდაკება - მშობლიური ენის ძეგლი, ამ ქმედების სამახსოვროდ. შავ, გრძელ პალტოებში ჩაცმული მკაცრი ფიგურები, თითქოს გადმოვიდნენ ლაო გუდინაშვილის ნახატებიდან, გააპროტესტეს და არ მისცეს სიკვდილს გავლის საშუალება. გლოვისა და თანადგომის ქვეყანაში მიხვდნენ, რომ ასეთი რამ უკანდახვევას ნიშნავდა. პოლიტიკური ეკონომიის გაცვეთილი მომავალი საუკუნისთვის. პურიის გარეშე შეიძლება გაძლო, შენი ენის გარეშე კი მოკვდები.

მომდევნო დღეს, ისევ სუფრასთან ტრადიციული განვლილი სადღერძოლოებითა და გადამეტებული ქართული სტუმართმოყვარეობით. რა ხდება აქ? მხოლოდ ის კი არ ახდენს შთაბეჭდილებას, თუ როგორ იღებენ სტუმარს, როგორც წმინდა პიროვნებას და ყოველმხრივი ყურადღება, რომელსაც აქცევენ. ასევეა ეს ფლანგვა, თითქოს უნდა დაცვალოს მარანი ყველა იმ კარგი პროდუქტისგან, რაც სახლში აქვთ. ეს სიმბოლური შესტი უკიდევანო ფლანგვის, მატერიალური დოვლათის დაცლა მაგიდაზე, იქნებ სხვა რამესაც ნიშნავს, გარდა აბსოლუტური სტუმართმოყვარეობისა. მატერიალისაგან, მოხმარებადისგან განთავისუფლება, რაც იმის განაცხადია, რომ არაფერს შეუძლია ჩვენი შეკავება აქ. ნებისმიერ წუთას მზად ვართ ასამბლვლად.

საქართველო, შეთავაზებებისა და პოტენციის ქვეყანა („ყველაფერი დამასხვრიე, ყველაფერი დაწვი და მე გიყვარდე“).

მასპინძლის ქალიშვილი ფორტეპიანოზე უკრავს. მისი ხშირი, გაშლილი წარბები არნივის გაშლილ ფრთებს ჩამოგვავს, ჰორიზონტის კიდეს რომ უახლოვდება და მისი სახის ნათელ სიფერმკრთალესა და ნახშირივით მწველ თვალებს უსვამს ხაზს.

ამასობაში, მამაკაცები, რომლებმაც უკვე დალიეს ყველა თანამეინახის, ასევე ყველა გვერდით არ მყოფი ნათესავისა და მეგობრის სადღერძოლო, ერთ ყლუპ ღვინოს ერთ ლუკმა პურზე აპკურებენ და ნასული წინაპრების მოსაგონარს სვამენ. შემდეგ კი, სიმბოლოს რადიკალური ცვლილების მოწმენი ვხვდებით, როდესაც კოკა-კოლას პატარა შუშის ჭიქებს ძლიერი შავი ღვინით ავსებენ და ბოლო წვეთამდე სვამენ.

1997 წლის თებერვალი,
ნოემბერი - 1998 წლის მაისი.

შენიშვნა: ტექსტში გამოყენებულია ნანყვეტები ნიკოს კაზანდაკისა და ხრისტოს სამილიდიისის შემოქმედებით.

³ ბორის პასტერნაკი „ტალღები“, ქართულად თარგმნა ლანა ლოლობერიძემ, გამომცემლობა ინტელექტი

მედეა აბულაშვილი

ოდისევსის ოდისეას ყველაზე ტრაგიკული დასასრული



ნეტავ თუ იცოდა ჰომეროსმა, რომ ოდისევსის ოდისეა, მისი პოემის მიღმა, კიდევ მრავალი ასნლეული ვაგრძელდებოდა? წარმოდგენდა ბრძენი პოეტი, რომ გმირი სხვადასხვა ეპოქაში, ენისა და ლიტერატურის სამყაროებში ხეტილას არასოდეს დაასრულებდა?

რამდენჯერ მოხდა ამ უპოპულარულესი ბერძენი გმირის ასახვა და გარდასახვა სხვადასხვა ხალხის ლიტერატურაში... ხან კაცი იყო, ხან - ზეკაცი, ხან - პერსონაჟი და ხანაც - სიმბოლო.

რეცეფციების პრეცედენტები უსაზღვროა, ტრანსფორმაციების გზა - უსასრულო.

ძნელია ჰომეროსის გმირს რამე შემატო, მაგრამ თავად ოდისევსის ფიგურამ უდავოდ ბევრი შემატა მსოფლიო ლიტერატურას.

„ტრადიციული გმირის ადაპტირება“ მრავალ-

ტულად ხდებოდა. აქ, ვფიქრობ, საკმარისია ვერგოლიუსის, დანტეს, ლორდ ტენისონის, ჯეიმს ჯოისის, ეზრა პაუნდის დასახელება.

თუ სხვა ხალხების ლიტერატურაში ჰომეროსს პოემათა უკვედავი გმირის ოდისეა ზე შეგვიძლია ვსაუბროთ, მის გამოჩენას ახალ ბერძნულ სამყაროში უთუოდ **νόστος** - სამშობლოში დაბრუნება უნდა დავარქვათ. ეს დაბრუნება არა მარტო ლოგიკურადაა პერმანენტული, არამედ - დამაჯერებელი და სინტერესოც.

რადგან „დაბრუნება-**νόστος**“ ვახსენე, ბერძენი პოეტის, კონსტანტინოს კავაფისის შედეგრი „ით კაც“ უნდა გავიხსენო, სადაც სამშობლომდე მიწვევის პროცესი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე შედეგი.

ტრადიციულ ახალბერძნულ პოეზიაში ოდის-

და იმეორებს ჰომეროსის მოდელს. მოდერნიზმი კი ძირს უთხრის „მრავალტანჯული კაცის ამბავს“. სიურრეალისტები ოდისევსის იმდენად უცნაურ სახეს გვთავაზობენ, რომ პროტოტიპის ამოცნობაც კი ჭირს. ომის შემდგომ, პოსტტრავმატულ ისტორიულ კონტექსტში, ხდება ამკარა დენონსაცია ოდისევსის ტრადიციულ მახასიათებლებთან.


ყველაზე სკანდალური ბერძენი მწერალი ნიკოს კაზანძაკისი ჯერ ახალ ბერძნულ ენაზე თარგმნის „ოლიადას“ და „ოდისეას“, მერე კი ჰომეროსის 24 სიმღერად მონოდებულ ლიტერატურულ თემას, ასევე 24 სიმღერად ნარმოგვიდგენს. 13 წელი მუშაობს პოემა „ოდისეას“ 33 333 ტაქტზე და კრიტიკოსთაგან არაერთგზისი რჩევის მიუხედავად, ერთ სტრიქონსაც არ ცვლის. „ოდისეას“ საკუთარი შემოქმედების მწვერვალად მიიჩნევს, მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე დიდი პოემის დასრულების შემდეგ, საბოლოოდ ხელს იღებს პოეზიაზე. კაზანძაკისის „ოდისეაში“ ჰომეროსისეულ პერსონაჟთა გალერეას - პენელოპეს, ტელემაქოსს, მენელაოსს, ელენეს და სხვებს - ემატება: ქრისტე, ბუნი, ლენინი. სიუჟეტის განვითარების დონეზე კი, მხოლოდ პოემის სანწყის ნაწილშია გარკვეული მსგავსებანი ჰომეროსის პოემასთან. მერე კი ოდისევსი ხან აჯანყებულია, ხანაც - ასკეტი, ტუსალი, ჯადოქარი და მოჩვენება.

ერთი თვალის გადავლევაც საკმარისია იმის აღსაქმელად, რომ ახალბერძნული ლიტერატურული ტექსტები უფრო ხშირად ამუშავებენ ოდისევსის ფიგურას, ვიდრე ისეთ საინტერესო გმირს, როგორც აგამემნონია. საფიქრებელია, რომ ამის ხელშემწყობი ოდისევსის განსხვავებული ხასიათიცაა, რადგან მას, უკვე ჰომეროსთან, აქვს ორმაგი ბუნება, როგორც არისტოტელე ხაზს უსვამს თავის „პოეტიკაში“.

ნიკოს კაზანძაკისის „ოდისეას“ შემდეგ, არ მეგონა, რომ რომელიმე ახალბერძნულ ტექსტში ოდისევსის სახე კიდევ გამაკვირვებდა და დამაინტერესებდა. არ მეგონა, სანამ იაკოვოს კამბანელისის პიესას „ოდისევსო, დაბრუნდი შინ“ ნავიკითხავდი, რომლის ქართული თარგმანი სულ ახლახან გამოიცა მის სხვა პიესებთან ერთად (მთარგმნელები: სოფიო შამანიდი, ქეთევან ცინცაძე).


კამბანელისი გამორჩეული ოსტატობით ახერხებს ჰომეროსის „ოდისეას“ ტრანსფორმირებას და ქმნის თავამედროვე ტექსტს, სხვა ოდისევსს. თამამად ვიტყვი, რომ მრავალი ათწლეულის მანძილზე, კამბანელისი ბერძნულ სამყაროში ერთადერთია, ვინც ნამდვილად გვთავაზობს მითის განახლებას.

როგორია კამბანელისის ოდისევსის ახალი იმიჯი? „ტროას მეორე ომის ნომერი პირველი გმირი“ გვიან იღვიძებს და რძეს სვამს - დაბალია, დაჩაჩანაკებული. სწორედ ასეთი ოდისევსი ხვდება კირკეს კუნძულზე, სადაც მისი კულტია. ოდისევსის გაკერება ქვეყანაში თავისთავად პროცესი კი არა, მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგი ყოფილა. როცა ახალ პრემიერ-მინისტრს ქვეყანა უშძიმეს ვითარებაში გადაუბარებია, გახსენებია, რომ ხელთ ჰქონდა „მარკეტინგული ელემენტებით სავსე ოდი-



სევსის ისტორია: თავგადასავალი, სიყვარული, სამშობლოს თავყვანისცემა. მართალია, ადგილობრივი არ იყო, თუმცა, საერთაშორისო დონის ყველაზე ამაღლევებელ პატრიოტად ითვლებოდა...“ პროზაგანდისა და მედიის ყველა საშუალებების გამოყენებით, მთავრობა მიაღწევს, რომ ოდისევსი გააღმერთოს და მერე ეს მოსახლეობის სამართავად გამოიყენოს. ამ დროს კი კუნძულს მიაღება ოდისევსი, რომელიც შორსაა ხალხისთვის შეთავაზებული გმირისგან: არც ორი მეტრი და ორმოცი სანტიმეტრი სიმაღლისაა, როგორც ვაზეთები ინერებოდნენ, „არც ჰოლივუდის ვარსკვლავივით მოხდენილია და არც მისტერ ამერიკასავით ძლიერი“. მთავრობა ვერ დაუშვებს, რომ ამ ჩია კაცმა აურიოს ძლივს დაღაგებული ქვეყანა. ამიტომ, ხელისუფლება „დეფექტურ“ ოდისევსს გადამალავს და მის ნაცვლად, მისთანა მეგობრებში, ახოვან და მხარბეჭიან, თუმცა, ჭკუასუსტ ელპენორს გამოარჩევს და მოსახლეობას ოდისევსად შეასაღებს. ხალხი ზეიმობს, მთავრობა კმაყოფილია, ნამდვილი ოდისევსი - განრისხებული.

ცრუ ოდისევსის გამოჩენის პარალელურად, რიგითი ჯარისკაცი ნამდვილ ოდისევსს შეახსენებს, რომ ტროას ცხენის იდეა სწორედ მას ეკუთვნოდა. მაშინ ოდისევსი ხალხის წინაშე ამ საიდუმლოს აღიარებს და სინაწულით ამბობს: „ყველაფერი იმ წყეულ ტროაში დაინყო! პირველი წარმატების შემდეგ, კიდევ უნდა გამეკეთებინა რაღაც, მერე კიდევ, კიდევ! ჩემი დიდება მხეცი იყო, რომელიც მუდმივად უნდა გესაზრდოებინა და სულ მეტს და მეტს ითხოვდა. შემდეგ უკვე ჩემი ნებართვის გარეშე დაინყვს



სხვებმა მისი გამოკვება!.. იქამდე კვებეს, სანამ უძირო არ გაუხდა პირი და ახლა ამ მხეცის პირში ვარ ჩაკარგული, რომელიც მე გავაჩინე და ახლა მზადაა, მევე მშთანთქოს, მომინელოს და შემდეგ მომისაქმოს, მისმა მუცელმა შვებით რომ ამოისუნთქოს."

ძნელია მიხვდე, ეს გმირის გულწრფელი სინანულია თუ იმ კაცის გონივრული გეგმის ნაწილი, რომელსაც სახელიც წაართვეს და ადგილიც, ახლა კი საკუთარი თავის რეაბილიტაციას მონანიებით ცდილობს - იქნებ, ორივე. აი, რას ამბობს ერთგან კამბანელის ოდისევსი: „რადგან პირველი ოდისევსი არ მოეწონათ და მეორე შეთხზეს, მეც შეეძმნი მესამეს, ისეთს, როგორც მე მსურს და მე ორი მეყოლება, მათ კი მხოლოდ ერთი!"

საიდუმლოს გაცხადებასა და გულწრფელ აღიარებას, წესით, გმირის კათარსისი უნდა მოჰყვეს. პიესის მკითხველი თუ მაყურებელი მართლაც ხდება კათარსისის მონმე, ოღონდ, ეს ჰიპერმასშტაბური, ცრუ თუ ფსევდო კათარსისია. ქვეყანაში სრული ისტერია იწყება - ხალხს დღიამდე სიმართლის თქმის დაუოკებელი სურვილი უჩნდება: ადამიანები, ყოველგვარი საბაზის გარეშე იფიცებიან, რომ არამზადები არიან, ნაძირალები, უღირსები. არა მხოლოდ სიმართლეს ამბობს ყველა, ბევრი, სიმართლის თქმის დაუოკებელი სურვილის გამო, იტყუება კიდევ! სწორედ აქაა დიდი განსხვავება იმასთან, რაც ადრე იყო: ტყუილებს რაიმეს დასამალად კი აღარ ამბობენ, არამედ ყველაფრის გამომჟღავნების სურვილის გამო. „მიდიხარ პოლიციელთან და ეუბნები: დამნაშავე ვარ! „არავინაა უცოდველი“ გასაუბრის აცრემლებული და ზურგს გაქცევს.“ სიტუაციის აბსურდულობა იქამდე მიდის, რომ „უცებ თუ გადაწყდება, ყველამ სასამართლოს წინაშე აგოს პასუხიო, ბრალდებულის ადგილი შავ ზაზარზე გაიყიდება.“

მთავრობა ფიქრობს, რომ ეს დიდი ხნის თავშეკავების შედეგად გამოწვეული აფეთქებაა, რომელსაც ყოველთვის ელოდა, მაგრამ ვერ წარმოიდგენდა, რომ ოდისევსს ახალი დროის წინასწარმეტყველად შერაცხავდნენ. თუმცა, მსგავს სიტუაციას ყოველთვის მოელოდა ახალგაზრდობა: „ყელში გვექონდა ამოსული თქვენი მემკვიდრეობა! ოდესმე ცხოვრება ახლებურად უნდა დაგვეწყოს!“ - ამბობს ერთერთი. მთავრობის გადაწყვეტილებაა სამუდამო პატიმრობა მიუსაჯოს ოდისევსს, რომელმაც მსგავსი არეულობა გამოიწვია. მასქიმილური კომპრომისი შეიძლება მხოლოდ მისი შურაცხადად გამოცხადება იყოს. მაშინ ოდისევსი გმირისათვის კატეგორიულად შეუფერებელი გაპარვის გეგმას აწყობს: ცდილობს ბინძური სარეცხის ავტომობილი მოხვდეს, რომელიც, სამრეცხაოს ნაცვლად, უკაცრიელ სანაპიროზე წავა. მისი შერჩევით მეგობრებიდან კი მეზღვაური არავინაა, ერთი ბულალტერია, მეორე - ანესთეზიოლოგი, მესამე - იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი.

იუმორით თუ სარკაზმით უშურველად გასდევს პიესის არაერთ პასაჟს: მას შემდეგ, რაც ხალხმა აღიარა „წმინდა მონანიე ოდისევსი“, მთავრობის წარმომადგენელი გამოვიდა განცხადებით: „ბევრი და-

პირება გავეცით, მაგრამ წმინდანებს არ შეგპირებივართ“. ოდისევსის ოდისეითა და სათაყვანებელი ითაკით შთაგონებულმა „ბევრმა გადარულმა, რაღაც ნავეებით პორტთან ბოდილიც კი დაიწყო, თითქოს შინ ვეღარ ბრუნდებოდა“.

ითაკიმი დაბრუნების თემა ცალკე ტრაგიკული ხაზია პიესისა. ოდისევსი, რომელსაც „სწამს წმინდა, უბინო, შუებლალავი, უმანკო ითაკს არსებობისა, რომლის ღირსადაც თავი არ მიაჩნია“, მიმართავს ყოფილ თანამებრძოლებს: „ახლა, როგორ დაბრუნდეთ უკან ასე ნამხდრები? ქურდებდა, რომპირებად, ღვთის მგომობებად ვიქეცით, სული ეშმაკს მიეყიდეთ... ყველა მხარე და ყველა სულიერი გავაცურეთ. ითაკასაც ასე მოვექცეთ? ითაკა სწორ ოდისევსს ელოდა, ჩემგან კი გზაში აღარაფერი დარჩა...“

ტროას ცხენთან დაკავშირებული სიმართლის აღიარების შედეგად, ოდისევსი შინ დაბრუნების გამბედაობას მოიკრებს: „დაბრუნდები, ცხადია, არა უკეთესი, მაგრამ არც ყალბი“. მაშინ დიპლომატი დაემუქრება მრავალტანჯულ გმირს: „ითაკაზე დაბრუნება არ გინერია აღარასდროს. ცამდე აღმარება ითაკა კედელს, შესვლა რომ ვერ შესძლო... ცეცხლის ალყას შემოირტყამს!... თხრილებს გათხრის, უფსკრულივით ღრმას!“

ტრაგიზმი კიდევ უფრო მეტად გვეფუფუნება, როცა ვიგებთ, რომ ითაკას რუკაც აღარ არსებობს - მელანი ნაიშალა, ჩრჩილმა შეჭამა, გაიცრიცა და დაიფლითა...

პიესის უკანასკნელი სცენა ასეთია: საიდუმლო სამსახურის თანამშრომლები ჰომეროსის გმირს მოათრევენ და სცენის შუაში აგდებენ. ისმის დადაფევის ხმა. შემოდინა ოდისევსის მეგობრები, პენელოპე, ტელემაქოსი, ფოტოგრაფები. ევანდროსი და დიპლომატი ილიებში ამოსდებენ ხელებს და კვარცხლბეკზე აჰკავით ოდისევსი, მაღაზიის ვიტრინაში მდგომი მანეკენით იწყებენ მის გამართვას. უნევენ ტორსს, ხელს, თავს, მარჯვენა ხელს უშლიან, მარჯვენა ფეხს წინ ადგმევენებენ და როდესაც გმირულ პოზას იღებს, ისმის ქვეშისის ზალპები. ბენდი უკრავს გამარჯვების აღსანიშნავ მელიოდებს. გარშემო შუქები ქრება, განათება მხოლოდ ძველად ქვეულ ოდისევსთან იყრის თავს. „დამსწრეებს ქუდები აქვთ მოხდილი და გაუნძრევლად დგანან, როგორც ამას მსგავსი სიტუაცია მოითხოვს“.


არ ვიცი, პიესაში სად გადის გზა გმირისა თუ ანტიგონისა, სად აქვს დასასრული ჰეროიზაციას თუ დემპროიზაციას, სად იწყება პოლიტიკური სატირა თუ აბსურდის დრამა, სად მთავრდება კომედია და სად - ტრაგედია, სარკაზმი თუ იუმორი, გულიანი სიცილი თუ ცრემლნარევი ღიმილი.

ერთი რამ ცხადია, იაკოვოს კაბანელის ის შემოქმედია, არისტოფანესავით გულიანად რომ გაგაცინებს და თან არისტოტელეს დაპირებულ კათარსისსაც განგაცდევინებს. უკვდავია ახალი ოდისევსის იმიჯმეიკერის ფრაზა: „არ ვიცი, იმ თქვენს სოფელში ერთ ხართ დაკავებული, მაგრამ აქ, ჩვენ, ზოგადად, რა უკურნებელი სოციალური, პოლიტიკური, ზნეობრივი და ისტორიული მონყენილობით ვიტანჯებით...“

დასასრული.


ლაშა ბულაძე

სოფიო შამანიდის „აუტანელი“ წიგნი



კაცები აუტანლები ვართ.
ქალები - „აუტანლები“.
„ბრჭყალებში“ ჩასმულ სიტყვას აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ამ წიგნში ქალთა „აუტანლობა“ უმეტესად რეაქციაა კაცთა საქციელზე ან ერთგვარი თავდაცვის ფორმაც, თუმცა სოფიო შამანიდის წიგნი „აუტანელი“ ქალების აუტანელი კაცები“ არც აუტანლობაზეა, არც ამტანობაზე და არც ვერატანაზე, არამედ იმ ტიპის აუტანელ კაცებზე და ქალებზე, რომელთაც საუკუნეებია ვერ ველევით სწორედ მათი აუტანლობის მიზეზით. ეს ქალები და კაცები არქეტიპებია, რომელთაც თითქოსდა თავადვე განსაზღვრეს ხასიათები და არა პირიქით, რადგან როცა ჰომეროსის თუ სხვათა, ამ შემთხვევაში, ჩვენი ავტორის მიერ აღწერილ-დეკონსტრუირებულ აგამემნონზე თუ კლიტემნესტრაზე ვკითხულობთ, თვისებათა იმგვარ მოდელებს ვეცნობით, რომ

მელთა მემვეობითაც თავად თვისებების არსს ვნვდებით და არა მხოლოდ გმირის ხასიათს. გეგონება, ჯერ გმირი დაიბადა, ვთქვათ, ოდისევსი და მერეღა იქცა ვერგაჩერებულობის დრამა ხასიათ-ოდისევსად. თითქოს გმირით მოხდა ხასიათის (თვისების) სახელდება. ჯერ იქმნა ელენე და ამიტომ შევიცანით მშვენიერება. ჯერ იქმნა აგამემნონი და ამიტომ შევიცანით ძალაუფლების ვნება. ჯერ იქმნა კლიტემნესტრა და ამიტომ შევიცანით შურისძიება. ჯერ იქმნა ელპენორი და ამიტომ შევიცანით უგუნურება-უთვისებობა. თითქოს ამ წიგნში თავმოყრილი გმირებით შევიცანით დიადი აუტანლობა, ამ სიტყვის სწორედ იმ ამბივალენტური და ორმაგი შინაარსით, როგორი ამბივალენტურ-ორგვაროვნე-ბიც აუტანელი ქალები/კაცების პროტაგონის-



ტები და ზოგადად ეს წიგნია - მისი გადმობრუნება რომ გვინევს, რათა უკეთ ჩავწვდეთ საავტორო კონცეფციის უზუსტეს გზავნილს - სამყარო რომ ისე აღიქმება, რა პერსპექტივითაც მის შეცნობას ვცდილობთ.

მედეა დამნაშავეა? - დამნაშავეა! შვილები მოკლა. აუტანელია. მაგრამ...

ამ მაგრამ-ს თურმე რამდენი არგუმენტი ჰქონია...

აგამემნონი შვილს მსხვერპლად შესწირავს ტროას ომს (პოლიტიკოსის ეგო, მარადიული დილემა: პირადი თუ ზოგადი) და ის იქნებ ყველაზე აუტანელიც კი იყოს ყველაზე აუტანელ კაცთა შორის, მაგრამ...

ისევ ეს მაგრამ...

ამ სიტყვაში უმთავრესი მიზიდულობის ბირთვია: ვცდილობთ გავიგოთ ძალაუფლების ფიქლოვანობა და აგამემნონად წავეკითხოთ თუნდაც დღევანდელობა - თვისება-აგამემნონად დავინახოთ კაცი-მმართველი, ვინც შვილსაც კი შესწირავს წარმატების ზურგის ქარს. შვილს და შვილებს. თაობებსაც კი.

ავტორი ჩვენთან ერთად ცდილობს აუტანლობის დემონის მოხელთებას და დიდ ავტორთა ტექსტებისა და რეცეფციების მოხმობით, ჩვენზე სათუთი აუტანლობის პორტრეტებს გვიხატავს - ოდისევსობის, შინ რომ გვინდა და ადგილზე მიღწეულთ ისევ გასაქცევად გვიბიძგებს გული... თუნდაც იმ ქვეყნის სანახავად, სადაც „მარილს არ ჭამენ“ (არარსებულის ანუ), ანდაც მრავალსახოვანი მედეობის - ყველაფერს რომ გავიღებთ სიყვარულისთვის და ყველაფერს მოვსპობთ, თუკი სიყვარულზე უარს გვეტყვიან...

ავტორისთვის ნაციონალური კომპლექსების ანალიზის მიზეზია ხასიათი-მედეა, რომლის სისხლიანი ხელებიც მოსვენებას უკარგავს ყველა იმ მწერალს, ვინც ქართველთა სახედ მიიჩნევს კოლხი მეფის ასულს და ახალ-ახალ ვერსიებს თხზავს ევრიბიდეუს ვერსიის გასაუქმებლად -


მედეას შვილები არ მოუკლავსო...

ისევე, როგორც თურმე ბერძნებს ტანჯავთ ელენეს ამორალურობა და აქ კი უკვე ევრიბიდე გვევლინება ელენეს ქორწილიდან გაქცევა-ლაღალტის უარყოფლად: ელენე არ არის მოლაღალტე, ეს ელენეს ფანტომი ყოფილა, მოჩვენება, ილუზია, ვის გამოც ერთმანეთს 10 წელი ხოცავდნენ აუტანელი კაცები, ხოლო ხორცშესხმული ელენე პატიოსნად მჯდარა, უპარისოდ და უმენელაოსოდ...

ერები თურმე თავიანთი გმირი-არქეტიპების გამო გრძნობენ სირცხვილს... არავის უნდა, რომ ვიღაც აუტანელი ჰყავდეს იდენტობის მოდელად, არადა, ადამიანი ხომ ამ წიგნით ორსახოვანია, ურთიერთგამომრიცხავი თვისებებით აღსავსე, მიმზიდველი, დიადი და იმედგეროულად შემზარავი და უკიდევანოდ მდაბალი, რომელიც უთუოდ არის ნაციათა თვისებაც. რაზე ვბრაზობთ? სარკეში ანარკელზე?


სოფიო შამანიდის წიგნით სხვა მრავალ წიგნსა და ტექსტსაც წავიკითხავთ, რომელიც დიდი და საფუძვლიანი ცოდნით, ბერძნული სამყაროს სიყვარულით და ალაგ-ალაგ არისტოფანესეული სილადითა და ირონიით არის დაწერილი.

ძველი ბერძნები ბედისწერის შემცნობი ავტორები არიან, ამიტომ დასასრულს თავს უფლებას მივცემ და პერსონალური კომენტარით დავასრულებ ჩემს წერილს: მართალია, საბერძნეთი ყოველთვის მაგსებდა, მაგრამ ბედისწერად და სიყვარულის ობიექტად ის სწორედ ამ წიგნის ავტორმა, სოფიო შამანიდმა, მიქცია, და, ცხადია, არა მხოლოდ ამ წიგნის გამო, რომელიც, ვფიქრობ, მკითხველს კიდევ უფრო მეტად შეაყვარებს ყველა იმ აუტანელ ქალსა და კაცს, რომელთა ვერატანაც სინამდვილეში მათი შეყვარების დამატებითი არგუმენტი.



სოფიო შამანიდი, ანი ჩიქვანი

მედეა აბულაშვილისა და ეკა ჭყოიძის „მეტყველი მარმარილოები“



„... მე არ მეგონა თუ სხვის მიწასაც ვაკოცებდი, მაგრამ გუშინ მე ვეამბორე აკროპოლისის დიდებულ ქვებს...“

ეს „გუშინ“ ზუსტად 100 წლის წინ იყო - 1924 წლის 19 თებერვალს. მას შემდეგ, ათი ათწლეულის მანძილზე, ყოველდღიურად, მრავალი ქვეყნის უამრავი ადამიანი სტუმრობს ათენის აკროპოლისს, მაგრამ ის დღე, ის მუხტი, ის ემოცია და მოგონება სრულიად სხვაა:


როცა ვალიკო ჯუღელი - საქართველოს ეროვნული გვარდიის სარდალი - ოთხ თანამებრძოლთან ერთად, საფრანგეთიდან საქართველოში საიდუმლო მისიით მოემართება, გზად ათენის აკროპოლისზე ადის, რათა მისი უძველესი მარმარილოებიდან თავისუფლების სულისკვეთება და ბრძოლის ხალისი წამოიღოს. სამშობლოს სიყვარულით, მომავლის იმედით, განათლებით, გამოცდილებით, ახალგაზრდული ენერგიით სავსე ჯუღელი ანტიბოლშევიკურ აჯანყებაში აპირებს მონაწილეობას და თავის დღიურში წერს: „და მეც აკროპოლისზე ვკოცნიდი ჩვენს წარსულს, ჩვენს წამებულ აწმყოს და ჩვენს განათავისუფლებულ აყვავებულ მომავალს!.. მართო რომ ვყოფილიყავი, ალბათ გავძლებოდი ამ ცივი მარმარილოების კოცნით!... ეს მარმარილოები, ეს დიდი დიდებაა, ხომ მართლა სხვისი, ხომ მართო

დღევანდელი ბერძნების არ არის?! იგი ხომ მთელ კაცობრიობას ეკუთვნის, მას ხომ სამშობლო არ აქვს?! ჩვენ ხშირად გაგვახსენდება ეს ადგილები და მისი მეტყველი მარმარილოები და ბრძოლის ცეცხლი და თავდადება მოგვემატება!... და სწორედ ამაშია ადამიანის დიდება... რომ მას შეუძლია კიდით კიდემდე თავის მოძმეს ხმა გადასხეს და საუკუნიდან საუკუნეს თავისი ალტქმა უანდერძოს“.

ჯუღელის კოსმოპოლიტიურმა აზროვნებამ, თავისუფლებისთვის თავგანწირვის სურვილმა, ბრძოლის ყინმა და ათენის აკროპოლისმა ჯორჯ ბაირონი გაგვახსენა: 1824 წელს, ზუსტად 100 წლის წინ ქართველი მებრძოლის ათენურ მოგონებამდე, ინგლისელი ლორდი საბერძნეთის განმათავისუფლებელ ბრძოლაში იღებს მონაწილეობს. ათენის აკროპოლისზე, მარმარილოს ერთი ფილა სწორედ მისი მემორიალური დაფაა.

37 წლის, ჯორჯ ბაირონი, ბრძოლის ველს მონატრული, ავადმყოფობით გარდაიცვლება (37-ჯერ დააგრილებენ ბერძნები ზარბაზნებს, რათა ქვეყანას გმირი პოეტის აღსასრული ამცნონ).

37 წლის ვალიკო ჯუღელს, საქართველოში საბრძოლველად ჩამოსულს, აჯანყებამდე სვრეტენ. „ღმერთო! თურმე როგორ უხერხოდ, როგორ ცუდად და უსაფუძვლოდ ინერება ისტორია...“



- ეს ფრაზაც ვალიკო ჯუღელის დღიურიდანაა - რა თქმა უნდა, წიგნის სათაურიც.

მონოგრაფიის აკროპოლის ვალიკოსა და მისი მეგობრების ათენის აკროპოლისზე გადაღებული ფოტო ამშვენებს - სწორედ იმ დღისა, როცა თანამებრძოლებს „ამ მკვიდრმა ქეებმა ახალი სული, ახალი ჰაეროვნება, ახალი თავგანწირვა“ ჩაბერა, შესძინა.

ეს ერთადერთი ამაღლებელი ისტორია არაა წიგნისა. ავტორებმა თავი მოუყარეს XIX-XX საუკუნეების სხვა არაერთ ფაქტს, ამბავს, სახესა და სახელს, ნაკლებად ცნობილსა თუ უცნობს, რომლებიც ბერძენებისა და ქართველების ურთიერთობის ახალ მარკერებად იქცნენ.

სწორად გვიჭირს იმის აღიარება, რომ ქართულ სამეცნიერო და ლიტერატურულ სივრცეებში რადიკალურად ახალი იმეათად ხდება. უკვდავ ფიგურებს ხელახლა ამუშავებენ, იქმნება კვლევები, რეცეფციები, ალუზიები, რაც, რა თქმა უნდა, კარგი და ბუნებრივი პროცესია, თუმცა, ახალი შრეები ასათვისებელი რჩება. მითოლოგიური, ისტორიული თუ ლიტერატურული ნარატივები კოლხეთზე, არგოზე, ოქროს საწმისზე, პრომეთე-ამირანზე, ბიზანტიაზე მრავალფეროვანი ტრანსფორმაციებით ქმნიან ქართველებისა და ბერძენების უწყვეტი ურთიერთობის ტრანციას, მაგრამ „რა ხდება ახლა სხვა დროსა და სხვა ეპოქაში?“ - კითხვას სვამენ „მეტყველი მარმარილოების“ ავტორები და ბევრ ისეთ ისტორიულ პერსონაჟს თუ პასაჟს გვთავაზობენ, მხატვრული ნაწარმოების ინსპირაციადაც რომ გამოდგება:

პონტიკელი მებრძოლები ბათუმს აფარებენ თავს, საქართველოს იუნკრები - ათენს; ლტოლვილ პონტიკელ ბერძენებს ქართველები უკანასკნელ პურს უზიარებენ; ომით, მარცხითა და შიმშილით დაზარალებულ იუნკრებს კი ათენის ყველაზე პრესტიჟული სამხედრო სასწავლებლის მმართველი მამობრივი მზრუნველობით იღებს; ახალგაზრდა სამხედროები ტოვებენ საქართველოს, რომელიც „დიდი ხანია, დაკარგული ჰქონდათ“, ყველაზე მძიმე სამუშაოს თანხმდებიან და ნაშრომი ფულით სტამბოლის ბიზანტიის დროინდელ არქიტექტურას, მეჩეთსა და ქვეულ აია სოფიას მერე კი ათენის „განმასპეტაკებელ ნაგებობებს“ ნახულობენ, მაგრამ „სამშობლოს სევდას მაინც ვერ იქარწყლებენ“; ზოგიერთი უკან მოიწვევს წართმეული სამშობლოსა და თავისუფლების დასაბრუნებლად - ტკივილს, საბრძოლო მხნეობასა და თავგანწირვის ბედნიერებას ერთდროულად გრძნობს; მთელი საქართველო ირაზმება, რათა ბერძენი ექიმის მკვლელს მიაგნონ; დავით კლდიაშვილის ბერძენი მეგობარი, „რუსებისთვის არაკეთილ-საიმედო ოფიცერი“ ევანგელიდის ათასობით პატიმარს სიკვდილისაგან იხსნის და თავის საიდუმლოს მხოლოდ ქართველ მწერალს გაანდობს; პატარა ივანე ჯავახიშვილი ბერძნულ ტრაგედიაში თამაშობს; რკინის ფარდის მიღმა დარჩენილ ქართველებს სული ეხუთებათ, ევროპულ წარსულს ეპოქინებინან, მოქმედებენ, ანგონავტებზე პირველ ანიმაციას იღებენ, გიმნაზიის სამასწავლებლოს კედლებზე ბერძენ ღმერთებს

ხატავენ, იატაკებზე „ქართოს საწმისს“ გამოსცემენ და ისევ იბრძვიან...

„ეს თავისუფლების წიგნია - თავისუფალი ადამიანების“ - ამბობენ წიგნის ავტორები და გვიამბობენ: როგორ გაჩნდა ბერძნული ხელმოწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე; ვინ იყო პოლიტიკოსი, რომელიც საქართველოს და საბერძნეთის პარლამენტარი გახდა; ვინ წამოაყენა ბათუმის პირველი მერის კანდიდატურა და როგორ გაამარჯვებინეს მას ერთობლივად - ქართველებმა და ბერძნებმა... თურმე ყველაფრის უკან, არჩევნების მიმდინარეობისას, სავარძელში მშვიდად მჯდომი ილია ჭავჭავაძე იყო - თავისი სიბრძნით, სახელმწიფოებრივი აზროვნებით და საქართველოს ეთნიკურ ბერძნებში უდიდესი ავტორიტეტით. სწორედ ილია გამომხაურებია რამდენიმე სტატიით თანადროული ბერძენების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის სხვადასხვა ეტაპს. ილიას დაუბეჭდავს პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტების მხარდამჭერი დეპუტატი ბერძენი თანატოლებისადმი, რომელზეც რუსმა თანაკურსელებმა ხელი არ მოაწერეს, „ჩვენ სხვა საქმეები გვანუხებდა“.

წიგნი მოგვითხრობს როგორ მოუწოდებს ქართული პრესა ევროპას ელიზბეთს მხარდაჭერისკენ და როგორ ძრახავს მას პასიურობის გამო, როგორ იცავს ბერძენი ელჩი ქართველ სტუდენტებს, რამხელა სიხარულით აგებენ ბერძენები პირველ ქრისტიანულ ტაძარს ბათუმში ჯერ კიდევ ოსმალთა ბატონობის დროს, რაოდენი სითბოთი და მადლიერებით იხსენებს პონტიკელი ბერძენი საქართველო გატარებულ წლებს, როგორი პატივით იღებენ ბერძენები ქართულ ჩოხასა და ხმალ-ხანჯალში გამოწყობილ გენერალ კვინიტაძეს, როგორ უმეგობრდება ბერძენი მთავარსარდლის ვაჟი ქართველ ახალგაზრდებს და რა გატაცებით უზიარებს მათ ბიზანტიის ქართველი დედოფლის ამბებს...

ესეების კითხვისას მოულოდნელად აღმოაჩენთ, რომ წიგნის ყველა გზავნილი - თანაგრძობის, თავისუფლებისთვის ბრძოლის, შიშის, მსოფლიოს გაეღვინიან ფიგურებთან ხვეწნის და სასონარკვეთის უკლებლივ ყველაფერი დღევანდლობას ეხმიანება.


წიგნი „მეცხრამეტე საუკუნის ქართულ პრესაში გაბნეული ბერძენი ხალხის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ქრონიკებით იწყება და თავისუფლებისათვის მებრძოლი ელიზბეთი ქართველის დღიურის ამონარიდებით სრულდება“.

სარდლის დღიურის ათენთან დაკავშირებული ნაწილი მონოგრაფიის ავტორებმა ბერძნულად თარგმნეს და დღეს უკვე ათენის ფილელინიზმის ახალგახსნილი დღეულის არქივში ინახება.

ახლახან, საბერძნეთის ერთ-ერთმა პრესტიჟულმა გამომცემლობამ, საქართველოს მწერალთა სახლის მხარდაჭერით, წიგნის ბერძნული ვერსია გამოსცა: ისტორია მარტო მოვლენები არაა, არც მათი შედეგები, ისტორია ემოციაცაა - ასე წერია მის უკანა ყდაზე. მართლაც, ძნელია მიხვდე ისტორიული ფაქტს უფრო მეტს გთავაზობს „მეტყველი მარმარილოები“ თუ ემოციას...

ევრიპიდე

დიდი ბერძენი ტრაგიკოსის 14 ტრაგედია



ტომი II

აგლე
ელი ქალები
ტრა
იგიველი ქალები
სტესი
ქალები
ნია ავლისში

ტომი I



ალკესტისი
მედეა
ჰერაკლიდები
ჰიპოლიტოსი
ანდრომაქე
ჰეკაბე
მავდრებელი ქალები

პირველად ქართულ ენაზე

ძველი ბერძნულიდან თარგმნა ნანა ტონიამ
მთავარი რედაქტორი რისმაგ გორდემიანი



წიგნის სანახავად
დაასკანერეთ QR კოდი



„აუტანელი“ ქალები აუტანელი კაცები

სოფიო შამანიდი

ამ ნიგნში თავმოყრილია სოფიო შამანიდის კვლევებ რომლებშიც ავტორი ანტიკური პერსონაჟების ლიტერატურულ სახეცვლილებებს განიხილავს. „აუგანელი“ ქალები და კაცები რამდენიმე გამორჩეულ ანტიკურ პერსონაჟს (მორის, მედეას, კლიტემნესტრას, ელენეს, აგამემონონის) ოდისევსს და ა.შ.) თავიანთ პარტნიორებთან ურთიერთვალსაზრისით წარმოაჩენს და ასევე გვიჩვენებს, რა შეიცვალა დროთა განმავლობაში ამ პერსონაჟების მხედველობით თუ კრიტიკოსთა დამოკიდებულება.

